საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

№16 (642) * 15 – 21 აპრილი * ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge



როგორ საცოლეს ეძებს გიორგი გურგულია და როგორ ქალთან აპირებს ის მთელი ცხოვრების გატარებას გვ. 74



გვ. 22

ვისი ტყვეა ლიკა ევგენიძე და რის გამო დატოვა მან თბილისი

გვ. 70

რა მდგომარეობაში ჩააგდეს უკრაინელ გოგონასთან ოთო ნემსაძე და რა შანსები არ დაუტოვა მან თავის კონკურენტებსა და მწვრთნელს



გვ. 75

როგორ სთხოვა სახლის სახურავზე ცალ მუხლზე დაჩოქილმა როკ-ვარსკვლავმა ტაისონ რიტერმა ელენა სატინეს ცოლობა



გვ. 18

რის უფლებას აღარ აძლევს კოტიკო თოლორაია საკუთარ თავს დაოჯახების შემდეგ და როგორ გახდა ამერიკაში სოსო თოლორაია „შოშია“



რა ფანდი არ გაუვიდა გია ბაღაშვილს მეუღლესთან და რა არის მის ცხოვრებაში ყველაზე დიდი აღმოჩენა გვ. 19

## მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

# ს ა რ ჩ ე ვ ი




რა უფრო მეტ სარგებელს მოუტანს საქართველოს ოცდამეერთე საუკუნეში: რუსეთის თუ თურქეთის მოკავშირეობა .... 6

როგორ იბევებენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები წინასწარ პოლიტიკური დევნილის მანტიას და როგორ აპირებს ხელისუფლება საზოგადოებაში შურისძიების გრძნობის ჩაქრობას ........................................................ 8





რატომ არ არის სომხეთისთვის ხელსაყრელი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დარეგულირება და რატომ არ უნდა იყოს ერთ-ერთი ათი პარტნიორიდან ....................... 10

ვინ არის ყველაზე მდიდარი პრეზიდენტი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში ............................... 12

მსოფლიოს უმდიდრესი სამეფო ოჯახების წევრები ..................................... 13

როდის ტყუვდება მამაკაცი, როცა თავი ოჯახში მთავარი პერსონა ჰგონია და რით არის საშიში ქალის დეპრესია ...... 20

როგორ იპოვეს ერთმანეთი ნათესავებმა უკრაინიდან საქართველოში და შეხვდებიან თუ არა ისინი ერთმანეთს ......................... 21

რომელ ცნობილ მოვლენას მიუძღვნეს ვერაზე ჯვრის დადგმა და რომელ ხიდს ამშვენებდნენ თამამშევის ქარვასლიდან წამოღებული გრიფონები ........................ 23

აქვს თუ არა მიცვალებულის სახელის მოხსენიებას მისი სულის ცხონებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა და არის თუ არა აუცილებელი გარდაცვლილისთვის საკურთხის მომზადება ............................ 24

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ფეხბურთელების ტოპ-ათეული.............................26

ექიმის რჩევები...........29

რა უთხრა ცოლმა შოთა იამანიძეს ტრაგედიის დღეს, სახლიდან გასვლისას.......................30

როგორ ავარჯიშებს სიზმარი ადამიანის გონებას და როდის ხდება მობილური ტელეფონი ჯანმრთელობისთვის სერიოზული საფრთხის მომტანი..........................32





გინესის რომელი რეკორდის მფლობელია ჰოლივუდის ვარსკვლავი დუეინ „კლდე“ ჯონსონი და რამდენი მილიონი დოლარი მიიღო მან პირველი მთავარი როლისთვის .......... 34

როგორ გაიყვეს ჰიტლერმა და სტალინმა პოლონეთის ტერიტორია ..... 35

როგორ გავისუფთაოთ აზრები და ფიქრები ნეგატიური გავლენისგან და შესაძლებელია თუ არა არომატების დახმარებით აურის გაწმენდა ................ 36

კოსმეტოლოგის რჩევები ......................... 47





როგორ გახდა დახვრეტილი თბილისელი თავადის ვაჟი ყველაზე ახალგაზრდა კანონიერი ქურდი...........................48

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს..................51


# ყურადღება!

„აკადემია ლიბერთი-პროფი“ სასწავლებელი, რომელიც გჭირდებათ თქვენ!

ჩვენი დევიზია: თუ იცი – საქმე თვითონ გეძებს!

ჩვენ გაძლევთ უნიკალურ შანსს, ერთდროულად მიიღოთ, როგორც საშუალო განათლების ატესტატი, ისე პრესტიჟული და შემოსავლიანი პროფესიის, სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი. ვიღებთ 9, 10, 11 და 12-კლასდამთავრებულებსაც (კოლეჯის პროგრამებზე). გარდა ამისა, შესაძლებელია სწავლა ექსტერნად და შესაბამისი ატესტატის მიღება. მიიღებიან რუსულენოვანი მოქალაქეებიც.

მისამართი: ზაზიაშვილის ქუჩა №1 (საკ. ცენტრ. „ქარვასლასთან“) მე-4 სართული. ტელეფონის ნომრები: 295-20-16; 599 55-02-95; 790 50-60-98; 574 05-06-12.


ვეტერინარის რჩევები ............................. 56

ფლორის სამყაროში...........56





რატომ იძია ქალმა შური ყოფილ ქმარზე და როგორ გაძარცვა მისი კუთვნილი სეიფი..................57

მე – დაქირავებული მკვლელი ........................................................ 58

მკვდარი ვერსია ............................................ 66





რატომ მიიჩნევა სუმო ღმერთების ორთაბრძოლად და რატომ მსაჯობს შეჯიბრებას მღვდელმსახური ...... 72

როგორ გადავარჩინოთ ორგანიზმი სასიცოცხლო ძალებისგან გამოფიტვას და რისი დაცვაა საჭირო მარხვისას ................ 73

როგორ საცოლეს ეძებს გიორგი გურგულია და როგორ ქალთან აპირებს მთელი ცხოვრების გატარებას .................................. 74



ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ზაზა ახობაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე ალექსანდრა ნაკაიძე

პასუხისმგებელი რედაქტორი ზაალ ცინაძე

რედაქციის მისამართია:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47






დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის“ სტამბაში
ელ-ფოსტა: PRINT@ASAVALI.GE

განყოფილებები

პოლიტიკა: ნინო ხაჩიძე, თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია წუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
კორექტორი: ხატია ქლენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე

მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52;
599 10-15-20
239-23-52

სარეკლამო სამსახური:
593 38-75-61;
239-23-53

დამფუძნებელი:
შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# სტამბულის კაჟი

## „...ტრაილერს მე ყელში დავეტაკები“

**პრეზიდენტის თურქეთში დაზიანების ისტორია კვლავაც ბურუსითაა მოცული**, თუმცა, ოფიციალური მონაცემებით, **ჩვენი მთავარსარდალი ტრაილერს დაეჯახა** (ტრაილერის მძღოლი გადარჩა, ტრაილერიც და, ბუნებრივია, ჩვენი პრეზიდენტიც, მაგრამ, აი, **ველოსიპედის ბედი კი უცნობია**).

ბურუსით კი იმიტომაა მოცული, რომ (ღვთის შეწევნით) **პრეზიდენტი მხნედ გამოიყურებოდა** (ინციდენტის შემდეგ), მეტიც, **დაზიანებული ხელი** (რომელზეც, გავრცელებული ინფორმაციით, 40 ნაკერი ადევს) სატელევიზიო **ეთერში გამოჩენის ერთ მომენტში თავისუფლად ეჭირა, მოგვიანებით – გადახვეულივით ჰქონდა.**



არადა, ოფიციალური განმარტებით, პრეზიდენტს **მხარი სამმაგად მოსტეხია**, **რამდენიმესაათიანი ოპერაციაც გადაუტანია** და **ჰოსპიტალში 2 დღესაც დაუყოვნებიათ,** კიდეც **გამოუჯანსაღებიათ,** ზედაც, **თურქული მედიცინის მიღწევებით გაოგნებულიც დაუტოვებიათ** (იმედია, ახლა სხვა მიმართულებითაც არ გადაამოწმებს თურქული მედიცინის მიერ დაპყრობილ სამედიცინო მწვერვალებს). ერთი სიტყვით, უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ **ჩვენი პირველკაცი უკვე პირდაპირი მნიშვნელობით სტამბულის კაჟივითაა!**

იმ მარტივი მიზეზით, რომ **სტამბულის კაჟივითაა** (ყოველ შემთხვევაში, **საქართველოს მოკვდავი მოქალაქის შეუიარაღებელი თვალით**), საწუხარიც თითქმის არაფერია, ერთი ისაა, რომ **ცნობისმოყვარეობა ოხერია.** ხოლო, **რადგან ოხერია, ის ნაწილობრივ ხალხის რჩეულმა** და ბ-ნი სააკაშვილის **თანაგუნდელ-თანამოაზრე** ბ-ნმა **დარჩიაშვილმა დაგვიკმაყოფილა** (შეძლებისდაგვარად).

ეს უკანასკნელი იმ ავბედითი დღის დეტალებს შემდეგნაირად იხსენებს: **„კვირა საღამოს უნდა გვქონოდა შეხვედრა, მანამდე ფეხბურთი ვითამაშეთ** (აი, რა ჯანმრთელი ცხოვრების მიმდევარი უმცირესობა ჰყავს ჩვენს ქვეყანას?!), **რის შემდეგ პრეზიდენტს ველოსიპედით გავლა მოუნდა** (აი, ის კი ვერანაირი მანქანებით ვერ დავაზუსტეთ, ოფიციალურ ანკარაში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი ქართული დელეგაცია ანტალიაში როგორ მოხვდა?!), **ასეც მოიქცა, მაგრამ ჩვენ აღარ წავყევით, ნეტავ წავყოლოდით**. ზუსტად რა და როგორ მოხდა, არ ვიცი, მაგრამ, **ფაქტია, სერიოზული ტრავმა მიიღო.“**

მართალია, **ნაამბობი მომხდარის მთლად ნათელ სურათს ვერ გვიხატავს**, მაგრამ, სამაგიეროდ, **ცხადად წარმოაჩენს თანაგუნდელების თავდადებას** („ნეტავ წავყოლოდით“), თითქმის ზურიკელას სტილში – **„და თუ საჭირო გახდება,** მტერს (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ტრაილერს), **მეც ყელში დავეტაკები!“**

# გამოსალოცები

## და საძირკველმორყეულები

ბევრი იფიქრა თუ ცოტა, **ხელისუფლებამ აგვისტოს ომის გამოძიება გადაწყვიტა** (მე რომ მკითხოთ, **არც გამოლოცვა გვაწყენდა**: **აგვისტო ომებად დაგვებედა**). იმ მარტივი მიზეზით, რომ **მთავარსარდალი მაშინაც და ახლაც პრეზიდენტია**, სავსებით **ბუნებრივია, რომ მისი დაკითხვაც იგულისხმება**. უფრო ზუსტად, **იგულისხმებოდა,** ვინაიდან, **მთავარსარდალი სააკაშვილი გადაჭრით ამბობს უარს გამოძიებასთან თანამშრომლობაზე** (შესაძლოა, პრინციპით, მე მხოლოდ ჩემს გიტარაზე ვუკრავო), რადგანაც, სწამს**, რომ ასეთი ძიება ანტისახელმწიფოებრივია.**

თავის მხრივ, **საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე** ბ-ნი **დავითაია განმარტავს**, რომ, რაკი **მის კომისიას საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უფლება არ ჰქონდა**, ერთი ხელით **ამ ინიციატივას მიესალმება**, ხოლო, მეორე ხელით ისიც **გვაფრთხილებს, რომ პროკურატურამ საშიშ ზღვარზე უნდა გაიაროს** (ქართულ სახელმწიფოებრიობას საფრთხე არ შეექმნასო!).




რაც შეეხება სახელმწიფოებრიობას: სამხედრო ექსპერტების თქმით, **მცირე, თან საკუთარ ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედროთა დიდი რაოდენობა** (მოგეხსენებათ, ქართულმა მხარემ ვერ უზრუნველყო ცხედრების გამოტანა, რის გამოც ისინი აგვისტოს მზემ დააზიანა და მათ ამოსაცნობად გენეტიკური ექსპერტიზის ჩატარება გახდა აუცილებელი) **მოწმობს, რომ მათგან ყოველი მესამე ცოცხლად, ანუ დაჭრილი მიატოვეს ბრძოლის ველზე.**



ხოლო, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ **დროის მცირე მონაკვეთში** (სულ რაღაც **16-წლიან შუალედში**) **ორი ომი გვქონდა** და **ორივე წავაგეთ**, რის შედეგადაც **გაეროს მიერ 1992 წელს აღიარებული საქართველოს საზღვრებში უკვე სამი წარმონაქმნია**, მე რომ მკითხოთ, **სახელმწიფოებრიობა ისეა შერყეული**, ამ **პერმანენტულ დამარცხებებში გარკვევამ იქნებ ოდნავ მაინც გაგვიმაგროს სახელმწიფოს საძირკველი.**

# ფულის ხიბლი

## ჩახედე პარტიას ჯიბეში

გასულ კვირას **„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ თავისი მორიგი კვლევის შედეგები გაგვიმხილა**. კვლევა კი **ისეთ პროზაულ და, ამასთანავე, მნიშვნელოვან ფაქტორს ეხებოდა, როგორიც პარტიების შემოსავალ-გასავალია**. კერძოდ, ამ კონკრეტულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ **ამჯერად ქართულ პოლიტსცენაზე მოღვაწე ქართულ პოლიტპარტიებს გასული, 2012 წლის ჯიბეში ჩაუხედა**, თან – გაითვალისწინეთ, რომ **ფულის ამ ნუსხაში უშუალოდ საარჩევნო ხარჯი არ შესულა.**

როგორც გაირკვა, **ყველაზე მეტი შემოსავალ-გასავალი „ნაცმოძრაობას“ ჰქონია**: სახელდობრ, **შემოსავალი – 23 მილიონი ლარი, გასავალი – 22 მილიონი**, „ქართული **ოცნების“ ფინანსები აწ უკვე უმცირესოელ კოლეგებთან შედარებით მოკრძალებულია:** შემოსავალი – **6 მილიონი, გასავალი – 12**.

ყველაზე **ღარიბულად ქართველი ლეიბორისტების პარტიული ჯიბე გამოიყურება:** სულ რაღაც **300 000 ლარი დაუხარჯავს მშრომელთა პარტიას 2012 წელს პარტიული საქმიანობისთვის** (იმიტომ, რომ, ისევე იტანჯებიან, როგორც მათი ხალხი იტანჯება!).

თუ ზემოთქმულს 2012 წლის **საპარლამენტო არჩევნებში ზემოთვე ჩამოთვლილი პარტიების მიერ მიღებულ ხმებს შევუპირისპირებთ**, ცხადი გახდება, რომ **პარტიის ჯიბესავსეობა მოპოვებული მანდატების,** თუ მთლად პირდაპირ არა, **უბრალოდ მაინც პროპორციულია**. თუმცა, მეორე მხრივ, ისიც ცხადია, რომ **უხვი ფინანსები მთლად გამარჯვების გარანტიაც არ ყოფილა** – როგორც ჩანს, **ფულს** მარილიც, ანუ, **ცოტა მარიფათიც უნდა მოაყარო!**

# მივა – არ მივა

მართალია, **კოჰაბიტაციის მადლით, საკონსტიტუციო ცვლილებები განხორციელდა,** რაც იმას ნიშნავს, რომ **პრეზიდენტის მისვლას პარლამენტში მწვანე აენთო**, თუმცა, **საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეს დიადი აქტი, შესაძლოა, ვერც შედგეს!**



ვერშედგომის **მიზეზი მთლად ილიასეულიც არ არის** (როგორ შევეყრები მე ჩემს პარლამენტს და როგორ შემეყრება ის მე, რას ვეტყვი ახალს მე ჩემს პარლამენტს ან ის რას მეტყვის მე), რადგან, **ბიძია-ბაზუის არ იყოს, უკვე ისეთები აკადრეს ერთმანეთს, ამას დამოყვრებაც ველარ უშველის**.

ასეა თუ ისე, **პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ პიონერულ მზადყოფნაშია პრეზიდენტის სამასპინძლოდ** (როგორც კი მისთვის სასურველ დროს შეარჩევს, მზად ვართ, მოვუსმინოთო), თუმცა **პრეზიდენტის ადმინისტრაცია ჯერჯერობით დუმილის უფ-**

## საინტერესო შემადგენლობა – პრეზიდენტის მოლოდინში

**ლებას იყენებს.**

უფრო მეტიც, აწ უკვე **უმცირესოელი** ბ-ნი **წიკლაური ჩვეულებისამებრ შეთრთოლებული ხმით გვაუწყებს,** რომ, მისი აზრით, **დასაფიქრებელია, ღირს თუ არა პრეზიდენტის პარლამენტში მისვლა** (დაფიქრება, უდავოდ, ყოველთვის მისასალმებელია, ამდენად, **ადრეც არ გვაწყენდა – არც მათ, არც ჩვენ**).

ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ **2007 წელს საქართველოს პარლამენტში გამოსვლისას, პრეზიდენტი გვარწმუნებდა, 2008 წელს საქართველოს აქვს** სრული შანსი**, გახდეს „ნატოს“ სრულფასოვანი წევრიო**, ხოლო, რეალურად, **2008 წლის 26 აგვისტოს რფ-მ ჩვენს ტერიტორიაზე კიდევ ორი სახელმწიფო აღიარა**, აშკარაა, რომ **პოლიტიკურ პროგნოზებში მოიკოჭლებს,** ამიტომაც, თუ მაინც დააფასებს პარლამენტის მიწვევას, იქნებ გვეთხოვა, რომ **პროგნოზებისგან თავი შეეკავებინა, იმ მარტივი მიზეზით, რომ პირიქით გვიხდება?!**

# კუჭნაწამები

იმ მარტივი მიზეზით, რომ **სურსათის მავნებლობა-უვნებლობას ამ ჩვენს ქვეყანაში არავინ ამოწმებდა** (ლიბერალიზმის მოტრფიალე მამებმა შესაბამისი სამსახურები გააუქმეს), **მხოლოდ მოარული ხმების წყალობით თუ ვიცოდით, რომ პროდუქცია, რომელსაც მივირთმევდით, არათუ სასარგებლო, მავნებელი იყო**.

როგორც ჩანს, ვითარება შეიცვალა, რადგან, ჯერ იყო და, **თურქეთიდან გამოგზავნილი კარტოფილი დავიწუნეთ** (დაავადებული იყო), **სულ ახლახან – სომხეთიდან შემოტანილიც** (მურა სიდამპლით შეპყრობილი). ოფიციალური მონაცემებით, ეს **მხოლოდ ამ წელს დაავადებული ბოსტნეულის შემოტანის მეოთხე მცდელობაა**. ხსენებული **ციფრის 9 წელზე გადამრავლებაც** (9-ზე, რადგან, 9 წელია, იმპორტირებული არაფერი შემოწმებულა) **საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რას უძლებენ საქართველოს მრავალტანჯული მოქალაქეების კუჭები,** თუმცა, როგორც გაირკვა, **არა მხოლოდ ბოსტნეულის მიმართულებით** (უკვე გამოვლენილია ცხენისა და ვირის ხორცის პარტიებიც).

## ანუ, მიჭმიე

შემოსავლების სამსახურის ცნობით, 8 აპრილს **ინდოეთიდან შემოტანილი 28 000 კილოგრამი კამეჩის გაყინული ხორცი მთლად ხორციც არ ყოფილა:** შეფუთვების გახსნისას, **ხორცის ნაცვლად კამეჩის გაყინული გული აღმოაჩინეს,** ზედაც, **წარმოებისა და ვარგისიანობის ვადების მიუთითებლად.**




საქართველოს **მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის გათვალისწინებით, ადვილი მისახვედრია,** რომ **კონტროლის გაუქმების მოტივი იაფფასიანი პროდუქციისთვის გზის მოსუფთავება იყო**.

და, რაკი **საქმეს ისეთი ტემპი უჩანს**, რომ **კიდევ არაერთი ფაქტი გამოვლინდება,** ვფიქრობ (თუ კუჭები გადაგვირჩა), **სავსებით სამართლიანი იქნება**, თუ **მსგავსი პროდუქციის შემომტანებსა და სურსათის კონტროლის სამსახურების გამუქმებლებს ცხოვრების ბოლომდე, აი, ამგვარი პროდუქციით კვებას დაავალდებულებდნენ.**

# წითელას დამმარცხებლები

## ანუ, მეგობარი გასაჭირში იცნობაო

შესაძლოა, იმ მიზეზით, **გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო,** ან, იქნებ, სულაც, **შემთხვევითობის გამო, ჩვენს ქვეყანაში წითელამ იფეთქა**. სტატისტიკის თანახმად, **თუკი გასულ წელს წითელას მხოლოდ 32 შემთხვევა აღირიცხა**, წელს **უკვე 700-ს მიაღწია**. მათგან **179 სტაციონარში მკურნალობს, ორი შემთხვევა კი,** საუბედუროდ, **ლეტალურად დასრულდა.**



ამის გათვალისწინებით, **საქართველოში აშშ-ის ელჩმა** გასულ კვირას **გვაუწყა, რომ მისი სამშობლო ჩვენსას წითელას ვაქცინას აჩუქებს.** სახელდობრ, ბ-ნი **ნორლანდი ბრძანებს** შემდეგს: „**საქართველოში წითელას მომრავლებულ შემთხვევებთან გასამკლავებლად, შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტი 75 000 ერთეული ვაქცინის შესაძენ თანხას გამოყოფს“.**

როგორც აღმოჩნდა, **ჩვენი აშშ-ელი მეგობრები მთლად თავიანთი ინიციატივითაც არ მომდგარან დახმარების ხასიათზე**. გავრცელებული ინფორმაციით, **ეს შემოწირულობა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს თხოვნის საპასუხოა** (რათა საქართველომ წითელას გავრცელება თავიდან აიცილოსო).

ასეა თუ ისე, **ვაქცინების შეძენას გაეროს ბავშვთა ფონდი უხელმძღვანელებს**, თუმცა, აი, **განაწილებით კი საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი დაკავდება.**

არა მხოლოდ იმის გამო, რომ **ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯება** (ან, თუნდაც, **მუქთა იყოს, კუბო იყოსო**), ცხადია, რომ **მეგობარი გასაჭირში იცნობა** და, თუკი რუსული ტანკების წინააღმდეგ მაინცდამაინც ვერ მოგვეშველა, ვფიქრობ, **წითელას დამარცხებაში ვერავინ მოგვერევა ვაქცინებით შეირაღებულ ჩვენ და ამერიკას!**

# გარანტირებულლუკმაგამოცლილები

## მხოლოდ 650 000?!

გასულ კვირას განათლების სამინისტროს მორიგი ინიციატივა შევიტყვეთ, რის მიხედვითაც, **საქართველოს 650 000 მოსწავლე სასკოლო სახელმძღვანელოებს უფასოდ, ანუ სახელმწიფოს ხარჯზე მიიღებს**, რასაც, **რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა**.

**ლიბერალებზე უფრო ლიბერალი ჩვენი თანამემამულეები ამგვარ ინიციატივას დაუშვებლად მიიჩნევენ** (აბა, სად აქვს საქართველოსნაირ ღარიბ ქვეყანას უფასო სახელმძღვანელოების თავიო, რაც ბადებს შემხვედრ თეზას: **ღარიბი საქართველო დაუშურებლად მხოლოდ პრეზიდენტის სასახლისთვის თუ გაიღებს მილიარდს, ხიდ-შადრევნებისთვის კი – მილიონებს**).



**უკიდეგანოდ უკმაყოფილონი არიან გამომცემლებიც** (გარანტირებული ლუკმა გამოეცალათ), თუმცა, განათლების **სამინისტრო ირწმუნება, რომ არავინ დაზარალდება**. ექსპერტად წოდებულთა ნაწილი ამ ინიციატივაში **სოციალიზმის ნიშნებს ხედავს** და სარკასტულად შენიშნავენ, მაშინ **პურიც სახელმწიფომ დაარიგოსო** (აქვე გეტყვით, რომ, მაგალითად, ბრიტანეთში გასული საუკუნის 70-იან წლებში სკოლებში რძეს უფასოდ არიგებდნენ). თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ **ევროპულ ქვეყნებში არათუ სწავლა-სახელმძღვანელოები, საცხოვრებელიც უფასო აქვთ თავისი სტიპენდიიანად** (თან, არა მხოლოდ ადგილობრივებისთვის, ქვეყანაში ჩასული უცხოელი სტუდენტებისთვისაც კი), **ქართულ ლიბერალიზმს, სავარაუდოდ, საეჭვო სუნი ასდის.**

მეორე მხრივ, ფაქტია, რომ **სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა პრობლემაა** და **დაზუსტებით არც ის ვიცით, რა დოზის წვლილი მიუძღვის ამ ფაქტორს განათლების სავალალო მაჩვენებელში**, პრობლემა კი **ორსაგურეა**: „საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაციის“ კვლევით, **ქართველ ბავშვებს სკალირებულ საშუალოზე დაბალი მიღწევები აქვთ**. ანალოგიური კვლევა 2007-შიც ჩატარდა და, **მაჩვენებელი ამ 4 წლის განმავლობაში არათუ იგივე დარჩა**, ერთი ქულით, მაგრამ, მაინც **გაუარესდა.**

ხოლო, **ვიდრე ვმსჯელობთ, ავია თუ კარგი სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგება**, ფაქტია, რომ **6-დან 17-წლამდე მხოლოდ 650 000 არასრულწლოვანი გვყოლია**, რის ფონზეც, ჩემი მოკრძალებული აზრით, **ყველა დანარჩენი პრობლემა უფერულდება,** რადგან, **თუ ამ ტემპით გავაგრძელებთ**, არცთუ შორეულ მომავალში, **სახელმძღვანელოების ადრესატები, უბრალოდ, აღარ გვეყოლება.**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**


ნდობის ტელეფონი
ინტიმი

0902 200 206

0902 200 244

მობილურებიდან



ზარი ფასიანია

**ორიოდ კვირის წინათ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა შემდეგი შინაარსის განცხადება გააკეთა: „გასული საუკუნე უკვე ის გვერდია, რომელიც ჩვენ გადავფურცლეთ. ახლა ჩვენ დავამყარებთ ახალ კავშირებს სარაევოსა და დამასკოს, ბენღაზასა და ბათუმს შორის. ამჯერად ჩვენ ამას გავაკეთებთ მშვიდობიანი გზებით. არავისთან არ ვიომებთ, საზღვრებსაც პატივს ვცემთ. ახლა ამაშია ჩვენი ძალა. დღეს ეს ქვეყნები სრულიად სხვა ქვეყნებია, მაგრამ 110 წლის წინ იემენი და სკოპიე, ბათუმი და ბენღაზა იყვნენ ერთი ქვეყნის – ოსმალური იმპერიის ნაწილი. ვამბობთ რა ამას, ჩვენ ვიღებთ მათ გამოწვევას, რომლებიც ცეცხლს გაგვიხსნიან, ბრალს დაგვდებენ ნეოოსმანიზმში. მაგრამ თუ ასეა, ისინი, რომლებმაც გააერთიანეს მთელი ევროპა, რატომ არ იწოდებიან ახალ რომაელებად?“ განცხადება, რბილად რომ ვთქვათ, გამაოგნებელია, თუმცა ჯერჯერობით საქართველოს საგარეო უწყებას არაფერი უთქვამს (სავარაუდოდ, არც მის კოლეგებს ვირტუალური ნეოოსმალური იმპერიის საზღვრებში მოქცეული სხვა ქვეყნებიდან). მეორე მხრივ, დანარჩენი მსოფლიოსთვის არანაკლებ გამაოგნებელია ჩრდილოეთ კორეის მიერ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ბირთვული რაკეტების დამიზნება, რაც თვით ფიდელ კასტრომაც კი დაგმო. თუმცა ბ-ნი კასტროს შეშფოთებაც გასაგებია: კუბა აშშ-ის სიახლოვესაა და ამ უკანასკნელისთვის დამიზნებული რაკეტა მასაც მოხვდება. ყურის ძირსა და ოდნავ მოშორებით განვითარებულ მოვლენებზე აზრს მამუკა არეშიძე გაგვიზიარებს.**

# რა უფრო მეტ სარგებელს მოუტანს საქართველოს ოცდამეერთე საუკუნეში: რუსეთის თუ თურქეთის მოკავშირეობა

**– როგორ უნდა გავიგოთ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ეს განცხადება?**

– ჩემთვის ეს აგრესიული განცხადებაა. იმიტომ რომ ქვეყანა, რომელთანაც შენ გაქვს ახლო პარტნიორობა, ასეთი ტიპის განცხადებების უფლებას არ უნდა აძლევდეს საკუთარ თავს. მე ვფიქრობ, რომ უკვე დროა, თურქეთთან თავშეკავებული პოლიტიკა ვაწარმოოთ და არ არის საჭირო თურქეთის დღევანდელი ხელმძღვანელობის ასეთი გულში ჩაკვრა და გაუთავებელი ხვევნა-კოცნა. სამწუხაროდ, დავით ოღლუ და ერდოღანი ის ადამიანები არიან, რომლებიც ნეოოსმალურ იდეას ახორციელებენ, რაც გულისხმობს გავლენის სფეროების გავრცელებას ყოფილი ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში. იდეის ავტორია დავით ოღლუ, თურქეთის ახლანდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელმაც 2002 წელს მოახდინა ამის დეკლარირება, როდესაც სტამბულის უნივერსიტეტის პროფესორი იყო და ზუსტად იმიტომ გახდა საგარეო საქმეთა მინისტრი, რომ ამ იდეების ქადაგება დაიწყო. თურქეთი ყველანაირი მეთოდით ცდილობს ამ იდეის განხორციელებას და თან, არჩევს სუსტ რგოლს. სუსტი რგოლია სირია და სამხრეთ კავკასია, თორემ იმავეს ის არ იტყვის ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებზე, რომლებიც უფრო დიდხანს იყო მისი კოლონია, ვიდრე საქართველო.

**– რატომღაც, არ უხსენებია სომხეთი და აზერბაიჯანი.**

– თურქეთს ყარსის ხელშეკრულებით გარკვეული ეფემერული უფლებები აქვს აჭარაზე.

**– როგორც ვიცი, ეს არის ეკონომიკური ბერკეტები, უბრალოდ თურქეთს არასდროს უსარგებლია ამით.**

– ყარსის ხელშეკრულება, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ბათუმი თურქეთის ნაწილია, დიახ, საუბარია ეკონომიკურ გავლენაზე და იმაზე, რომ ხიფათის შემთხვევაში თურქეთს აქვს უფლება, ძალა გამოიყენოს. დავით ოღლუს განცხადება პირველი არ არის. ორი წლის წინათ ერდოღანმაც იგივე თქვა. ცოტა სხვანაირად, მაგრამ მაინც: მან ახსენა თავისი თანამოძმეები ბაქოში, სირიასა და ბათუმიც მიაყოლა. თურქეთის ხელისუფლება მუდმივად უსვამს ხაზს ფაქტს, რომ ბათუმი მათია. სკოლებში ასწავლიან, რომ აჭარა მთლიანად მათია და ასე შემდეგ. მინდა გითხრათ, რომ ყარსის ხელშეკრულებას ვადა 2000-იანი წლების შუაში დაუმთავრდა და საქართველოს ხელისუფლებამ გააგრძელა. ისეთ რამეს ვიტყვი, რის გამოც შემრისხავს ქართველი საზოგადოება, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: რასაკვირველია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს იმ კულტურულ ძეგლებს, რომლებიც თურქეთის ტერიტორიაზეა, მაგრამ ჩვენ გვავიწყდება, რომ პარხალი და ოთხთა ეკლესია თურქეთში კაშხლის აშენების შემთხვევაში დაიტბორება. რა უფრო მნიშვნელოვანია, ჩვენთან, საქართველოში, აშენდეს საკულტო ძეგლი მეჩეთი, თუ ეს ორი უმნიშვნელოვანესი ტაძარი გადარჩეს?! მე მიმაჩნია, რომ სახელმწიფოს სუვერენიტეტი უფრო მნიშვნელოვანია. ამიტომ უნდა გაითავისოს ჩვენმა საზოგადოებამ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მათი რესტავრაცია, მაგრამ ეს არის თურქეთის ტერიტორია.



**საქართველო მაგონებს კაცია მუნჯაძეს, რომელსაც რელსზე სძინავს, მაგრამ არ მოდის ეს მატარებელი**

**– აქვე გავიხსენებ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გასული საუკუნის 90-იან წლებში თურქეთთან ჩარჩო-ხელშეკრულება გააფორმა, რომლითაც აიღო ვალდებულება, რომ არასდროს განაცხადებდა პრეტენზიას თავის ისტორიულ ტერიტორიებზე.**

– სხვათა შორის, თურქეთმაც დაადასტურა ოფიციალურად, რომ პრეტენზია არ ექნება საქართველოს ტერიტორიაზე. მაშინ, თუ ეს ასეა, თურქეთი ვალდებულია, თავის ტერიტორიაზე მიხედოს კულტურის ძეგლებს, ისევე, როგორც ჩვენ ვართ ვალდებულნი, ჩვენს ტერიტორიაზე მივხედოთ სომხური იქნება, თურქული თუ სხვა კულტურის ძეგლებს. ამდენად, ყოველგვარი ვაჭრობა ამ თემაზე ჩემთვის მიუღებელია. როდესაც თურქეთი გვეუბნება, ოშკს რესტავრაციას ჩავუტარებ, ოღონდ შენ გაუკეთე რესტავრაცია რაბათის ციხესო, მე ეს მესმის, მაგრამ, როდესაც ამბობს, მეჩეთი უნდა ავაშენო საქართველოს ტერიტორიაზეო, არ მესმის. მეჩეთში არ არის საქმე. 150-ზე მეტი მეჩეთია აშენებული აჭარაში და ქართველმა მუსლიმანებმა, თუ მოინდომებენ, უნდა ააშენონ მეჩეთი იქ, სადაც საქართველოს ხელისუფლება გადაწყვეტს. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ თურქეთს არ უნდა ჰქონდეს უფლება არათუ განცხადებები გააკეთოს, არამედ საერთოდაც ილაპარაკოს ამ თემაზე. თუ შეავიწროეს ქართველი მუსლიმანები, მაშინ შეიძლება, განცხადება გააკეთოს, თორემ როგორ იქნება, რომ თურქეთის რელიგიის სამინისტრო აწყობს ევრაზიის მუსლიმანთა შეკრებას და აფხაზეთი დამოუკიდებელ ქვეყნად ჰყავს მიწვეული?! თუნდაც, ახლა ბავშვთა ფესტივალი რომ იმართებოდა.

**– მაგრამ ხომ ამოიღეს აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა?**

– ამოიღეს, მაგრამ ხომ აპირებდნენ მიწვევას?! ჩვენც შეგვიძლია, მოვაწყოთ რამე ღონისძიება და დავპატიჟოთ ქურთთა მუშათა პარტიის ლიდერები, როგორც დამოუკიდებელი ქურთისტანის წარმომადგენლები.

**– ჩვენ ამის ძალა არ გვაქვს, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ.**

– ძალაში კი არ არის საქმე, საქმე თავხედობაშია. ჩაატარა ასეთი ღონისძიება სომხეთმა და დაპატიჟა თურქეთის მუშათა პარტიის წარმომადგენლები, როგორც დამოუკიდებელი ერთეულის წარმომადგენლები. თურქეთი ძალიან ეშმაკურად იქცევა: ის იყენებს თავის უკან მყოფ დასავლურ სამხედრო სიძლიერეს. ამერიკის შეერთებული შტატების მეცადინეობით თურქეთი დღეს ორიენტირებულია, დააბალანსოს რუსეთი კავკასიაში, მაგრამ ამ დაბალანსების პოლიტიკას იყენებს თავისი ინტერესებისთვის. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას ეს ძალიან აშფოთებს, მაგრამ მიშვებული აქვთ პროცესი და ველარ უვლიან. თვითონ მისცეს იმის საშუალება თურქეთს, რომ ხმამაღლა ელაპარაკა რუსეთთან, ამასობაში კი თურქეთი თავის ინტერესებსაც ახორციელებს, რაც არ არის მომგებიანი დასავლეთისთვის.

**– კომიკური ფაქტია: თურქეთს აქვს თავისი ტერიტორიული პრეტენზიები; ვიცით, რომ რუსეთსაც აქვს პრეტენზიები, სულ გვამადლიან, რომ გაგვაერთიანეს; ასევე, ირანიც მოსტირის აღმოსავლეთ საქართველოს, როგორც ირანის ერთ-ერთ პროვინციას. აღარაფერს ვიტყვი ჩვენი მცირეწონიანი მეზობლების პრეტენზიებზე. როგორ გაგვინაწილებენ?**

– რასაკვირველია, გაინაწილებენ, იმიტომ რომ ქვეყანა, რომელსაც არ აქვს თავისი იდეოლოგია, სადაც სკოლებში ისტორიას სწორად არ ასწავლიან და რომელმაც ვერ იპოვა თავისი ფუნქცია, ყოველთვის იქნება მეზობლების საჯიჯგნი ობიექტი. როდესაც მსოფლიოში არის ისეთი იდეოლოგიზებული ქვეყანა, როგორიცაა ისრაელი, რომელმაც ყველაფერს გაუძლო სწორედ იმიტომ, რომ აქვს ძალიან მყარად ჩამოყალიბებული იდეოლოგია, ჩვენ რატომ არ შეგვიძლია, იგივე გავაკეთოთ?! თუნდაც, ამას საფუძველი ჩავუყაროთ?! ახსენეთ, რუსეთი გვაყვედრისო. რეალურად რუსეთმა საქართველოს კი არ შემოუერთა აჭარა და სხვა ტერიტორიები, არამედ რუსეთის იმპერიას, მაგრამ ჩვენ ხომ ამან სარგებელი მოგვიტანა. გვყავდა უდიდესი პიროვნება ილია ჭავჭავაძე, რომელმაც თავისი მოძღვრებით მანამდე შექმნა ისეთი ფონი, რომ აჭარაში შეიქმნა


ტურისტული კომპანია CAUCASUS TOUR, ავიაკომპანია AIR CAUCASUS-თან ერთად

AIR CAUCASUS

გთავაზობთ ფრენებს მსოფლიოს ყველა მიმართულებით.

რეისი თბილისი-სალონიკი – 99 ევროდან.

გისურვებთ მშვიდობიან ფრენას!

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
2-202-202, 2-202-203;
ცხელი ხაზი – 595-33-22-22;
მობილური: 598-18-04-09,
598-306-155, 571-79-77-88.
ვეკუას №3, V სართული.

CAUCASUS TOUR

აჭარული ინტელიგენციის ფენა, რომელიც ორიენტირებული იყო საქართველოზე და ტერმინი დედა-საქართველო სწორედ იმ პერიოდში გაჩნდა, რის ერთ-ერთი მამამთავარი იყო მემედ აბაშიძე.

**– ესეც უნდა გავიხსენო, იმიტომ რომ იდეოლოგიასთანაა კავშირში: რევოლუციის შემდეგ მემედ აბაშიძის ძეგლი ბათუმის ბულვარიდან მოშორებით გადაიტანეს და პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე პრეზიდენტმა სააკაშვილმა ბათუმში გამოსვლისას თქვა, იჯდეს მემედ აბაშიძე მოყუჩებულშიო, დამსწრე საზოგადოებამ კი ტაში დასცხო.**

– აი, ამ იდეოლოგიის შექმნა განაპირობა აფხაზი შერვაშიძეების პროქართულმა პოზიციამ. ჩვენმა საზოგადოებამ კარგად არ იცის, რას ამბობდა მაშინ ილია ჭავჭავაძე, რა ტიპის იდეოლოგია შეუქმნა ქართველებს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. კარგად არ ვიცით, რას აკეთებდა არჩილ ჯორჯაძე, რა ტიპის იდეოლოგიის მქონე იყო იმ დროის ინტელიგენცია. აი, ამაზე ვლაპარაკობ. უნდა დავფიქრდეთ: დღეს თურქეთთან დაპირისპირებაში რა უფრო გვაძლევს ხელს: შუალედური თამაში, რუსეთის გამოყენება და ისევ სარგებლის ნახვა თუ თურქეთის თამაშის გამოყენება და სარგებლის აქედან ნახვა?! ჩვენ ხომ სარგებელზე არ ვართ ორიენტირებულნი?! ჩვენ ორიენტირებულნი ვართ იმაზე, როგორმე სული გავიტანოთ ზეგამდე. საქართველო მაგონებს კაცია მუნჯაძეს, რომელსაც რელსზე სძინავს, მაგრამ არ მოდის ეს მატარებელი.

**– თუ ასე გაუღვიძებლად ვიძინეთ, აუცილებლად მოვა. ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული რაკეტები მიუშვირა ამერიკის შეერთებულ შტატებს. რამდენად რეალურია ბირთვული დაპირისპირება? თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, ძალიან სახიფათო ზღვარზე გადის ეს თამაში, რადგან საქმე ბირთვულ იარაღს ეხება.**

– რთულია იმის თქმა, რამდენად სახიფათოა, იმიტომ რომ ვერავინ გააკონტროლებს ავტორიტარული რეჟიმის ქმედებას, სადამ ჰუსეინის არ იყოს, რომელმაც ქუვეითზე გაილაშქრა. არ მგონია, ჩრდილოეთ კორეა ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუპირისპირდეს, რადგან ეს, უპირველესად, ჩრდილოეთ კორეის განადგურებას ნიშნავს, მაგრამ ამას გარკვეული დისკომფორტის შექმნა შეუძლია რეგიონის ქვეყნებისთვის. უპირველესად, ეს არის იაპონია და ამერიკის შეერთებული შტატები და, რა თქმა უნდა, ჩინეთი. ჩინეთის ხელისუფლება გაღიზიანებულია ოფიციალური ფხენიანის ასეთი ტიპის აქტივობით. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ოფიციალური ფხენიანი ამ დისკომფორტს ქმნის იმიტომ, რომ კარგად ივაჭროს.

**რეალურად რუსეთმა საქართველოს კი არ შემოუერთა აჭარა და სხვა ტერიტორიები, არამედ რუსეთის იმპერიას, მაგრამ ჩვენ ხომ ამან სარგებელი მოგვიტანა**

**– რა არის ამ შემთხვევაში სავაჭრო?**

– ჩრდილოეთ კორეას სანქციები აქვს დაწესებული. სხვათა შორის, იქ შეზღუდულად შედის კვების ის პროდუქტები, რომელსაც გაერო აგზავნის. ფხენიანის ხელისუფლებას ასეთი ფორმულა აქვს: ბევრ ფულს ვხარჯავ შეიარაღებაზე და ამიტომ მსოფლიომ უნდა მაჭამოს და პლუს – თავი დამანებოს. აქ ძალიან საინტერესოა რუსეთის ფაქტორი. მე თუ მკითხავთ, რუსეთმა და ჩინეთმა ჯინი გამოუშვეს ბოთლიდან. ამდენი ხნის განმავლობაში ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის სახით ამ ორმა ქვეყანამ ჩამოაყალიბა ისეთი მონსტრი, რომელიც უკვე თვითონ აღარ მოსწონთ, მაგრამ ვერაფერს აკეთებენ. აქ არის კიდევ ერთი ნიუანსი, რომელიც, ვფიქრობ, დააინტერესებს ჩვენს მკითხველს: მე მგონია, რომ ჩრდილოეთ კორეა მაინც გრძნობს მოსკოვის ზურგს. გარკვეული წაქეზება მოსკოვის მხრიდან არის და ამიტომაც ბაქიბუქობს ასე ოფიციალური ფხენიანი. ეს მაგონებს იმას, რაც ჩვენთან 2008 წელს მოხდა, როდესაც ზოგიერთი ამერიკული ორგანიზაციის მხარე აქეზებდა საქართველოს იმდროინდელ ხელისუფლებას და შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.

**– ჩვენ ვნახეთ, როგორც ჩაერია 2008 წლის ომში ამერიკის შეერთებული შტატები. ჩრდილოეთ კორეის მიერ სამხრეთ კორეაზე თავდასხმის შემთხვევაში აშშ იაქტიურებს?**

– სამხრეთ კორეაზე თავდასხმის შემთხვევაში გარდაუვალია ამ კონფლიქტში ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა და, ასევე, აუცილებლად ჩაერთვება იაპონიაც. გააჩნია, იმ წუთას როგორი სიტუაცია შეიქმნება. თუ ჩრდილოეთ კორეამ გამოიყენა ბირთვული მუხტი, მაშინ არც ჩინეთი და არც რუსეთი მხარს არ დაუჭერს მას და მეტსაც გეტყვით, გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთივე მუდმივი წევრი აუცილებლად იქნება ოფიციალური ფხენიანის წინააღმდეგი. თუ ყურადღებით დავაკვირდებით, სირიაში მიმდინარე პროცესები გარდამტეხია: რუსეთი, ერთი მხრივ, ცდილობს შეაკავოს დასავლეთის აგრესია თავისი უახლოესი მოკავშირე სირიის წინააღმდეგ და, მეორე მხრივ, ცდილობს, სამხრეთ კორეაში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირეებს ჩრდილოეთ კორეის მეშვეობით შეუქმნას ისეთი პრობლემები, რომ მათ სირიაში ომის გაჩაღების თავი არ ჰქონდეთ. ანუ სირიაში შეკავებისთვის უქმნის რუსეთი პრობლემას ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩრდილოეთ კორეით. მიდის ბრძოლა, ერთი მხრივ, შორეული აღმოსავლეთისთვის და, მეორე მხრივ, ახლო აღმოსავლეთისთვის.

**ნინო ხაჩიძე**


# ჰეპალინა

## ჰეპალინა შეიცავს:

* Picorrhiza kurroa: ღვიძლის მეტაბოლური პროცესების გასაუმჯობესებელი, ნაღველმდენი საშუალება.
* Phyllanthus amarus: ჰეპატო-პროტექტორი. მადის მომგვრელი; იგი ახდენს უჯრედების მემბრანის სტაბილიზებას. აფერხებს მათ შემდგომ დაშლას და უჯრედებში ჰეპატოტოქსიკური ნივთიერებების შეღწევას.
* Boerrhavaia diffusa : შარდმდენი, ანთების საწინააღმდეგო, ძალების აღმდგენი.
* Piper lomgum: ანტიბაქტერიული, მადის მომგვრელი.

**ჰეპალინა** იცავს ღვიძლს ტოქსინებისა და ინფექციისგან; აღადგენს ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის ნორმალურ ფუნქციონირებას; აიოლებს საკვების მონელებას; იცავს ღვიძლის ქსოვილს ალკოჰოლის მავნე ზემოქმედებისგან. ცილებისა და ფოსფოლიპიდების სინთეზის სტიმულაციით პრეპარატი აჩქარებს დაზიანებული ჰეპატოციტების რეგენერაციას.



**დოზირება**: ორი კაფსულა დღეში ორჯერ ან ექიმის დანიშნულების მიხედვით. ალკოჰოლის მიღების შემთხვევაში: ალკოჰოლის მიღებამდე 1 საათით ადრე – ორი კაფს. დილით, უზმოზე ორი კაფს. ამცირებს ნაბახუსევის სინდრომს.




**ქარხანა ციპლა**

**ჩვენებები**: პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალება ღვიძლის ფუნქციის დარღვევის დროს: ღვიძლის დაავადებების პროფილაქტიკა; ღვიძლის ქრონიკული ანთებითი დაავადებები; სხვადასხვა ეტიოლოგიის ღვიძლის ცხიმოვანი დეგენერაცია; ღვიძლის ალკოჰოლური და ტოქსიკური დაზიანებები; ღვიძლის ციროზის მკურნალობა კომბინირებულ თერაპიაში; ნაბახუსევის სინდრომი.

*უკუჩვენება არ აქვს.*

* **გამოყენების წინ გაეცანით გამოყენების ინსტრუქციას**
* **გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.**

აფთიაქი TITANI

**ფარმაცევტული კომპანია ტიტანი**

**თბილისი, ალ. ყაზბეგის №14; ტელ.: 231-11-32; 238-28-40; 238-88-71.**

**ქართული მედიის ნაწილი 2012 წლის პირველ ოქტომბრამდეც აქვეყნებდა თვითმხილველთა მიერ ნაამბობ საზარელ ისტორიებს, რაც, უმეტესად ანონიმი რესპონდენტების თქმით, საპატიმროებსა და პოლიციის განყოფილებებში არსებულ სიტუაციებს აღწერდა. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ისტორიებიც მომრავლდა და ანონიმმა რესპონდენტებმაც იკლო – ადამიანები თავიანთი და მოძალადეების ვინაობის გამჟღავნებას ერიდებიან. ისტორიები იმდენად შემზარავია, რომ მათი მოფიქრება საშინელებათა ფილმების თვით ყველაზე აღიარებულ და ფანტაზიაგაღვიძებულ სცენარისტსაც კი გაუჭირდებოდა: მამის თვალწინ შვილების წამებით დაწყებული (მამებს რომ თავიანთ ბიზნესზე ეთქვათ უარი) და სასიკვდილოდ განწირულ პატიმრებზე ზონდერების ვარჯიშით დამთავრებული (აღარაფერს ვიტყვი პატიმრების ოჯახის წევრების პატიმრების თვალწინ გაუპატიურების შესახებ, ფრჩხილების დაძრობასა და მამაკაცებზე ძალადობაზე). თუმცა ისტორიები ისტორიებად რჩება და საზოგადოებაც განუწყვეტელი სტრესის ქვეშ ცხოვრობს. ამიტომაც, ნაწილის აზრით, მართლმსაჯულება ზედმეტად ბორბლებმორყეული ურმით დადის. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერთან, დავით საგანელიძესთან, შევეცდებით იმის გარკვევას, როდის დაპურდება სამართალი და როდის შეწყდება ჰიჩკოკის ფილმების რეჟიმით ცხოვრება.**

# როგორ იბევებენ „ნაციონალური მოძრაობის" წევრები წინასწარ პოლიტიკური დევნილის მანტიას და როგორ აპირებს ხელისუფლება საზოგადოებაში შურისძიების გრძნობის ჩაქრობას

– დიდი მადლობა, რომ ამ თემაზე დაიწყეთ საუბარი, იმიტომ რომ, ჩემი აზრით, ეს არის საკითხი, რომელიც საზოგადოებას ყველაზე მეტად აინტერესებს. ბუნებრივია, ამაზე ბევრი უნდა ითქვას, მრავალი აზრი გამოითქვას და საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რას ფიქრობს ამაზე ხელისუფლება. მაგრამ თავი და თავი არის ის, რომ ქვეყანა უნდა ცხოვრობდეს სამართლიანობის რეჟიმში და საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ მის გვერდით, წინ თუ უკან დგას ხელისუფლება, რომელიც არ დაუშვებს მოხდეს ის, რაც ქვეყანაში ხდებოდა.

იმ ყველაფერს, რაზეც თქვენ ისაუბრეთ, რამდენიმე ასპექტი აქვს. პირველი არის ის, რომ მართლაც ძალიან ბევრი რამ იწერება, ძალიან ბევრი ადამიანი ყვება უამრავ ისტორიას, მაგრამ ხშირად ამ ისტორიების უკან არ არის არანაირი ფაქტი და დოკუმენტი. შესაბამისად, ეს არ შეიძლება, ჩაითვალოს ობიექტურ და რეალურ ჩვენებებად.

**– რუსული გამონათქვამის არ იყოს: „ნე პოიმან, ნე ვორ"?**

– ხშირად ამის უკან არის ემოცია, განრისხებული ადამიანის პოზიცია, რომელსაც მოსმენილი აქვს მსგავსი ისტორია, მაგრამ არანაირი დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობს და მხოლოდ ამ მონაყოლზე რეაგირება ვერ მოხდება, თუ ადამიანმა არ მიმართა შესაბამის ორგანოებს. ერთია, რაღაც დაწერო გაზეთსა და ჟურნალში, მოყვე ტელევიზიის ამა თუ იმ არხზე, მაგრამ, თუ ამას არ მოაყოლე დოკუმენტი, სამართალდამცველ სტრუქტურებს არ ექნებათ რეაგირების საფუძველი. ამიტომ ხშირად ეს ემსახურება საზოგადოების დაშინებასა და დაძაბვას.

**– ამიტომაც, ბუნებრივია, ჩნდება აზრი: ან ეს უნდა შეწყდეს და მაშინ დაისაჯონ ცილისმწამებლები, ან ითქვას, როგორც, მაგალითად, ჩემი რეპრესირებული დიდი ბებია მიყვებოდა, რომ ბელადმა, თურმე, არ იცოდა, ხალხს რომ ხვრეტდნენ და ასახლებდნენ, იმიტომ რომ ასეთ გაბმულ სტრესში ცხოვრება წარმოუდგენელია.**

– აკრძალვა იმის, რომ რამე არ გამოქვეყნდეს, შეუძლებელია. ეს, ალბათ, თვითონ მედიასაშუალებაზეა დამოკიდებული. მეორე მხრივ, ზოგიერთი მედიასაშუალება, სამწუხაროდ, სკანდალურ სტატიებს ხშირად იყენებს გაყიდვის მაჩვენებლის გასაზრდელად. ყოველთვის არა, მაგრამ ხშირად ასეც ხდება და ამას საზოგადოებისთვის, სამწუხაროდ, სიკეთე კი არ მოაქვს, არამედ, პირიქით, ვხედავთ შიშს, პანიკას, უმოქმედობის გრძნობას, ნიჰილიზმის განცდას და ასე შემდეგ. ამიტომ ყველას ვთხოვდი, თუ ვინმეს რამე გაახსენდება და რამის მოყოლას გადაწყვეტს, მოაყოლოს დოკუმენტები, რომ რამით გამაგრებული იყოს ასეთი ისტორიები.

**– როგორც ვიცი, პროკურატურა ყოველთვის იყო და ახლაც არის ვალდებული, რეაგირება იქონიოს მსგავს გამოქვეყნებულ მასალებზე, მაშინაც კი, თუ პირი უშუალოდ სამართალდამცველ სტრუქტურას არ მიმართავს?**

– თუ მოქალაქე გამოდის ტელევიზიით და რაღაც დოკუმენტს აჩვენებს, პროკურატურა ვალდებულია, გამოიძახოს ის მოქალაქე და მოსთხოვოს დოკუმენტი, მაგრამ, თუ მოქალაქე არანაირ დოკუმენტს არ წარადგენს, რა რეაგირება უნდა გააკეთოს?! თუ არ დაასახელა გვარები, რიცხვები, თარიღები, მოწმეები. ადამიანმა ნებისმიერი ისტორია შეიძლება, მოყვეს...



დასჯა უნდა დავიწყოთ ზემოდან და არა – ქვემოდან, თუმცა საკმაოდ რთულია იმის დადგენა, სად უნდა გადიოდეს ეს ზღვარი

**– შეიძლება, არსებობდეს მტკიცებულებები ისეთი ტიპის საქმეებში, რაზეც ჩვენ ახლა ვსაუბრობთ?**

– ხომ ვთქვი, რომ ამ საკითხს რამდენიმე ასპექტი აქვს-მეთქი. იქნებ სხვა ასპექტებზეც ვსაუბროზ?!

**– გისმენთ.**

– მეორე ასპექტია, როდესაც გარკვეულ თემაზე იწყება ძიება, მაგრამ რიგი მოსაზრებების გამო, საქმის ბოლომდე მიყვანამდე პროკურატურა არ მიიჩნევს საჭიროდ ამ ამბის გამომზეურებას. არის საკითხები, რომლებზეც, თუ ბოლომდე არ იქნა გამოძიებული და ყველა დოკუმენტი არ დაიდო, არ ღირს საუბარი. შესაბამისად, მინდა, დაგარწმუნოთ, რომ, სამწუხაროდ, ასეთი საქმეები მრავლადაა და მოვა დრო, როდესაც საზოგადოება გაიგებს ამის შესახებ. საზოგადოება ძალიან ბევრ რამეს გაიგებს და ბევრ რამეზე ექნება ინფორმაცია. მანამდე კი შესაბამისი სტრუქტურები მუშაობენ.

არის მესამე ასპექტიც: ძალიან ხშირად, როდესაც პროკურატურამ მოკვლევა დაიწყო და ზოგიერთი ფაქტი საკმარისი იყო იმისთვის, რომ, მაგალითად, აღეკვეთათ თავისუფლება ამა თუ იმ პირისთვის, რომ უფრო ღრმად წასულიყო ძიება, სასამართლომ დაიკავა გაუგებარი პოზიცია. სასამართლო, ფაქტობრივად, არ რეაგირებდა პროკურატურის მოთხოვნებზე, ყველას პოლიტიკური ნიშნით წამებულის მანტიას არგებდა და ათავისუფლებდა. თუმცა იმედი მაქვს, გარკვეული რეფორმა ამ ასპექტს დაარეგულირებს. და არის მეოთხე ასპექტი – ეს არის საზოგადოებაში არსებული შურისძიების მაღალი გრძნობა.

**– ეს ძალიან საშიშია და იმიტომაც ვამახვილებ ყურადღებას ამ საზარელი ისტორიების ისტორიებად დარჩენის საშიშროებაზე.**

– საზოგადოებას არ აკმაყოფილებს ის რეაგირებები, რომლებიც ჯერ შეიძლება, არ არის ბევრი და ამიტომ ითხოვს, რაც შეიძლება, მეტი ადამიანი დაიჭირონ და ყველა ის ადამიანი, რომლებიც ადრე რაღაც სფეროებში აქტიურობდნენ, დაისაჯონ. როგორმე უნდა ჩავაცხროთ ეს განწყობა ქვეყანაში, რომ არ მივიღოთ საზოგადოების დაპირისპირება. ამიტომ რამდენჯერმე ვთქვით კიდეც, რომ რაღაც დონეზე უნდა შეწყდეს სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ჩვენ აუცილებლად უნდა დავსაჯოთ ის დამნაშავეები, ვინც ქმნიდა უკანონო სტრუქტურებს, გასცემდა უკანონო ბრძანებებს. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი შემსრულებელი იყო ქვედა დონეზე და ყველა რომ დავაპატიმროთ, ჩათვალეთ, რომ ათი ათასობით ადამიანი აღმოჩნდება საპატიმროებში.

**– თუმცა ბანალური ჭეშმარიტებაა, თუ ბრძანების შემსრულებელი არ იქნა, ბრძანების გამცემი ვერაფერს გახდება. ასე რომ, შემსრულებელიც დიდი ძალაა.**

– ბუნებრივია, მაგრამ უნდა დავიწყოთ ზემოდან და არა – ქვემოდან. საკმაოდ რთულია იმის დადგენა, სად უნდა გადიოდეს ეს ზღვარი. იმის გამო, რომ ქვეყანა 9 წლის განმავლობაში ტირანიის გარემოში ცხოვრობდა, ამ ტირანიას ძალიან ბევრი ადამიანი ემსხვერპლა და, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ადამიანი იყო ამ ტირანიის მონაწილეც. მათი ყველას ერთიანად ციხეში შეყრა სწორი არ იქნება. არის კიდევ ერთი რამ, რაც ხაზგასმით მინდა, ვთქვა: საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით „ნაციონალურ მოძრაობას" ჰქონდა გარკვეული, რბილად რომ ვთქვათ, შემოთავაზებები ჯერ ფინანსურ ამნისტიაზე, რაზეც ჩვენ მკაცრად ვთქვით უარი, იმიტომ რომ ფინანსური ამინისტია არ შეიძლება, შეეხოს ადამიანებს, რომლებმაც წლების განმავლობაში მიიტაცეს ქვეყნის ქონება და, მეორე, ზოგადად ამნისტიაზე. ანუ ყველაფერი დავივიწყოთო და ამის სანაცვლოდ, ისინი მხარს დაუჭერდნენ ნებისმიერ საკონსტიტუციო ცვლილებას. ჩვენ ამაზე უარი ვთქვით და განვაცხადეთ, რომ არანაირ გარიგებას არ დავდებდით. ბევრჯერ მითქვამს და გავიმეორებ, პოლიტიკა არ უნდა იყოს ვაჭრობის საკითხი. სამარცხვინოა მიდგომა, შენ მე პოლიტიკურ ამნისტიას მომცემ და რაზეც გინდა ხელს მოგიწერ, და ასეთი ბინძური პოლიტიკის მომხრე ჩვენი ხელისუფლება არასდროს იქნება. ასე რომ, თუ ყველაფერ ამას გავითვალისწინებთ, სურათი დაიხატა: ზოგ შემთხვევაში ეს ისტორიები გადამეტებულია, ზოგჯერ არის დაუსაბუთებელი და ვინმეს მხოლოდ სიტყვის გამო შეუძლებელია ადამიანების დასჯა, ზოგჯერ კი საქმეები ძიებაშია და ჩვენ ძალიან ბევრ საქმეს ვნახავთ.

**– პოლიტიკურად შეუიარაღებელი თვალითაც ნათელია, როგორ ტაქტიკურ სვლებს იყენებს აწ უკვე უმცირესობა: მთელმა მაღალი რანგის ჩინოვნიკურმა კორპუსმა გადაინაცვლა არასამთავრობო სექტორში და ადამიანის უფლებების უპირველეს დამცველებად გვევლინებიან. ახლახან შეიქმნა სტრუქტურა, რომელიც,**

**თურმე, დაიცავს პირველი ოქტომბრის შემდეგ გათავისუფლებულებს. პოლიტიკურ ტაქტიკაში „ოცნება“ სჯობნის თუ ჩამორჩება „ნაცმოძრაობას“?**

– მე არ ვიცი, რას გულისხმობთ პოლიტიკურ ტაქტიკაში, მაგრამ, როდესაც რამე თემაზე საუბრობ და ეს, უპირველესად, ეხება პარლამენტის ტრიბუნიდან მოსაუბრეებს, მორალისა და ზნეობის კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდე. სამწუხაროდ, დღეს პარლამენტში ვერ არის ის სიტუაცია, რომ იქ ყველას მორალი და ზნეობა მოვკითხოთ. სამარცხვინოა, რომ დაჭერებზე ან ძალადობაზე, ან ხელების გადაგრეხვაზე, უფლებების შელახვასა თუ პარლამენტში სიტყვის არმიცემაზე საუბრობენ ის ადამიანები, რომლებიც სწორედ ამიტომ გააძევა ხალხმა ხელისუფლებიდან. ისინი, რომელთა დაპატიმრებასაც ითხოვს საზოგადოება, დღეს ასე მამა აბრამის ბატკნებივით გვესაუბრებიან ამ თემებზე.

**– რა გგონიათ მათი ამ გონორის მიზეზი, საზოგადოების სისუსტე?**

– მათი უზნეობა. ამ ადამიანებს აქვთ პარლამენტარის მანდატი, ამდენად, ჩვენ მათ ეს მანდატი ან უნდა წავართვათ და გავყაროთ, რაც ძალადობის აქტი იქნება, ან თვითონ მათ უნდა ჰქონდეთ ზნეობა, რომ ამ თემებზე არ ილაპარაკონ. მათ, ბუნებრივია, შეიძლება, ილაპარაკონ სხვადასხვა თემაზე, უკმაყოფილება გამოთქვან, მაგრამ იმის უფლება არ აქვთ, ჭკუას გვასწავლიდნენ და მორალს გვიკითხავდნენ ის ადამიანები, რომლებიც ამ სისაძაგლეებს სჩადიოდნენ ამ 9 წლის განმავლობაში.

**– თქვენი კოლეგებისთვის უმცირესობიდან პირად საუბრებში გითქვამთ ამის შესახებ?**

– ძალიან ბევრჯერ მითქვამს საპარლამენტო ტრიბუნიდან.

**– ეს სხვაა და პირადი საუბრები სულ სხვა.**

– პირადი საუბარი იმას ნიშნავს, რომ პირადი საუბარია, მაგრამ მე ის, რასაც ვსაუბრობ პირად საუბრებში, გამომაქვს და საჯაროდ ტრიბუნიდან ვამბობ. მგონი, პირველად არ ისმენთ ჩემს ამ პოზიციას.

**– და ამ პირად საუბრებში ისინი გრძნობენ სინანულს, ლაპარაკობენ თავიანთ შეცდომებზე?**

– ისინი თავიანთი ამ ქცევით ცდილობენ, შეიქმნან იმუნიტეტი, იციან რა, რომ ძალიან ბევრი დანაშაული აქვთ ჩადენილი და ცდილობენ, გადაიტანონ ყურადღება, რომ თითქოს არ ყოფილა არანაირი კრიმინალი, არანაირი ფინანსური ბოროტმოქმედება და ისინი არიან პოლიტიკური ნიშნით რესპრესირებულები. ახლა აქტიურობენ, რადგან ბევრმა იცის, რომ შესაბამის ორგანოებში არის გარკვეული მასალები.

> **ამ ადამიანებს აქვთ პარლამენტარის მანდატი, ამდენად, ჩვენ მათ ეს მანდატი ან უნდა წავართვათ და გავყაროთ, რაც ძალადობის აქტი იქნება, ან თვითონ მათ უნდა ჰქონდეთ ზნეობა, რომ ამ თემებზე არ ილაპარაკონ**

**– იმის თქმა გინდათ, რომ იბევებენ თავისუფლებას?**

– დიახ, წინ იგდებენ საქმეს, რომ, საქმე საქმეზე თუ მიდგება, თქვან, პოლიტიკური დევნააო. ეს პოლიტიკური დევნა კი არა, პოლიტიკური სამართლის ძიებაა და ამ პოლიტიკურ სამართალს საზოგადოება ნახავს.

**– თქვენი პოზიცია სრულად ემთხვევა საზოგადოების დიდი ნაწილის აზრს, მაგრამ თქვენ ხართ ხელისუფლებაში, გაქვთ პოლიტიკური ბერკეტი, საზოგადოებისგან განსხვავებით?**

– არსებობს ორი თემა: ერთია იურიდიული თემა და ჩვენ არ შეგვიძლია, მათ ჩამოვართვათ მანდატები და მეორეა მორალი და მივუთითებთ კიდეც ამაზე.

**– ოპონენტის ჩიხში შეყვანის პოლიტიკური სვლები არ არსებობს?**

– რა პოლიტიკური სვლა უნდა იყოს?! მათ უკვე გააკეთეს თავიანთი პოლიტიკური სვლები.

**– მე თქვენს პოლიტიკურ სვლებზე გეკითხებით.**

– მეტი რა უნდა გააკეთონ, იმ თავიანთი ალლუმით 19 აპრილს გააცილებენ „ნაციონალურ მოძრაობას“ და ამით დამთავრდება. მე მინდა ვუთხრა საზოგადოებას, რომ ეს უნდა მოხდეს სიბოროტისა და ანგარიშსწორების გარეშე.

**– საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილში არსებული აგრესია რაღაცით უნდა ჩაქრეს. პირადად ჩემთვის ეს იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ჩემს ქვეყანას სჭირდება. რა არის ამის წამალი?**

– დრო ყველაფრის წამალია, მაგრამ, მეორე მხრივ, სამართლიანობა. უნდა დაინახოს საზოგადოებამ ეს სამართლიანობა და ის ამას დაინახავს.

**– როგორც ვხვდები, ეს დროში გაიწელება.**

– დროში გაიწელება და რომ არ გაწელილიყო დროში, პირად ანგარიშსწორებას დაემსგავსებოდა.

**– ოთხი წელი იქნება საკმარისი ამისთვის?**

– 4 წელი ამისთვის ძალიან ბევრი იქნება.

**ნინო ხაჩიძე**

# გახდომისა და სხეულის კორექციის საუკეთესო მეთოდი

**– ქალბატონო მარი, რა ვუყოთ აკრეფილ კილოგრამებს, როცა გვინდა, რომ კარგად გამოვიყურებოდეთ?**

– ადამიანი ცხოვრების რაღაც მონაკვეთში წონაში იმატებს და თუკი ადრე ამ მომატებას მალევე და ადვილად იკლებდა, ახლა უკვე დიდი ძალისხმევითაც ვერ ახერხებს ამას. ზოგიერთი ეგუება ამ ფაქტს, ხელს ჩაიქნევს და განაგრძობს მატებას. ზოგიერთი კი ტანჯვა-წამებით დაკლებულ 2-3 კილოგრამს მალევე ორმაგად იბრუნებს. ისინი, ვინც თვეში ნახევარი კილოგრამის მომატებას არაფრად არ აგდებენ, ერთი წლის შემდეგ აღმოაჩენენ, რომ თურმე ექვსი კილოთი მეტს იწონიან. ვაკუუმ-თერაპია ყველაზე ეფექტური მეთოდია ჭარბ წონასთან და ცელულიტთან ბრძოლაში. სხეულზე პროცედურები კეთდება დიდი და საშუალო ზომის ქილებით. ისინი ქმნიან ძლიერ ვაკუუმს, რის შედეგადაც ცელულიტი ჯერ რბილდება და შემდეგ მცირდება. წარმოიდგინეთ, ერთდროულად დასმული ათი ნახევარლიტრიანი ქილების დიამეტრის ვაკუუმი. ეს ძალიან დიდი ძალაა, გარდა ამისა, თერმულ-მექანიკური ზემოქმედებაც ხდება და კანი, რაც არ უნდა მოიკლოთ, არ დაკარგავს ელასტიკურობას და არ „ჩამოეკიდება“.

**– რამდენი კილოგრამის დაკლებაა შესაძლებელი საშუალოდ და რა ღირს ერთი პროცედურა?**

– 8-10 კილოგრამის დასაკლებად 15-20 პროცედურაა რეკომენდებული, სეანსი ერთი საათი გრძელდება და 35 ლარი ღირს. ერთდროულად პაციენტს ენიშნება სწორი კვება (სისხლის ჯგუფის, ცხოვრების წესის მიხედვით), თუ არ არის წონის პრობლემა, მაგრამ საჭიროა სხეულის ცალკეული ნაწილების (გალიფე, თეძოები, დუნდულები, წვივები, მხრები) კორექცია, ამ შემთხვევაში იგივე პროცედურები უტარდებათ, ოღონდ დიეტის გარეშე. ზოგიერთი მეკითხება: „თუ დიეტა დავიცავი, ხომ ისედაც დავიკლებ, რაღა საჭიროა მასაჟი?“ გარწმუნებთ, მარტო დიეტის დაცვით ამ ადგილობრივ პრობლემებს ვერ მოიგვარებთ, მოიკლებთ ყველგან, გარდა იმ ადგილებისა. თანაც მიიღებთ ნატანჯ-ნაწამებ სახის გამომეტყველებას. უფრო მეტად გაღიზიანებულები, კონფლიქტურები და დეპრესიულები გახდებით. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ, რა თქმა უნდა, წონის დაკლებისას დანიშნული სწორი კვების რეჟიმის მკაცრი დაცვა აუცილებელია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, „დიეტიდან“ გამოსვლა, ანუ, მიღებული შედეგის შენარჩუნება. იმიტომ რომ, ამ დროს ორგანიზმი არასწორად იღებს საკვებს ცხიმების სახით, აი, საიდან მოდის დიეტის შემდეგ კვლავ წონის მომატება. აუცილებელია, მიეცეს პაციენტს სწორი რჩევა-დარიგებები, თუ როგორ მოიქცეს შემდგომში იმისთვის, რომ თავიდან აიცილოს „რიკოშეტის“ რეაქცია. პროცედურების დროს ჩვენ პარალელურად ვიყენებთ თაფლს, შავ შოკოლადსა და ყავას. მათ გააჩნიათ ანტიცელულიტური მოქმედება. ქილებით დამუშავებულ და გახსნილ ფორებში, კანქვეშა ცხიმიდან ქსოვილებში აღწევენ და შლიან მათ. სწორედ ამიტომ აღნიშნავენ პაციენტები, რომ რამდენიმე კილოგრამის დაკლებითაც კი უფრო გამხდრად გამოიყურებიან, ვიდრე სინამდვილეში არიან დაკლებულები, რადგან ვიზუალური კლება სანტიმეტრების ხარჯზე ხდება.

**– ამავე მეთოდით ხდება სახეზე ნაოჭების გასწორება. გამიგია, რომ ამ მასაჟის შემდგომ შეიძლება, ლაქები გაჩნდეს, ტანზე კიდევ არა უშავს, მაგრამ სახეზე?**

– მეთოდი იგივეა – ვაკუუმთერაპია, მაგრამ სახეზე, სხეულისგან განსხვავებით, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიყენებთ მცირე და საშუალო ზომის პარამეტრებს და შესაბამისად არანაირი ლაქები არ რჩება.

ამ პროცედურების გაკეთება ექიმისგან დიდ სიფრთხილეს, ყურადღების კონცენტრირებას, პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას მოითხოვს. ეს მეთოდი აძლიერებს სისხლის მიკროცირკულაციას კანქვეშ და ნაოჭები ქვევიდან, სიღრმიდან სწორდება. კრემები (რაც უნდა ხარისხიანი და ძვირად ღირებულიც არ უნდა იყოს), კი ზედაპირზე მოქმედებს და მათი ეფექტი მოკლევადიანია. დოზირებული ვაკუუმით სახის კანზე ჩვენ ვახდენთ ღრმა ზემოქმედებას ნაწიბურებზე, ნაოჭებზე. ამ დროს 4-5-ჯერ ძლიერდება მიკროცირკულაცია. „ცოცხლდებიან“ დისტროფიული უჯრედები და „გაზარმაცებულ“ კაპილარებში სისხლის დიდი ნაკადი მიედინება. აი, რაშია ამ მეთოდის უნიკალურობა და შეუდარებელი გამაახალგაზრდავებელი ეფექტი!

**– ამ შემთხვევაში რამდენი პროცედურაა ჩასატარებელი და რა ღირს ერთი მასაჟი?**

– სახის მასაჟი 40-50 წუთი გრძელდება და 25 ლარი ღირს, თავიდან დღეგამოშვებით კეთდება, სანამ სისხლის და ლიმფის მიმოქცევა აღდგება, შემდეგ კი, მიყოლებითაც შეიძლება. პროცედურები არ ტარდება ჩირქოვანი გამონაყარის, ჰერპესისა და სოკოვანი დაავადებების დროს.

აღსანიშნავია, რომ პაციენტთა უმეტესობა პირველივე სეანსების შემდეგ აღნიშნავს, რომ კანს უბრუნდება ჯანმრთელი ელფერი (ამას განსაკუთრებით მწეველები ამბობენ), წვრილი, მიმიკური ნაოჭების რაოდენობა მცირდება, ხოლო ღრმა, ფუნქციური ნაკეცები ნაკლებად გამომხატველი და თვალში საცემი ხდება (დერმატოლიფტინგის ეფექტი). მომდევნო სეანსების შემდეგ კანის სტრუქტურა მკვეთრად უმჯობესდება. მცირდება შეშუპებები და ლაქები თვალების გარშემო, მყარდება სახის კუნთოვანი კარკასი და პაციენტი 5-8 წლით უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება. ვაკუუმთერაპია ებრძვის ძველ, უკვე არსებულ და ახალ მიმიკურ ნაოჭებს. გარდა ამისა, კურსის დამთავრების შემდეგ აბსოლუტურად ყველა პაციენტი აღნიშნავს, რომ არსებული პრობლემების მოგვარების გარდა, მკვეთრად გაუმჯობესდა მათი ზოგადი მდგომარეობა. აღნიშნავენ ენერგიის მოზღვავებას, ძალის მოწესრიგებას, უმიზეზო თავის ტკივილებისა და დეპრესიული მოვლენების ალაგებას, უმჯობესდება ადამიანის გუნება-განწყობა და პაციენტი აქტიურ ცხოვრებას უბრუნდება.

**ექიმი მარინა ლომიძე 593-30-00-08.**

**მაშინ, როდესაც ევროპისკენ ვილტვით და არც „ნატოს“ წევრობის უარზე ვართ (ერთი ისაა, არც ერთგან გვიშვებენ), იმის პარალელურად, რომ ავღანეთში და ახლა უკვე მალიშიც ვიცავთ დემოკრატიასა და დასავლურ ღირებულებებს, ჩვენი საინფორმაციო ველი უშუალო და ჩვენი პოლიტწონის მეზობლებთან დისკუსიის ნაკლებობასაც უჩივის და, მაინცდამაინც, არც სომხეთსა და აზერბაიჯანში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ვადევნებთ გულდასმით თვალს. ამ ხარვეზის ამოვსებას ამჯერად სომეხ პოლიტოლოგ მანველ სარქისიანთან გასაუბრებით შევეცდებით.**

# რატომ არ არის სომხეთისთვის ხელსაყრელი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დარეგულირება და რატომ არ უნდა იყოს ერთ-ერთი ათი პარტნიორიდან



**თუ სუფთა პოლიტოლოგიურად ვიტყვი, სომხეთისთვის უფრო უმჯობესია, რაც ნაკლები პარტნიორი ეყოლება რუსეთს აქ. მით მეტი ფასი გვექნება ჩვენ**

**– თუ გავითვალისწინებთ, რომ სამხრეთ კავკასიაში სომხეთი რუსეთის ერთადერთი პარტნიორი და დასაყრდენია, როგორ შეაფასებთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის განახლების მცდელობებს?**

– ურთიერთობები განსხვავებულია, მაგრამ სომხეთს, უპირველესად, შეიძლება, აინტერესებდეს საქართველო-რუსეთის რკინიგზა. ეს საკვანძო საკითხია, რომელიც ჩვენთან სოციალურ დონეზე განიხილება, საზოგადოება დისკუსიებს მართავს ამის შესახებ. სომხეთი დაინტერესებულია, რომ საქართველოს დაურეგულირდეს ურთიერთობა რუსეთთან, რომ სტაბილურად მუშაობდეს სატრანსპორტო კომუნიკაციები საქართველოს გავლით რუსეთისკენ. ეს პირველი და უმთავრესი გარემოებაა. მეორე საკითხი, რომელსაც დიდ ყურადღებას არ აქცევენ სომხეთში, მაგრამ ეს პრობლემა მაინც არსებობს, არის „ჯავახქი“, სადაც ყოველთვის საქართველო ხედავდა და ხედავს რუსულ კვალს, რუსეთის მცდელობას, რომ შექმნას პრობლემა. გასაგებია, რომ სომხეთის სურვილია, ეს პრობლემა წყდებოდეს ორმხრივ ფორმატში და არ გადადიოდეს რუსულ-ქართულ ურთიერთობებში.

**– წყდებოდეს სომხეთსა და საქართველოს შორის?**

– დიახ, აქ განვიხილოთ და გადავწყვიტოთ ეს პრობლემა და არ შევძინოთ მას გეოპოლიტიკური დატვირთვა.

**– დავაზუსტებ: სულ სხვა საკითხია საქართველოს ეთნიკური სომეხი მოქალაქეების საკითხი საქართველოში, მაგრამ ამას რა კავშირი აქვს რუსეთთან?**

– მე ვფიქრობ, რომ საქართველოში ამას არ იუარებენ და ქართველი პოლიტოლოგებისგანაც მომისმენია, საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, გამოიყენოს „ჯავახქის“ პრობლემა იმისთვის, რომ აქტუალიზაცია გაუკეთოს რუსეთის ფაქტორს. სინამდვილეში, ეს არის შიდა პოლიტიკური სპეკულაციის საკითხი, რომელიც რეალურად შეიძლება, არც არსებობს.

**– იმის თქმა გინდათ, რომ, თუ გაუმჯობესდება რუსულ-ქართული ურთიერთობები, ჯავახეთის თემა აღარ იქნება აქტუალური?**

– დიახ, ის არავისთვის აღარ იქნება საჭირო. არის ეს ორი პრობლემა, სხვას ვერ ვხედავ. მართალია, თითქოს დგას საკითხი სომხეთიდან ირანისკენ სატრანზიტო გზის აღდგენისა, რომელიც გაივლის საქართველოზე რუსეთისკენ, მაგრამ ამაზე დისკუსია ნაკლებადაა, თუმცა ასეთი ტრანზიტი შედის სომხეთის ინტერესში. ჩვენთვის საინტერესოა ეს პროექტი, იმიტომ რომ ირანიდან სომხეთის გავლით ტვირთები იმოძრავებს რუსეთისკენ, უკრაინისკენ, ევროპისკენ.

**– და ეს დაეხმარება სომხეთს ჩიხიდან გამოსვლაშიც.**

– დიახ, სომხეთს აქვს სამხრეთი-ჩრდილოეთი გზის ინტერესი, ოღონდ ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეძლებს საქართველო ამ დონეზე მაინც ურთიერთობის დარეგულირებას რუსეთთან. იმიტომ რომ თვითონ რუსეთისთვის ამ გზას დიდი ეფექტი არ ექნება.

**– რატომ? რუსეთისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია ირანისკენ პირდაპირი გასასვლელი.**

– სომხეთისთვის მნიშვნელოვანია, რომ მისკენ ტვირთები თავისუფლად შემოდიოდეს, რაც ახლა შეუძლებელია.

**– ჩვენი პორტებიდან ხომ შემოდის პროდუქცია თქვენთვის?**

– პორტები მუშაობს, მაგრამ, როდესაც იცვლება პოლიტიკური ურთიერთობა, იცვლება ამ კომუნიკაციების გამოყენების ხასიათიც. ასევე, პრობლემაა სომხეთის სამხედრო ტვირთებით მომარაგება. სომხეთს სჭირდება გზა, რომ აქ შემოდიოდეს შეიარაღება, სამხედრო ტვირთები, ეს ხომ უნდა დარეგულირდეს?! მაგრამ, როდესაც ქვეყანა ამბობს, რაღაც ტიპის ტვირთებს არ გავატარებ, ეს პრობლემას ქმნის, თუ მოგვარდება რუსეთთან ურთიერთობა, ეს ტვირთები თავისუფლად იმოძრავებს.

**– შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, ვფიქრობ, გასაგებია, რომ საქართველო ვერ გაატარებს სამხედრო ტვირთებს სომხეთისკენ, იმიტომ რომ არავინ იცის დაზუსტებით, ისინი რუსეთის ბაზაზე წავა თუ სომხეთის შეიარაღებული ძალების ანგარიშზე? საჩოთირო თემაა ოკუპაციის გათვალისწინებით.**

– რა თქმა უნდა, ამაზე გავლენას ახდენს რუსეთთან საქართველოს ურთიერთობა.

**– დარწმუნებული ვარ, სომხეთს არ მოეწონებოდა, საქართველო რომ აზერბაიჯანისკენ სამხედრო ტვირთებს ატარებდეს.**

– რა თქმა უნდა, ყველაფერი ურთიერთკავშირშია.

**– ცნობილია, მაგრამ მაინც დავაზუსტებ: ვინ მართავს სომხეთის რკინიგზას, რუსული კომპანია, არა?**

– დიახ, რუსული კომპანია, ის დაუქვემდებარეს კავკასიის სარკინიგზო ხაზს.

**– ამჟამად სომხეთს ირანთან საზღვარი გახსნილი აქვს? ანუ რკინიგზა ფუნქციონირებს?**

– არა, ნახჭევანთან მცირე მონაკვეთი გადაკეტილია და გზა ბლოკირებულია.

**– რატომ არის ბლოკირებული?**

– აზერაიჯანელები, თავის მხრივ, ღონისძიებებს ატარებენ და რკინიგზის ეს ხაზი დაკეტილია.

**– თუ ირანთან დამაკავშირებელი რკინიგზა დაკეტილია, აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთი რომ გაიხსნას კიდეც, რა აზრი ექნე-**

## ბაჩუკი შუბლაძის მონატრება



*„და თქვა:*
*შეგიყვარებ, უფალო, სიმტკიცევ ჩემო,*
*უფალო, კლდევ და სიმაგრევ ჩემო*
*და მხსნელო ჩემო, ღმერთო ჩემო,*
*– ჩემი კლდე ხარ, თავშესაფარი,*
*ფარო ჩემო და დამხმარეო, საყრდენო ჩემო.“*

***დაბ. 15, 1 გამოცხ. 5,12***

უკვე მესამე წელია, 13 აპრილს უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს და დაუჯერებელ რეალობასთან გვიწევს შეგუება. გარდაუვალის გაცნობიერება თუ შეგვაგუებს შეუგუებელს, თორემ როგორი უნდა ყოფილიყო უშენოდ გათენებული თუნდაც ერთი დღე... ყველას ქომაგო და იმედო... რამხელა გული გქონდა, რომ ამდენ სიყვარულს და საზრუნავს იტევდა... რამდენის ნუგეში და იმედი იყავი, რამდენს ჩაუსახე გულში რწმენა და რამდენ ქალს აჩუქე დედობის უდიდესი ბედნიერება! შენმა წასვლამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ უფალს რჩეულები ადრე მიჰყავს თავისთან, სასუფეველში – მისკენ სავალ გზას დაუფიქრებლად და თავდაუზოგავად ნაკეთები სიკეთე გაგინათებდა...

ტკბილად განისვენე, ქრისტეს საყვარელო შვილო და ჩვენო ცრემლიანო მონატრებავ!

**მეგობრები**

ბა?

– თუ რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთი გაიხსნება, ამ რკინიგზით დაინტერესებული ქვეყნების რიცხვი გაიზრდება, რაც გავლენას მოახდენს, რომ გაიხსნას ნახჭევანის ამჟამად დაკეტილი მონაკვეთი. რუსეთსა და უკრაინას მოუნდება ამ სარკინიგზო მონაკვეთის ამუშავება. თუმცა ეს მომავლის საქმეა. როგორ უყურებენ საქართველოში აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთის გახსნას?

**– სხვადასხვა აზრია. პირადად მე მიმაჩნია, რომ ჯერ არ უნდა გაიხსნას.**

– პოლიტიკური დათმობებს გააჩნია.

**– მკაფიოდ უნდა ითქვას: რა პირობებით უნდა გაიხსნას, დადებითი და უარყოფითი მხარეები შეფასდეს, პოლიტიკური და ეკონომიკური პლუსები და მინუსები.**

– გასაგებია, ყოველთვის ყველას უნდა, რომ რაც შეიძლება, მეტი პოლიტიკური პრობლემა გადაწყდეს.

**– საქართველო-რუსეთს შორის, ოკუპირებული ტერიტორიების გათვალისწინებით, მეგობრობა ვერ გამოვა, მაგრამ, თუ მეტ-ნაკლებად ცივილიზებული ურთიერთობა დამყარდება, ეს არ შეასუსტებს სომხეთის, როგორც რუსეთის მოკავშირის, სტატუსს?**

– აქ ბევრი ფაქტორია: სომხეთი რატომ არის და იყო ყოველთვის მნიშვნელოვანი რუსეთისთვის? იმიტომ რომ რუსეთისთვის სომხეთი და საქართველო არასდროს ყოფილა პრობლემა, უბრალოდ ახლა სიტუაციური პრობლემა შეიქმნა საქართველოსთან. რუსეთისთვის კავკასიაში მთავარი პრობლემაა თურქეთი და აზერბაიჯანი, ამ ქვეყნების მზარდი პოტენციალი, მათ მიერ განხორციელებული პოლიტიკური ექსპანსია და ამიტომ ის ცდილობს რაღაცნაირად დაბლოკოს. ეს საქართველოს პრობლემაცაა, მაგრამ, რადგან აქვს პრობლემა რუსეთთან, ეს პრობლემები უკანა პლანზე ინაცვლებს. თურქულ-აზერბაიჯანული, მათ შორის, სამხედრო ინტეგრაცია, რა თქმა უნდა, საქართველოსთვისაც საფრთხეს წარმოადგენს, უფრო მეტადაც, ვიდრე რუსეთისთვის. მაგრამ საქართველო ამას ახლა არ აქცევს ყურადღებას, რადგან ყურადღების ცენტრშია აფხაზეთი და „იუჟნაია ოსეტია“. რეალურად კი, რუსული ინტერესია, როგორმე თავი დააღწიოს აზერბაიჯანისა და თურქეთის ექსპანსიას, უნდა გავითვალისწინოთ ჩრდილოეთ კავკასიაც, რომელიც ერთ-ერთი უსერიოზულესი საფრთხეა საქართველოსთვის.

**– ჩრდილოეთ კავკასია საფრთხეა?**

– დიახ, რა თქმა უნდა. ეს საკითხები დღეს აქტუალური არ არის, მაგრამ ისინი არსებობს. სინამდვილეში გადასახედია კავკასიის ქვეყნების პოლიტიკა, საჭიროა დისკუსია პროცესების ნებისმიერ განვითარებაზე. არადა, საქართველოსთვის მხოლოდ რუსეთი განიხილება საფრთხედ.

**– კი არ განიხილება, ასეა, როდესაც დახედავ საქართველოს დღევანდელ რუკას.**

– ამიტომაც ვამბობ, რუსეთსა და საქართველოს აქვს ერთობლივი ინტერესების სერიოზული პოტენციალი, ამდენად, აუცილებელია არაოფიციალურად გადაიხედოს, რა როგორ შეიძლება მოხდეს, რა მოხდება მოვლენების ამ და ამ სახით განვითარების შემთხვევაში. არ არსებობს მუდმივი მოწინააღმდეგეები, რაღაც არის მისაღები, რაღაც – მიუღებელი, მაგრამ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკა ჯერჯერობით ასეთი არ არის.

**– საქართველოში შეიცვალა ხელისუფლება, როგორია თქვენი შთაბეჭდილება?**

– შთაბეჭდილება ისეთია, რომ გაუგებარია, რა ხელისუფლებაა ეს. ხელისუფლების ცვლილება ძალიან მნიშვნელოვანია ყოველთვის, მაგრამ ამის უკან ყოველთვის დგას კითხვა: რა ხალხი მოვიდა?

**– სააკაშვილის ხელისუფლება თქვენთვის გასაგები იყო?**

– რაც უნდა თქვან საქართველოში სააკაშვილის შესახებ, რა ბრალსაც უნდა სდებდნენ, რომ დაკარგა აფხაზეთი და „იუჟნაია ოსეტია“, ფაქტია, რომ აფხაზეთი დიდი ხნის წინათ იყო დაკარგული, მაგრამ აგვისტოს ომს ჰქონდა რეზონანსი და ეს მიეწერა სააკაშვილს.

**– კოდორის ხეობა ჩვენი იყო 2008 წლის აგვისტომდე.**

– ეს წვრილმანია... ზოგადად მას მიეწერა ტერიტორიების დაკარგვა და დაივიწყეს, რა იყო მანამდე.

**– თქვენთვის წვრილმანია კოდორის ხეობა, დიდი ლიახვის ხეობა და ახალგორი, ჩვენთვის კი – ძალიან არსებითი.**

**თურქულ-აზერბაიჯანული, მათ შორის, სამხედრო ინტეგრაცია, რა თქმა უნდა, საქართველოსთვისაც საფრთხეს წარმოადგენს, უფრო მეტადაც, ვიდრე რუსეთისთვის. მაგრამ საქართველო ამას ახლა არ აქცევს ყურადღებას**

– ჩემი აზრით, სააკაშვილმა გადატრიალება მოახდინა საქართველოში, საქართველოს ფილოსოფიასა და მომავალში, ივანიშვილი კი არ ვიცი, რა არის. შეიძლება, სამი წლის შემდეგ ეს ყველაფერი გადაატრიალოს და ახალი აზერბაიჯანი შექმნას საქართველოსგან; შეიძლება, საპირისპიროდაც მოხდეს. ჯერჯერობით ჩემთვის გაუგებარია, რა ძალაა ეს. მე, საერთოდ, არ მჯერა მილიარდერების პოლიტიკაში. ჩვენც გვყავს პოლიტიკაში მილიარდერები და, რაც უნდა თქვან მათ, ეს უკვე იმთავითვე „პაროჩნი“ ხელისუფლებაა.

**– წინააღმდეგობაში არ მოდიხართ საკუთარ გამონათქვამებთან? რუსულ-ქართული ურთიერთობები შეწყდა სწორედ სააკაშვილის ხელისუფლებისას, რამაც დააზარალა სომხეთი, როგორც თქვენ თქვით? ამბობთ, რომ სომხეთისთვის ხელსაყრელია საქართველო-რუსეთის თანამშრომლობაო?**

– ჩვენ ჯერჯერობით არაფერს ვამბობთ, სომხეთისთვის სულერთია, ვინ ზის საქართველოს ხელისუფლებაში. თქვენ კითხვა დამისვით და გიპასუხეთ, თუ რა ხდება ქვეყნის შიგნით.

**– ქვეყნის შიგნით რა ხდება, ჩვენც დავინახავთ, მე ის გკითხეთ, შორიდან როგორ ჩანს-მეთქი, ეს უფრო საინტერესოა.**

– შორიდან, აბა, როგორ დავინახავთ ან გავარკვევთ, რა ხელისუფლებაა?! ვნახოთ, როგორი ორიენტაცია ექნება, განაგრძობენ თუ არა რეფორმებს, როგორი ურთიერთობა ექნებათ რუსეთთან. ჯერჯერობით მხოლოდ ლაპარაკია. ერთხელ თქვა ივანიშვილმა, რომ ყარსი-ახალქალაქი-თბილისის რკინიგზა არ ვარგაო და ორი წუთის შემდეგ გადათქვა.

**– მან თქვა, რომ ეკონომიკურად წამგებიანია საქართველოსთვის და უკეთესადაც შეიძლებოდაო.**

– ამას არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია, ეჭვქვეშ დააყენა, რაც საინტერესო იყო, იმიტომ რომ შესაძლოა, ამის უკან მდგარიყო პოლიტიკური ხედვა, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ ასე არ არის.

**– სააკაშვილის ხელისუფლება, სომხეთის ინტერესების გათვალისწინებით, მოგწონდათ?**

– არ მოგვწონდა ის, რომ პრობლემები შეიქმნა რუსეთთან, თუმცა სომხეთისთვის სასიამოვნოა, როდესაც რეგიონში არის ქვეყანა, სადაც ტარდება რეფორმები, მოდერნიზაცია. ჩვენ პარლამენტში გვყავს საპარლამენტო პარტია, რომელსაც ხელმძღვანელობს მსხვილი ოლიგარქი, როდესაც ივანიშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, მან თქვა, ჩვენები მოვიდნენო. ძალიან გაუხარდა. ერთი ჯიშისანი არიან.

**– მაშინ ასე გკითხავთ: რა ორიენტაციის საქართველოა ხელსაყრელი პარტნიორი სომხეთისთვის?**

– ნებისმიერი ორიენტაციის... თუ სუფთა პოლიტოლოგიურად ვიტყვი, სომხეთისთვის უფრო უმჯობესია, რაც ნაკლები პარტნიორი ეყოლება რუსეთს აქ. მით მეტი ფასი გვექნება ჩვენ. როდესაც 10 პარტნიორია, ხდები იმ ათიდან ერთ-ერთი. პოლიტიკა უფრო რთულია ასეთ სიტუაციებში, მაგრამ, რადგან არის სურვილი, რომ კომუნიკაციები მუშაობდეს, შესაბამისად, არის სურვილი, რომ რუსეთსა და საქართველოს ჰქონდეთ ნორმალური ურთიერთობები.

**– მეორე რესპონდენტი ხართ სომხეთიდან, რომელიც პოზიტიურად არ არის განწყობილი ივანიშვილისადმი და მის მინუსად მიიჩნევს მის სიმდიდრეს. გუმანი მკარნახობს, ცოტა გაღიზიანებთ ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში მოსვლა. მატყუებს გუმანი?**

– ოლიგარქია ყველას ამოუვიდა ყელში... როდესაც ასეთი ადამიანები მოდიან ხელისუფლებაში, მათ მიმართ უნდობლობაა.

**– თუ მდიდარი ადამიანია, მინიმუმ, იმას არ ნიშნავს, რომ ბიუჯეტიდან არ მოიპარავს?**

– თუ მილიარდერია, იქნებ კიდევ რამდენიმე მილიარდის გაკეთება უნდა?! სომხეთში პოლიტიკაში მილიარდერების მოსვლა ცუდად აღიქმება, მაგრამ არავინ იცის, ვინ არის ივანიშვილი, არ გვაქვს ეს ინფორმაცია. ზოგადად, დიდად არ აინტერესებთ ქართული თემა სომხეთში.

**– ეს ძალიან კარგია, თუ, მართლაც, ასეა.**

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან
ზარი ფასიანია

# ვინ არის ყველაზე მდიდარი პრეზიდენტი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში

*ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედი პრეზიდენტის, ბარაკ ობამას კაპიტალი 7 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს, თუმცა, ეს თანხა არც ისე ბევრია, თუკი თვალს გადავავლებთ ამერიკის ისტორიაში ათი ყველაზე მდიდარი პრეზიდენტის კაპიტალებს. სია ჟურნალმა „უოლ სთრით ჯორნალმა" შეადგინა და დღეს მის ქართულ ვერსიას გთავაზობთ.*

**უილიამ ჯეფერსონ (ბილ) კლინტონი** – *სუფთა კაპიტალი: 55 მილიონი დოლარი; პრეზიდენტობის წლები: 1993-2001; რიგითობა – ამერიკის 42-ე პრეზიდენტი.*



სხვა პრეზიდენტებისგან განსხვავებით, კლინტონი მდიდარი ოჯახის წარმომადგენელი არ გახლავთ და მას არც მაღალშემოსავლიანი სამსახური ჰქონდა სახელმწიფო მეთაურის თანამდებობაზე არჩევამდე. გადასახადების გამოკლებამდე, საპრეზიდენტო ვადაში კლინტონმა 125 მილიონი დოლარის გამომუშავება მოახერხა. ამ თანხის ძირითადი ნაწილი მან თავისი გამოსვლებით გამოიმუშავა, მაგრამ, 2008 წელს კლინტონის კაპიტალმა მნიშვნელოვანი კლება განიცადა, რადგან, 15 მილიონამდე დოლარი მისი მეუღლის, ჰილარი კლინტონის საარჩევნო კამპანიაზე დაიხარჯა.

**ფრანკლინ დელანო რუზველტი** – *სუფთა კაპიტალი: 60 მილიონი დოლარი; პრეზიდენტობის წლები: 1933-1945; რიგითობა – ამერიკის 32-ე პრეზიდენტი.*



თავისი კაპიტალი რუზველტმა მემკვიდრეობით და სარფიანი ქორწინებით მიიღო. 32-ე პრეზიდენტს 800 აკრი მიწა ჰქონდა სპრინგფილდში, ასევე, უძრავი ქონება ჯორჯიის, მენისა და ნიუიორკის შტატებში. 1919 წელს ფინანსური კატასტროფისგან რუზველტი დედამ იხსნა. პრეზიდენტად არჩევამდე რუზველტი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა სახელმწიფო სამსახურში.

**ჰერბერტ კლარკ ჰუვერი** – *სუფთა კაპიტალი: 75 მილიონი დოლარი; პრეზიდენტობის წლები: 1929-1933; რიგითობა – ამერიკის 31-ე პრეზიდენტი.*

დაობლებული ჰუვერი ფეხზე ბიძამ დააყენა, რომელიც ექიმად მუშაობდა. პრეზიდენტობამდე ჰუვერი სამთო-მომპოვებელი კომპანიის აღმასრულებელ დირექტორად მუშაობდა და 17 წლის განმავლობაში მას ამერიკაში ერთ-ერთი უმაღლესი ხელფასი ჰქონდა. თავის საპრეზიდენტო ხელფასს ჰუვერი მთლიანად ქველმოქმედებას ახმარდა, ასევე, მან დააფუძნა „ჰუვერის სახლი" მონტერეიში (კალიფორნია).

**ლინდონ ბეინს ჯონსონი** – *სუფთა კაპიტალი: 98 მილიონი დოლარი; პრეზიდენტობის წლები: 1963-1969; რიგითობა – ამერიკის 36-ე პრეზიდენტი.*

ლინდონის მამა მაშინ გაკოტრდა, როცა ამერიკის მომავალი პრეზიდენტი ჯერ კიდევ ბავშვი იყო. გარკვეული პერიოდის შემდეგ ლინდონმა ტეხასის შტატში, ბლანკო ქაუნთიში, 1 500 აკრი მიწა შეიძინა, სადაც დაფუძნდა და სახლი აიშენა, რომელსაც მოგვიანებით „ტეხასის თეთრი სახლი" უწოდეს. მეუღლესთან ერთად ლინდონ ჯონსონი ფლობდა ქალაქ ოსტინის ტელე-რადიო სამაუწყებლო კომპანიას, გარდა ამისა, ჯონსონებს ჰქონდათ საქონლის ფერმა და ჰყავდათ მცირე ზომის თვითმფრინავი.

**ჯეიმს მედისონი** – *სუფთა კაპიტალი: 101 მილიონი დოლარი; პრეზიდენტობის წლები: 1809-1817; რიგითობა – ამერიკის მე-4 პრეზიდენტი.*

ჯეიმს მედისონი ვირჯინიის შტატის უმსხვილესი მიწათმფლობელი იყო. მას ჰქონდა 5 ათას ჰექტრამდე მიწა და, ასევე, უძრავი ქონება მონპელიეში, რაც მან სახელმწიფო მდივნად და პრეზიდენტად მუშაობის პერიოდში დააგროვა. სიცოცხლის ბოლო წლებში მედისონი, პლანტაციებზე ფინანსური კრიზისის გამო, ქონების დაკარგვის საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა, მაგრამ, სასწაულებრივად გადაურჩა გაკოტრებას.

**ენდრიუ ჯექსონი** – *სუფთა კაპიტალი: 119 მილიონი დოლარი; პრეზიდენტობის წლები: 1829-1837; რიგითობა – ამერიკის მე-7 პრეზიდენტი.*

მიუხედავად იმისა, რომ ჯექსონი საშუალო ფენის წარმომადგენელი იყო, იგი მეცხრამეტე საუკუნეში ამერიკის ერთ-ერთი უმდიდრესი პრეზიდენტი გახდა. ჯექსონი დაოჯახების შემდეგ გამდიდრდა; ასევე, მან მნიშვნელოვანი კაპიტალი დააგროვა სამხედრო სამსახურში ყოფნის პერიოდში. ჯექსონს ჰქონდა საკუთარი სასახლე და 1 050 აკრი მიწა, სადაც 300-მდე მონა მუშაობდა. სიცოცხლის ბოლო წლებში ჯექსონი გაკოტრდა და დიდძალ ვალებში გადავარდა.

**თეოდორ რუზველტი** – *სუფთა კაპიტალი: 125 მილიონი დოლარი; პრეზიდენტობის წლები: 1901-1909; რიგითობა – ამერიკის 26-ე პრეზიდენტი.*

თეოდორ რუზველტი მდიდარ ოჯახში დაიბადა და თავისი კაპიტალის დიდი ნაწილი მშობლების დახმარებით დააგროვა. იგი მესაქონლეობაში იყო ჩართული და დროის უმეტეს ნაწილს გლეხებთან ერთად მუშაობაში ატარებდა. თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი რუზველტმა სახელმწიფო სამსახურში გაატარა. მისი კუთვნილი მიწის ფართობი ლონ-აილენდზე (235 აკრი მიწა) სამაგორის მთაზე, ამერიკაში უძვირეს კერძო საკუთრებად ითვლება, რომელიც მის შთამომავლებს ეკუთვნით.

**თომას ჯეფერსონი** – *სუფთა კაპიტალი: 212 მილიონი დოლარი; პრეზიდენტობის წლები: 1801-1809; რიგითობა – ამერიკის მე-3 პრეზიდენტი.*

თომას ჯეფერსონმა მამისგან მემკვიდრეობით რამდენიმე ათასი აკრი მიწის ფართობი და რამდენიმე ათეული მონა მიიღო. ჯეფერსონის სახლი – მონტიჩელო, რომელიც ვირჯინიის შტატში 5 ათასი აკრი მიწის ფართობზე გაშენებულ პლანტაციაზე მდებარეობდა, თავისი დროის არქიტექტურული შედევრი იყო. საპრეზიდენტო თანამდებობაზე დანიშვნამდე ჯეფერსონი სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიაში აბანდებდა ფულს, სიცოცხლის ბოლო წლებში კი ვალებში ჩავარდა.

**ჯორჯ ვაშინგტონი** – *სუფთა კაპიტალი: 525 მილიონი დოლარი; პრეზიდენტობის წლები: 1789-1797; რიგითობა – ამერიკის პირველი პრეზიდენტი.*

ჯორჯ ვაშინგტონის პლანტაცია მაუნთ-ვერნონში ხუთი სხვადასხვა სამეურნეო ნაწილისგან შედგებოდა. პლანტაციის საერთო ფართობი 8 ათასი აკრი იყო და მასზე 300 მონა იყო დასაქმებული. ვაშინგტონის მეუღლე, მართა ვაშინგტონი, ასევე მდიდარი ოჯახის წარმომადგენელი გახლდათ. ვაშინგტონი, ამერიკის სხვა პრეზიდენტებთან შედარებით, ყველაზე დიდ ხელფასს იღებდა: მისი ანაზღაურება წელიწადში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 2 პროცენტს შეადგენდა.

**ჯონ ფიცჯერალდ კენედი** – *სუფთა კაპიტალი: 1 მილიარდი დოლარი (ვერ მოესწრო მამის მემკვიდრეობას); პრეზიდენტობის წლები: 1961-1963; რიგითობა – ამერიკის 35-ე პრეზიდენტი.*



ჯონ კენედი შეძლებულ ოჯახში დაიბადა, მისი მეუღლე კი, სულაც, ნავთობმაგნატის შთამომავალი იყო. ჯონის მამა, ამერიკის უმდიდრესი ადამიანი, ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების სახელმწიფო კომისიის პირველი თავმჯდომარე გახლდათ. თავისი ქონების დიდი ნაწილს კენედები ტრასტიდან იღებდნენ, რომლის ორგანიზატორები მისი ოჯახის წევრები იყვნენ.

**უშანგი რუხაძე**

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"**
***შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს***
***ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში***
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

2012 წლის ბოლოს გერმანულმა ჰერალდიკურმა ალმანახმა „ალმანახ დე გოტმა" მსოფლიოს ყველაზე მდიდარი მონარქებისგან შემდგარი რეიტინგი გამოაქვეყნა, რომლის ქართულენოვან ვერსიას „თბილისელების" ამ ნომერში გთავაზობთ.

# მსოფლიოს უმდიდრესი სამეფო ოჯახების წევრები

**დიდი ბრიტანეთის დედოფალი – ელიზაბეთ მეორე**

ასაკი: 85 წლის; ტახტზე ასვლის თარიღი: 1952; კაპიტალი: 60 მილიარდი გირვანქა სტერლინგი.

ბრიტანელი მონარქის პირადი კაპიტალის დადგენისას დათვალეს ბუკინგემის სასახლის, კენსინგტონის სასახლის, სენჯეიმსისა და ჰოლირუდის სასახლეების, უინძორის ციხესიმაგრისა და სხვა უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, მათ შორის, სამეფო ოჯახის საკუთრებაში არსებული ხელოვნების ნიმუშების კოლექციების ფასი და სხვა. თანხა მართლაც რომ შთამბეჭდავია და პირველი ადგილი რეიტინგში ელიზაბეთ მეორეს მომავალ წელსაც გარანტირებული ექნება.



**საუდის არაბეთის მეფე – აბდალა იბნ აბდელ აზიზ ალ საუდი**

ასაკი: 87 წლის; ტახტზე ასვლის თარიღი: 2005; კაპიტალი: 63,2 მილიარდი დოლარი.

საუდის არაბეთის მეფის შემოსავლის ძირითადი წყარო ნავთობია, რომელსაც ქვეყნისთვის ერთ დღე-ღამეში 1 მილიარდი დოლარის შემოსავალი მოაქვს. გარდა ამისა, მეფე ფლობს მსოფლიოში უძვირეს საჯინიბოს, სადაც საუკეთესო ცხენები ჰყავდა თავმოყრილი. მეფის საკუთრებაშია, ასევე, არაერთი ცნობილი მარკის რარიტეტული ავტომობილებისგან შემდგარი ფარეხი.

**აბუ-დაბის ემირი, შეიხი – ხალიფა იბნ ზაიდ ალ-ნაჰიანი**

ასაკი: 64 წლის; ტახტზე ასვლის თარიღი: 2004; კაპიტალი: 47,4 მილიარდი დოლარი.

აბუ-დაბის შეიხი და გაერთიანებული არაბული საემიროების მოქმედი პრეზიდენტი ემირი ჰალიფას კაპიტალს, ასევე ნავთობი განაპირობებს. გარდა ამისა, ემირი წარმატებით ახორციელებს ინვესტიციებს მსოფლიო ეკონომიკაში.

**ტაილანდის მეფე – პჰუმიპონ ადულიადეტი**

ასაკი: 84 წლის; ტახტზე ასვლის თარიღი: 1946; კაპიტალი: 44,24 მილიარდი დოლარი.

ტაილანდელი მონარქი არა მხოლოდ მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი მეფეა, იგი, ასევე, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მხარჯველია. მისი თაოსნობით 3 000-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო პროექტი განხორციელდა ტაილანდში, რაზეც მილიარდობით დოლარი დაიხარჯა. ტაილანდის მეფის საკუთრებაშია, აგრეთვე, ძვირფასი თვლების კოლექცია.

**დუბაის ემირი, შეიხი – მოჰამედ იბნ რაშიდ ალ-მაკტუმი**

ასაკი: 62 წლის; ტახტზე ასვლის თარიღი: 2006; კაპიტალი: 39,5 მილიარდი დოლარი.

დუბაის ემირი და გაერთიანებული არაბული საემიროების პრემიერ-მინისტრი, საუდის არაბეთის მეფის მსგავსად, ძვირად ღირებული საჯინიბოთია ცნობილი. რა თქმა უნდა, ნავთობი და ინვესტიციები უცხოურ ეკონომიკებში მისი შემოსავლის კიდევ ერთ წყაროს წარმოადგენს.

**ბრუნეის სულთანი – ჰასანალ ბოლკიაჰი**

ასაკი: 65 წლის; ტახტზე ასვლის თარიღი: 1967; კაპიტალი: 37,9 მილიარდი დოლარი.

ბრუნეის სულთნის ქონებას წარმოადგენს 6 000-მდე სხვადასხვა მარკის ძვირად ღირებული ავტომობილები და ისტანა ნურულ იმანის სასახლე, რომელიც 200 ათას კვადრატულ მეტრზეა გაშენებული და შეიცავს 1 788 აპარტამენტსა და 257 სააბაზანო ოთახს. ნავთობი, ასევე, სულთნის შემოსავლის დამატებითი წყაროა.

**ნიდერლანდების დედოფალი ბეატრიქსი**

ასაკი: 74 წლის; ტახტზე ასვლის თარიღი: 1980; კაპიტალი: 15,8 მილიარდი დოლარი.

ნიდერლანდების დედოფალი ბეატრიქსი 30 აპრილს გადადგება ტახტიდან და ადგილს თავის შვილს, პრინც უილემ-ალექსანდერს დაუთმობს, ამიტომ, ის უკანასკნელად ფიგურირებს მდიდარი მონარქების რეიტინგში. დედოფალი ცნობილია საიუველირო ძვირფასეულობითა და ხელოვნების ნიმუშებით, ჰოლანდიის სამეფო ოჯახი, ასევე, ფლობს კომპანია „როიალ დაჩ შელის" აქციათა პაკეტს.

**ქუვეითის ემირი საბაჰ ალ-აჰმედ ალ-ჯაბერ ას-საბაჰი**

ასაკი: 82 წლის; ტახტზე ასვლის თარიღი: 2006; კაპიტალი: 14,2 მილიარდი დოლარი.

ქუვეითელი მონარქის შემოსავლის ძირითადი წყარო გაყიდული ნავთობია, საიდანაც იგი ყოველწლიურად, სტიპენდიასავით იღებს 188 მილიონ დოლარს. ემირი, ასევე, დაინტერესებულია ინვესტიციებით და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ბიზნესპროექტების განხორციელებით არის დაკავებული.

**ყატარის ემირი – ჰამად ბინ ხალიფა ალ-ტანი**

ასაკი: 60 წლის; ტახტზე ასვლის თარიღი: 1995; კაპიტალი: 11,05 მილიარდი დოლარი.

ყატარის მოქმედი ემირი პროგრესულად მოაზროვნე მონარქია, რომელმაც, პირველმა არაბულ სამყაროში, ქალებს ხმის მიცემის უფლება დაუბრუნა. ყატარი მდიდარია ნავთობით, ეს კი ემირის შემოსავლის ძირითადი წყაროა, რაც მას საშუალებას აძლევს, განახორციელოს არაერთი პროექტი მსოფლიო ეკონომიკაში.

**ომანის სულთანი – კაბუს იბნ საიდ ალბუსაიდი**

ასაკი: 71 წლის; ტახტზე ასვლის თარიღი: 1970; კაპიტალი: 9,4 მილიარდი დოლარი.

ომანის სულთნის მილიარდიანი კაპიტალის შევსების წყარო ნავთობია. იგი ასევე ფლობს ძვირად ღირებული იახტების კოლექციას და 1972 წელს აშენებულ სასახლეს კასრ ალ-ალამს.



**ბაჰრეინის მეფე – ჰამად იბნ ისა ალ-ხალიფა**

ასაკი: 62 წლის; ტახტზე ასვლის თარიღი: 2002; კაპიტალი: 5,5 მილიარდი დოლარი.

საჯინიბოების კიდევ ერთი მოყვარული არაბი მონარქი. ბაჰრეინის მეფის შემოსავლის ძირითადი წყაროც, ისევე, როგორც სხვა არაბული ქვეყნების მონარქებისა, ნავთობია. აგრეთვე, ის იღებს დივიდენდებს უცხოეთში დაბანდებული ინვესტიციებიდან.

**ლიხტენშტეინის მთავარი – ჰანს-ადამ მეორე**

ასაკი: 67 წლის; ტახტზე ასვლის თარიღი: 1989; კაპიტალი: 6,3 მილიარდი დოლარი.

ევროპის ჯუჯა-სახელმწიფოს მთავრის შემოსავლის ძირითადი წყაროა საოჯახო ბანკი LGT. ამის გარდა, ოჯახი ფლობს რამდენიმე სასახლეს ავსტრიაში, ხელოვნების ნიმუშების კოლექციას და 20 ათას ჰექტარ მიწას.

**ლუქსემბურგის დიდი ჰერცოგი – ანრი**

ასაკი: 56 წლის; ტახტზე ასვლის თარიღი: 2000; კაპიტალი: 4,7 მილიარდი დოლარი.

საბანკო აქტივები: ოქროს ფონდი და უძრავი ქონება – სულ ეს არის ლუქსემბურგის ჰერცოგის შემოსავლის წყარო, რომელიც მნიშვნელოვნად ჩამორჩება არაბული სამყაროს ნავთობ-მაგნატ შეიხებსა და ემირებს. ცნობისთვის, ჰერცოგი ანრი ბუნების დაცვაზე ხარჯავს მნიშვნელოვან თანხებს, მაგალითად, უნიკალური ჰალაპოგოსის კუნძულების გადარჩენაზე.

**მონაკოს მთავარი – ალბერ მეორე**

ასაკი: 53 წლის; ტახტზე ასვლის თარიღი: 2005; კაპიტალი: 3,95 მილიარდი დოლარი.

მონაკოს მთავრის, ალბერ მეორის ძირითად კაპიტალს ხელოვნების ნიმუშების კოლექცია შეადგენს. აგრეთვე, ის ფლობს რამდენიმე ანტიკვარულ ავტომობილსა და საფოსტო მარკების კოლექციას. მონაკოს სამეფო ოჯახის შემოსავლის წყაროა, ასევე, საზღვაო... სამორინეებიდან შემოსული თანხა.

**ისმაილიტ-ნიზარიტების იმამი – აგა ხანი მეოთხე**

ასაკი: 75 წლის; ტახტზე ასვლის თარიღი: 1957; კაპიტალი: 3,1 მილიარდი დოლარი.

იმამი აგა ხანი ისმაილიტ-ნიზარიტების სათვისტომოს მეთაურია. სათვისტომო ძირითადად ინდოეთში, ომანში, სირიაში, ტაჯიკეთსა და ზანზიბარში ცხოვრობს. არარსებული ქვეყნის მონარქს „მის უდიდებულესობას" უწოდებენ და ის სხვა მონარქებთანაა გათანაბრებული. იმამი ფლობს სასტუმროებს, ავიაკომპანიებს, საჯინიბოებსა და სხვადასხვა საწარმოს მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში.

**უშანგი რუხაძე**

**27 აპრილს თეონა კონტრიძე თბილისს კონცერტით ეწვევა, არც მეტი, არც ნაკლები, თოთხმეტი წლის შემდეგ. ჯერ კიდევ ჩემი ბავშვობის ყველაზე მოდურ ადგილას – „ელიტ კლუბში“ ჩატარებული კონცერტის შემდეგ თეონა „ივენთ ჰოლში“ იმღერებს, სადაც იქნება ძალიან დიდი მხიარულება, გემოვნებიანი, ხარისხიანი მუსიკა, იუმორი, ვნება და წარმოუდგენლად დიდი პოზიტიური ენერგია. თეონას პირველად ჩამოჰყავს თბილისში თავისი შვილები – რედი და გოგი.**

# საიდან იყო „ევაკუირებული“ თეონა კონტრიძე და რას ვერ გაუძლო მან

**თეონა კონტრიძე**: აქამდე არც ერთხელ არ ყოფილა რეალური დაინტერესება საქართველოდან, რომ მანდ კონცერტი ჩამეტარებინა. ახლა კი დამიკავშირდა კომპანია „ჯოი პრომოუშენს“ – ახალგაზრდებისგან დაკომპლექტებული კომპანია. წესით არც უნდა ვახსოვდე – 22-23 წლის ბავშვები არიან და მართლა მიკვირს. მოსკოვში მცხოვრები ჩემი მეგობრის საშუალებით დამიკავშირდნენ და შევთანხმდით ყველა დეტალზე. მე ისე ძალიან მინდოდა მანდ კონცერტის გამართვა, რომ ყველანაირ დათმობაზე წავედი, რაც შემეძლო და ჩვენი კავშირი შედგა.

**– რა პროგრამით ჩამოდიხარ, რას უნდა ველოდოთ?**

– 1994 წლიდან მოსკოვში ვცხოვრობ და, ამ დროიდან მოყოლებული, რუსულენოვანი პროგრამა არ მქონია. უსინდისობა და უნამუსობა იქნებოდა, რომ, მაშინ, როცა რუსეთმა პირადად მე ამდენი რამ მომცა: განათლება, ამხელა პუბლიკა, სითბო, სიყვარული, მეგობრები და სხვა თუ არაფერი – თავშესაფარი, აუცილებლად უნდა გამეკეთებინა რაღაც რუსულენოვანი. 1994 წელს წამოსვლას ემიგრაციას კი არა ევაკუაციას ვეძახი საქართველოდან, ფაქტობრივად, ევაკუირებული ვიყავი, ისეთი საშინელი სიტუაცია იყო. ყველა ხელოვანი, ვინც მაშინ საქართველოში დარჩა ჩემთვის გმირია, მაგრამ, მე ვერ შევძელი. უმადურობა იქნებოდა, არ გამეკეთებინა რუსული პროგრამა. შარშანწინ ჯგუფის წევრებთან ერთად გადავწყვიტე, მთელი შარშანდელი წელი რუსულენოვანი პროგრამისთვის დაგვეთმო. იქ არის ინგლისური და ქართული სიმღერებიც, მაგრამ ძირითადად რუსულია. დიდხანს ვფიქრობდი, რა მაერთიანებს რუსულენოვან პუბლიკასთან, რომელიც გაცილებით მარტივი და ნაკლებად პრეტენზიულია; რა მაერთიანებს ამ ქვეყნის ლოგიკასთან, რითი ვარ ამ ქვეყნის მენტალიტეტთან ახლოს და, მივხვდი, რომ, ერთადერთი რაც გვაერთიანებს, ეს საბჭოური წარსულია.



**ხელოვანი ქალების ოთხმოცი პროცენტი უბედურია. მე დაბადებული ვარ ბედნიერებისთვის – ეს ჩემი დევიზი და კონცეფციაა**

**– საერთო საბჭოური წარსული.**

– დიახ. გადავწყვიტეთ, რომ ავიღოთ ძველი, 1940-1950 წლების ცნობილი საბჭოთა ჰიტები, იმ კომპოზიტორების სიმღერები, რომლებიც გენიალურ, მსოფლიო დონის სიმღერებს წერდნენ, მაგრამ, ამ სივრცეს ვერ გასცდნენ. კირკოროვისა და პუგაჩოვას რეპერტუარიდან ჩემთან არც ერთი სიმღერა არ არის ***(იცინის)***, ავიღე ის კომპოზიციები, რომლებშიც ჯაზური ბირთვიც არის ჩადებული და, იმდენად გადავაკეთე, რომ ხალხი ვერც ხვდება, ან მეორე-მესამე სტროფზე თუ ხვდება, რა სიმღერაა. ჯაზის, ფანქის, არენბისა და სოულის ელემენტებს ვეძებდი, რათა ეს სიმღერები ხმის ჩემს ფაქტურასა თუ რიტმის აღქმას მორგებოდა. ეს პროგრამა ძალიან ნოსტალგიური, თბილი და წარმატებული აღმოჩნდა მოსკოვში. წარმოუდგენელი რაოდენობის კონცერტები მქონდა ამ წელიწად-ნახევრის განმავლობაში და ჩვენი პუბლიკა იყო არა მხოლოდ ახალგაზრდა, არამედ, ბევრად უფროსი თაობის მსმენელიც, რაც მე ძალიან მაინტერესებს.

**– ესე იგი, ამ პროგრამით ჩამოდიხარ. ამიტომაც იკითხე „ფეისბუქში,“ როგორი დამოკიდებულება ექნება ქართველ მსმენელს ამ სიმღერების მიმართო?**

– რუსული ენის სიყვარულის გამო პამიდორებს ხომ არ დამიშენენ-მეთქი. მინდა, ჩემი დახმარებით, ქართველმა ხალხმა მკვეთრი წითელი ხაზი გაავლოს რუს ხალხსა და კრემლს შორის...

**– თუმცა, ეს რუსი ხალხი ქმნის კრემლს. ძნელია, ეს ორი ცნება ერთმანეთისგან გამიჯნო.**

– რუსი ხალხი კრემლს ებრძვის ზუსტად ისე, როგორც სხვა ხალხი. არ არის არც ერთი კვირა, რომ აქ არ იყოს მიტინგები და დემონსტრაციები კრემლის წინააღმდეგ. კრემლი თავის ხალხს ეპყრობა საშინლად. მენდელეევის მთელი ცხრილია ამ მიწის ქვეშ, ხალხი კეთილდღეობაში უნდა ცხოვრობდეს, მაგრამ, ეს მენდელეევის ცხრილი კრემლის ჯიბეში ჩადის და, საკმარისია, მოსკოვს ასი კილომეტრით გასცდე, გაგიჟდები, ხალხი ისეთ სიდუხჭირეში, ისეთ პირობებში ცხოვრობს. ეს არის კრემლის ცინიკური, არაადამიანური დამოკიდებულება საკუთარი ხალხის მიმართ.

**– აგუტინ-ვარუმის კონცერტს განხილვები მაინც მოჰყვა, თუმცა, ზიზლი და პომიდვრები არ ყოფილა.**

– არიან ადამიანები, რომლებიც, გარკვეული პოლიტიკური თამაშების გამო, ქართველების მიმართ გაცივდნენ, მაგრამ, მათ არ ახსოვთ საბჭოთა წარსული; მათ არ იციან, რომ თხუთმეტი რესპუბლიკიდან საქართველოსთვის, მიუხედავად უფრო ახლო მეზობლებისა, მაინც ყველაზე ახლოს რუსეთი იყო, თავისი ერთობლივი სუფრებით, გიჟობებით, პიცუნდებით და გაგრებით. მენტალურად ასე იყო. გვაერთიანებს რელიგია, რაც ჩემთვის ვიბრაციაა – ერთობლივი ლოცვა და სულიერი ტრადიციები; გვაერთიანებს კულტურა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ერთი იყო. რაც შეეხება რეპრესიებს, რუსმა ხალხმა რომ გადაიტანა რეპრესიები, მსგავსი რეპრესიები თხუთმეტი რესპუბლიკიდან არც ერთს არ განუცდია. უბრალოდ, განათლება მოაკლდა ხალხს, გესმის?! ოცი წელი სიბნელე იყო თუ საქართველოში, თუ რუსეთში და, ამიტომ ველარ ვმიჯნავთ ერთმანეთისგან ბევრ რამეს. არაფერს ვამბობ პუტინ-მედვედევის პოლიტიკაზე, რომელიც ერთიანად ცუდად ექცევა როგორც თავის ხალხს, ისე საქართველოს, სომხეთის, მოლდოვეთისა და ბევრი სხვა ქვეყნის მოქალაქეს. შეიძლება, ბაშმეტის უამრავი გამონათქვამი ძალიან მაღიზიანებს, ბევრჯერ არასწორად მოიქცა, მაგრამ, მუსიკა საერთაშორისო ენაა და, იმის გამო, რომ ედიტ პიაფს ფაშისტური გერმანიის გენერალიტეტისთვის აქვს ნამღერი იმ დროს, როდესაც ისინი პარიზს იპყრობდნენ, არ შეიძლება, მუსიკოსების მიმართ ზიზღი გვქონდეს. ეს ენა, პირიქით, ხალხთა შორის კომუნიკაციას, დაახლოებას უწყობს ხელს და, ძალიან მინდა ისევ ისეთი თბილები დავრჩეთ ხელოვანების, სპორტსმენების მიმართ, როგორებიც ყოველთვის ვიყავით. ეს კეთდება იმისთვის, რომ ადამიანმა თავი იგრძნოს ცოცხლად, გაიღიმოს, სიამოვნება მიიღოს. დავანებოთ თავი პუტინს, სააკაშვილს, ივანიშვილს... ჩვენს კონცერტზე მაინც, დროებით გამოვრთოთ „აიფონები“, გამოვიდეთ „ფეისბუქიდან“, დავისვენოთ და გავერთოთ. იმედი მაქვს, ეს „ქიმია“ ჩემს ჯგუფსა და ქართულ პუბლიკას შორის 27-ში შედგება.

**– საქართველოში პირველად ჩამოდიხარ ბავშვებით. რას ელოდებიან, რა განწყობა აქვთ?**

– საქართველოსთან დაკავშირებით ბავშვებმა ყველაფერი პოზიტიური იციან: რომ ბებია-ბაბუას საფლავები თბილისშია; რომ დედა ქართველია და ამის გამო სულ გვაქვს ურთიერთობა ქართულ სამზარეულოსთან – სახლშიც და გარეთაც; რომ, როცა დედა მიდის საქართველოში, ჩამოდის იქიდან ბედნიერი და ჩამოაქვს გემრიელობები, იციან, რომ მანდ მზეა და თბილა. 13 მაისს, გოგის დაბადების დღეა და მანდ უნდა აღვნიშნოთ – ვაპირებთ, თბილისის რომელიმე პარკში გადავიხადოთ, რომ ბავშვებმა გაიგონ, რას ნიშნავს ლამაზი ხედები. მოსკოვში ხომ ერთი ბორცვიც არ არის, რამეს რომ ზემოდან გადმოხედო ***(იცინის).*** კახეთშიც გვინდა წასვლა. წელს ზაფხულში საქართველოში დასვენებას ვაპირებთ. დიდი გეგმები გვაქვს. დროა, ბავშვები თავის ნახევარ კულტურას გაეცნონ.

**– ვინც სატელევიზიო შოუებიდან გიცნობს, მისთვის, ალბათ, ძნელი წარმოსადგენია, რომ ახლა ინტერვიუ გავწყვიტეთ იმის გამო, რომ ბავშვს უნდა ესადილა. თავიდან ბოლომდე ჩართული ხარ მათ აღზრდაში.**

– კი, ფაქტობრივად, სულ ერთად ვართ და ძალიან ვმეგობრობთ. ჩემმა გოგომ, გუშინ ორი „ორიანი“ მოიტანა. დავსხედით და ვილაპარაკეთ ყველაფერზე, ცხოვრებაზე, როგორ ხდება რაღაცეები, რა ვიბრაცია შეიძლება შემოვიდეს მის ცხოვრებაში ამ „ორიანით,“ რას ნიშნავს „ორიანი“ და „ხუთიანი“ ცხოვრების მასშტაბით... ჩვენ ჩვენი ურთიერთობა და ფილოსოფია გვაქვს. ცხოვრებაში სულ ორჯერ მაქვს ბავშვისთვის მირტყმული და ისე შემრცხვა, ისე ვინერვიულე, დილის ოთხ საათამდე ვბღაოდი. ძალიან ცუდი „ტექნოლოგიაა“ და ამას არასდროს აღარ გავაკეთებ, საშინელი მეთოდია. ჩემი მთავარი მიზანია, რომ არანაირ მდგომარეობასა და სიტუაციაში არ მომატყუონ. მოსკოვში ერთი ნაბიჯია ალკოჰოლამდე და ნარკოტიკამდე, ისეთი ხელმისაწვდომია, რომ ბავშვებთან ეს სიტუაცია ძალიან მარტივად შეიძლება გაგეპაროს. ამიტომ, მთავარია, არ იყოს ტყუილი.

**– შენს კონცერტებზე დადიან?**

– წელს იყვნენ პირველად. 31 დეკემბრის ღამე ერთად გავატარეთ გეოლოგიური მუზეუმის დარბაზში – ლამაზია, დინოზავრებია და, ვიცოდი, მოეწონებოდათ. მაგრად ერთობოდნენ, თან, გაკვირვებულები მიყურებდნენ – ვერ ხვდებოდნენ, რა საერთო აქვს სცენაზე მდგარ ქალს იმ ქალთან, რომელსაც სამზარეულოში ხედავენ. მერე გოგი მოვიდა და სცენის წინ ფეხი დამირტყა. დავხედე და – თურმე, თასმა ჰქონია გახსნილი ***(იცინის).*** ანუ, ჩამოდი, შემიკარიო. უნდოდათ, ყველას სცოდნოდა, რომ მათი დედა ვარ.

**– აღიქვამენ, რომ ვარსკვლავი ხარ?**

– არა, რას ამბობ. „ქალი ვიცი კუხნაშიო“ – ასე არიან ესენიც. არ ვარ მე ისე აქტიური შოუბიზნესში ამ სიტყვის კლასიკური გაგებით.

**– როგორც ვხვდები, შენ რაღაც ვიწრო, ელიტური მიმართულება აირჩიე, არასატელევიზიო გზა...**

– ჩვენი ჯგუფი ძალიან პოპულარულ ივენთჯგუფად იქცა, კერძო მიწვევებით დავდივართ. ბარნაულში და ხაბაროვსკში არ გვიწევს წასვლა, სულ დავდივართ ბერლინში, ვენაში, პარიზში, მონაკოში... უფრო იქ, სადაც ვილები და შატოებია. ჩემი გურული ტვინით ძალიან ადრე გავაანალიზე

**ჯგუფი „ფრანი" საქართველოში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს. ხალხის სიმპათია მათ თავიანთი განსხვავებული სტილითა და ცოცხალი შესრულებით დაიმსახურეს. ჩვენი დღევანდელი სტუმარია „ფრანის" ერთ-ერთი წევრი – გაგა ჩიხლაძე, რომლის ცხოვრებაში საკმაოდ საინტერესო სიახლეებია.**

# რა ეტაპი ამოიწურა გაგა ჩიხლაძის ცხოვრებაში, რა ისწავლა მან დროთა განმავლობაში და რატომ აღარ აქვს ცანცარობის დრო



**ოჯახს ცოტა კი ვაკლივარ თვალში, მაგრამ, რაც მთავარია, საქმე კეთდება. მთავარია, კაი კაცები ვიყოთ და ყველაფერი დალაგდება**

**– როგორ ხარ, რა ხდება შენკენ ახალი და კარგი?**

– ჩემკენ მშვიდობაა, ძველებურად ვარ. შემოქმედებითად საკმაოდ აქტიურად ვმუშაობთ, ვაგრძელებთ ჩვენს საქმეს, ვწერთ ახალ სიმღერებს. სამომავლოდ ძალიან კარგი გეგმები გვაქვს. რამდენიმე წელია, ალბომზე ვმუშაობთ, იმედია მალე დავამთავრებთ და მსმენელიც მოისმენს. აქტიურ რეჟიმში ვართ, ოღონდ, სტუდიაში და არა გარეთ, კონცერტებით. სეზონიც არ იყო შესაბამისი – ახალი წლის მერე „მკვდარი" სეზონია. საახალწლოდ გვქონდა რამდენიმე კონცერტი, 8 მარტსაც ჩავატარეთ, პატარ-პატარა საღამოებს ვატარებთ ხოლმე. „ნაით-ოფისში" ჩავატარეთ „ფრანის" 7 წლის იუბილე.

**– პრესაში ნაკლებად ჩანხარ ამ ბოლო დროს, ადრე უფრო იყავი ყურადღების ეპიცენტრში. რისი ბრალია?**

– ალბათ რაღაც ეტაპი ამოიწურა, ან, შეიძლება, ამის განწყობა აღარ მაქვს. ტელევიზიებშიც ნაკლებად დავდივარ. ჩემში, შეიძლება, ხდებოდეს რაღაც ახალი, მაგრამ, იქ არაფერი ახალი არ მხვდება. ადრე ბავშვები ვიყავით და გვიხაროდა, სადაც მიგვიწვევდნენ, ყველგან ვმღეროდით, ახლა გავიზარდეთ, დრო შეიცვალა. სხვა განწყობა გვაქვს, დავდინჯდით, დავღვინდით *(იცინის).*

**– უცხოეთში ტურნეებს ხომ არ გეგმავთ?**

– სურვილი გვაქვს, რაღაც-რაღაც შემოთავაზებებიც არის. ალბათ, დავთანხმდებით. ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. ამჟამად ახალ დუეტებზე ვმუშაობთ. პირადად მე ლაშა ნოზაძესთან ერთად ჩავწერე დუეტი. ჯერ არც გახმაურებულა ეს სიმღერა, რადიოებში არ დატრიალებულა. ლაშას ბავშვის ნათლია ვარ და ჩვენი ოჯახური, ძმაკაცური, საერთო სიმღერა ჩაიწერა.

**– სანამ დიდ, მასშტაბურ კონცერტს გამართავთ, მანამდე სად შეუძლია მსმენელს „ფრანის" მოსმენა?**

– ახალი ბარი გაიხსნა – „აურა", ჩემმა მეგობარმა გახსნა. კვირაობით საღამოებს იქ ვაწყობ ხოლმე, კარაოკე მიმყავს. თეატრიდანაც მივიღე შემოთავაზება – მე პროფესიით მსახიობი ვარ და ნელ-ნელა ჩემს ძველ საქმიანობასაც ვუბრუნდები. ადრე აქტიურად ვიყავი დაკავებული სპექტაკლებში, თეატრს დიდ დროს ვუთმობდი, მაგრამ, მას შემდეგ, რაც „ფრანი" ოდნავ წინ წამოიწია, უკვე დრო აღარ მქონდა. ოჯახი, თეატრი, მუსიკა – ეს ყველაფერი ველარ შევაწყვე ერთმანეთთან. რაღაცნაირად „ფრანმა" უფრო გადამიბირა. ძალიან ბევრი სამუშაო იყო. ახლაც ძალიან ბევრი საქმეა, მაგრამ, ცოტა გავიზარდეთ და დროის განაწილება ვისწავლეთ. ადრე საქმის კეთებისთვის ოთხი საათი თუ გვჭირდებოდა, ახლა გვჭირდება ორი საათი. შემოქმედებითადაც გავიზარდეთ და ასაკითაც. ცოტა მეტი გვესმის, ვიდრე მანამდე. შეიძლება ითქვას, სურვილი გაჩნდა თეატრალური ხედვების, იმიტომ, რომ მაგარი შემოქმედებაა. სულ ვფიქრობ, რომ, რაც თეატრს მოვწყდი, შემოქმედებითი აზროვნება სხვაგან წავიდა. თუმცა, ჯერჯერობით ბოლომდე ვერ დავლაგდი, ბევრს ვფიქრობ. თუ ჯგუფს საქართველოდან წასვლა მოგვიწია, მაშინ აზრი არ აქვს აქ რამის დაწყებას, ამიტომ ჯერ ფიქრის პროცესში ვარ, გადაწყვეტილი არაფერი მაქვს. ცანცარობის დრო აღარ არის.

**– შენ რომელი გირჩევნია, კარიერის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაგრძელება თუ აქ დარჩენა?**

– კარიერას სხვაგან არც გავაგრძელებ, შეიძლება, რაღაც პერიოდით წავიდე სხვაგან, მაგრამ, შემდეგ ისევ აქ დავბრუნდები. შემოსავალი – სხვაგან, შემოქმედება – აქ. მე ისეთი ქართველი ვარ, ვერ წარმომიდგენია სხვაგან გადახვეწა და ყველაფრის მიტოვება. ძირითადად ოჯახზე ვარ გადართული და ჩემი წასვლა ცოტა რთული ამბავია.

**– ოჯახსა და შემოქმედებას შორის დროს როგორ ანაწილებ, რომელს უფრო მეტ დროს უთმობ?**

– ჩემს საქმეს უფრო მეტ დროს ვუთმობ, ამაში ოჯახი ძალიან მეხმარება და ხელს მიწყობს. ყველანაირად მიქმნიან ხელოვანი ადამიანის გარემოს. ეს ყველაფერი თავისთავად თუ არ დაბალანსდა, არც საქმე გამოვა და ვერც ოჯახი ივარგებს. ოჯახს ცოტა კი ვაკლივარ თვალში, მაგრამ, საქმე კეთდება, რაც მთავარია *(იცინის).* მთავარია, კაი კაცები ვიყოთ და ყველაფერი დალაგდება.

**– წინასწარ თუ გეგმავ, როდის რას გააკეთებ?**

– არასდროს არ ვგეგმავ წინასწარ. შეიძლება, ნახევარი საათით ადრე გამახსენდეს, რომ სადღაც ვარ წასასვლელი. სპონტანურად ხდება ხოლმე ყველაფერი, გეგმა არასდროს მქონია ცხოვრებაში. ერთადერთი გეგმა, რაც ვიცი, ეს არის რეპეტიცია – წინა დღეს ვნიშნავთ ხოლმე და, ვიცით, რომ უნდა შევხვდეთ და დავუკრათ.

**– რეპეტიცია ყველაზე კარგი საშუალებაა განწყობის ასამაღლებლად?**

– ნამდვილად. თუმცა, როდესაც ცუდი განწყობა მაქვს, ძირითადად ჩუმად ვარ. ახლა ცუდ განწყობაზე არ ვარ, მარხვის პერიოდია და ყველა ძალიან მშვიდად ვართ. ზოგადად, განწყობის ადამიანი ვარ – შეიძლება, უდიდესი რაღაც მოვითმინო და, შეეძლება, ძალიან ელემენტარული ვერ მოვითმინო. ამ პერიოდში მაქსიმალური სიმშვიდე მაქვს, კარგი დროა, გაზაფხული მიყვარს ძალიან. ამდენი წლის შემდეგ, მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ გაზაფხული ყოფილა ყველაზე მაგარი. დაბადების დღეც აპრილში მაქვს. სიმღერაც კი დავწერე გაზაფხულზე – „მარტი მოვიდა" ჰქვია. ოღონდ, მარტი არ მიყვარს, აპრილი მიყვარს *(იცინის).*

**– პირად ცხოვრებაში ძალიან კარგი სიახლე გაქვს – მალე მეორე შვილის მამა გახდები.**

– დაახლოებით აგვისტოს დასაწყისში ველოდებით მეორე შვილს. სქესიც ვიცით უკვე – გოგოა. რა თქმა უნდა, ძალიან მაგარი შეგრძნებაა, მით უმეტეს, პირველი ბიჭის შემდეგ მეორე გოგო გვეყოლება და ძალიან მიხარია. სახლში საახალოჯახწევრო სამზადისია *(იცინის).* აქამდე თუ ვფიქრობდი ერთზე, ორზე ან მეტ ადამიანზე, ახლა კიდევ ერთით მეტზე უნდა ვიფიქრო. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მახარებს და დიდი სიხარულით ველოდები აგვისტოს მოსვლას.

**– სახელი ხომ არ გაქვს შერჩეული?**

– არა, სახელი ჯერ არ შეგვირჩევია, მაგრამ, სიმღერა უკვე დავწერე და მივუძღვენი. სიმღერას ჰქვია „მე მინდა, რომ". თომასთვისაც მაქვს მიძღვნილი სიმღერა.

**– ბოლოს, შენი სამომავლო გეგმების შესახებაც მოგვიყევი.**

– სამომავლოდ წინასწარ არ ვიცი, რა როგორ იქნება, ამ თვეში კი აუცილებლად გვექნება კონცერტი. მაისშიც და ივნისშიც დაგეგმილია კონცერტები. თუ ჩემი საზღვარგარეთული შემოთავაზებები ამ კონცერტებს დაემთხვევა, შეიძლება, უარი ვუთხრა. თუ აქ მაქვს დანიშნული კონცერტი და შეთანხმებული ვარ, რატომ უნდა დავარღვიო? შეიძლება, შეპირებულზე ნაკლებიც გადაგიხადონ, მაგრამ, ჯერ არის კაცი და სიტყვა, მერე კი – ყველაფერი დანარჩენი. ეს არის ის გეგმები, რაც შემოთავაზებების შედეგად დაგვესახა. დანარჩენი, რა როგორ იქნება წინასწარ ნამდვილად არ ვიცი.

**ხატია კარანაძე**

---

ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: ჯერ ერთი, ფიზიკურად არ შემიძლია ურთიერთობა და კონკურენცია კირკოროვებთან და მსგავს ტიპებთან, ვინც რუსეთის ტელევიზიებშია.

**– გქონია მათთან რამე დაპირისპირება?**

– არა, არანაირი. თავიდანვე გავთვალე, რომ მათ პარალელურად მემოძრავა და არა მათ გზაზე და მათ გადაკვეთაზე, ამიტომაც არ ვყოფილვარ დამოკიდებული ინტრიგებზე, მედიაზე, რედაქტორებზე, ფიარზე და სხვა. ეს არის გზა, სადაც მარტო მე ვიქნებოდი ჩემი თავის ბატონ-პატრონი და გამოვიდა. მინდოდა, ჩემს კარიერას ელიტური სახე ჰქონოდა და ასეც აეწყო. მე და სტას მიხაილოვი ერთ პუბლიკას არ უნდა ვიყოფდეთ, ამიტომაც არ მჭირდება სატელევიზიო გამოსვლები, თვეობით გასტროლები.

**– შესაბამისად, მეტი დრო გაქვს ოჯახისთვის და არ ხარ პროდიუსერების მონა.**

– აბა რა! რვა-ათი კონცერტი თვეში აბსოლუტურად საკმარისია ცოცხალი შემსრულებლისთვის, ცოცხალი ჯგუფისთვის, რომ სულ ვითარდებოდე და ფინანსურად ნორმალურად ვცხოვრო. 15-18 კონცერტი გვაქვს ხოლმე ახალი წლის პერიოდში და, ისე ვიღლები, მერე ინდოეთში ან ტაილანდში პლაჟზე ერთი თვე მძინავს. ვილაცეები კი ახერხებენ, თვეში ოცდაათი კი არა, სამოცი კონცერტი ჩაატარონ, მაგრამ, მე არ შემიძლია „ფორმულა ერთის" მოწყობა ცხოვრებაში. მე მინდა, ვუყურო, როგორ იზრდებიან ჩემი შვილები, ვიარო მათ ზეიმებზე, ვატარო სპორტზე, მუსიკაზე. მაინტერესებს ის პროდუქტი, რომელიც შევქმენი რა შედეგს მოიტანს. ბავშვები ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი პროდუქტია, უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ მათ მიმართ. კარიერის დედაც ვატირე ჩემი ოჯახის ხარჯზე.

**– სწორი გზით გივლია.**

– მეც ასე მგონია. რაც არ მოვიდა ჩემს ცხოვრებაში, დღეს ზუსტად ვხვდები, რომ არც ყოფილა საჭირო. იყო დრო, როცა ძალიანაც მინდოდა ტელევიზორიც, რადიოც, სუპერსთარობაც, ფანკლუბებიც, მაგრამ, ეს სურვილები ძალიან პატარა ასაკში დამთავრდა. ახლა მინდა, სულ მყავდეს ჩემი პუბლიკა და, მადლობა ღმერთს, რომ მყავს. მინდა ვიყო უზრუნველყოფილი, მქონდეს დრო ჩემი ოჯახისთვის, მეგობრებისთვის და მოგზაურობისთვის და ეს მაქვს.

**– ანუ, ბედნიერი ხარ.**

– დიახ. მოსაზრება, რომ არ შეიძლება, ქალი ოჯახშიც და კარიერაშიც იყოს წარმატებული, მცდარი აღმოჩნდა და იმაზე ბევრად უკეთ განხორციელდა, ვიდრე ამაზე ბავშვობაში ვოცნებობდი. მით უმეტეს, ხელოვანი ქალების ოთხმოცი პროცენტი უბედურია. მე დაბადებული ვარ ბედნიერებისთვის – ეს ჩემი დევიზი და კონცეფციაა!

**სალომე გველესიანი**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
**ირაკლი გაბრიჭიძე**

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რომელ კონკრეტულ საკითხებზე უნდა გაამახვილოს სასამართლომ ყურადღება სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის დროს?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისას, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი – დაუდგენელი, რომელი კანონი გამოიყენება ამ კონკრეტულ საქმეზე და დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს თუ არა ზოგადად სარჩელი.

**კითხვა: მაინტერესებს, რა შემთხვევაში გამოაქვს სასამართლოს სამოქალაქო სა-**



**ქმეზე ნაწილობრივი გადაწყვეტილება და რას ნიშნავს, ზოგადად, სასამართლოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ თუ ერთ სარჩელში გაერთიანებული რამდენიმე მოთხოვნიდან, აგრეთვე რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნებიდან ერთ-ერთი გარკვეულია და მომზადებულია გადაწყვეტილების გამოსატანად, სასამართლოს შეუძლია, მხარეთა თხოვნით, გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება ამ მოთხოვნის მიმართ. ნაწილობრივი გადაწყვეტილება, დაინტერესებული მხარის თხოვნით, სასამართლოს შეუძლია, გამოიტანოს იმ შემთხვევაშიც, როცა აღიძრა შეგებებული სარჩელი, გარკვეულია და გადაწყვეტილების გამოსატანად მომზადებულია ერთ-ერთი სარჩელი ან შეგებებული სარჩელი.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რას ნიშნავს შუალედური გადაწყვეტილება და რა შემთხვევაში გამოაქვს სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს წინასწარი, ანუ შუალედური გადაწყვეტილება?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ წინასწარი, ანუ შუალედური გადაწყვეტილება, სასამართლოს გამოაქვს, თუ სადავოა სასარჩელო მოთხოვნის როგორც ფაქტობრივი საფუძველი, ასევე ამ მოთხოვნის მოცულობა, ოდენობა. ამ შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია, გამოიტანოს წინასწარი გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლის შესახებ. ასეთი წინასწარი გადაწყვეტილება შეიძლება, გასაჩივრდეს აპელაციის წესით და კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მას ექნება პრეიუდიციული ძალა სასამართლოს მეორე გადაწყვეტილებისთვის, რომელიც მოთხოვნის მოცულობას განსაზღვრავს.

**კითხვა: მაინტერესებს, შესაძლებელია თუ არა, სამოქალაქო საქმეზე სასამართლომ გადაწყვეტილებით, მხარეს მიაკუთვნოს იმაზე მეტი, რასაც ის სარჩელში ითხოვდა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ არსებობს სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები. შესაბამისად სასამართლოს უფლება არ აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როდის შედის ძალაში სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება და რა იურიდიული შედეგები მოჰყვება გადაწყვეტილების ძალაში შესვლას?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს, არ შეუძლიათ, ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება დასაშვებია მხოლოდ კანონიერ ძალაში მისი შესვლის შემდეგ.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როდის შედის კანონიერ ძალაში სამოქალაქო საქმეებზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის: გამოცხადებისთანავე, თუ დაუშვებელია სააპელაციო წესით გასაჩივრება; სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრება, თუ ის არ იყო ამ წესით გასაჩივრებული; სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა. ასევე, მაშინ, თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როდის შედის კანონიერ ძალაში სამოქალაქო საქმეებზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და როდის – საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, განჩინება, თუ ის არ გასაჩივრებულა, კანონიერ ძალაში შედის მისი საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო თუ გასაჩივრებული იყო – საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ, თუკი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, განჩინება არ გაუქმებულა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, განჩინება კანონიერ ძალაში ასევე შედის, თუ გადაწყვეტილების, განჩინების გამოცხადების შემდეგ, მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის საკასაციო წესით გასაჩივრებაზე. რაც შეეხება საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, განჩინება კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორია სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების მხარისთვის ჩაბარების კანონით დადგენილი წესი და რა ვადებში უნდა უზრუნველყოს სასამართლომ გამოტანილი გადაწყვეტილების მხარისთვის ჩაბარება?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, მისი წარმომადგენელი ვალდებულია, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ გადაწყდება საკითხი, თუ ერთ მხარეს რამდენიმე მოპასუხეა და სასამართლომ თითოეულს ერთობლივად დააკისრა გარკვეული ვალდებულების შესრულება, ან პირიქით?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ შესაძლებელია, სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანოს რამდენიმე მოსარჩელის სასარგებლოდ, ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ. კერძოდ, თუ გადაწყვეტილება გამოტანილია რამდენიმე მოსარჩელის სასარგებლოდ, სასამართლომ უნდა მიუთითოს, თუ რა წილი ეკუთვნის თითოეულ მათგანს, ან აღნიშნოს, რომ გადახდევინების უფლება სოლიდარულია. იმ შემთხვევაში კი, თუ გადაწყვეტილება გამოტანილია რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, სასამართლომ უნდა მიუთითოს, თუ თითოეულმა მოპასუხემ გადაწყვეტილების რა წილი შეასრულოს, ან აღნიშნოს, რომ მათი პასუხისმგებლობაც სოლიდარულია.

# ინტიმური საუბრები

**ბედნიერება ყველა ასაკში შეიძლება**

ძვირფასო „თბილისელებო“!

ჩემს ცხოვრებაში მეორედ ვწერ წერილს რედაქციაში. პირველი წერილიც თქვენ მოგწერეთ. ალბათ, გახსოვართ – მე ის „ბეკინა“ ვარ, შვილები ცოლის შერთვის უფლებას რომ არ მაძლევდნენ და მაშინ სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, თქვენთვის მომეწერა ჩემი გულისტკივილი. მაგრამ, ვერ წარმოიდგენთ, ახლა რა ბედნიერი ვარ. ეტყობა, მაშინ კარგ ხელზე გამომიგზავნეთ ის წერილი. რადგან ჩემი ბედის შემობრუნებაში თქვენც მიგიძღვით წილი (თუნდაც ირიბად), ამიტომ, გადავწყვიტე, ჩემი სიხარულიც გაგიზიაროთ.

საქმე ისაა, რომ, როცა ის წერილი მივიტანე ფოსტაში და სახლში ვბრუნდებოდი, გზაში რაღაცაზე ამისრიალდა ფეხი, ცუდად დავეცი და ხელი მოვიტეხე. საბედნიეროდ, საავადმყოფოში დიდხანს დაწოლა არ დამჭირდა, მაგრამ სანამ იქ ვიყავი, გავიცანი ერთი უსათნოესი ქალბატონი – ჩემი პალატის ექთანი, რომელიც მთელი იმ რამდენიმე დღის განმავლობაში თან მყვებოდა, მერე კი სახლშიც მაკითხავდა, რომ ხელის მდგომარეობა გაეკონტროლებინა. მოკლედ რომ გითხრათ, ჩვენ ერთმანეთი შეგვიყვარდა. რაც ყველაზე მთავარია, ჩემს შვილებსაც ისე მოეწონათ ნათელა, რომ დაქორწინების ნება დაგვრთეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, პატარა (ოცკაციანი) ქორწილიც კი გადაგვიხადეს. ახლა მე ორმაგად ბედნიერი ვარ, რადგან, გარდა იმისა, რომ გვერდით მყავს უსაყვარლესი ცოლი, მასა და ჩემს შვილებსაც არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან.

ამ ასაკშიც თუ შეიძლებოდა, ასეთი სიხარული ღირსებოდა ადამიანს, ვერ წარმოვიდგენდი.

**თქვენი „ბეკინა“, 72 წლის.**

**ქმარს აღარ ვენდობი**

არაერთხელ გამიგია სხვადასხვა ასაკის ქალებისგან – დღეს დედამიწაზე ერთი მამაკაციც კი არ დადის ისეთი, ცოლისთვის არ ეღალატოსო; თვით ყველაზე წესიერ, ერთგულ და მზრუნველ ქმარსაც კი, ჩუმად თუ აშკარად, თვალი სხვა ქალებისკენ გაურბისო. ანუ, ერთგული ქმრის ცნებას საერთოდ გამორიცხავდნენ. სხვათა შორის, არც გათხოვებამდე და არც გათხოვების შემდეგ არ ვიზიარებდი ამ აზრს, რადგან, გათხოვებამდე, როგორც ყველა გოგონა, მეც რომანტიკოსი ვიყავი და ცისფერი და ვარდისფერი სათვალეებით ვუყურებდი ცხოვრებას; გათხოვების შემდეგ კი ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე დავფრინავდი, ისეთი ქმარი შემხვდა და შესაბამისად, არც ახალგაზრდობის დროინდელი ცისფერი და ვარდისფერი შეცვლილა სხვა ფერებით. ისეთი ქმარი მყავდა, ყველა გოგოს რომ შურდა ჩემი. ჯერ, სანამ დავქორწინდებოდით, მართლა რომეოსა და ჯულიეტასავით გვიყვარდა ერთმანეთი. სულ იმას ცდილობდა, რამე ესიამოვნებინა ჩემთვის, გავეხარებინე. ისე მექცეოდა, ნამდვილი პრინცესა მეგონა თავი. ჩემს მეგობრებსაც თან ჰყვებოდა. ერთი სიტყვით, ყველა გოგო რომ იოცნებებდა, ისეთი კავალერი იყო. ერთხელ ჩემს დაქალთან ვიყავით მისული გოგოები და, რა თქმა უნდა, ჩვენი საუბარი, ჩვენი შეყვარებულების ირგვლივ ტრიალებდა. ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ოთოსნაირი ჯენტლმენი, მზრუნველი, ერთგული და ასე ყურებამდე შეყვარებული ბიჭი არასდროს უნახავთ. მაგრამ, ერთ-ერთმა მათგანმა რაღაც ორაზროვნად გამოაცხადა ახლა კი იქცევა ისე, როგორც ნამდვილ მამაკაცს შეეფერება, მაგრამ, მთავარია, ქმარი როგორი იქნება. ხომ იცი ქართველი კაცების ამბავი – ჯერ ტყავიდან ძვრებიან, რომ გოგოს თავი შეაყვარონ, ათასგვარ რომანტიკულ სისულელეებს სჩადიან, რას აღარ აკეთებენ, მაგრამ, როგორც კი იმ გოგოს ცოლად, ანუ, თავის საკუთრებად დაიგულებენ, მერე ეს რომანტიკა სადღაც უკვალოდ ქრება და ერთ დროს საოცნებო ქალი ჩვეულებრივი „მონა-ჰოვარი“ ხდებაო. ჩემი ოთო ეგეთი არ არის-მეთქი, – მეწყინა. ამას მომავალი გვიჩვენებსო, – მითხრა ჩემმა დაქალმა. სხვები გაჩუმდნენ, მე კი თავი ველარ შევიკავე და მივახალე, – ამას იმიტომ ამბობ, რომ ჩემი გშურს-მეთქი, – და იქაურობა აცრემლებულმა დავტოვე. სხვათა შორის, ერთხელ დეიდაჩემმაც დაახლოებით იგივე მითხრა: ახლა ძალიან კარგი ბიჭია, მაგრამ, მთავარია, როგორი ქმარი იქნებაო.

დაქორწინებიდან პირველი ოთხი წელიწადი მართლაც უბედნიერესი ქალი ვიყავი – ოთო ისევ ისე მევლებოდა თავს, როგორც შეყვარებულობის პერიოდში. გარდა ამისა, მე და ბავშვს რომ არაფერი მოგვკლებოდა, მეორე სამსახურიც იშოვა და ღამეებს ათენებდა მუშაობაში. ხშირად მომხდარა ისე, რომ ღამით სამსახურში რჩებოდა და დილით დაღლილ-დაქანცული ბრუნდებოდა. ძალიან მეცოდებოდა და ვეხვეწებოდი, ერთ-ერთ სამსახურს თავი დაანებე, რაც გვექნება, იმას ვიმყოფინებთ-მეთქი, მაგრამ, ამბობდა, ვერ ავიტან, ჩემს ცოლ-შვილს რამე რომ აკლდეთო. ასეთი დატვირთვის მიუხედავად, ყოველთვის ახერხებდა, თვეში ერთხელ ან ორჯერ ან რესტორანში წავეყვანე, ან კონცერტზე, ან თავის მეგობრებთან წვეულებაზე.

ერთხელ ძალიან ცნობილი ჯაზმენი ჩამოვიდა თბილისში და მითხრა, ბილეთებს შემპირდნენ და კონცერტზე წავიდეთო – იცოდა, რომ ჯაზზე ვგიჟდებოდი. იმ დღისთვის სპეციალურად მოვემზადე, მაგრამ, კონცერტამდე ორი-სამი საათით ადრე დამირეკა და ბოდიში მომიხადა – ბილეთებიც არ მომიტანეს და, თან, ისეთი საქმე გამომიჩნდა სამსახურში, მაინც ვერ წამოვიდოდიო. ძალიან დამწყდა გული, მაგრამ, რა უნდა მექნა. არადა, ბავშვი წინასწარ წავიყვანე დედაჩემთან. ოთოს დარეკვიდან დაახლოებით ერთ საათში ჩემმა დაქალმა, ეკამ დამირეკა და მითხრა, ჩემმა ძმამ კონცერტის ორი ბილეთი მომიტანა, ჩემი შეყვარებული თბილისში არ არის და შენ ხომ არ წამოხვალო. კინაღამ გადავირიე სიხარულით. მაშინვე დავურეკე ოთოს, მაგრამ ტელეფონი გათიშული ჰქონდა. ვიფიქრე, ცოტა მოგვიანებით დავურეკავ-მეთქი და ეკასთან შესახვედრად წავედი. დარბაზში რომ შევედი, იქაურობა უკვე სავსე იყო ხალხით და ჩვენი ადგილების ძებნა დავიწყეთ. მაგრამ, უცებ ეკას გაყინული და დაბნეული სახე შევნიშნე. მის მზერას თვალი გავაყოლე და დავინახე, ოთო ვიღაც ახალგაზრდა ქალთან იჯდა და ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდა, ის კი, ძალიან ნასიამოვნები, კეკლუცად იცინოდა და შუბლით ლოყაზე ეყრდნობოდა. კომენტარიც კი აღარ იყო საჭირო, იმდენად აშკარად იგრძნობოდა მათი ახლო ურთიერთობა. ვერ მოვითმინე, მათთან ახლოს მივედი, ოთოს ხელი დავუქნიე და დავუძახე, ბილეთი უშენოდაც ვიშოვე-მეთქი. საწყალი, ისე დაიბნა, აღარ იცოდა, რა ექნა ან რა ეთქვა. მე კი ბოლომდე არ დავინდე და ღიმილით ვუთხარი (ცხადია, სხვებმაც გაიგონეს): ნუ დაიბნევი, მიპატიებია. ეგ ის ბოზია, ამას წინათ რომ მიყვებოდი-მეთქი? ხომ წარმოგიდგენიათ ან ერთს რა დაემართებოდა და ან მეორეს. სასწრაფოდ დატოვეს იქაურობა, მე კი ჩემს ადგილას დავჯექი და ბოლომდე ვუყურე კონცერტს. ეკა გაოგნებული მიყურებდა – შენ თუ ასე მოიქცეოდი, ვერასდროს წარმოვიდგენდიო.

მერე გავარკვიე, რომ თურმე, ოთო წელიწადზე მეტი იყო, რაც იმ ქალს ხვდებოდა. მე კი ჩემი ჯენტლმენი და რომანტიკოსი ქმარი ღამის ერთადერთ ერთგულ მამაკაცად მიმაჩნდა.

ახლა ცალ-ცალკე ვცხოვრობთ. მართალია, ჯერ ოფიციალურად არ გავყრილვართ, მაგრამ განცხადება უკვე შეტანილი მაქვს. თვითონ ძალიან მეხვეწება, შევრიგდეთო, მაგრამ მის მიმართ არანაირი გრძნობა აღარ მაქვს, თანაც, აღარ ვენდობი და როგორ ვიცხოვრო ასეთ კაცთან?!

**თათია, 35 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

**ამერიკაში დაახლოებით შვიდწლიანი ცხოვრების შემდეგ, სოსო თოლორაია ცოტა ხნით თბილისში დაბრუნდა. ამისთვის კი რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: პირველი ის, რომ 17 აპრილიდან, ქეთი ორჯონიკიძესთან ერთად, „მაესტროზე“ ახალ მუსიკალურ გადაცემას წაიყვანს და, მეორე – სოსომ და კოტიკომ ბიზნესი წამოიწყეს, რომელიც მომხმარებელს საკმაოდ საინტერესო სერვისს სთავაზობს.**

# რის უფლებას აღარ აძლევს კოტიკო თოლორაია საკუთარ თავს დაოჯახების შემდეგ და როგორ გახდა ამერიკაში სოსო თოლორაია „შოშია“

**სოსო**: ეს იდეა ამერიკაში დაიბადა, თუმცა, იქ სხვა ფორმა აქვს: ქართველ მსახიობებს, მომღერლებს ვიწვევ ამერიკაში, ანუ, იქ ქართული პროექტების გაკეთებით ვარ დაკავებული. საქართველოში კი, „სოკო ივენთ გრუპი“ ქართველებს (და არა მხოლოდ ქართველებს), კერძო პირებს, ცნობილ ადამიანებს, ბანკებს, სხვადასხვა დაწესებულებას, რომლებსაც სურთ გარკვეული ღონისძიების გაკეთება, სთავაზობს თავიდან ბოლომდე მომსახურებას, ორგანიზებას – დარბაზში ცხენების შეყვანით დაწყებული, ფოიერვერკით დამთავრებული, ანუ, გააჩნია ფანტაზიას და ბიუჯეტს, ოღონდ, ორივე ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. ესე იგი, დაბადების დღეები, ქორწილები, ბოლო ზარები, კორპორატიული საღამოები – მოკლედ, ყველაფრის ორგანიზებას ვაკეთებთ, თან, მაღალ დონეზე. იდეა, რომელიც მქონდა ამერიკაში ძალიან წარმატებულია, ოღონდ, ცოტა სხვა ფორმით, გადმოვაქართულეთ და ჩვენს საქმიანობაშიც ჩავრთეთ – ეს ეხება სიყვარულის ახსნას. მოკლედ, გულდაწყვეტილ წყვილებს ან გაუბედავ შეყვარებულებს შეგვიძლია, დავუგეგმოთ, თუ როგორ უნდა აუხსნან შეყვარებულს სიყვარული. თუ უკვე ცოლი ჰყავთ, შეუძლიათ, სიურპრიზი მოუწყონ, თავისი „ფლეშ მობებით“, სერენადებით, ბუშტებით და ასე შემდეგ. გვყავს ჩვენი სტაფი, ჩვენი მეგობრები და ამ ყველაფერს ვაკეთებთ უმაღლეს დონეზე.

**– რატომ დაარქვით „სოკო“?**

**კოტიკო**: სო – სოსო და კო – კოტიკო. გარდა ამისა, სოკო ძალიან გემრიელია, მისგან კერძის ბევრი სახეობა კეთდება, დრაგებს შორის წარმატებულია, ყველა კუთხეშია, თან, არსებობს სხვადასხვა ზომის, ფერის. იმის თქმა გვინდა, რომ ჩვენც გვსურს, ვიყოთ უნივერსალები. რაც შეეხება ივენთს, ღონისძიების დაგეგმვას, არ გვაქვს ის მომენტი, რომ ვიღაცას ქორწილი აქვს და ამას არ გავუკეთებთ. მაქსიმალურად ვეცდებით, რამდენიც აქვს ბიუჯეტი, იმის მიხედვით გავუკეთოთ „ჰაი-კლასის“ ივენთი.

**– აქამდე თუ გაგიკეთებიათ საერთო ბიზნესი?**

**სოსო**: რადგან მე წასული ვიყავი, კოტიკოს, ძირითადად, სოლოში უწევდა მუშაობა. „სოკო პროდაქშენის“ ფარგლებში სატელევიზიო პროექტზეც ვმუშაობთ – გვაქვს იდეა, რომ გვქონდეს სტუდია, სადაც ჩავწერთ ჩვენს გადაცემებს, ვითანამშრომლებთ ტელევიზიებთან. კოტიკო ძალიან შრომისმოყვარე ადამიანია და მეც, ამ შვიდ წელიწადში, ეს შეგრძნება კიდევ უფრო გამეზარდა. კოტიკო 13 წლის ასაკიდან მუშაობს, დამოუკიდებლად აქვს შემოსავალი, ძალიან საამაყო ძმა მყავს და, ვეცდებით, რომ ჩვენი ბიზნესი წარმატებული იყოს.

**– სოსო, როგორც ვიცი, მალე „მაესტროზე“ ახალ გადაცემას წაიყვან და ამერიკიდან შენი ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო.**

– „მაგთი“ და „მაესტრო“ ერთად აკეთებენ მუსიკალურ პროექტს – „მაგთიფანი“, რომელიც გავა ონლაინ-რეჟიმში და, რაც მთავარია, განსხვავებული იქნება იმ მუსიკალური პროექტებისგან, რომლებიც აქამდე ყოფილა საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში. მოკლედ, ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო და სამთვიანი კონტრაქტი დავდე მამუკასთან. ვნახოთ, მერე როგორ განვითარდება ყველაფერი. ყოველ შემთხვევაში, მე მოტივირებული ვარ, თან, ახალი სუნთქვა შეინიშნება, სიახლეები, უფრო მეტი თავისუფლებაა. მე და ქეთი ორჯონიკიძე ვართ წამყვანები და, ვფიქრობ, საინტერესო იქნება.

**– ორივე ძალიან მხიარულები, ენერგიულები ხართ, იუმორის გრძნობით.**

**კოტიკო:** ეს მამაჩემისგან გვაქვს გენეტიკურად. მამა იყო ძალიან მხიარული ადამიანი, იუმორის გრძნობა ჰქონდა ფანტასტიკური. ნებისმიერი სირთულის წინაშე რომ ვდგებით, სულ ვცდილობთ, იუმორით გადავაგოროთ. იუმორი არის ჩვენი ძირითადი მამოძრავებელი ძალა. ისევ ისეთია სოსო: მაღალი, თმახუჭუჭა, ცისფერთვალება, ქერათმიანი.

**– კოტიკო, დაოჯახდი და, ალბათ, შენი ცხოვრების წესიც, გარკვეულწილად, შეიცვალა.**

– ჩემი მეუღლე ახლა ამერიკაშია, სოსო პატრონობდა: რძალი, თან ფეხმძიმეო – გადაყოლილი იყო. ახლა ჩემი ძმა რომ ჩამოვიდა, ჩემს რძალთან დარჩა, სოსოს ცოლთან, ერთად ჭუკჭუკებენ და ჩვენ აქ ვჭუკჭუკებთ. რაც დავოჯახდი, უფრო ჩავდექი კალაპოტში. ადრე თუ ხშირად დავდიოდი კლუბებში, ფუჭად ვხარჯავდი დროს, მეგობრებთან ერთად სამი საათი „ჯოკერს“ ვთამაშობდი, რომ დრო გამეყვანა, ახლა აღარ ვარ ასე. სანამ მარიამი აქ იყო, მთელი თავისუფალი დრო ერთად ვიყავით, ხელიხელჩაკიდებულები დავდიოდით. თავს ვეღარ ვაძლევ იმის უფლებას, რომ სულელური ნაბიჯები გადავდგა, ანუ, უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევ მომავალს, რადგან, მარტო აღარ ვარ, მეუღლე მყავს, შვილი გვეყოლება. თუ რამეს დავისახავ მიზნად, სულ ვამბობ: „გაბრიელისთვის“, ანუ, ყველა საქმეს უკვე მის სახელს ვარქმევ. თუ ადგომა მეზარება, ვამბობ: „ეს გაბრიელისთვის, ეს მარიამისთვის“ – და აღარ მეზარება.



კოტიკო: „ჩემი მეუღლე ახლა ამერიკაშია. სოსო პატრონობდა: რძალი, თან ფეხმძიმეო“

**– მარიამი მეხუთე თვეშია. აქ რომ ხარ, აკლდები ყველა იმ საინტერესო მოვლენას, რომელიც მის ცხოვრებაში ხდება.**

– ვლაპარაკობთ სკაიპით, „ვაიბერით“, „ფეისბუქით“, მოკლედ, სულ ონლაინ-კავშირში ვართ. ჩვენ შორის დიდი პრობლემა მხოლოდ დროის საკითხია – ჩვენთან რომ დილაა, იქ ღამეა. ის ცდილობს, ისეთ დროს გაიღვიძოს, რომ მე მეღვიძოს; მეც ვცდილობ, ღამის 2-3 საათამდე „გავქაჩო,“ რომ ვილაპარაკოთ. ახლა ის ეტაპია, როცა ყველაზე მეტად მინდა მის გვერდით ყოფნა, თან, სულ სიახლეებია, შეგრძნებები... მუცელი რომ იზრდება, შიგნით ხმაურობს, ირტყმევინება... პირველად როცა გავიგე, ფეხმძიმედ იყო, იმხელა ვიყვირე. თან, რომ განახვებენ, ხელი სად აქვს, ფეხი სად აქვს. ისე, გოგოსკენ უფრო ვიყავი, რადგან, თოლორაიებს სულ ბიჭები ჰყავთ. ერთი თაკო თოლორაიაა, რომელთანაც გვაქვს ურთიერთობა. მამაჩემსაც, თურმე, ჩემზე სულ გოგო ესიზმრებოდა. მეც ისეთი სიზმრები მქონდა, წესით გოგო უნდა მყოლოდა. სქესი რომ გავიგეთ, ჩემმა ცოლმა მითხრა, სახე აგელეწაო. უბრალოდ, გოგო მამისთვის სულ სხვაა – პრინცესა, „კაბოჩკებით“, თორემ, შვილი – შვილია. ივლისის ბოლოს მაქვს დაგეგმილი წასვლა, მშობიარობას რომ დავესწრო, ცოტა ხანს კიდევ დავრჩები და მერე ჩამოვალ, რადგან, აქაც საქმეები მაქვს. გავიჭირვებთ, იმიტომ, რომ ეს ისევ და ისევ ჩვენი და შვილის კეთილდღეობისთვის კეთდება.

**სოსო**: ძალიან საყვარელი რძალუკა მყავს, არაჩვეულებრივი მომღერალია და მისი მოსმენა ჩემთვის სასიამოვნოა. რომ გავიგე, ჩემი რძალი გახდა, ამ ფაქტმა ორჯერ და სამჯერ უფრო შემაყვარა. ძალიან კარგი ადამიანია. ვფიქრობ, მეც და კოტიკოსაც ცხოვრებაში ამ კუთხით გაგვიმართლა. ახლა სოფოს და მარიამს აქვთ შანსი, რომ ერთად იყვნენ, „იძმაკაცონ“. არაფერი არ ხდება ტყუილად, ალბათ, საჭირო იყო, რომ მათ ჩვენ გარეშე ჩამოეყალიბებინათ ერთმანეთთან ურთიერთობა.

**– სოსო, ამერიკაში სხვადასხვა პროექტში იყავი დაკავებული. ახლა, თბილისში რომ ჩამოხვედი, ალბათ, გადადე რაღაცეები.**

– წინასწარ ვიცოდი, რომ უნდა ჩამოვსულიყავი. ამიტომ, ის პროექტები, რაც ამერიკაში მუშავდება, დაკონსერვებულია. მე და ჩემი შეფი ვძმაკაცობთ, მინდა, აქაც ჩამოვიყვანო – საუბარია „ფერარის“ კლუბის გახსნაზე. როგორც იცი, ის „ფერარის“ ავტომრბოლელია. მოკლედ, დიდი გეგმები გვაქვს. ამერიკაში ხათუნა იოსელიანმა დადგა „თეთრი ბაირაღები“, პრემიერა უკვე ვითამაშეთ. შოშიას როლი შევასრულე, გაქსუებული გამფლანგველი ვიყავი. პერსპექტივები დაისახა გასტროლების სახით. შეიძლება, „სოკო ივენთ გრუპის“ ფარგლებშიც მოვიწვიოთ საქართველოში დასი, ტურნეებშიც წავიდეთ.

**– კოტიკომ შვილი ხომ კარგად გაზრდილი დაგახვედრა...**

– პრაქტიკულად, მამაც და ბიძაც ეს არის. ძირითადი დარტყმები თავის თავზე აიღო კოტიკომ. საამაყო ბიჭი გვყავს ანდრია, ახლა პატარა გაბრიელს ველოდებით და კოტიკოს უკვე მე ავულებ „აბაროტს“. ბავშვობიდან სულ რაღაცას ვაკეთებდი: „კავეენები“, სცენა, სიმღერა და მერე, კოტიკო რომ ამომიდგა მხარში, იმხელა მუხტი დამანახვა, აღარ მქონდა გაჩერების უფლება. ადრეული ემიგრაციის პერიოდში ჩნდება დეპრესიული ფონი და მქონდა მომენტები – თავი ხომ არ გავანებო-მეთქი და ასეთ დროს სულ ჩემი ოჯახი მეხმარებოდა. ბედნიერი ვარ, რომ გავიცანი ჩემი არჩვეულებრივი მეუღლე – სოფო. მისი გაცნობა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემს ცხოვრებაში. ზოგადად, ადამიანი წარუმატებელია, თუ გვერდით არ უდგას ისეთი ადამიანი, ვისაც, შეუძლია, დაეყრდნოს. საბოლოო ჯამში, შვილებიც მიდიან, ყველა მიდის და რჩება ერთი მთლიანი ორი ნახევრისგან შემდგარი ცოლ-ქმარი. უფლის მადლით, ჩვენ ეს მოგვეცა და ვიცით, რომ ამას გაფრთხილება სჭირდება. ჩემი ოჯახის, შვილის არსებობა ყველა სიძნელის გადატანაში მეხმარებოდა, მაგრამ, როდესაც გვერდით, ფიზიკურად გყავს ადამიანი, ვინც ყოველდღე გეუბნება: „მიდი, სოსო, შენ ეს შეგიძლია, უნდა გააკეთო,“ – ეს ძალიან დიდი მოტივაციაა.

**ნათია უტიაშვილი**

**გია ბაღაშვილი და მისი მშვენიერი მეუღლე – თამუნა ტაბატაძე საკმაოდ დატვირთულები არიან როგორც შემოქმედებითად, ისე ოჯახში. მათ ორი პატარა ქალიშვილი ჰყავთ – ნინი და ლიზა ბაღაშვილები. როგორია მათი შემოქმედებითი და პირადი ცხოვრება, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# რა ფანდი არ გაუვიდა გია ბაღაშვილს მეუღლესთან და რა არის მის ცხოვრებაში ყველაზე დიდი აღმოჩენა

**– ბატონო გია, დავიწყოთ თქვენი შემოქმედებით. რა სიახლეები გაქვთ?**

**გია ბაღაშვილი:** საკონცერტო მიმართულებით ორ პროექტზე ვმუშაობთ: ერთი არის „იუმორინა 2013“ – ახალი პროგრამა, რომელიც, სავარაუდოდ, ივნისის დასაწყისში გაიმართება. ადრე კონცერტებს მხოლოდ გაზაფხულსა და შემოდგომაზე ვმართავდით; რამდენიმე წელია, რაც საახალწლო „იუმორინასაც“ ვაკეთებთ, საახალწლო თემატიკაზე აგებულს. ახლა გადავწყვიტეთ, რომ ზაფხულის დასაწყისშიც ჩავატაროთ „იუმორინა“, ასე რომ, ამჟამად ვმუშაობთ ამ პროგრამაზე. გარდა ამისა, წელს ანსამბლ „ივერიის" 45 წლის იუბილეა. ამასთან დაკავშირებით კონცერტის ჩატარებას გვიან შემოდგომაზე ვვარაუდობთ. ვმუშაობ სატელევიზიო პროექტზეც, ჯერჯერობით მოსამზადებელი სამუშაოები გვაქვს, მიმდინარეობს პროექტის დახვეწა. გარდა ამისა, ვმუშაობ ჩემი აღმზრდელის, გამოჩენილი ქართველი ეთნომუსიკოლოგის, პროფესორ კუკური ჭოხონელიძის მონოგრაფიაზე, რომლის დამთავრებაც მან, სამწუხაროდ, ვერ მოასწრო. თავისუფალ დროს კი ვცდილობ, ვიმუშაო საკუთარ მონოგრაფიაზე, რომელსაც რამდენიმე წელია, ვამზადებ.

**– საკმაოდ დატვირთული სამუშაო გრაფიკი გაქვთ. ოჯახს რა დროს უთმობთ?**

– ამაზე თამუნა უფრო დაზუსტებით გიპასუხებთ, თუმცა, შეძლებისდაგვარად, ჩემი აზრით, არც ოჯახს ვაკლებ დროს. თამუნას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ, თუ მე ვახერხებ ასპროცენტიან ჩართვას საქმეში, ეს მისი ძალიან დიდი დამსახურებაა. პირველ ყოვლისა, ახერხებს იმას, რომ თავიდან ბოლომდე მომარიდოს ის ყოფითი თემები, რაც ოჯახშია; მაგრამ, მისი თანადგომა ამით არ შემოიფარგლება, ის პროფესიულადაც ძალიან მეხმარება – ეს ეხება სატელევიზიო საქმიანობას, საკონცერტო პროდიუსინგს, ზოგადად ნებისმიერ თემაზე მუშაობას... ის სრულფასოვნად არის ჩართული ყველა ამ საქმეში. ძალიან გამიმართლა, ასეთი მეუღლე რომ შემხვდა. საკმაოდ რთულია შემოქმედი ადამიანის ცოლობა. თვითონ რომ საოცრად მიდგას გვერდში, ეს მე ვიცი და მე რამდენად ვუდგავარ, ამაზე თავად ისაუბროს *(იცინის).*

**თამუნა ტაბატაძე**: მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დატვირთულია, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა საკონცერტო და სამეცნიერო საქმიანობა მოითხოვს მისი ყურადღების მაქსიმალურ კონცენტრირებას, მაინც ახერხებს ჩემთვის და ბავშვებისთვის დროის გამონახვას. ეს ძალიან დიდი სიხარულია ჩემთვის, ვგრძნობ, რომ თვითონაც სიამოვნებს ეს ყველაფერი.

**– როგორც ვიცი, სწავლობ და შენც არანაკლებ დატვირთული გრაფიკი გაქვს. ადვილად ახერხებ ოჯახისა და სწავლის შეთავსებას?**

**გია**: მე გეტყვით როგორც, ღამეების თენების ხარჯზე *(იცინის).*

**თამუნა**: დიახ, ვსწავლობ კავკასიის უნივერსიტეტში, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე, მარკეტინგის განხრით. ძალიან საინტერესოა ჩემი პროფესია და, სხვათა შორის, ჩემი და გიას სამუშაო ენები დაემთხვა ერთმანეთს – რუსული, ინგლისური, გერმანული. გერმანული ენის სწავლა ახალი დაწყებული მაქვს და გია მეხმარება ხოლმე. ძალიან ბევრჯერ ღამეც კი გაუთენებია ჩემთან ერთად მეცადინეობაში. ნამდვილად ძნელია ოჯახისა და სწავლის ერთმანეთთან შეთავსება, მაგრამ, გიას მხრიდან მორალური და ფიზიკური მხარდაჭერა ამის ძალას მაძლევს. გია არის ადამიანი, რომელსაც ყოველთვის შემიძლია, თამამად დავეყრდნო. გარდა ამისა, ჩვენი მშობლები ძალიან გვიწყობენ ხელს და, მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მათ ამისთვის.

**გია**: პატარებსაც არ დავუკარგოთ თავიანთი წვლილი, რადგან, ღამით გადასარევად სძინავთ – ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ორივეს სძინავს მამაპაპურად, ჯანმრთელად.

**თამუნა**: ერთადერთი ის არის, რომ დილის 6-ზე იღვიძებენ, რძეს მიირთმევენ და ისევ იძინებენ.

**გია**: მე გეტყვით ახლა თამუნას რეჟიმს: დილის 6 საათამდე მეცადინეობს, მერე ბავშვებს აჭმევს და მხოლოდ მერე ახერხებს დაძინებას (იცინის).

**თამუნა**: გია სწავლაში ძალიან მიწყობს ხელს, რადგან, თვითონ არის ზრდაზე მომართული ადამიანი, რაც ჩემთვის ძალიან დიდი ბედნიერება



**თამუნა ტაბატაძე: „გია არის ადამიანი, რომელსაც ყოველთვის შემიძლია, თამამად დავეყრდნო. გარდა ამისა, ბებოები და ბაბუები ძალიან გვიწყობენ ხელს“**

და აღმოჩენაა. მას თვითონ აქვს ინტერესი, რომ პროფესიულად განვვითარდე.

**გია**: ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ, ადამიანი, განურჩევლად სქესისა, აუცილებლად უნდა მიისწრაფოდეს თვითრეალიზაციისკენ. მით უმეტეს მას, ვინც ყველაზე მეტად გიყვარს და ვისთვისაც სიკეთე გინდა, რასაკვირველია, უნდა შეუქმნა ის პირობები, რომ თავს ბედნიერად გრძნობდეს და ამის შემადგენელი განუყოფელი კომპონენტი არის თვითრეალიზება. თვითრეალიზებასაც, თავის მხრივ, რამდენიმე მიმართულება აქვს და მათგან უპირველესია პროფესიული კუთხით განვითარება. მე, პირიქით, ძალიან მიხარია ის, რომ თამუნა თვითონ არის მონდომებული და აქტიურად ჩართული ყველაფერში. მე, მაგალითად, ასეთ თანამშრომელს ხელიდან არ გავუშვებ *(იცინის).*

**– რაც შეეხება პატარებს, ძალიან დაკავებული მშობლები ჰყავთ. ხომ არ გამოთქვამენ პრეტენზიას, რომ უფრო ხშირად იყოთ მათთან?**

– ჩვენ მაინც ვცდილობთ და, საერთო ჯამში გამოგვდის, რომ უმეტესი დრო მათთან ერთად ვიყოთ დღის განმავლობაში სახლში, ან, ისინი იყვნენ ჩვენთან ერთად. მართალია, ამას თამუნა უფრო ხშირად ახერხებს, მაგრამ, მეც ვცდილობ, არ მოვაკლო ყურადღება. ამ მხრივ კარგია ის, რომ ჩემი სამუშაო გრაფიკი არ მოითხოვს მუდამ სამსახურში ყოფნას. ჩემი საქმიანობა ხშირად საწერ მაგიდასთან ჯდომას, ფიქრს, ლეპტოპთან მუშაობას საჭიროებს და ეს, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად ოჯახურ გარემოში, ცოლ-შვილთან ერთად გიხარია. ასე რომ, უმეტესწილად ჩემი ოფისი სახლშია.

**– როგორი მეუღლე და მამაა გია?**

**თამუნა**: გია არაჩვეულებრივი მეუღლეა, ძალიან თბილი და ყურადღებიანი. ძალიან გვანებივრებს მეც და პატარებსაც. როცა გია სახლში არ არის, ისე ენატრებათ ბავშვებს, ტელეფონს მომიტანენ ხოლმე – მამას დავურეკოთო. ცალკე კოალიცია აქვთ მამასთან *(იცინის).* ნინი, ჩვენი უფროსი ქალიშვილი, უარს გვეუბნება ხოლმე ჭამაზე, ცოტა პრეტენზიული მჭამელია. ტკბილეული უყვარს ძალიან – ეს გენეტიკურია ალბათ *(იცინის),* სასარგებლო საკვები კი, რომელიც აუცილებლად უნდა მიიღოს, დიდად არ მოსწონს. ერთხელ გიამ მითხრა, მე ვაჭმევო. მეც, დავთანხმდი და სხვა ოთახში გავედი. როცა უკან დავბრუნდი, თეფში ცარიელი დამხვდა. ცოტა დავეჭვდი, რადგან, ნინი ასე წრაფად არ მიირთმევს ხოლმე *(იცინის).* თურმე, მამიკოს და შვილს საჭმელი გადაუყრიათ.

**გია**: მთლიანად არ გადაგვიყრია, ნახევარი პატიოსნად მიირთვა ნინიმ და მეორე ნახევარი, რომელიც აღარ უნდოდა, მოვიშორეთ თავიდან *(იცინის).* ჩვენ ჩვენი მეთოდი გვაქვს ჭამის – ვთამაშობთ ხოლმე მუსიკის გამოცნობას. ამ გამოცნობა-გამოცნობაში ნახევარი მიირთვა, მაგრამ, საკმაოდ დიდი ულუფა იყო, თან, გვინდოდა დედას გული გაგვეხარებინა, მაგრამ, არ გამოგვივიდა – მიგვიხვდა, არ გავიდა ჩვენი ეს ფანდი *(იცინის).* სხვათა შორის, ნინიმ პატარაობიდან დაგვარქვა სახელები: მე ვარ „მამიკომი" და თამუნა – „დედიკომი".

**თამუნა**: ნინი საკმაოდ ცელქი ბავშვია და ძალიან ინტერესიანი, განსაკუთრებით – მუსიკის მიმართულებით. ყველაფერი აინტერესებს და ყველაფერს თავის ნებაზე გვილაგებს *(იცინის).*

**გია**: დაალაგებს თამუნა თაროებს, ნინი მივა და აურევს. ყველაფერი ორ მეტრ სიმაღლეზეა ხოლმე ატანილი, ძირითადად კიბით ვსარგებლობთ *(იცინის).*

**თამუნა**: ლიზა უფრო მშვიდი და თვინიერი ბავშვია, ძალიან ღიმილიანი. მასაც ძალიან უყვარს მუსიკა, განსაკუთრებით კი – ხალხური სიმღერები და ანსამბლ „ივერიის" რეპერტუარი. ჩემთვის ეს განსაკუთრებით სასიხარულოა, რადგან, მე თვითონ ანსამბლ „ივერიის" სიმღერებზე ვარ გაზრდილი.

**გია**: მუსიკალურ მხარეს რაც შეეხება, ამაზე, შევეცადეთ, თავიდანვე გვეზრუნა: ორივეს სულ პატარაობიდან ვასმენინებთ ხალხურ სიმღერებსა და საგალობლებს. ურთულეს ქართულ მრავალხმიანობას ნაზიარები ბავშვის სააზროვნო პროცესები, როგორც მუსიკაში, ისე მუსიკის მიღმა, ბევრად უფრო აქტიურად წარიმართება. ნინი ახლა არის 2 წლის და 9 თვის, ამ ბოლო დროს შევეპარეთ კლასიკურ მუსიკასაც და ეს ყველაფერი ხდება თამაშ-თამაშით. განსაკუთრებით მოსწონს მოცარტი, აქვს საყვარელი კომპოზიციებიც: შტრაუსის ვალსი, მენდელსონის მარში „ზაფხულის ღამის სიზმრიდან".

**– ბატონი ჯემალი, ალბათ, ძალიან უყვართ შვილიშვილებს.**

**თამუნა**: ნინის და ლიზას ძალიან დიდი კონკურენცია აქვთ ბაბუაზე. „ბაბუკა" დაარქვეს და, სახლში რომ შემოდის, ჩხუბი აქვთ იმაზე, რომელი ჩაეხუტება პირველი *(იცინის).* გიჟდებიან, ისე უყვართ. ბაბუკაც სულ ეთამაშება მათ. ზაფხულში კი, როცა საგურამოში ვართ, საღამოობით კონცერტებს უტარებს ხოლმე და ახალ-ახალ სიმღერებს ასწავლის.

**ხატია კარანაძე**

# როდის ტყუვდება მამაკაცი, როცა თავი ოჯახში მთავარი პერსონა ჰგონია და რით არის საშიში ქალის დეპრესია



**ფსიქოლოგები გვირჩევენ – გავაკეთოთ ყველაფერი, რომ სტრესი ჩვენი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად არ იქცეს; კიდევ უკეთესი, თუ სტრესს საერთოდ არ შემოვაყოფინებთ ცხვირს ჩვენს ყოველდღიურობაში, მაგრამ საქმე ასე მარტივად არ არის. ცხოვრება მოულოდნელობებით არის სავსე. სტრესი როდის გეწვევა, წინასწარ ამას ვერ განსაზღვრავ – ის თითქმის ყოველთვის მოულოდნელად მოდის. მაგრამ, ერთი რამ მაინც უნდა მოახერხოთ – საკუთარ თავს უთხრათ, რომ, რაც ხდება, ყველაფერს უკეთესობისკენ მივყავართ. სულიერი წონასწორობის აღდგენის მზა რეცეპტი არ არსებობს – ყველას საკუთარი, ინდივიდუალური მიდგომა აქვს. თუმცა, ეს არც ისე უწყინარი გასართობია და ძალიან ვნებს ტრადიციულ ურთიერთობებს. მაგრამ, მაინც ძნელი სათქმელია, ვინ არის ამ ყველაფერში დამნაშავე...**

თეონა *(36 წლის)*: არსებობს კი წამალი იმ მდგომარეობიდან გამოსაყვანად, რომელშიც მე აღმოვჩნდი?! ვფიქრობ, რომ არა. უბრალოდ, ადამიანები ზოგჯერ თავს ვიმშვიდებთ ან ვცდილობთ, დავიმშვიდოთ – ეს, ალბათ, ჩვენი იმუნიტეტი მუშაობს. რაღაც ეტაპზე თითქოს კარგად ხარ, მაგრამ, მერე ხვდები, რომ პრობლემები მოიმატე, ჩიხში შეხვედი. აღარც რჩევა გშველის და აღარც მეგობრების მხარდაჭერა – მარტო ხარ უთანასწორო ბრძოლაში. თანაც, რა შევამჩნიე, იცით? თუ ერთხელ დაცურდი თავდაღმართზე, მერე ინერციით მიდიხარ ქვემოთ და დამუხრუჭება ძალიან ძნელია. ჩემი ქმარი, ერთი შეხედვით, უწყინარი ადამიანია, მშვიდი და წესიერი; მაგრამ, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. მე მინახავს ის გაცოფებული და ცეცხლისმფრქვეველი. ამ ყველაფრის მიზეზი მე ვიყავი და ახლა მიკვირს, როგორ მშვიდად შევცქეროდი მას თვალებში, როცა მთელი ხმით ღრიალებდა – საზიზღარი ძუკნა ხარ, ეს როგორ გააკეთეო. ცხოვრებაში პირველად, ფეხებზე მეკიდა, რას ფიქრობდა ჩემზე ერთ დროს საყვარელი ქმარი და, საერთოდ, ყველა. არადა, საკმაოდ სტერეოტიპული ადამიანი ვარ – ყოველთვის ვითვალისწინებდი საზოგადოების აზრს. ასე გამზარდეს და რაღაც მომენტამდე მეც ასე მიმაჩნდა მართებულადაც და ეთიკურადაც. ათწლიანი ოჯახური ცხოვრების სტაჟი მაქვს. ჩემი ქორწინება საკმაოდ მტკიცე იყო, მიუხედავად იმისა, რომ რაღაც პატარა ჩავარდნები გვქონდა.

**– „პატარა ჩავარდნებს" რას ეძახით?**

– ჩხუბსა და შერიგებას. გაუგებრობებიც გვქონია და წყენაც, ოღონდ, ხმამაღალი სკანდალებისა და წამოძახებების გარეშე. განქორწინებაზე ხომ მინიშნებითაც კი არ ყოფილა საუბარი. ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, საერთოდ ვერ წარმოვიდგენდი, რომ მე ეს ამბავი დამემართებოდა. ფსიქოლოგები, ალბათ იტყვიან, რომ დეპრესიაში, სტრესის გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანი ზოგჯერ არაადეკვატურად იქცევა და, შეიძლება, თვადაც არ ესმოდეს, რაზეა წამსვლელიო.

**– რას გულისხმობთ?**

– კრიტიკული სიტუაციიდან გამოსავლის ძებნის გზებს. ჩვენ ყველა ჩვენებურად ვცდილობთ, გავუმკლავდეთ პრობლემას. წყენას, სევდას, ტკივილს, სტრესს და უბრალოდ, ცუდ განწყობას. მამაკაცები უფრო ხშირად სასმელს ან მოსაწევს მიეძალებიან; ზოგი, მაგალითად, ჩემი მეგობრის ქმარი, სათევზაოდ დადის. ქალები ვიცი, ასეთ დროს ქსოვენ ან ქარგავენ. ინტერნეტსივრცეში ურთიერთობების გაბმაც ასეთი საშუალებათაგანია. უკიდურესი ვარიანტი ახალი პარტნიორია და მე, ჩემდა უნებურად, ამ გზით წავედი. სამწუხაროა, რომ ჩემი მდგომარეობის გამო აქამდე მივედი. რომ მეგონა, ქმარი ერთადერთი მამაკაცი იქნებოდა ჩემს ცხოვრებაში, დღეს საყვარელი მყავს. რეალობა ერთია, რომელსაც ვერაფრით ვეგუები – შინაგანი პროტესტი მაქვს.

**– პროტესტი რის მიმართ?**

– საკუთარი თავის მიმართ – ის გავაკეთე, რაც ჩემში არ იყო. ხვდებით, ხომ, რასაც გეუბნებით? ვფიცავ, ეს არ იყო ჩემი არჩევანი. ძალიან გავწამდი და ძალიანაც ვინერვიულე, მაგრამ... იყო მოკლე პერიოდი ჩემს ცხოვრებაში, როცა ჩემ მიერ გამოგონილ სამყაროში ვცხოვრობდი. იცით, ეს რას ნიშნავს? სრულ ჯოჯოხეთს. გამოგონილი ვნება, გამოგონილი ემოცია... რა მექნა! ვგრძნობდი, რომ, სხვანაირად, გავგიჟდებოდი. რეალური ცხოვრება, როგორი პრობლემებით დახუნძლულიც არ უნდა იყოს, ბევრად ჯობია ვირტუალურს.

**– ახლა ხომ გაქვთ რეალური და პრობლემებით „დახუნძლული" ცხოვრება, კმაყოფილი ხართ?**

– დიახ. პრობლემები კი მაქვს, მაგრამ, თავს გამოცარიელებულად და გამოშიგნულად აღარ ვგრძნობ. თუმცა, სინდისიც მაწუხებს. ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, იქნებ, ასე არ უნდა მოვქცეულიყავი-მეთქი, მაგრამ, ეს მდგომარეობა მაინც მირჩევნია. კაცები რომ ხვდებოდნენ, რა მდგომარეობამდე მივყავართ ქალები და როგორ მარხავენ ჩვენს გრძნობებს, იქნებ სამყარო უფრო ლამაზი ყოფილიყო.

**– მხოლოდ მამაკაცები არიან დამნაშავენი იმაში, რომ ჩვენი ცხოვრება მუქი ფერებით არის სავსე?**

– არ ვიცი, შეიძლება, ქალებიც ვაშავებთ. მაგრამ, ვფიქრობ, მამაკაცებს მეტი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ – ჩვენზე მეტი შესაძლებლობები აქვთ და იმიტომ. ხომ უნდათ, რომ ყველაფერში მთავარი იყვნენ, ყველაფერი მათ ეკითხებოდეთ და ყველაფერს თავად წყვეტდნენ?! მაშინ, კეთილი ინებონ და შეგვიქმნან პირობები, რომ წინააღმდეგობის გაწევა არ მოგვიწიოს. კაცების ბრალია, რომ ჩვენ გამუდმებით ბრძოლა გვიწევს და ქალობასაც ვკარგავთ. ვისაც გნებავთ, იმას დავუმტკიცებ, რომ არც ერთ ქალს არ უნდა, კაცს ბრძოლა გამოუცხადოს და ამ ომში იცხოვროს. ვინ იტყვის, რომ ეს სასიამოვნო შეიძლება იყოს, ეს ხომ გამორიცხულია?! საერთოდ, ადამიანები ძალიან შეიცვალნენ – ურთიერთობებმა ფასი დაკარგა, სიყვარული და ერთგულება გაუფერულდა. ალბათ, გაგელიმებათ – მე ვუღალატე ქმარს და მე ვლაპარაკობ ერთგულების გაუფერულებაზე. მაგრამ, ამან გადამარჩინა – ჩემი დეპრესიისთვის საუკეთესო წამალი აღმოჩნდა.

> **რომ მეგონა, ქმარი ერთადერთი მამაკაცი იქნებოდა ჩემს ცხოვრებაში, დღეს საყვარელი მყავს**

ერთი წლის წინ ჩემს ქმარს ხასიათი მკვეთრად შეეცვალა. დღემდე ვერ ვხსნი მიზეზს, რის გამო შეიძლებოდა, ეს მომხდარიყო.

**– საყვარელი გაიჩინა თუ ფინანსური პრობლემები გქონდათ?**

– საყვარელი არ გაუჩენია, არც ფინანსური პრობლემები გვქონია – მეც ვმუშაობ, ისიც და კარგად გვყოფნის. უბრალოდ, ჩემი ქმარი ძალიან ამბიციური ადამიანი აღმოჩნდა. რაღაც ეტაპამდე ამას არ ავლენდა, სანამ მისი რამდენიმე ძმაკაცი ძალიან არ „გაიქაჩა" სოციალურ კიბეზე, რამაც ეს ნელ-ნელა დაბოღმა. თურმე, თვითონაც ჰქონდა რაღაც კონკრეტული მიზნები და „ჩალიჩობდა" კიდეც, ამ მიმართულებით. სამწუხაროდ (და ამას გულწრფელად ვამბობ), არაფერი გამოუვიდა. წინ ვერ წაიწია და ნელ-ნელა ეს მის ხასიათს ძალიან დაეტყო – დაკომპლექსდა და პიროვნულად შეიცვალა. მე არ მელაპარაკებოდა ამ თემაზე, საკუთარ თავში ჩაიკეტა და დამუნჯდა. სამაგიეროდ, გახდა აგრესიული, უკონტაქტო, მხოლოდ ერთი ტექსტი ჰქონდა ამოჩემებული: ჩემი სტატუსი დამამცირებელია. ორმოცი წლის კაცს ამაზე მეტისთვის როგორ არ უნდა მიმეღწია ცხოვრებაშიო. ჩემზე უტვინოები მინისტრები ან მილიონერები გახდნენ, მე კი ერთ ადგილს ვტკეპნიო. მე ძალიან თანავუგრძნობდი, ვეფერებოდი, მაგრამ, სიახლოვეს არ მიკარებდა, ხელს მკრავდა – მომშორდიო. მე ასეთ საშინელ მდგომარეობაში ვარ და შენ ჩემი საერთოდ არ გესმისო. ესეც რაღაც ფორმით დეპრესია იყო. განა ვერ ვიგებ და ეგოისტი ვარ, მაგრამ, რისთვის არიან საყვარელი ადამიანები საჭირონი? მე ქმარი მარტო იმიტომ ხომ არ მინდოდა, რომ მომევლო მისთვის? რა, მრეცხავი ვიყავი თუ დამლაგებელი?! მარტო სექსიც არ არის ყველაფერი, მაგრამ, ამ სექსის გარეშეც საშინელებაა, როცა ჯანმრთელი მამაკაცი გვერდით გყავს. მინდა, სწორად გამიგოთ. არ მოეფერო, არ მიეკარო, არ დაელაპარაკო, არ ჩაეხუტო... აბა, რა უნდა მექნა? რა ვქნა, მე მიმაჩნია, რომ სითბო, ყურადღება და სიყვარული ყველაფრის წამალია. ლამის გამაგიჟა საკუთარი უსუსურობის განცდამ, რომ ვერაფრით ვეხმარებოდი. გეფიცებით, ძალიან დიდხანს ვუმეორებდი – ყველაზე კარგი, ყველაზე ჭკვიანი და ყველაზე ნიჭიერი ხარ-მეთქი. თუმცა, არაფერმა გაჭრა. ეკლები გამოისხა და ერთხელ გამომიცხადა, ალერგია მაქვს შენზეო. იდიოტი ხარ, თუ ვერ ხვდები, მე ახლა რა მდგომარეობაში ვარო. ველოდებოდი, ვფიქრობდი, ეს ახლა „შავ ზოლშია" და გაუვლის-მეთქი. მაგრამ, გაუარა კი არა, პირიქით, კიდევ უფრო დამძიმდა. ერთბაშად ვერც მივხვდი, რომ მეც სერიოზული დეპრესია დამეწყო. ჩემი ქმარი დღითიდღე მშორდებოდა. ღამით მარტო წანწალს შეეჩვია – ადგებოდა და მიდიოდა, მე კი კოშმარში ვრჩებოდი, ტირილისგან თვალებდასიებული და გულგახეთქილი. ვერავის ველაპარაკებოდი ამაზე. მარტოსულობა საშინელ-

# როგორ იპოვეს ერთმანეთი ნათესავებმა უკრაინიდან საქართველოში და შეხვდებიან თუ არა ისინი ერთმანეთს

*49 წლის ნიკოლაი ანატოლის ძე ბევზენკო ეძებდა 75 წლის მარია ონიაშვილს.*

**ისტორია**: ვეძებ მამიდას (ბებიაჩემის დისშვილს), დაახლოებით 75 წლის მარია ონიაშვილს. მამასთან კავშირი 1973 წლიდან არ გვაქვს. იმ დროს მე ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, მაგრამ მამიდა კარგად მახსოვს. ოჯახში შეგვრჩა მარიას ერთადერთი ფოტო, რომელზეც ის ხელმარცხნივაა. მე უკრაინაში ვცხოვრობ და დიდი იმედი



მაქვს, რომ მამიდის და მისი ნათესავების პოვნაში დაგვეხმარებით.

**ჟურნალისტის შენიშვნა**: ეს ისტორია რუბრიკა „დაკარგულებში" დაიბეჭდა. ქალბატონი მარია ონიაშვილი ნაპოვნია. დღევანდელი ჩვენი რუბრიკის სტუმარი კვლავ ნიკოლაი ბევზენკოა, რომელიც თავად გაუზიარებს ჩვენს მკითხველს თავის სიხარულს.

**– ფიქრობდით, რომ დაკარგულ ნათესავს, რომელთანაც კავშირი 1973 წლის შემდეგ არ გქონიათ, ასეთ მოკლე დროში იპოვიდით?**

– პირველ ყოვლისა, მინდა მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, მთელ თქვენს რედაქციას და თქვენი რუბრიკის თითოეულ მკითხველს. მე ძალიან გახარებული ვარ, რადგან, ჩემი ნათესავი, მარია ონიაშვილი ნაპოვნია. ჩემს განაცხადს როცა ვათავსებდი საიტზე, სულ არ ვფიქრობდი, რომ ჩემს ასეთ ისტორიას მოკლე დროში გამოეხმაურებოდა ვინმე, რადგან, ვიცი, რომ უმრავლეს შემთხვევაში ადამიანის მოძებნას თვეები, ხანდახან კი წლებიც სჭირდება. დღესდღეობით მე უკრაინაში ვარ. საქართველოს ნებისმიერ ქალაქში რომ ვყოფილიყავი, აუცილებლად პირადად გეტყოდით მადლობას. მარია ონიაშვილი ბებიაჩემის დისშვილია, მე მას ძალზე ვაფასებ და ძალიან მინდოდა მისი პოვნა. რთულია, როდესაც ნათესავებთან კავშირი არ გაქვს, არა იმიტომ, რომ დროს ვერ ნახულობ მათთან ურთიერთობისთვის, არამედ, იმიტომ, რომ ისინი შენგან შორს არიან და შენ მათი არანაირი კოორდინატი არ გაგაჩნია. მთავარია, ჩვენ შორის კავშირი აღდგენილია ახლა უკვე ტერიტორიული სიშორე საშიში აღარაა. ყველანაირად გავუფრთხილდები ჩემს ნაპოვნ ნათესავებს და მათთან კავშირს აღარ შევწყვეტ. ძალიან გამიხარდა, როდესაც მითხარით, რომ მარია ნაპოვნია და ის ჩემს ზარს ელოდება.



**– აღმოჩნდა, რომ მარიასაც ძალიან უნდოდა თქვენთან დაკავშირება, მაგრამ, მან არ იცოდა თქვენი კოორდინატები.**

– დიახ, როგორც გითხარით, მას შემდეგ, რაც მარია ჩვენთან, უკრაინაში, ბოლოს იყო ჩამოსული, ჩვენ შევიცვალეთ საცხოვრებელი მისამართი და, ბუნებრივია, ის ვერ დაგვიკავშირდებოდა. კარგია, რომ არსებობს თქვენი რუბრიკა, რომელიც ხალხს ასე ახარებს.

**– აპირებთ თუ არა საქართველოში ჩამოსვლას?**

– ძალიან მინდა ჩემი ნათესავების ნახვა, ბოლოს მარია რომ ვნახე, პატარა ვიყავი. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ჩამოვიდე საქართველოში, მაგრამ, ეს გარკვეულ თანხებთან არის დაკავშირებული. ამიტომ, არ ვიცი, რამდენად შევძლებ ამას. მთავარი მაინც ისაა, რომ მე ვიპოვე ნათესავი. ჩემი ოჯახის წევრებს იმედიც კი არ ჰქონდათ მარიას პოვნის, მაგრამ ეს მაინც მოხდა. ახლა ყველანი ძალიან გახარებულები ვართ, ჯერ ერთი იმით, რომ ნათესავი ვიპოვე; მეორეც იმით, რომ, თუ მოვინდომებ, საქართველოში ჩამოსვლასაც შევძლებ.

**– სამწუხაროდ, დაკარგულ ადამიანთა რიცხვი ბევრად აღემატება ნაპოვნ ადამიანთა რაოდენობას. რას უსურვებდით მათ, ვინც დღემდე ეძებს თავის ნათესავს?**

– მინდა, ყველას ვუსურვო წარმატება ახლობლების მოძებნაში და, რა თქმა უნდა, მოთმინება. სამაგიეროდ, როდესაც პოულობ შენს ახლობელს, ძალიან დიდი სიხარული გეუფლება და მაშინვე გავიწყდება, რამდენი ხანი ეძებდი მას. მარია ონიაშვილის ძებნის შესახებ განაცხადი „ჟდი მენიას" სამძებრო საიტზე სამი თვის წინ განვათავსე და ჩემთვის მართლა წარმოუდგენელი იყო (მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებ, რომ მარიას შესახებ 1973 წლიდან არაფერი მსმენია) ჩემი ნათესავის ასეთ მოკლე დროში მოძებნა. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ ყველა ისტორიის წარმატებით დასასრულებლად და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ჩემი დახმარებისთვის!

***თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 233-42-24; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

---

ება ყოფილა – დამანგრეველი და მომსპობი. ჰოდა, ერთხელაც, სრულიად უცხო – მამაკაცს მხარზე თავი მივადე და ავტირდი. ვერ წარმოიდგენთ, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკო, თქვენთვის გასაგები ვერ გახდება ის მდგომარეობა, რომელშიც იმ მომენტისთვის ვიყავი. სამწუხაროდ, ის უცხო კაცი გაცილებით ახლობელი აღმ-

**გამოგონილი ვნება, გამოგონილი ემოცია... რა ვქნა? ვგრძნობდი, რომ, სხვანაირად, გავგიჟდებოდი**

ოჩნდა ჩემთვის და უფრო კარგად გამიგო, ვიდრე ქმარმა, რომლის გვერდითაც ათ წელიწადზე მეტი გავატარე. ამ ადამიანმა ერთ თვეში ისე კარგად გამიცნო, რომ ჩემი სულის ყველაზე შორეულ ხვეულებს ჩასწვდა. ისე მიგებს, ლაპარაკიც არ მჭირდება. თურმე რამდენი რამე მკლებია; კაცის სითბოს როგორი დეფიციტი და მოთხოვნილება მქონია. აღარ ვარ ჩამქრალი და განადგურებული, მე გავცოცხლდი.

**– ქმარს, ალბათ, უმალავთ ამ ამბავს.**

– სულაც არ ვუმალავ. უკვე მოვუყევი ყველაფერი და ეს საერთოდ არ გამჭირვებია. ალბათ იმიტომ, რომ ჩემი ეს ნაბიჯი იმ მომენტში ერთადერთი წამალი და გამოსავალი იყო ჩემთვის. ქირურგი ხომ კვეთს ფეხს ან ხელს, რათა დანარჩენი ორგანიზმი გადაარჩინოს?! ჰოდა, მეც მოვიკვეთე პასუხისმგებლობა ქმრის მიმართ და ეს ვუთხარი კიდეც.

**– რა გითხრათ?**

– პირველი რეაქცია ბუნებრივი იყო: წაეთრიე ჩემი ცხოვრებიდანო, – ღრიალებდა. შვილებიც წაიყვანე და წადი, შენნარი ძუკნას შვილები არ მჭირდებაო. მერე დაუბრუნდა საღად აზროვნების უნარი და ძალიან ნანობს. არ დამტოვოო. ვიცი, მე მიგიყვანე ამ ზომამდეო. მეცოდება და ამიტომ ვერ ვტოვებ. თორემ ვგრძნობ, სულიერადაც და ფიზიკურადაც უკვე მეორისაკენ მივიწევ. ჩვენ ერთი მთლიანობა ვართ, ქალად თავს მხოლოდ მის გვერდით ვგრძნობ.

**– იმას უნდა თქვენთან ყოფნა?**

– ძალიან. თვითონ ცოლი არ ჰყავს. მეხვეწება, მასთან წავიდე სამუდამოდ ჩემი შვილებიანად და ოჯახი შევქმნათ.

**– თქვენ რას აპირებთ?**

– არ ვიცი. ალბათ, ქმარს ვერ მივატოვებ. გეუბნებით, მიჭირს. ვიცი, რომ დაიღუპება. ბავშვებსაც, ალბათ, საკუთარ მამასთან უნდათ ცხოვრება, როგორიც არ უნდა იყოს ის.

**– თუ ქმრის მიმართ პასუხისმგებლობას არ გრძნობთ, მაშინ, თქვენი ასეთი დამოკიდებულება გაუგებარია.**

– ჩემთვის არ არის გაუგებარი. პირიქით, სრულიად გასაგებია. შვილს ხომ ვერ მიატოვებს ნორმალური დედა? – ზუსტად ასეთი განცდა მაქვს, ჩემი ქმრის მიმართ, თორემ, როგორც მამაკაცი აღარ მაინტერესებს.

**– ამას იმიტომ ამბობთ, რომ მას ახლა არავინ ჰყავს, თქვენ კი მოახდინეთ თქვენი გრძნობებს რეალიზება.**

– ვერ გეტყვით, შეიძლება, ასეც არის. ანუ, საყვარელი რომ ჰყავდეს, მოვებღაუჭები? რა გითხრათ... ძალიან მძიმე მდგომარეობაა. ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, იქნებ ღირდეს ჩვენი ოჯახის გამთლიანება, იქნებ ისევ ვიგრძნო ქმრისადმი ლტოლვა და ხელახლა დავიწყოთ ყველაფერი?! მაინც მენანება ჩვენი ათწლიანი ურთიერთობა.

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ასეთი რაღაც მეც დამემართებოდა. ნუთუ „საშუალო ასაკის" კრიზისი მაქვს და ასეთი მოვლენა მართლა არსებობს?! ადრე ისეთი ხალისიანი ვიყავი – არაფერი მეზარებოდა, სამუშაო არ მღლიდა, ვოცნებობდი, უმნიშვნელო რამეც კი სიამოვნებას, სიხარულს მგვრიდა. ახლა კი ასე აღარ არის. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ქმარიც შეცდომით ავირჩიე და პროფესიაც. მეგობრებიც მაღიზიანებენ. არადა, თითქოს ყველაფერი წესრიგშია. ვხვდები, რომ პრობლემა ჩემშია. როგორ მოვიქცე?**

**გამოხმაურება:** 30-40 წლის ასაკში ფასეულობების გადაფასება ხდება და ეს ნორმალურია. მთავარია, სწორად განსაზღვროთ პრიორიტეტები და იმედგაცრუებას გასაქანი არ მისცეთ. იფიქრეთ იმაზე, რომ ყველაფერი კარგად იქნება, თანაც – აუცილებლად. თქვენს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება და მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, როგორი წარმატებით წარმართავთ.

**ფსიქოლოგი
მაგდა რობაქიძე**

**„სხვა შუადღიდან“ გაუჩინარებული ლიკა ევგენიძის გარშემო თბილისში უამრავი მითქმა-მოთქმა დაიწყო. ზოგიერთი ამას მთავრობის ცვლილებებსაც კი უკავშირებდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ „კვამლი ცეცხლის გარეშეც“ ჩნდება და ლიკას ამერიკაში გადასვლის მიზეზი ძალიან მარტივი და არგუმენტირებულია. იმისთვის, რომ ლიკამ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობა მიიღოს, ერთი წლის განმავლობაში ქვეყნიდან გასვლის უფლება არ აქვს. „იძულებით პატიმრობას“ ლიკა უფრო იოლად შეეგუა, რადგან ამ ერთ წელს მისი ორსულობა დაემთხვა, რომლის გატარება ისედაც ამერიკაში ერჩივნა.**

# ვისი ტყვეა ლიკა ევგენიძე და რის გამო დატოვა მან თბილისი

**ლიკა ევგენიძე**: სიგიჟემდე მენატრება თბილისი. იცით, რომ ჩემთვის უცხოეთში ცხოვრება რთული არ არის, ამდენი წელი მოსკოვში ვცხოვრობდი, ანა-სოფიაც ამერიკაში გავაჩინე და შეჩვეული ვარ ჩემი ქალაქის პერმანენტულ მონატრებას. მაგრამ, ახლა სხვა სიტუაციაა, სამსახური დავტოვე, საქმე, რომელიც მომწონდა და ის ადამიანები, ვისთან ერთადაც ვმუშაობდი. ამ წამოსვლის დროს ყველაფერი კარგად დაემთხვა. ამერიკული ბიუროკრატიული კანონების გამო ერთი წლით წამოსვლა ისედაც მიწევდა. „გრინ ქარდი“ მივიღე და იმისთვის, რომ „გრინ ქარდი,“ ანუ ცხოვრების უფლება უკვე მოქალაქეობაში გადავიდეს და ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე გავხდე, აუცილებელია ქვეყნის ტერიტორია ზუსტად ერთი წლის განმავლობაში არ დავტოვო. ამერიკელების ტყვე ვარ მთელი წლით ***(იცინის).*** ზუსტად ნოემბრამდე. ნოემბერში საბუთებს შევიტან, დასრულდება პროცესი და მერე ჩვეულებრივად ვივლი. ერთია თბილისის მონატრება და მეორე პროტესტის გრძნობა, რომ ქვეყანა არ უნდა დატოვო. საშინელ ხასიათზე მაყენებს ეს ამბავი ***(იცინის).*** ორსულად ვარ, მეორე შვილს ველოდები და შესაძლოა, ეს ერთი წელი ისედაც არსად წავსულიყავი, მაგრამ როცა ჩარჩოებს გიწესებენ, საშინელება ყოფილა. მგონია, დატუსაღებული ვარ ***(იცინის).*** არა უშავს, ორსულობას უფრო წყნარ, მშვიდ ვითარებაში ვატარებ.

**– ორსულობა დაემთხვა თუ დაგეგმილი გქონდა მეორე შვილის გაჩენა?**

– დაემთხვა. აქ რომ ჩამოვედი, მერე გავიგე. კარგად აეწყო ყველაფერი. ბარემ ერთიანად მოვილევ ამერიკულ საქმეებს და მერე წყნარად ჩამოვალ.

**– ანა-სოფია მოქალაქეა არა?**

– ანა-სოფიაც და ნიკაც. ნიკაც აქ დაიბადა, ანა-სოფიაც და პატარაც აქ დაიბადება, მე ვრჩებოდი მხოლოდ მოქალაქეობის გარეშე და ნოემბერში დავეწევი მათ.



**პირველი შეუცნობლის და მეორე შეცნობილი, გააზრებული ბედნიერების მოლოდინია**

**– მსოფლიოში ყველა ადამიანი, მგონი, ამ ქვეყნის პასპორტზე ოცნებობს...**

– მარტივია გადაადგილება და იმიტომ, არ არის საჭირო ვიზები. შეგიძლია, აიღო ბილეთი და ნებისმიერ ქვეყანაში ჩახვიდე.

**– რამდენი თვის ორსული ხარ?**

– ექვსის. ივლისში ველოდები პატარას, რა სიცხე იქნება, წარმომიდგენია. ანა-სოფია 25 მაისს გაჩნდა და ისეთი არანორმალური სიცხე იყო, ბავშვი გარეთ ვერ გამყავდა, იწვოდა ყველაფერი. ახლა წარმომიდგენია, რა იქნება, შეიძლება, მოვიხარშოთ.

**– სქესი იცით?**

– კი, ბიჭია. სიმართლე გითხრა, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ბიჭი იქნებოდა თუ გოგო, მაგრამ ორივე რომ გყავს, კარგია. მესამეზე აღარ ნერვიულობ და მართლა აღარანაირი მნიშვნელობა არ აქვს ბავშვის სქესს. მაგრამ არც ამ შემთხვევაში იყო განსაკუთრებული მოლოდინი სქესის მიმართ, მაინც ერთნაირად გაგვიხარდებოდა მეც და ნიკასაც. მასაც არ ჰქონია არასდროს ბიჭის ისეთი სურვილი, ზოგადად, კაცებს რომ ახასიათებთ. გიჟდება ანა-სოფიაზე. მთლიანად ვარ ახლა გადართული ანა-სოფიაზე. ბაღში მივიყვანეთ, სწავლობს ინგლისურს, ლექსებს ყვება. ძალიან სასაცილოდ ლაპარაკობს შერეულ ენაზე ***(იცინის).*** წინადადებაში ზოგ სიტყვას ქართულად ამბობს, ზოგს ინგლისურად. პირველივე კვირას წავიდა თუ არა ბაღში, ვირუსი მოგვიტანა.

**– რაც ამერიკელები აცრებს იკეთებენ, კიდევ აქვთ ვირუსები?**

– ზუსტად იგივე, თან, რაც მანდ. ენტეროვირუსები, გრიპის ის ფორმები, რაც თბილისში იყო. მიუხედავად იმისა, რომ გრიპზე ავცერი, მაინც გადაედო. აქაც ზუსტად იგივე ფორმებია მკურნალობის, რაც მანდ, მაგრამ თბილისში უფრო გიადვილდება ექიმთან ურთიერთობა. ბავშვის ექიმს რომ დაურეკავ, დღის ნებისმიერ მონაკვეთში შეგიძლია, აჩვენო, ან ტელეფონით მოგცემს რაიმე მითითებას, ყველაფერზე ექიმს ურეკავ მოკლედ. აქ კი ასე არ არის. თუ სიცხე ამაზე მაღალი, ან სიცხეები ამდენ დღეზე მეტხანს უგრძელდება, მხოლოდ ასეთ დროს უნდა მიმართო ექიმს.

**– ანუ, ჩვენნაირი ფეთიანი დედებისთვის ამერიკული ჯანდაცვის სისტემა არ ვარგა.**

– არა ***(იცინის).*** მანდ ეგრევე აჩვენებ, დამშვიდდები. აქ კი რამდენიმე დღე თავად გიწევს ბრძოლა და თუ რაღაც გართულდა, მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლია, აჩვენო ექიმს.

**– მეორე ორსულობა განსხვავებულია?**

– ცოტა სხვანაირი აღქმაა. პირველი მაინც პირველია და არ იცი, რას ელოდები, უფრო დაბნეული და შეშინებული ხარ. ფიქრობ ამ ცვლილებაზე – როგორი იქნება შენი ცხოვრება ამის შემდეგ, იმ სიყვარულსაც ვერ აღიქვამ, რაც ამ არსების გაჩენას მოჰყვება შენში. პირველი შეუცნობელის და მეორე – შეცნობილი, გააზრებული ბედნიერების მოლოდინია.

**– ფიზიკურად არის რაიმე განსხვავება?**

– არა, სხვათა შორის. პირველზეც არ გავსუქებულვარ დიდად და არც დიდი მუცელი მქონია. ახლაც ასე ვარ. რაც შეეხება ტოქსიკოზს, დასაწყის ეტაპზე მქონდა. ანა-სოფიაზეც მქონდა, მაგრამ ახლა პირველი რამდენიმე კვირა უფრო გამიმძაფრდა და ცუდად ვგრძნობდი თავს. ეს პერიოდი გამოვიარე და ახლა გადასარევად ვარ.

**– აპირებთ თუ არა ჩამოსვლას საქართველოში, თუ უკვე გინდათ, რომ დაფუძნდეთ?**

– მეც და ნიკუშაც ერთ აზრზე ვართ ამასთან დაკავშირებით, რომ ძირითადად, საქართველოში უნდა ვიყოთ. საბუთებს მოვაგვარებთ და წამოვალთ. ძალიან მინდა, რომ ანა-სოფია იმავე სკოლაში წავიდეს, სადაც ნიკა დადიოდა, მაგრამ ჯერ პატარაა, სკოლამდე ბევრი დროა და თავისუფლად შეგვიძლია, მანდ ვიყოთ. არ ვარ ჯერ ისე მიბმული ამერიკაზე. აი, სკოლაც რომ შემოვა ჩვენს ცხოვრებაში, მერე უკვე ანა-სოფიაზე მოგვიწევს აწყობა. თან, ახლა ძალიან ნოსტალგიურად ვარ განწყობილი. ნიკა ცოტა ხნით საქართველოში იყო ჩამოსული და რომ ბრუნდებოდა, დავაბარე, ვიცი, რომ ძალიან არ გინდა ახლა ყველით მგზავრობა, მაგრამ გთხოვ, იმერული ყველი წამომიღე-მეთქი.

**– ანუ, ჭყინტი ყველი პარკით ჩამოგივიდა...**

– კი, კი და ვისიამოვნე ***(იცინის).***

**– შენი საქმისთვის როდის მოიცლი?**

– ახლა სიმართლე გითხრა, არ მაქვს მუშაობის თავი, მთლიანად ყოფით საკითხებზე ვარ გადართული. მაგრამ ისე, სახლში, ჩემთვის რაღაცეებს სულ ვხატავ, მოვიწყვე სახატავი კუთხე. ძალიან მინდოდა, სატელევიზიო კურსების აღება, მაინტერესებს აქაური მუშაობის, სწავლების სტილი, კარგი გამოცდილება იქნებოდა, მაგრამ,

> **ორსულად ვარ, მეორე შვილს ველოდები და შესაძლოა, ეს ერთი წელი, ისედაც არსად წავსულიყავი, მაგრამ როცა ჩარჩოებს გიწესებენ, საშინელება ყოფილა**

მოვინდომე თუ არა, ტოქსიკოზი დამეწყო ***(იცინის).*** სულ ასე ემთხვევა. ანა-სოფიას დროსაც ვაპირებდი სწავლას და მაშინაც ასე მოხდა. არა უშავს, ამის დროს ყოველთვის გამოვნახავ. თუ მანდ ჩამოვედი, გავაგრძელებ, თუ არადა, აქ გავივლი კურსებს.

**– ანა-სოფიას თუ აქვს ეჭვიანობის მომენტები?**

– იცი რა, ახლა იწყებს აღქმას, თუ რა ხდება. ნელ-ნელა ვაპარებ, რომ ძამიკო ეყოლება. იცის, ხვდება, რომ მის თავს რაღაც ხდება. იმ დღეს მაღაზიიდან პატარა ჩასაცმელი მოიტანა, ეს ჩემს ძამიკოს ვუყიდე, მაგრამ ჩემიაო ***(იცინის).*** მინდა, მაქსიმალურად თვითონაც ჩავრთო აღზრდაში. გოგოებს მაინც, მგონია, რომ სხვანაირად აქვთ გამძაფრებული მზრუნველობის ინსტინქტები. სულ ვნერვიულობ ამ თემაზე, არ მინდა, ანას ჩვენი ყურადღება მოაკლდეს.

**– სახელი უკვე გადაწყვეტილი გაქვთ?**

– ჯერჯერობით არა. მეც და ნიკასაც გვინდა, ისეთი სახელი დავარქვათ, რომელიც ყველა ენაზე იოლად გამოითქმება.

**სალომე გველესიანი**

# რომელ ცნობილ მოვლენას მიუძღვნეს ვერაზე ჯვრის დადგმა და რომელ ხიდს ამშვენებდნენ თამამშევის ქარვასლიდან წამოღებული გრიფონები

*თბილისის მოედნებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გმირთა მოედანს – ცენტრალურ მოედანს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს რამდენიმე ქუჩასა და უბანს. ამჟამინდელი გმირთა მოედანი სრულიად განსხვავდება იმ მოედნისგან, რომელიც მეოცე საუკუნის შუა პერიოდის, ან, სულაც, მეცხრამეტე საუკუნის ბოლო პერიოდის ფოტოებზეა აღბეჭდილი. მოედნის ისტორიას ძველი ფოტოების დახმარებით გაგაცნობთ.*

## ჯვარი ვერაზე

უწინ გმირთა მოედნის ტერიტორია თბილისის შემოსასვლელად ითვლებოდა და აქ მთავრ-



„ჯვარი ვერაზე" და გმირთა მოედნის ამჟამინდელი ტერიტორია (1880-იანი წლები)

დებოდა საქართველოს სამხედრო გზა. იმ ადგილთან ახლოს, სადაც ამჟამად თბილისის ცირკი დგას, თუჯის დიდი ჯვარი იდგა, რომელიც



შესასვლელი ზოოპარკში და მშენებარე 11-სართულიანი (1930-იანი წლები)

1846 წელს დაიდგა იმპერატორ ნიკოლოზ პირველის გადარჩენის აღსანიშნავად – 1837 წელს ტფილისიდან ვლადიკავკაზის მიმართულებით მიმავალი იმპერატორის ეტლი გადაბრუნებულა და მონარქი სასწაულებრივად გადარჩენია სიკვდილს. ამ მოვლენას მიუძღვნეს ჯვრის დადგმა, რომელსაც თბილისელები „ვერის ჯვარს" უწოდებდნენ. ჯვარზე გამოსახული იყო „ყოვლისმომცველი თვალი" და წარწერა ძველ რუსულ ენაზე: „Живый въ помощи Вышняго, въ крове Бога небеснаго водворится». 12 октября 1837 года ". მოგვიანებით „ვერის ჯვარი" მოედნის გაფართოებასა და რეკონსტრუქციას შეეწირა – ის ქედი, სადაც ჯვარი იდგა, ლავრენტი ბერიას პერიოდში აიღეს.



თბილისის ცირკი (1940 წელი)

## „ედემის ბაღი" და „ნე უეზჟაი, გოლუბჩიკ მოი"

მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნაზე გმირთა მოედნის ტერიტორია თბილისელ მოქეიფეთა საყვარელ ადგილად ითვლებოდა, სადაც მრავალი სამიკიტნო და დუქანი იყო გახსნილი, რომლებსაც სხვადასხვა ეგზოტიკური სახელი ერქვათ: „ფანტაზია", „რასსვეტი", „ნე უეზჟაი, გოლუბჩიკ მოი" და „ედემის ბაღი". ცნობისთვის, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც დუქანი „ნე უეზჟაი, გოლუბჩიკ მოი" იდგა, ცნობილი 11-სართულიანი საცხოვრებელი სახლი აიგო, ხოლო „ედემის ბაღის" ადგილას 1927 წელს ზოოპარკი გაშენდა. „ნე უეზჟაი, გოლუბჩიკ მოი" იმ დროის ცნობილი დუქანი იყო, სახელი მას ძველი ბოშური რომანსის პატივსაცემად ეწოდა. დუქანი მიხეილ ჭიაურელის კინოფილმში – „რაც გინახავს ველარ ნახავ," რამდენიმე კადრში ფიგურირებს. დუქნის ხშირი სტუმარი იყო ნიკო ფიროსმანი.



დუქანი „ნე უეზჟაი, გოლუბჩიკ მოი" (1900-იანი წლები)

## თბილისის ზოოლოგიური პარკი

პარკი 1927 წელს დაარსდა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის დადგენილებით. ზოოპარკის მოსაწყობად მდინარე ვერეს ხეობაში გამოიყო თავდაპირველად 70-მდე, ხოლო შემდგომ 120-მდე ჰექტარი მიწის ფართობი. გათვალისწინებული იყო შემდეგი განყოფილებები: კავკასიის, ანუ მხარეთმცოდნეობის; ყოფილი საბჭოთა კავშირის ფაუნის, ეგზოტიკური, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და სხვა. ზოოპარკის გენერალური გეგმის შედგენაზე ერთობლივად მუშაობდნენ პროფესორი მანტეიფელი; მოსკოვის ზოოპარკის სამეცნიერო-კვლევითი ნაწილის ხელმძღვანელი, ლენინგრადის ზოოპარკის არქიტექტორი სტეპანოვი და ქართველი მეცნიერები: ჩხიკვიშვილი, ჯანაშვილი და როსტომბეკოვი. ცხოველთა არსებობის ბუნებრივი გარემოს გათვალისწინებით, ზოოპარკში შეძლებისდაგვარად იქმნებოდა ბუნებრივთან მაქსიმალურად მიახლოებული პირობები. წლების განმავლობაში თბილისის ზოოპარკი ქალაქელების საყვარელ დასასვენებელ ადგილად ითვლებოდა, სადაც იდეალური პირობები იყო ბავშვების გასასეირნებლად. დამოუკიდებლობის პირველ წლებში, განსაკუთრებით კი თბილისის სამოქალაქო ომის წლებში, ზოოპარკმა მძიმე პერიოდი გამოიარა, რასაც რამდენიმე ცხოველის სიცოცხლე შეეწირა. ამჟამად ზოოპარკის ქალაქგარეთ გადატანის პროექტზე მიდის მუშაობა, რადგან, ახალი გზებისა და ესტაკადების გამო, ზოოპარკის ტერიტორია თბილისის ერთ ერთ ყველაზე ეკოლოგიურად დაბინძურებულ ადგილად იქცა.

## გმირთა მოედანი

სახელწოდება „გმირთა მოედანი" საბჭოთა კავშირის პირველი გმირების – გემ „ჩელუსკინის" ეკიპაჟის გადამრჩენი მფრინავების პატივსაცემად ეწოდა 1934 წელს. ახალი მოედნის გაჩენა



გმირთა მოედანი ვარაზისხევის გზის გაქრამდე (1930-იანი წლები)

თბილისის საგრძნობმა გაფართოებამ განაპირობა, რაც 1922 წელს დაიწყო, ხოლო ზოოპარკის გაშენებამ მოედანს საზოგადოებრივი მნიშვნელობა შესძინა. 1935 წელს გაიჭრა გზა ახლანდელი თამარ მეფის გამზირის მიმართულებით; იმავე პერიოდში დაიწყო ვარაზისხევის ამოვსება, რამ-

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

**ეკლესიური სწავლების თანახმად, ყოველი შაბათი მიცვალებულთა მოხსენიების დღეა. ადამიანები მთელი ცხოვრების განმავლობაში ინარჩუნებენ კავშირს თავიანთი ახლობლების გარდაცვლილ სულებთან და ეს სხვადასხვა ფორმით გამოიხატება. თუ როგორ უნდა იქცეოდეს ადამიანი საკუთარი მიცვალებულის სულის დასახმარებლად, ამის შესახებ გვესაუბრება ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი):**

# აქვს თუ არა მიცვალებულის სახელის მოხსენიებას მისი სულის ცხონებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა და არის თუ არა აუცილებელი გარდაცვლილისთვის საკურთხის მომზადება



**თუ ოჯახის წევრი გარდაიცვლება და სახლში ვინმეა მოსანათლავი, სასწრაფოდ ნათლავენ. რა შუაშია ამ დროს ნათლობა და მიცვალებული? ან, რატომ არის მიცვალებულის სულისთვის ცუდი ის, რომ მის ოჯახში ბავშვია მოსანათლავი?!**

– მიცვალებულების მოხსენიებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ვამბობთ, რომ ისინი მიიცვალნენ, ამ ქვეყანაზე აღარ არიან, მაგრამ, ისინი სულიერად მაინც განაგრძობენ არსებობას. შესაბამისად, ჩვენსა და მათ შორის კავშირი ყოველთვის უწყვეტია, ეს კი გამოიხატება ქრისტიანულ სწავლებაში, ანუ ლოცვით მდგომარეობაში, ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენი სარწმუნოება, ჩვენი კარგი საქმეები, პირდაპირპროპორციულია ჩვენი მიცვალებულების სულებთან, ანუ ის, როგორ ვცხოვრობთ ჩვენ აქ, როგორი ქრისტიანები ვართ. ადამიანმა, შეიძლება, მიცვალებულისთვის ბევრი რამ გააკეთოს, საკურთხი მიიტანოს ეკლესიაში, სასულიერო პირს გადაახდევინოს პანაშვიდი, მაგრამ, ეს ყველაფერი მხოლოდ გარეგნულ მდგომარეობად დარჩება, თუ მასში ადამიანი სარწმუნოებით არ მონაწილეობს. მისი სარწმუნოება კი დატვირთული უნდა იყოს კეთილი საქმეებით. არავინ იცის, სად არიან ჩვენი მიცვალებულები სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში. გარეგნული შეხედულებით არასდროს უნდა ვიხელმძღვანელოთ, რადგან არავინ ვიცით, ვინ როგორია გულის სიღრმეში, რას ნანობს, როგორ ცდილობს, მოინანიოს განვლილი ცხოვრება – ეს მან იცის და უფალმა მხოლოდ. ამიტომ, ჩვენ არ გვაქვს იმის უფლება, ვინმე ან ჯოჯოხეთში გავუშვათ, ან – სამოთხეში.

– **როგორ ეხმარება ადამიანი საკუთარი ქცევით, ცხოვრების წესით, მიცვალებულებს?**

– არ უნდა გვეგონოს, რომ, თუ შემოვიფარგლებით ტაძარში საკურთხის, შესაწირის გაკეთებით – ეს ყველაფერი ჩვენი მიცვალებულისთვის საკმარისი იქნება. ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ გადამწყვეტი ვერ იქნება. დღეს, როცა ადამიანი გარდაიცვლება, ჭირისუფლები 40 დღის განმავლობაში ლოცულობენ მისთვის, შეძლებისდაგვარად უკეთებენ ყველაფერს: საკურთხს, შეკვეთილ წირვას, პანაშვიდებს და ცდილობენ, მიცვალებულების მოხსენიების დღეებში მაინც მივიდნენ ეკლესიაში. მაგრამ, ამ ყველაფერს მხოლოდ გარეგნული სახე აქვს. როგორც კი გავა 40 დღე, მერე აღარაფერს აკეთებენ – არც მიცვალებულებს იხსენიებენ, არც ეკლესიაში მიდიან. თუ გვინდა, რომ მათ შევეწიოთ, უნდა ვიყოთ კარგი მართლმადიდებლები. რადგან, თუ არ ხარ კარგი მართლმადიდებელი, არ ეუფლები საღვთისმეტყველო სწავლებას, არ იღრმავებ ცოდნას, რომ გაიგო, რა სჭირდება შენს მიცვალებულს, გამოდის, რომ მას არ ეხმარები, რადგან, საკმარისი ცოდნა არ გაქვს. თუნდაც, როდესაც პანაშვიდის დროს მოძღვარი მოსახსენიებელს კითხულობს, მან ყველას სახელი უნდა წაიკითხოს, არავინ უნდა გამორჩეს და ჩვენც, როცა ჩვენს ან ახლობლის სახელს გავიგონებთ, ძალიან ბედნიერები ვართ, რადგან ამით ჩვენი მიცვალებულისთვის იქაურ ცხოვრებაში ყველაფერი გადაწყდა, შეიცვალა – ეს, რა თქმა უნდა, ზედაპირული და ძალიან პრიმიტიული მიდგომაა. როდესაც მიცვალებულის მოხსენიების დღეებია ან პანაშვიდებს იხდიან, იქ ჭირისუფლების მხრიდან ძალიან ბევრი მოსახსენიებელია, სადაც, ასევე, ძალიან ბევრი სახელი წერია. მოძღვარი იწყებს პანაშვიდის გადახდას, დასაწყისი ლოცვების შემდეგ მოდის მიცვალებულების პირველი კვერექსი, რომლის მეორე მუხლში უნდა მოვიხსენიოთ მიცვალებულების სახელები. როცა ცოტა ხალხია, არ არის პრობლემა, მოიხსენიებს მოძღვარი და ლოცვაც არ შეწყდება. მაგრამ, როდესაც ძალიან ბევრი მოსახსენიებელია და მასში წერია ძალიან ბევრი სახელი, წარმოიდგინეთ, ამის წაკითხვას რამდენი დრო სჭირდება. ზოგჯერ მღვდლის კურთხევით სტიქაროსნები კითხულობენ – ეს, რა თქმა უნდა, უკეთესია, რადგან ლოცვის პროცესი არ ირღვევა. მაგრამ, როდესაც ყველა მოსახსენიებელს მღვდელი კითხულობს, ეს ნიშნავს იმას, რომ ლოცვა აღარ არის, რადგან, მამაო კითხულობს სახელებს, რასაც ძალიან დიდ დროს ანდომებს და ამ დროს ლოცვა გაჩერებულია – არ ლოცულობს არც მღვდელი და არც მრევლი. ადამიანები კი მოსახსენიებელს უფრო დიდი ყურადღებით უსმენენ, რადგან აკვირდებიან, რომ არ გამორჩეს მღვდელს მისი მიცვალებულის სახელი. ამის შესახებ არსად არაფერი წერია, არც ერთ წმიდა მამას არ უთქვამს, რომ ლოცვა უნდა შეწყდეს, მღვდელი კი უნდა დადგეს და საათ-ნახევარი იკითხოს ვინმეს სახელები. ეს გარეგნული მიდგომაა და არც ჰგავს მართლამდიდებლობას. ღმერთმა ხომ ყველას სახელი, გვარი იცის, იცის, ვინ როგორ წავიდა ამქვეყნიდან, რა ხვედრი აქვს. ამიტომ არ ჯობია, მღვდელი გამოვიდეს, ილოცოს, თქვას, რომ მე მოვიხსენიებ თქვენს ყველა მიცვალებულსო; თუნდაც, დაადებს ყველა მოსახსენიებელს ხელს და იტყვის: „ღმერთო, მოიხსენიე ყველა, ვინც აქ არის“, იმავდროულად, ადამიანებს გონებაში შეუძლიათ გაიხსენონ თავიანთი მიცვალებულები და ილოცონ მათთვის ჩუმად. ასეთ შემთხვევაში მღვდელიც ლოცულობს, მრევლიც, მგალობლები გალობენ და ეს ძალიან კარგია. სახელების ამოკითხვა კი არ არის მთავარი დანიშნულება, არამედ, ლოცვაა და ჩვენი მიცვალებულების შეწევნა. დღეს ძალიან ბევრი მოდის ეკლესიაში, ტოვებს თავის მოსახსენიებელს, საკურთხს, რადგან, ან ეჩქარებათ, ან მეტად აღარ აიძულებენ საკუთარ თავს. საკურთხის გაკეთებაც, ბევრს ჰგონია, იმისთვის არის საჭირო, რომ, პირდაპირი გაგებით, მის მიცვალებულს მიუვა და ძალიან კარგია. მახსოვს, ერთ პანაშვიდზე სიგარეტიც დადეს – ეს უყვარდაო, მიუვა და მოწევსო. რა თქმა უნდა, ეს სასაცილოა. მთავარია, ადამიანის მიმართ სიყვარულის გამომჟღავნება. საკურთხის გაკეთება, პანაშვიდების გადახდა – ეს მხოლოდ სიყვარულისა და ზრუნვის გამოხატვაა ჩვენი მიცვალებულების მიმართ.

– **თუ არის აუცილებელი მიცვალებულების მოხსენიების დღეებში საკურთხის გაკეთება და რისგან უნდა შედგებოდეს ის?**

– აუცილებელი არ არის, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე, ადამიანისთვის მთავარი არის სარწმუნოება, ლოცვა და პირადი ცხოვრება. ყველაფერი დანარჩენი, ანუ, რითაც ვიხარჯებით, რასაც ვაკეთებთ ჩვენი მიცვალებულების გამო – ეს მოწყალებაა, რადგან, ამას ვერ გამოიყენებს მიცვალებული. მოწყალება კი სიყვარულის გამოხატულებაა. ზრუნვა ადამიანებზე – ეს სჭირდება ღმერთს ჩვენგან და ჩვენ გვჭირდება ეს ერთმანეთისგან. შეიძლება, ადამიანმა არ გააკეთოს საკურთხი, მაგრამ, დადგეს, ილოცოს გულით თავის მიცვალებულისთვის, თუნდაც, სხვანაირად დაუდგეს გვერდში სასულიერო პირს. ერთ-ერთი პროტესტანტი მღვდელი ხალხს ასე მოუწოდებდა: როგორც კი თქვენი ოქროს მონეტა ჩაეშვება ჩემს შესაწირ ყუთში, მაშინვე თქვენი მიცვალებულის სული სამოთხიდან ჯოჯოხეთში გადავაო. ასეთი მიდგომა არ შეიძლება. მოვიხსენიეთ სახელი და ჩვენი მიცვალებულიც ცხონდა. ჩვენ ვიცხოვროთ ქრისტიანულად, თუნდაც იმ 40 დღის განმავლობაში, როცა მიცვალებული ახალი გარდაცვლილია, ვეცადოთ, მარხვა დავიცვათ, კარგი საქმეები ვაკეთოთ, საკუთარ თავზე ვიფიქროთ, ცოდვები მოვინანიოთ. ეს უფრო ქმედითი იქნება, წაადგება ჩვენს მიცვალებულებს, ვიდრე ის, რომ მივიდეთ ტაძარში, დიდი ტრაპეზი მივიტანოთ, დიდი სია მიცვალებულების, არც დავესწროთ პანაშვიდს და ვიფიქროთ, რომ ამით ეშველებათ ჩვენს მიცვალებულებს. ყოველი შაბათი დღე მიცვალებულების დღეა, მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ, თუ ადამიანს სურს, სხვა დღეს გადაუხადოს თავის მიცვალებულს პანაშვიდი, ეს არ უნდა გააკეთოს. როცა ადამიანს ნათესავი, მეუღლე, შვილი გარდაეცვლება, რომელიც უყვარდა, ცდილობს, სიყვარულის ის მჭიდრო კავშირი, რომელიც მის მიმართ ცხოვრებაში გააჩნდა, არ დაკარგოს. სულიერი კავშირი მართლაც აშკარაა და ყოველთვის ვგრძნობთ მიცვალებულების მხრიდან და ისინი – ჩვენი მხრიდან. შესაბამისად, ეს კავშირი არ უნდა დაიკარგოს და თუ ადამიანი მოახერხებს, რომ გარდაცვალების შემდეგაც თავისი მიცვალებულის მიმართ იგივე ზრუნვა, სიყვარული გამოამჟღავნოს, ამას რა ჯობია.

– **ხშირად ამბობენ და სასულიერო პირებიც ითხოვენ, რომ, როდესაც ადამიანი კვდება და მას ოჯახში ვინმე მოსანათლი რჩება, აუცილებელია მისი მეორმოცე დღემდე მონათვლა. სწორია თუ არა ასეთი მიდგომა და აქვს თუ არა ამას საეკლესიო სწავლებასთან კავშირი?**

– ეს უფრო ხალხური ტრადიციაა, ვიდრე ეკლესიური სწავლება. მეოთხე საუკუნემდე ადამიანები არ ინათლებოდნენ ჩვილობაში, პირიქით, დიდ ასაკში იღებდნენ ამ გადაწყვეტილებას. ანუ, აცნობიერებდნენ იმას, თუ რასთან ჰქონდათ საქმე. აქედან გამომდინარე, თუ ოჯახის წევრი გარდაიცვლება და სახლში დარჩება ვინმე მოსანათლავი, რა შუაშია ამ დროს ნათლობა და მიცვალებული? ან, რატომ არის მიცვალებულის სულისთვის ცუდი ის, რომ მის ოჯახში ბავშვია მოსანათლავი?! ვერავინ მაჩვენებს წიგნს, სადაც რომელიმე მოძღვარი საუბრობს ამაზე. არის მეორე საკითხიც: ხშირად ადამიანებს ეშინიათ, რადგან მისი ჩვილი მოუნათლავი გავიდა ამქვეყნიდან, ესე იგი, ის ჯოჯოხეთში მოხვდება. ესეც დამახინჯებული მიდგომაა – როგორ შეიძლება, 3 წლის, ან 1 წლის ბავშვი აღმოჩნდეს ჯოჯოხეთში?! არავინ იცის, ვინ სად აღმოჩნდება გარდაცვალების შემდეგ – ჯოჯოხეთში თუ სამოთხეში.

**ნათია უტიაშვილი**

# სწავლანი მამათა ცხოვრებიდან ქადაგებისათვის

***

წმიდა იოანე ოქროპირი ისე მშვენივრად და კეთილშეწყობილად ქადაგებდა, რომ მასზე ყველა ამბობდა: „იოანეს პირი ღვთის პირია, ქრისტეს პირი არისო“; მაგრამ მისი მშვენიერი ქადაგება და მეტყველება არ ესმოდა ყველას. ამისთვის, ერთმა უსწავლელმა დედაკაცმა, რომელსაც დიდად ენატრებოდა გაგონება იმის ქადაგებისა, მიიღო კადნიერება და უთხრა მას ეკლესიაში ქადაგების დროს: „მოძღუარო სულიერო, იოანე ოქროპირო, ძალიან ღრმა არის სწავლა შენი, და ჩუენი მოკლე, გაუნათლებელი გონება ვერ მისწვდება მას! გვიქადაგე მდაბიურად, რომ ჩვენც შევიძლოთ მიწვდომა და გაგონება მისი!“ – ეს გარემოება ყველას მოეწონა: ამიერითგან იოანეს დაერქვა „ოქრო-პირი“. და იწყო მან ქადაგება და წერა მდაბიურად, ანუ მისაწვდომად და ადვილგასაგონად ყოველთათვის; მაგრამ, ისე შეაწყო და განაშვენა მდაბიური ენა-მეტყველება, რომ ქადაგება და მწერლობა მისი შეიქმნა უფრო სასიამოვნო და წარჩინებული.

**„საქართველოს სასულიერო მახარობელი“**
**1864 წელი**

***

წმიდა ტიხონს ჰქონდა ესრეთი ჩვეულება: როდესაც დასწერდა ქადაგებას ეკლესიაში სათქმელად, ანუ სხვა სასულიერო თხზულებას, პირველად წაუკითხავდა მას სახლში მდაბალს ვინმეს და უსწავლელ კაცს და ჰკითხავდა მას: „გესმის, რაც აქა სწერია“?“ და თუ ეტყოდა ის კაცი: „არ მესმის, ან ცოტა მესმისო“, – კიდევ გაასწორებდა და გამოიყვანდა აზრს უფრო ცხადად და გასაგონად; მერმე მეორედ და მესამედ წაუკითხავდა და, თუ საჭირო იქმნებოდა, კვლავაც გაასწორებდა. და როდესაც მიიღებდა მსმენელისაგან პასუხს: „ახლა სულყველა მესმისო“, მაშინ იტყოდა იმ ქადაგებას ეკლესიაში და თხზულებას გადმოსცემდა საქვეყნოდ.

**„შესანიშნავი მოთხრობა სასულიერო თხზულების მწერალთათვის“**
**1864 წელი**

# მოძღვარი გვირჩევს

კითხვა: **გთხოვთ, მიპასუხოთ. ახლა უკვე სოლიდურ ასაკში ვარ, როგორც ვიცი, გარკვეული მიზეზების გამო, ბავშვობაში ორჯერ მომნათლეს. ვითვლები თუ არა საერთოდ მონათლულად?**

პასუხი: თქვენ, რა თქმა უნდა, მონათლული ხართ. თქვენი პირველი ნათლობა ჩაითვლება ჭეშმარიტად, ხოლო მეორე – არა.

კითხვა: **შეიძლება თუ არა აღდგომის დღეს ნათლობა?**

პასუხი: არათუ შეიძლება, ადრე ქრისტიანებს ასეთი ტრადიცია ჰქონდათ: კათაკმევლები, ანუ, მოუნათლავები, ორმოცი დღის განმავლობაში ემზადებოდნენ ამ დღისთვის, რათა სწორედ აღდგომა დღეს მონათლულიყვნენ.

კითხვა: **ვმარხულობ და მინდა აღსარება ვთქვა. ახლობელმა მითხრა, მომდურება ცოდვაა და, თუ არ შეურიგდები იმას, ვისაც დაემდურე, მოძღვარი არ გაზიარებსო. რატომ არის ცოდვა, თუკი არ მინდა იმ ადამიანს დაველაპარაკო, ვინც დიდი ტკივილი მომაყენა?**

პასუხი: „მოგვიტევევნ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა...“ – ეს ნიშნავს, რომ უფალს ვთხოვთ: როგორც ჩვენ ვაპატიებთ სხვებს ცოდვებს, ისე გვაპატიე ჩვენცო. ზიარება უფლის უდიდესი სიწმინდეა და როცა მას ვეხებით, ჩვენში შემოდის ქრისტე, მომდურავ და მძულვარე გულში კი უფალი არ შემოვა. ყველანი ცოდვილები ვართ ღმერთის წინაშე. ამიტომ, მომდურაობის დროს ზიარება, კურნების ნაცვლად, შეიძლება, სასჯელად გვექცეს.

კითხვა: **როდესაც ქალს აქვს დედათა წესი, შეუძლია თუ არა მას ჯვრის ტარება გულზე?**

პასუხი: ჯვარი ქრისტიანს ნებისმიერ დროს უნდა ეკეთოს, მაგრამ, თუ ქალს აქვს დედათა წესი, მას არ შეუძლია ხატიანი გულქანდის ტარება, რადგან ხატთან შეხება მას ეკრძალება, ისევე, როგორც სანთლის ანთება და წმიდა საიდუმლოებებში მონაწილეობის მიღება.



# მამათა შეგონებანი

**ბასილი დიდი**: ყურადღების უკიდურესი დაძაბვით დაიცავი შენი გონება, როგორც კი შენიშნავ მტრულ აზრს, მაშინვე წინ აღუდექი მას და ამასთან ერთად ეჩქარე უფალი იესო ქრისტეს სახელის მოწოდებას დასახმარებლად. ხოლო ტკბილი იესო შენს ნათქვამზე გიპასუხებს: აი, მე შენთან ვარ – რათა მოგეშველო შენ. მაგრამ შენ, მას შემდეგ, როცა ლოცვით დაამდაბლებ მტრებს, ისევ გააგრძელე გონების დაცვა და აი, ისევ ახალი ტალღები წინანდელზე უფრო ბევრია, ერთი მეორეზე მომავალი ისე, რომ თითქოს სული უკვე იძირება და სადაცაა დაიღუპება. მაგრამ იესო, რომელიც მოწაფეებმა გააღვიძეს, როგორც ღმერთი შერისხავს ბოროტ ქარებს და ისინი წყნარდებიან. შენ კი მტრების თავდასხმისგან გადარჩენილმა ადიდე შენი მშველელი და ჩაღრმავდი სიკვდილზე ფიქრში.

**არქიმანდრიტი რაფაელი**: გული კაცისა კარიბჭეა, რომელთაც მას სულის მისთვის უცნობ ნაწილში შესვლა შეუძლია. ეს ის „გამონათება“, რომლის საშუალებითაც წამიერად შეუძლია ზეციური ეკლესიის მშვენიერების, ადამის მიერ დაკარგული და ქრისტეს მიერ კაცთათვის დაბრუნებული სამოთხის ხილვა. გზა ჯოჯოხეთიდან სამოთხისკენ გულზე გაივლის, მაგრამ ჩვენი ცოდვიანი, ვნებიანი გული დახშულია და დაკეტილია. ვნებები, წადილი, გულისთქმა დუღან მასში. ისინი აბრკოლებენ, ატრიალებენ გულისთქმას და ადამიანის სული რაღაც ბნელ ქაოსშია. ის საკუთარ გულს არ იცნობს, საკუთარ სხეულს ვერ გრძნობს. მას თავის თავში გზა ხილულ სამყაროს შთაბეჭდილებებს მისცა, ამ შთაბეჭდილებებს დაეძებს და მათთვის ცხოვრობს. მას ამ ქვეყნისაგან რაღაც უნდა, ეთვისება, მის შემეცნებას ეძიებს, ფიქრობს, რითი მოიპოვოს მისი მეგობრობა და ამ ვნებიან ზრახვათა ბუქში, როგორც ქარისგან დატრიალებული მტვერის კორიანტელში, მთელი სიცოცხლე გადის.

**ალექსი ბერი**: შევეხოთ შინაგან ძალთა შორის ჩვენი არსებობის კიდევ ერთ მთავარ ძალას, რომელ არს იმედი. იმედის თვისება და ძლიერება ცნობილია ყველასგან. იმედი მთელ საადამიანო ჭირ-ვარამთა მღელვარე ზღვის განსარინებელი ხომალდია, რომლის უმისოდ ადამიანს ნაბიჯიც არ შეუძლია გადადგას. იმედით მგზავრობს მგზავრი, იმედით ვაჭრობს ვაჭარი, იმედით სწავლობს მოსწავლე, იმედით ვთესავთ და ვფლავთ თესლს დედამიწაში, – ყოვლადვე ყოველსა შინა სიცოცხლის არსებობას წინ უძღვის ძლევამოსილი იმედი და ეს იმედი ხომ პირმშო ძეა სარწმუნოებისა. სარწმუნოება იმედის თავსაკიდურია, ვინაიდან სარწმუნოება შობს იმედს, იმედი შობს ნუგეშისცემას, ნუგეშისცემა ალუმსუბუქებს ადამიანს ჭირ-ვარამს და შობს სიმხნეს.

**მათე მახარებელი**: და როდესაც მარხულობთ, ნუ იქნებით მწუხარენი, თვალთმაქცთა მსგავსად, თავპირი რომ ჩამოსტირით, რათა მმარხველებად ეჩვენონ ხალხს. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: უკვე მიიღეს თავიანთი საზღაური. ხოლო შენ, როდესაც მარხულობ, თავს იცხე და დაიბანე პირი შენი. რათა ხალხს კი არ უჩვენო მმარხველად, არამედ დაფარულში მყოფ მამას შენსას; და მამამ შენმა, რომელიც ხედავს დაფარულს, მოგაგოს შენ ცხადად.

# მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ფეხბურთელების ტოპ-ათეული

*ყველაზე მდიდარი მოქმედი ფეხბურთელების ტოპ-ათეულის წევრებს შორის არცთუ ბევრია მსოფლიოს ჩემპიონი, სამაგიეროდ, მათი უმრავლესობა სხვადასხვა დროს იყო „რეალის“ ან „ბარსელონას“ წევრი. ამ ფეხბურთელებიდან ზოგიერთი თავის კარიერაში ბოლო სეზონს ატარებს, ზოგი კი ახალი ტიტულების მოპოვებასთან არის ახლოს. გთავაზობთ ყველაზე მდიდარ ფეხბურთელთა ტოპ-ათეულს.*

## დევიდ ბექჰემი (ინგლისი) – 175 მილიონი ფუნტი სტერლინგი

ის მსოფლიო ფეხბურთის ნომერი პირველი ფეტიში და მილიონობით ადამიანის კერპია, როგორც საფეხბურთო, ისე შოუ-ბიზნესის სამყაროში. დიდი ხანია, ბექჰემის პოპულარობა გასცდა სტადიონებს და იგი თანამედროვეობის ყველაზე ცნობილი სახე გახდა. ინგლისის ნაკრების, „მანჩესტერ იუნაიტედის“, „რეალის“, „მილანის“, „ლოს-ანჯელეს გელექსის“ და ამჟამად „პარი სენ-ჟერმენის“ ვარსკვლავი სასურველი ადამიანია არაერთი ცნობილი ბრენდისთვის.



ბექჰემს ამჟამად კონტრაქტები აქვს „ადიდასთან“, H&M-სთან, „პეპსისთან“, „სამსუნგთან“ და „სეინსბერისთან“; ამას გარდა, დიდი ხანია, მისი ავტობიოგრაფიული წიგნები ბესტსელერებად იქცა. 38 წლის ბექჰემი კარიერის დასრულებას არ ჩქარობს. მისი თქმით, თავს მშვენივრად გრძნობს პარიზში და არ არის გამორიცხული, რომ, კონტრაქტი, რომელიც მაისში უმთავრდება, კიდევ გაახანგრძლივოს.

## ლიონელ მესი (არგენტინა) – 115,5 მილიონი ფუნტი სტერლინგი



არგენტინელი „ოქროს ბიჭუნა“ – ლიონელ მესი, დღესდღეობით ნომერ პირველი ფეხბურთელი და მსოფლიოს ბოლო ათწლეულის საუკეთესო კლუბად წოდებული „ბარსელონის“ ლიდერია. მესის გარეშე წარმოუდგენელია როგორც კატალონიური ბრენდი, ისე არგენტინის ნაკრები, რომელთან ერთადაც მსოფლიოს ოთხგზის საუკეთესო ფეხბურთელს ჯერ არაფერი ღირებული არ მოუგია, თუმცა, გავრცელებული ცნობის თანახმად, ჩია არგენტინელი კბილებს 2014 წლის მუნდიალისთვის ილესავს. მესის სარეკლამო კონტრაქტები აქვს გაფორმებული: „ადიდასთან“, „ჰერბალაიფთან“, „თურქიშ ეირლაინთან“, „პროქტერ ენდ გემბელთან“, „პეპსისთან“ და „დოლჩე გაბანასთან“; ამას გარდა, ის საკმაოდ სოლიდურ ხელფასს იღებს „ბარსელონაში“.

## კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია) – 112 მილიონი ფუნტი სტერლინგი

ლიონელ მესის მუდმივი ოპონენტი და მადრიდის „რეალის“ ლიდერი; პორტუგალიის ნაკრების კაპიტანი და თანამედროვე ფეხბურთის ვარსკვლავებს შორის მეტროსექსუალობით გამორჩეული სელებრითი – ირინა შეიკის საქმრო, ხელფასის სახით ყველაზე მაღალანაზღაურებადია სამეფო კლუბში; ამას გარდა, ის სარეკლამო კონტრაქტებიდანაც მსუყე თანხებს იღებს: „ნაიკი“, „პრო ევოლიუშენ სოკერი“, „კოკა-კოლა“, „არმანი“, „ბუგატი“, „კასტროლი“, „კონამი“, „მოტოროლა“ და... ავტობიოგრაფიული წიგნი. საკმარისია, რომ რონალდუ პლანეტის მესამე ფეხბურთელი იყოს კაპიტალის რაოდენობით.

## კაკა (ბრაზილია) – 66,5 მილიონი ფუნტი სტერლინგი

„მილანის“ ლეგენდარული ნახევარმცველი და „რეალის“ სათადარიგო ფეხბურთელი – კაკა, ყველაზე შეძლებულია ფეხბურთის ბრაზილიელ ვარსკვლავებს შორის.




2009 წლიდან ის სამეფო კლუბშია და ამ ოთხი წლის განმავლობაში მას იმის ნახევარიც კი არ გაუკეთებია, რასაც „მილანში“ ერთ სეზონში აღწევდა. ამის მიუხედავად, იგი მაინც საინტერესო ფეხბურთელია კომპანიებისთვის და მას სიამოვნებით უფორმებენ სარეკლამო კონტრაქტებს, მაგალითად: „ნაიკი“, „სონი“, „არმანი“ და, ასევე, მეტ-ნაკლებად ცნობილი ბრაზილიური კომპანიები. სავარაუდოდ, ამ ზაფხულს კაკა დატოვებს „რეალს“ და, შესაძლოა, მისმა კაპიტალმაც კიდევ უფრო მოიმატოს.

## რონალდინიო (ბრაზილია) – 63 მილიონი ფუნტი სტერლინგი

ლეგენდარულ ფეხბურთელს, რომელიც ამჟამად მშობლიურ „ატლეტიკო მინეიროში“ ასპარეზობს, მხოლოდ ერთი ოცნება აქვს – ითამაშოს 2014 წლის მუნდიალზე, რომელიც მის სამშობლოში ტარდება და სადაც გარანტირებული მოხვედრა ჯერ ვერ დაიმსახურა.



რონალდინიო საინტერესო ფეხბურთელია ბრენდებისთვის და ის „ნაიკის“, „დანონეს“, „ლენოვოსა“ და „ლორეტ დელ მარის“ სარეკლამო სახეა, რაშიც დამატებით შემოსავალს იღებს.

## სამუელ ეტოო (კამერუნი) – 52 მილიონი ფუნტი სტერლინგი

მსოფლიო ფეხბურთის კამერუნელი ვარსკვლავი სამუელ ეტოო იმ ფეხბურთელთა კატეგორიას განეკუთვნება, ვისაც კარიერის განმავლობაში ორივე ესპანურ გრანდში, „რეალსა“ და „ბარსელონაში“ უასპარეზია. ამას გარდა, ეტოო „ინტერის“ რიგებშიც ირიცხებოდა, ამჟამად კი ის მახაჩკალის „ანჟის“ წევრი და მილიარდერ სულეიმან ქერიმოვის ფავორიტი ფეხბურთელია. რუსეთის ჩემპიონატში ასპარეზობის მიუხედავად, ეტოო კვლავ აქტუალურია ცნობილი კომპანიებისთვის და მასთან „პუმა“, „ფორდი“ და „ჯონ რიჩმონდი“ თანამშრომლობენ.

## უეინ რუნი (ინგლისი) – 50 მილიონი ფუნტი სტერლინგი

უეინ რუნი ამ რეიტინგის გამონაკლისია რიო ფერდინანდთან ერთად, რადგან, მათ არასდროს არ მოურგიათ „რეალის“ ან „ბარსელონას“ მაისური, მაგრამ, თუკი ფერდინანდთან დაკავშირებით შეიძლება, ითქვას, რომ მისი კარიერა დასასრულს უახლოვდება და „ესპანური მომავალი“ მას არ ემუქრება, რუნისთან დაკავშირებით რამის გადაჭრით თქმა არასწორი იქნება, რადგან, დიდი ხანია, რაც, მაგალითად, სამეფო კლუბის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი ოცნებობს თავისი გუნდის რიგებში რუნის ნახვას. რუნის შემოსავლის ძირითადი წყარო, რა თქმა უნდა, ხელფასია, თუმცა, გარდა ამისა, იგი კომპანია „ნაიკთან“ თანამშრომლობს და, ასევე, თანაგუნდელ რაიან გიგზთან ერთად, საინვესტიციო საქმეშია ჩართული.

## ზლატან იბრაჰიმოვიჩი (შვედეთი) – 47 მილიონი ფუნტი სტერლინგი

ზლატანი ამ რეიტინგის პირველი ნომრის – დევიდ ბექჰემის თანაგუნდელია და, სავარაუდოდ, ორივე ფეხბურთელი ახალი, მორიგი საჩემპიონო ტიტულით გაამდიდრებს თავიანთ ისედაც ტიტულებით მდიდარ კარიერას. ყველგან, სა-



დაც კი უთამაშია, ზლატანი ჩემპიონი ხდებოდა და სწორედ ამიტომ არის ის გამორჩეული ფეხბურთელი. „აიაქსი“, „იუვენტუსი“, „ბარსელონა“, „ინტერი“, „მილანი“ და, ახლა უკვე – „პარი სენ-ჟერმენი.“ „მომთაბარე“ ზლატანი ყველგან აქტუალური იყო და არის, ამიტომ, არაა გამორიცხული, რომ ერთ მშვენიერ დღეს მან ძალები ინგლისის პრემიერლიგაში მოსინჯოს. ზლატანის შემოსავლის ძირითადი წყარო ხელფასია; ასევე, მას აკავშირებს კონტრაქტი „ნაიკთან“ და იგი ფლობს საკუთარ სავაჭრო ნიშანს – „ზლატან“.

## რივალდო (ბრაზილია) – 45,5 მილიონი ფუნტი სტერლინგი

ერთ დროს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი და მსოფლიოს ჩემპიონი – რივალდო, უკვე 41 წლისაა, თუმცა, კარიერის დასრულებას არ ჩქარობს და ამჟამად მშობლიური „სან კაეტანოს“ ღირსებას იცავს. თავისი მრავალწლიანი კარიერის განმავლობაში კი მას არაერთი ცნობილი და, ასევე, ეგზოტიკური კლუბის მაისური მოურგია: „დეპორტივო“, „ბარსელონა“, „მილანი“, „ოლიმპიაკოსი“, უზბეკური „ბუნიოდკორი“ და ანგოლის „კაბუშკორპი“... – ეს იმ კლუბების მცირე ჩამონათვალია, რომელთა ღირსებაც რივალდოს დაუცავს. მისი შემოსავალია ხელფასი კლუბში და, ასევე, საკუთარი ბიზნესები: ტურისტული სააგენტო, დიზაინ-კომპანია და არტ-გალერეა.

## რიო ფერდინანდი (ინგლისი) – 42 მილიონი ფუნტი სტერლინგი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ვეტერანი მცველი, რიო ფერდინანდი, მდიდარი ფეხბურთელების ტოპ-ათეულის ბოლო წარმომადგენელია. რიო, ხელფასის გარდა, საკუთარი ბიზნესპროექტების განხორციელებითაც არის დაკავებული. იგი ფლობს საინვესტიციო კომპანიას, ინტერნეტ-მაღაზიასა და საკუთარ რესტორანს – „როსიო“. ფერდინანდს სარეკლამო კონტრაქტებიც აქვს „მარისთან“ და „ნაიკთან“. ერთ დროს მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული მცველი ახლო მომავალში კარიერის დასრულებას არ გამორიცხავს, თუმცა, მანამდე „მანჩესტერის“ მორიგი საჩემპიონო ტიტულის აღნიშვნისთვის ემზადება – ლეგენდარული ალექს ფერგიუსონის კლუბმა ვადაზე ადრე მოახერხა გამარჯვება მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ლიგაში.



## გაშიშვლებული ირინა შეიკი

ყოფილი „მის ჩელიაბინსკი,“ სუპერმოდელი, კრიშტიანუ რონალდუს საცოლე და, უბრალოდ, ლამაზი ქალი – ირინა შეიკი, ავსტრალიელი ფოტოგრაფის, ჯეიმს ჰიუსტონის მიერ ორგანიზებულ ფოტოსესიაში სრულიად შიშველი პოზირებდა. რამდენიმე ფოტო უკვე გაჩნდა სოციალურ ქსელებში, ხოლო მთლიანი ფოტოსესიის ხილვა 22 აპრილს იქნება შესაძლებელი, როდესაც „დედამიწა 2013-ის“ ფარგლებში ნიუ-იორკსა და ლოს-ანჯელესში საქველმოქმედო აუქციონი გაიმართება, სადაც მიღებული თანხა მთლიანად „მწვანე ფონდს“ „გლობალ გრინს” მოხმარდება.

## ტევესის 250-საათიანი სასჯელი

„მანჩესტერ სიტისა” და არგენტინის ნაკრების თავდამსხმელი კარლოს ტევესი უსიამოვნო სიტუაციაში აღმოჩნდა. ფეხბურთელს სასამართლომ 250 საათი საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულება შეუფარდა იმის გამო, რომ ტევესი ავტომობილს მართავდა მაშინ, როცა მართვის მოწმობა ჩამორთმეული ჰქონდა. მართვის მოწმობას ტევესი მხოლოდ ოქტომბერში მიიღებს, მანამდე კი ჯარიმის გადახდაც მოუწევს, რაც მისთვის სიმბოლური თანხაა – 1 145 ფუნტი სტერლინგი. აღსანიშნავია, რომ სასამართლო სხდომაზე არგენტინელმა აღიარა დანაშაული და გამოთქვა მზადყოფნა, ემსახუროს საზოგადოებას.

## ბექჰემს ნაკრებში თამაში უნდა




ინგლისელი ვარსკვლავი დევიდ ბექჰემი, რომელიც, სოლიდური ასაკის მიუხედავად, ბრწყინვალე სპორტულ ფორმაშია და ნელ-ნელა იკიდებს ფეხს „პარი სენ-ჟერმენის” ძირითად შემადგენლობაში, ეროვნულ ნაკრებში თამაშის მზადყოფნას აცხადებს. 38 წლის ლეგენდარული ფეხბურთელის თქმით, მას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს იმედი, რომ კიდევ ერთხელ მიეცემა ინგლისის ნაკრებში თამაშის საშუალება და მიაჩნია, რომ ახლაც შეუძლია სარგებლობის მოტანა გუნდისთვის. ბექჰემი არ მალავს, რომ მისი ოცნებაა 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატში თამაში და ამისთვის არ დაიშურებს ძალებს, რომ მწვრთნელ როი ჰოჯსონს დაუმტკიცოს, ის ისევ ის ბექჰემია, რომელიც „ლომებს” კაპიტნობდა. ცნობისთვის, უკანასკნელად ეროვნული ნაკრების მაისური ბექჰემმა 2009 წელს მოირგო.



## „იბრას“ ქომაგი

„პარი სენ-ჟერმენის” შვედ გოლიადორს, ზლატან იბრაჰიმოვიჩს, სამშობლოში ქომაგი გამოუჩნდა, რომელიც საყვარელი ფეხბურთელისთვის ყველაფერზეა წამსვლელი. საუბარია „ფლეიბოის” შვედ ვარსკვლავზე, ვერონიკა ტორსელზე – ქერათმიან ლამაზმანზე, რომელმაც „იბრას” ხათრით „პარი სენ-ჟერმენის” ქომაგობა დაიწყო და აქტიურად არის ჩართული საფრანგეთის ჩემპიონატის ამბებში. ვერონიკას თქმით, იბრაჰიმოვიჩი პლანეტის ყველაზე სექსუალური მამაკაცია. 28 წლის მოდელი ამჟამად სტოკჰოლმში ცხოვრობს და აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ფოტოსააგენტოსთან, რომელთათვისაც სიამოვნებით პოზირებს გულახდილ კადრებში.

## კობი წასვლაზე დაფიქრდა

„ლოს-ანჯელეს ლეიკერსის” ლეგენდარული კალათბურთელი კობი ბრაიანტი აქტიური სპორტიდან წასვლაზე დაფიქრდა. მოქმედი კონტრაქტის თანახმად, ბრაიანტისთვის 2013-2014 წლების სეზონი ბოლო უნდა გამოდგეს კარიერაში, თუკი ის არ გადაიფიქრებს. ამჟამად მოქმედი კონტრაქტით, იგი ყოველწლიურად 30 მილიონ დოლარს იღებს და ლოსანჯელესური კლუბი მას ხელშეკრულების გაფორმებას სთავაზობს, თუმცა, ბრაიანტი ჯერაც ფიქრობს და მომავალ გეგმებს ოჯახთან კონსულტაციას შემდეგ გაამჟღავნებს. 2013-2014 წლების სეზონი ბრაიანტისთვის მეთვრამეტე იქნება პროფესიულ კარიერაში. ერთ-ერთი თვალსაჩინო ვარსკვლავის დაკარგვა ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ლიგის გეგმებში ნამდვილად არ შედის.

## ბალახის ჰოკეისტების გულახდილი ფოტოები



ბალახის ჰოკეი სპორტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობაა ტიტების სამშობლოში – ჰოლანდიაში. ბალახის ჰოკეის მამაკაცებთან ერთად ქალებიც თამაშობენ და საკმაოდ წარმატებითაც, იმდენად, რომ ოლიმპიურ თამაშებში რეგულარულად ასპარეზობენ. რამდენიმე ხნის წინ ბალახის ჰოკეის უფრო მეტად პოპულარიზაციისთვის ჰოლანდიის ნაკრების ორმა წევრმა: მომხიბლავმა ელენ ჰოგმა და ევა დე გოდმა, გაშიშვლება და ჟურნალ „სპორტს ილუსტრეიდის” მოწყობილ ფოტოსესიაში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტეს. ფოტოების გამოქვეყნების შემდეგ ჰოლანდიაში ითქვა, რომ ბალახის ჰოკეისაც საკუთარი სექს-სიმბოლოები ჰყავს.

## ფეხბურთელის უხერხული საქციელი

დორტმუნდის „ბორუსიისა” და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი მარიო გიოტცე ფოტოკამერების ობიექტივებმა უხერხულ სიტუაციაში დააფიქსირა: გუნდის ვარჯიშის დროს გიოტცე სარეკლამო ჯებირებს გადაახტა და პირდაპირ მოედანზე მოშარდა. მალევე გიოტცეს ეს ქმედება ესპანურმა ტელევიზიებმა გააშუქეს და ფაქტი ამაზრზენად მიიჩნიეს. თავად ფეხბურთელს თავის ქმედებაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

## არმსტრონგი სპორტში დაბრუნდა



ბოლო დროს დოპინგ-სკანდალებთან ასოცირებულმა ლეგენდარულმა ველომრბოლელმა ლენს არმსტრონგმა სპორტში დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო და ამჯერად ბედის ცდა ცურვაში გადაწყვიტა. არმსტრონგი 500, 1 000 და 1 650 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვის ტურნირში ჩაებმება. აღნიშნულ ტურნირს არაკომერციული ორგანიზაცია ატარებს და სპორტსმენების შემოწმება აკრძალულ პრეპარატებზე არ ხდება, სწორედ ამის გამო გადაწყვიტა არმსტრონგმა, გაეცურა აუზში. შეგახსენებთ, რომ დოპინგის მოხმარების აღიარების შემდეგ, არმსტრონგს ჩამოერთვა ყველა მოპოვებული ტიტული და დიდძალი ჯარიმების გადახდა დაეკისრა, რასაც ის სასამართლოში ასაჩივრებს.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## ნივთიერებათა ცვლის დარღვევა სახსრების დაავადებებს იწვევს

ადამიანის მოძრაობას უზრუნველყოფს სახსრები. საკმაოდ ხშირია სახსრებთან დაკავშირებული პრობლემები, მაგალითად, ტრავმა, ართრიტი, რევმატიზმი და ასე შემდეგ. ამ დროს საჭიროა დროული მკურნალობა, რათა აღდგეს დაზიანებული სახსრების ნორმალური ფუნქციონირება.

სახსრების ართრიტს ან რევმატიზმს ძირითადად იწვევს სასუნთქი გზებით ორგანიზმში მოხვედრილი სტრეპტოკოკები. ხშირად, სახსრები აწუხებთ მათ, ვისაც ნივთიერებათა ცვლა აქვთ დარღვეული. ისინი ხშირად ავადდებიან ნიკრისის ქარით.

როცა ირღვევა შარდის მჟავას ცვლის პროცესი, ეს ნივთიერება გროვდება ორგანიზმში და ილექება სახსრებში, რაც მათ დაზიანებას იწვევს. ამიტომ, თუ სახსრების დაავადება აწუხებდა თქვენს წინაპარს, აუცილებლად უნდა მიაქციოთ ყურადღება კვებას. არ უნდა შეზღუდოთ ცილის შემცველი პროდუქტების მიღება და პერიოდულად უნდა გაიკეთოთ ანალიზი შარდის მჟავას რაოდენობის გამოსაკვლევად.

სამწუხაროდ, ასაკის მატებასთან ერთად, მრუდდება სახსრები, ხშირად, 35-45 წლის ასაკში ადამიანთა უმეტესობა სახსრების ტკივილს უჩივის.

რაც შეეხება ზედმეტ წონას: ის დამღუპველია მენჯ-ბარძაყისა და მუხლების სახსრებისთვის. ამიტომ გირჩევთ, შეინარჩუნოთ ნორმალური წონა, ივარჯიშოთ, რადგან ყოველდღიური ვარჯიში ამაგრებს და მოქნილობას მატებს სახსრებს.

ასევე, დაგეხმარებათ მასაჟი, ფიზიოპროცედურები, ვიტამინოთერაპია. სახსრებზე განსაკუთრებით დადებითად მოქმედებს B ჯგუფის ვიტამინები.

## ღრძილების ანთებას გულყვითელას ნაყენით დაიამებთ

გულყვითელა შეიცავს კაროტინს, ლიკოპინს, ვიოლავსტასინს, ციტროქსანტინს, სიტოსტერინს, ფისს; ვაშლის სალიცილის, ასკორბინის მჟავებს.

ხალხურ მედიცინაში გულყვითელას იყენებენ როგორც ანტისეპტიკურ, ანთების საწინააღმდეგო და ჭრილობის შემახორცებელ საშუალებას.

გულყვითელას ნაყენის ხშირი გამოვლება პირის ღრუში ეფექტურად მოქმედებს ღრძილების ანთების საწინააღმდეგოდ, ამცირებს და შემდეგ წყვეტს ღრძილებიდან სისხლდენას, ამაგრებს ღრძილებს. მის ნაყენს ივლებენ, ასევე, ტონზილიტისა და ანგინის დროს. გულყვითელას ნაყენი აუმჯობესებს გულის მუშაობას, ამცირებს შეშუპებას, კარგად მოქმედებს გასტრიტის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, კოლიტისა და ენტეროკოლიტის დროს.

განსაკუთრებით ეფექტურია გულყვითელას გამოყენება სააფთიაქო გვირილასა და ფარსმანდუკთან ერთად.

გვირილისა და გულყვითელას ნარევი გამოიყენება როგორც ანტიბაქტერიული, სპაზმოლიტური, ანთების საწინააღმდეგო საშუალება, ასევე, ნაღვლის სადინარების სამკურნალოდ.

გულყვითელას ნაყენი ასე მზადდება: ორი სადილის კოვზი ყვავილი ჩაყარეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, თავი მჭიდროდ დაახურეთ და დადგით ორთქლზე, ადუღეთ თხუთმეტი წუთის განმავლობაში. შემდეგ გააციეთ და გადაწურეთ. მიღებული ნაყენი გააზავეთ ანადუღარი წყლით, ისე, რომ 200 მილილიტრი მიიღოთ. ნაყენი შეინახეთ გრილ ადგილას, არაუმეტეს ორი დღე-ღამისა. მიიღეთ კუჭ-ნაწლავის დაავადების დროს, თბილი, 1 ან 2 სადილის კოვზი, დღეში 2-3-ჯერ, ჭამის წინ.

პირის ღრუსა და ყელში გამოსავლებად ერთ სადილის კოვზ ყვავილს დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი.

აფთიაქში ნაყიდი გულყვითელა გამოიყენება, ასევე, ისეთი დაავადებების სამკურნალოდ, როგორიცაა: ნევრასთენია, კლიმაქსი, კანის დაავადებები, პაროდონტოზი, სტომატიტი.

## გაიძლიერეთ იმუნური სისტემა სტაფილოთი და დაიცავით თავი კიბოს შესაძლო განვითარებისგან

სტაფილო დიდი რაოდენობით შეიცავს კაროტინს, ეს კი ძალიან სასარგებლოა მხედველობისა და იმუნური სისტემის გასაძლიერებლად.

სტაფილო უფრო მეტ სასარგებლო თვისებებს შეიძენს, თუ მას ზეთსა და არაჟანს მოასხამთ და ისე მიირთმევთ, რადგან კაროტინს ორგანიზმი მხოლოდ ცხიმთან ერთად ითვისებს.

კაროტინის გარდა, სტაფილოში ბევრი სასარგებლო ნივთიერებაა, მაგალითად, B ჯგუფის ვიტამინები, რომლებიც ხელს უწყობს ნერვული სისტემის, კანის, თმის გაჯანსაღებას; სტაფილო ასევე შეიცავს C ვიტამინს, იოდს, კალიუმს, ფოსფორს, სპილენძს, მიკროელემენტებსაც და სხვა ნივთიერებებს. PP ვიტამინი საუკეთესო საშუალებაა უძილობისა და დეპრესიის წინააღმდეგ საბრძოლველად; E ვიტამინი აფერხებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებასა და დაბერების პროცესს.

მცენარეული უჯრედების დიდი რაოდენობის წყალობით, სტაფილო ორგანიზმიდან აქტიურად გამოდევნის ტოქსინებსა და წიდებს, რითაც ორგანიზმს სიმხნევეს უნარჩუნებს, კანს კი სასიამოვნო ელფერს.

თუ გსურთ, ჯანმრთელი ღრძილები და კბილები გქონდეთ, ხშირად ჭამეთ სტაფილო. ის ასუფთავებს კბილის მინანქარს საკვები ნარჩენებისგან, ებრძვის კარიესისა და ღრძილების ანთების გამომწვევ მიკრობებს.

გაციებისა და ყელის ტკივილის დროს კარგია ახალგამოწურული სტაფილოს წვენის ყელში გამოვლება. სტაფილოს წვენი თაფლთან ერთად კარგია ხველების დროს, რძესთან ერთად კი, ბრონქული ასთმის შეტევებს ასუსტებს. უმი სტაფილო ძალიან სასარგებლოა თირკმელების, ღვიძლის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს.

გახეხილი სტაფილოს ფაფას დამწვრობისა და იარების სამკურნალოდ უძველესი დროიდან გამოიყენებდნენ, გაუხეშებულ კანზე კი კვერცხის გულთან გაზავებული წაისვით.

ასევე, სტაფილო ებრძვის კიბოს განვითარებას. ამიტომ, ის, ვინც სტაფილოს რეგულარულად მიირთმევს, ზედმეტ საშიშროებებს აირიდებს თავიდან.

## რატომ არის საშიში იოდის დეფიციტი ორგანიზმში და როგორ შევივსოთ ის

ფარისებრ ჯირკვალს იოდი ძალიან სჭირდება. მისი ნაკლებობის დროს ის თავის ძირითად ფუნქციას ცუდად ასრულებს. ფარისებრი ჯირკვალი ენდოკრინული სისტემის ოჯახს მიეკუთვნება. ის სისხლში გამოყოფს შესაბამის ჰორმონებს და მათი საშუალებით მთელი ორგანიზმის მოქმედებას აკონტროლებს. ფარისებრი ჯირკვლის მუშაობაზეა დამოკიდებული ყველაფერი, მაგალითად, ჩვენი გარეგნობა, განწყობა, ინტელექტი, სქესობრივი მომწიფება, გამრავლება და ტემპერამენტიც კი.

ფარისებრ ჯირკვალს თავისი ძირითადი ფუნქციის შესასრულებლად სპეციალური ცილა, კერძოდ, იტროზინი და იოდი ესაჭიროება. ადამიანისთვის იოდის დღიური ნორმა ხუთი გრამია. დღეს კი ნიადაგი იოდის ნაკლებობას განიცდის და შესაბამისად, მას არასაკმარისი რაოდენობით შეიცავს საკვები და წყალი, რომელსაც ჩვენ ვიღებთ. აქედან გამომდინარე, ჩვენი ორგანიზმი იოდის ნაკლებობას ნამდვილად განიცდის. ამის შედეგად, ვითარდება ენდემური ჩიყვი. ეს დაავადება კი თავისთავად განსაკუთრებული სიმწვავით არ გამოირჩევა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გარეგნულ ცვლილებას.

ადამიანებს იოდი მუდმივად გვაკლია. ამას ქრონიკული იოდდეფიციტი ეწოდება, რომელიც საკმაოდ ხშირად გვხვდება.

იოდის ნაკლებობის შემთხვევაში, ორგანიზმი ძალიან იტანჯება, რაც ვლინდება შემდეგი ნიშნებით: პირველ დარტყმას იღებს ადამიანის ინტელექტუალური სფერო – ქვეითდება მეხსიერება, უარესდება ინფორმაციის სმენითი აღქმა და ნელდება მისი გადამუშავების პროცესი. მათ არც ჩვენი ემოციები და ქცევითი რეაქციები ჩამორჩება. ამ სფეროში ცვლილებები აღენიშნება ადამიანთა დაახლოებით სამოცდაათ პროცენტს. ამ დროს დამახასიათებელია სისუსტე, აპათია, ძილის სურვილი, მოუსვენრობა, ადაპტაციის უნარი. სუსტდება, ასევე, ადამიანის ნერვული სისტემის ადაპტაციური შესაძლებლობებიც. ამიტომ, უმნიშვნელო სტრესიც კი შეიძლება, დეპრესიის მიზე-

ზი გახდეს. მკაცრი დიეტის დროსაც კი, ადამიანი წონაში ვერ იკლებს, იმიტომ რომ ნივთიერებათა ცვლის პროცესი შენელებულია. კანი გამომშრალია, გამოფიტული, თმა – მტვრევადი. აღინიშნება მისი ცვენა და ქერტლი.

შიდა ქალის წნევის დარღვევის გამო, ხშირია თავის ტკივილი, ჰორმონული ფონის დარღვევა.

გირჩევთ, შეიძინოთ იოდიზებული მარილი და ყოველდღიურად გამოიყენოთ ის საჭმლის მომზადების დროს.

შეიძინეთ, ასევე, პოლივიტამინების კომპლექსი, რომელიც შეიცავს იოდს. მიირთვით რაც შეიძლება მეტი ზღვის პროდუქტი, რადგან მათში ბევრია იოდი. ასევე, მიირთვით პური, რძე და სხვა იოდის შემცველი პროდუქტები.

ზოგადად, იოდიზებული მარილი ბევრი თქვენგანისთვის იოდის ძირითადი წყაროა. იოდი სწრაფად ორთქლდება, ამიტომ მარილი, რომელიც მას შეიცავს, განსაკუთრებულ მოპყრობას საჭიროებს. მისი ყიდვისას ყურადღება მიაქციეთ ვადას, რადგან ვადაგასულ მარილში იოდი აღარ არის. კერძს კი, იოდიზებული მარილი დაუმატეთ მომზადების შემდეგ, რადგან მაღალი ტემპერატურის დროს იოდი სწრაფად ორთქლდება.

## ბანანი შუადღეს მიირთვით, ვაშლი – სადილის შემდეგ, ქლიავი კი – საღამოს საათებში

ეკოლოგიურად დაბინძურებულ და ჯანმრთელობისთვის საშიშ გარემოში ვცხოვრობთ. თავი რომ დავიცვათ და ჯანმრთელობას გავუფრთხილდეთ, საჭიროა, დიდი რაოდენობით ხილი მივირთვათ. თუმცა, იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, დღის რომელ მონაკვეთში, რა რაოდენობითა და რა ხილს ვჭამთ. მაგალითად:

* ***ბანანის*** ჭამა კარგია შუადღისას, რადგან მასში შემავალი ადვილად ასათვისებელი ნახშირწყლები სწრაფად აღადგენენ გონებრივ და ფიზიკურ ძალებს. ერთი ცალი ბანანი თქვენს ორგანიზმს მთელი დღის სამყოფ ენერგიას შეჰმატებს.

* ***ვაშლი*** კარგია სადილის წინ და მის შემდეგ. ამ ხილს შეუძლია კუჭის წვენის გამოყოფა. ამიტომ, სადილობამდე და შემდეგ ჭამეთ ერთი ცალი ვაშლი და ეს სრულიად საკმარისი იქნება საჭმლის მომნელებელი სისტემისთვის.

* ***ყურძენი*** დღის ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მიირთვათ. ის ხსნის დაღლილობას და დაძაბულობის დროს ნამდვილი წამალია. მათ, ვისაც გონებრივი შრომა უწევთ, აუცილებელია, ხშირად ჭამონ ყურძენი ან ქიშმიშით ჩაიკოვლოზინონ პირი.

* ***ქლიავი*** მიირთვით საღამოს. მისი ჭამა კარგია მათთვის, ვისაც ნაწლავების მოდუნება აწუხებს ან ხშირად ერთ ადგილას უწევს ჯდომა და მუშაობა. შეგიძლიათ, დღეში 20-25 ცალი ქლიავი ან მისი ჩირი მიირთვათ.

* ***კივი*** კი, უმჯობესია, საუზმემდე დაახლოებით ნახევარი საათით ადრე ჭამოთ. შეგიძლიათ, მისი წვენიც დალიოთ ფორთოხლის წვენთან გაზავებული. კივი შეიცავს დიდი რაოდენობით C ვიტამინს და ამით ამარაგებს ადამიანის ორგანიზმს.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ვარგისია თუ არა პაპილომა ვირუსით ინფიცირებული ადამიანის სისხლი სისხლის გადასხმის დროს?**

**პასუხი:** დონორის სისხლს ამოწმებენ შიდსზე, B და C ჰეპატიტებზე, ავსტრალიურ ანტიგენზე, ვასერმანზე. გარდა ამისა, ნორმაში უნდა იყოს ასტ და ალტ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამორიცხული არ არის კარდიოსპაზმი. დონორის სისხლს პაპილომა ვირუსზე, ისევე, როგორც ასობით სხვა ვირუსზე, რომლითაც ხდება ადამიანის დასნებოვნება, არ ამოწმებენ. ეს ინფექცია ძირითადად გადაეცემა კონტაქტური გზით (შეხებით). აღნიშნული ვირუსის მქონე დონორის სისხლიდან გადაცემის სარწმუნო შემთხვევა ცნობილი არ არის, თუმცა, შესაძლებლობის (დასნებოვნების) სრულად გამორიცხვაც არ შეიძლება.

**კითხვა: რას ნიშნავს სისხლის ანალიზი CRP და რაზე მიუთითებს მაღალი ინდექსი?**

**პასუხი:** სისხლის ანალიზი CRP (C-Reactive Protein) ანუ, C-რეაქტიული ცილა სხეულში პათოლოგიური პროცესების არსებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ცენტრალური მაჩვენებელია. ის გვიჩვენებს ორგანიზმში ანთებითი პროცესის არსებობას, რაც საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ გულის სხვადასხვა დაავადება ან ორგანოებში ატროფიული ცვლილებები კლინიკური ნიშნების გამოჩენამდე რამდენიმე წლით ადრე.

**კითხვა: მკერდზე მაქვს წითელი ხაზები. გამოვიკვლიე ფარისებრი ჯირკვალი – ყველაფერი ნორმაშია. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი და რა პრეპარატები უნდა მივიღო?**

**პასუხი:** აუცილებლად უნდა მიმართოთ ენდოკრინოლოგს თირკმელზედა ჯირკვლის ფუნქციის გამოსაკვლევად. დაგჭირდებათ თირკმელზედა ჯირკვლის ექოსკოპიური კვლევა და სისხლში (დილის 9 საათზე) კორტიზოლის დონის განსაზღვრა.

**კითხვა: მაინტერესებს, თუ 25 წლის ბიჭს არ აქვს სქესობრივი კავშირი, შესაძლებელია თუ არა, მომავალში ამას გართულებები მოჰყვეს?**

**პასუხი:** თუ 25 წლის ასაკამდე ბიჭს არ ჰქონია სქესობრივი ურთიერთობის სურვილი, ანუ, არ აქვს სქესობრივი ლტოლვა, მას აუცილებლად სჭირდება სექსოლოგისა და ანდროლოგის კონსულტაცია.

**კითხვა: რამდენ ხანში შეიძლება გამოვლინდეს ალერგია ანტიბიოტიკის მიღებისას (აბის და ინიექციის დროს)? როგორ მოვიქცეთ ალერგიული რეაქციის შემთხვევაში, ექიმთან მისვლამდე?**

**პასუხი:** ალერგიული რეაქციების განვითარების სიჩქარე განსხვავებულია და ის, შესაძლოა, მერყეობდეს რამდენიმე წამიდან რამდენიმე დღემდე. სწრაფი ალერგიული რეაქციის განვითარების შემთხვევაში, აუცილებელია, მიიღოთ რომელიმე ანტიჰისტამინური (ალერგიის საწინააღმდეგო) პრეპარატი და გამოუძახოთ სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურს ან თავად მიაშუროთ კლინიკას. თუ არსებობს ეჭვი, რომ ალერგიული ბრძანდებით, გირჩევთ, ექიმის დანიშნულების გარეშე არანაირი ანტიბიოტიკი არ მიიღოთ.

**კითხვა: კუჭის რომელ დაავადებას ახასიათებს წნევის ცვალებადობა?**

**პასუხი:** არტერიული წნევის მატება, როგორც სიმპტომი, კუჭის პათოლოგიებს არ ახასიათებს.

**კითხვა: ვარ ინსულინდამოკიდებული დიაბეტიკი. შეიძლება თუ არა ჩემთვის ფრუქტოზის შაქარი?**

**პასუხი:** ფრუქტოზის ასათვისებლად ინსულინი არ არის საჭირო, ამიტომ, მას ფართოდ იყენებენ სწორედ დიაბეტით დაავადებულები. ის კალორიულია, მაგრამ, სასარგებლო. დაიცავით მითითებული დოზირება.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**



# რა უთხრა ცოლმა შოთა იამანიძეს ტრაგედიის დღეს, სახლიდან გასვლისას

*„თბილისელები მოედნის სრული ბატონ-პატრონები არიან!“... „შოთა იამანიძე უნიკალური მოვლენა იყო ჩვენს ფეხბურთში. როგორც არავის სხვას, მას ჰქონდა პოზიციის შერჩევის უნარი და უსწრაფესი დრიბლინგი, ფილიგრანული პასი და უზუსტესი დარტყმა ორივე ფეხით. მისი შრომისმოყვარეობა, თავმდაბლობა, წესიერება იგრძნობოდა ყველაფერში – თამაშშიც და ცხოვრებაშიც...“ „...1964 წელს, ჩემპიონატში მონაწილე არც ერთ გუნდს არ გააჩნდა ნახევარმცველთა ისეთი წყვილი, როგორც „დინამოს.“ თბილისელთა ხერხემალი შ. იამანიძე და მ. სიჭინავა იყვნენ. ისინი გამოირჩეოდნენ ვეებერთელა შრომისუნარიანობით, უმაღლესი ტექნიკით, ბურთის ჩინებული კონტროლით, რაც საშუალებას აძლევდა მათ, თვალყური ედევნებინათ ყველაფრისთვის, რაც მოედანზე ხდებოდა...“ – ასე იხსენებენ კოლეგები და მეგობრები დიდ ქართველ ფეხბურთელს და თბილისის „დინამოს“ დემიკო ლოლაძის წიგნში „შოთა იამანიძე“. შოთა იამანიძე 34 წლის ასაკში ავტოავარიაში დაიღუპა. მოგვიანებით კი მისი ბედი გაიზიარეს ვიტალი დარასელიამ, დათო ყიფიანმა...*


ერთი წლის შოთა იამანიძე


იამანიძე და ფანჯიკიძე (1962 წელი)

„შოთა იამანიძე მტკივნეულად განიცდიდა წაგებას – ფეხბურთი იქნებოდა თუ სპორტის სხვა სახეობა, ეს მის ხასიათში იყო, _ განაგრძობს ავტორი, – ერთი ასეთი ეპიზოდი გამახსენა ილია დათუნაშვილმა, რომელიც, გასვლითი თამაშებისას, მასთან ერთად ცხოვრობდა ოთახში: 1961 წლის ზაფხულში, ვოლგოგრადში „ტრაქტორთან“ გვქონდა ჩასატარებელი შეხვედრა სსრ კავშირის თასზე. მატჩის წინა ღამეს დიდი სიცხე იყო, არ დაგვეძინა. შოთა გატაცებული იყო ჭადრაკით და შემომთავაზა, გვეთამაშა. მან ყველა პარტია წააგო, მე დასაძინებლად დავწექი. იქნებოდა ღამის ორი საათი, გამაღვიძა. ჭადრაკი მაგიდაზე ჰქონდა დალაგებული და შეწუხებული ხმით მითხრა – ახლავე ადექი და მეთამაშეო. შევატყვე, აღელვებული იყო. იძულებული გავხდი, ავმდგარიყავი და მეთამაშა. რასაკვირველია, ის პარტია უნდა წამეგო, რადგანაც, მას არ დაეძინებოდა, დილით კი საპასუხისმგებლო მატჩი გველოდა, რომელიც ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა“.


შოთა და დათო იამანიძეები

ტაშკენტის მატჩის ერთ-ერთი გმირის, ილია დათუნაშვილის მეხსიერებაში შოთა იამანიძე დარჩა, როგორც უკეთილშობილესი პიროვნება და დიდი სპორტსმენი. მან ერთხელ სინანულით მითხრა, რომ შოთას კიდევ შეეძლო, თავისი თამაშით სიამოვნება მიენიჭებინა ფეხბურთის მრავალრიცხოვან მოყვარულთათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ხშირად ხდება, „რაღაც მიზეზების“ გამო იძულებული გახდა, გამოთხოვებოდა დიდ სპორტს.

ზოგიერთმა გულშემატკივარმა, შეიძლება, არც კი იცოდეს, რომ 1966 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ შოთა იამანიძემ და გურამ ცხოვრებოვმა დატოვეს გუნდი, თუმცა, კარგ სპორტულ ფორმაში იყვნენ. შემდეგი საფეხბურთო სეზონისთვის მზადება თბილისის „დინამომ“ ახალი უფროსი მწვრთნელის ხელმძღვანელობით დაიწყო, რომელმაც თავის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად დაისახა ორივე ფეხბურთელის გუნდში დაბრუნება. როგორც კი ამ ამბავმა შოთამდე მიაღწია, იმ წუთში ცხინვალს გაემგზავრა ცხოვრებოვის სანახავად, მაგრამ, ის ადგილზე არ დახვდა, მის მშობლებს კი ასეთი ბარათი დაუტოვა:

*„ჩემო გურამ!*

ძალიან ბევრზე მსურს, გელაპარაკო, მაგრამ, იმედი მაქვს, მალე პირადად გნახავ და მაშინ მოგიყვები ყველაფერს. ახლა ერთი თხოვნა მაქვს: მინდა, გუნდში დავბრუნდე შენთან ერთად, რაც შეიძლება მოკლე დროში. ხვალვე ჩამოდი და გთხოვ, 26-ში საკონტროლო თამაშში მიიღო მონაწილეობა. ამას გთხოვ მე და ამას გთხოვს ახალი მწვრთნელი, სოლოვიოვი. პირველი, რაც მან თქვა, ის იყო, რომ, გურამი და შოთა გუნდში თუ არ დაბრუნდებიან, მე ვერ ვიმუშავებო... მივიღებ ჩვენი ძმობის დასტურად ხვალ შენს თბილისში ჩამოსვლას და „დინამოში“ თამაშის დაწყებას.”

**თოჯა მონცელიძე** ***(შოთა იამანიძის მეუღლე):*** „მე და შოთამ ერთმანეთი 1961 წელს გავიცანით. თბილისელების უმრავლესობა, ოთხშაბათს და ხუთშაბათს კინოში სისტემატურად დავდიოდით, რადგან, სწორედ ამ დღეებში უჩვენებდნენ ახალ ფილმებს. ასე რომ, ჩვენი შეხვედრა კინოთეატრ „ამირანში“ მოხდა. შოთა იამანიძე პირველი ფეხბურთელი კი არა, საერთოდ, პირველი სპორტსმენი იყო, ვინც კი გავიცანი. მან უმალ მომხიბლა. იუმორის ჩვეულო ნიჭი ჰქონდა. განათლებული, ხალისიანი, კონტაქტური და ენამოსწრებული (კარგი გაგებით) უჩვეულო ადამიანი გახლდათ. 1963 წელს დავქორწინდით. შოთას გაცნობამდე ფეხბურთი არ მაინტერესებდა, მამაჩემი კი თავგადაკლული გულშემატკივარი იყო. სამწუხაროდ, იგი სწორ-


დინამოელები – ბორის სიჭინავა, შოთა იამანიძე და ილია დათუნაშვილი


თოჯა მონცელიძე და შოთა იამანიძე



ქალიშვილთან და მეუღლესთან

ედ ფეხბურთს შეეწირა. სსრკ ჩემპიონად გახდომამდე თბილისის „დინამომ“ ქუთაისში „ტორპედოსთან“ ფრედ ითამაშა, მამამ ძალზე ინერვიულა, ინფარქტი მოუვიდა და გარდაიცვალა, ისე რომ, „დინამოს“ გაჩემპიონებას ვერ მოესწრო. შოთა ხალისიანი და, თანაც, ჟინიანი იყო. რასაც ჩაიფიქრებდა, სანამ არ გააკეთებდა, არ მოისვენებდა. მამაჩემი და შოთა კარგად უგებდნენ ერთმანეთს და მეგობრობდნენ კიდეც. ჭადრაკსა და ნარდს ხშირად თამაშობდნენ და შოთა თუ წააგებდა, ბრაზდებოდა. მას წაგება არ უყვარდა, მარცხს ვერ ეგუებოდა. ბევრს კითხულობდა, რაოდენ დაღლილიც არ უნდა ყოფილიყო, ისე არ დაიძინებდა, წიგნი ცოტა მაინც რომ არ წაეკითხა. როცა მისგან რუსი ჟურნალისტები ინტერვიუს იღებდნენ, ისე თავისუფლად და დახვეწილად, ყოველგვარი მომზადების გარეშე საუბრობდა, გეგონებოდათ, წინასწარ დაწერილს კითხულობსო. როგორც მეუღლე, შოთა იყო თბილი და ლმობიერი... მეგობრები ძალიან უყვარდა, ხან ჩვენთან იკრიბებოდნენ, ხანაც შოთა მიდიოდა მათთან. ერთადერთი, მხოლოდ ამაზე გვქონდა კამათი – სულ მეგობრებთან ხარ-მეთქი. ყოველი თამაშის შემდეგ შოთა სახლში თუ ბრუნდებოდა, ჩვენთან 30-40 კაცი მაინც იყრიდა თავს. მის თამაშს რომ ვუყურებდი, მხოლოდ ერთს ვფიქრობდი – ისე ცუდად არ დაცემულიყო, რომ რამე ეტკინა. ასევე, როგორც მამა, შოთა იყო ძალიან კარგი, თბილი და კეთილი, მაგრამ, ამავე დროს, მომთხოვნიც. შვილებს თან ჰყვებოდა, მაგრამ, ზოგჯერ მათთვის დრო არ რჩებოდა. როცა უცხოეთში იყო წასული, ისეთ თბილ წერილებს მწერდა, რომ მაოცებდა. ჩვენმა შვილებმა კითხვა არ იცოდნენ, მათ ცალკე სწერდა და მთხოვდა, მათთვის წამეკითხა. ირინა 8 წლის იყო, დათო 6 წლის გახდა და ერთ კვირაში ტრაგედიაც მოხდა. საშინელი სიზმარი ვნახე და იმ დილით სახლიდან გასვლის წინ, შოთას ვუთხარი, ფრთხილად იყავით-მეთქი, მაგრამ...



ფეხბურთის სამი მშვენება – გივი ჩოხელი, სერგო კოტრიკაძე და შოთა იამანიძე

ძალიან დამაკლდა. ნათქვამია, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ, დრომ შოთა იამანიძე ვერ დამავიწყა. რამდენიმე წლის წინ სტადიონის დირექტორთან მქონდა საქმე. დაცვის სამსახურის თანამშრომელმა მკითხა – ვისთან ბრძანდებით, რა ვუთხრაო. შოთა იამანიძის მეუღლე გახლავართ-მეთქი. იცით, რა მკითხა? თქვენი მეუღლე, შოთა იამანიძე, აქ მუშაობს? რაღაც ვერ ვიხსენებო... ეს შემთხვევა სასეიროცაა და გულდასაწყვეტიც. ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი და სხვა ვარსკვლავები ხალხმა არ უნდა დაივიწყოს.”



50-იანი წლების დასაწყისი – შოთა თანატოლებთან



60-იანი წლები. ნ. ჩხარტიშვილი, ვლ. ელოშვილი და შ. იამანიძე

**ეკა პატარაია**

(23-ე გვერდიდან)

# რომელ ცნობილ მოვლენას მიუძღვნეს ვერაზე ჯვრის დადგმა და რომელ ხიდს ამშვენებდნენ თამამშევის ქარვასლიდან წამოღებული გრიფონები



გმირთა მოედანი 1970-იან წლებში

აც მაგისტრალით დააკავშირა ერთმანეთს ვაკისა და დიდუბის რაიონები. 1939 წელს გმირთა მოედანზე აშენდა იმ დროის თბილისის ყველაზე მაღალი შენობა – 11-სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის არქიტექტორი კალაშნიკოვი გახლდათ. 11-სართულიანის მშენებლობის პარალელურად აშენდა პირველი 100-ბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი. 1940 წელს კი, 11-სართულიანის მოპირდაპირე მხარეს, ბორცვზე აშენდა თბილისის ცირკის შენობა, რომლის არქიტექტორები იყვნენ: ნეპრინცევი, სატუნცი და ურუშაძე. გმირთა მოედანს მის რეკონსტრუქციამდე, ამშვენებდა ერევანსკის მოედანზე (ამჟამინდელი თავისუფლების მოედანი) მდგარი თამამშევის ქარვასლის შესასვლელებთან დადგმული გრიფონები, რომლებიც, როგორც ჩანს, ქარვასლის დანგრევის შემდეგ გმირთა მოედანზე გადაუტანია ლავრენტი ბერიას. მდინარე ვერეზე პატარა ხიდი იყო გადებული, რომელიც ამჟამად ესტაკადების კონსტრუქციებშია ჩამალული, ორი გრიფონი კი ვარაზისხევის კუთხეში იდგა. ისინი ამჟამად თავის ისტორიულ ადგილზე, თავისუფლების მოედანზე, ძველი მერიის შენობის წინ დადგეს. არსებობდა ამ ორი გრიფონის იდენტური კიდევ ორი გრიფონი, თუმცა ისინი ქარვასლის დანგრევის შემდეგ უკვალოდ გაუჩინარდა. 1970-იან წლებში აუცილებელი გახდა მოედნის გაფართოება, რამაც მისი სრული რეკონსტრუქცია გამოიწვია. გმირთა მოედანი ორნახევარჯერ გაფართოვდა და მოეწყო მიწისქვეშა გვირაბი, თუმცა, რეკონსტრუქციის შედეგად მოედანმა დაკარგა საფეხმავლო ფუნქცია, იმის მიუხედავად, რომ მოედანი, წესით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილია (ცირკი, ზოოპარკი, მრავალბინიანი კომპლექსი და სხვა). 2006-2012 წლებში განხორციელებულმა სარეკონსტრუქციო სამუშაოებმა მთლიანად შეცვალა მოედნის იერი, აშენებულმა ესტაკადებმა და ახალმა გზებმა კი მას სრულიად ახალი ფუნქცია შესძინა.



გმირთა მოედანი 1980-იან წლებში



გმირთა მოედანი (თანამედროვე ხედი)

**უშანგი რუხაძე**



**რა არის სიზმარი? როდის და რატომ ვხედავთ მას? შეიძლება თუ არა სიზმრების კონტროლი და დასიზმრებით წინასწარმეტყველება? – ეს კითხვები დღემდე დიდ თავსატეხს წარმოადგენს ეზოთერიკოსების, მეცნიერებისა და პარაფსიქოლოგებისთვის, თუმცა, ზუსტი პასუხი ჯერ არ არსებობს. ექიმი-პარაფსიქოლოგების აზრით, სიზმარი ფიზიოლოგიური პროცესია, რომელსაც თავის ტვინის განსაზღვრული უჯრედებისა და სხვა ორგანოების გაღიზიანება და აღგზნება განაპირობებს. ზოგიერთი ეზოთერიკოსის აზრით, სიზმარში ფანტაზია იმას წარმოადგენს, რის მიმართაც დადებითად ვართ განწყობილი; ან, შეიძლება, პირიქითაც მოხდეს – დაგვესიზმროს ის, რაც გვაწუხებს, გვაღელვებს და რისი შიშიც გვაქვს. ვიზუალურად სიზმარი ან შავ-თეთრია, ან – ფერადი. ის ხშირად მეორდება. შეიძლება დაგესიზმროთ, რომ დაფრინავთ, ეცემით, მახეში ხართ გაბმული, ან, სულაც, ვინმე მოგდევთ, გაქცევა გინდათ და ამას ვერ ახერხებთ. მოკლედ, სიზმრები მრავალფეროვანია და მის სიუჟეტზე ბევრი რამ ახდენს გავლენას. ამ თემასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ბატონ დავითს, რომელიც წლებია ამ ფენომენს იკვლევს და უახლოეს მომავალში გეგმავს წიგნის გამოცემას, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი სიზმრების ახსნა და მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.**

# როგორ ავარჯიშებს სიზმარი ადამიანის გონებას და როდის ხდება მობილური ტელეფონი ჯანმრთელობისთვის სერიოზული საფრთხის მომტანი

**დავითი**: ითვლება, რომ ყოველი ჩვენგანი ღამით საშუალოდ ხუთ სიზმარს ხედავს, ხოლო ამახსოვრდება მხოლოდ ის სიზმარი, რომლის მიმდინარეობის დროსაც ეღვიძება და, შესაძლებელია, რამდენიმე წუთის გასვლის შემდეგ ისიც აღარ ახსოვდეს. ამ თემით იყო დაინტერესებული დიდი ფსიქოლოგი ზიგმუნდ ფროიდიც, რომელსაც მიაჩნდა, რომ ძილის დროს გამორთულია ცნობიერების ნებითი კონტროლი და, ამიტომ, სიზმრები საშუალებას გვაძლევს, შევისწავლოთ ადამიანის გაუცნობიერებელი ფსიქიკური გამოვლინებანი. კერძოდ, სიზმრებში ვლინდება ფსიქიკის ნევროზული დარღვევები. სწორედ ზიგმუნდ ფროიდმა წამოაყენა იდეა, რომ სიზმარი გვისრულებს იმ დაფარულ, გაუცნობიერებელ, ხორციელ თუ სულიერ სურვილებს, რომლებიც გონებაში ღრმად გვაქვს ჩაბეჭდილი და ხშირად საკუთარ თავსაც ვერ ვუტყდებით მათში. გარდა ამისა, სიზმარი ადამიანის გონებას ავარჯიშებს; ხშირად, შეიძლება, სიზმარში ისეთი რაღაც ამოვხსნათ, მოვიფიქროთ ან გადავჭრათ, რაც ცხადში ჩვენი გონებისთვის შეუძლებელია. ეს ფენომენი მეცნიერებსა თუ ჩვეულებრივ ადამიანებს დიდ თავსატეხს უჩენს. ვერაფრით ხსნიან, როგორ ახერხებენ ადამიანები ძილში დაწერონ ლექსები, მუსიკა, გააკეთონ აღმოჩენები, რაც არცთუ იშვიათად ემართებოდათ ცნობილ ადამიანებს. სავარაუდოდ მთავარი ისაა, თუ რა განწყობა გრჩება სიზმრის შემდეგ და როგორ აისახება ის შენზე.

**– არის თუ არა შესაძლებელი სიზმრების კონტროლი და რას ნიშნავს „ღამის გააზრებული ზმანება“?**

– გააზრებული სიზმარი არის ზმანება, რომლის დროსაც ადამიანი აცნობიერებს, რომ სიზმარშია. ასეთ დროს ადამიანს შეუძლია, გარკვეული კონტროლი გაუწიოს სიზმარში მიმდინარე მოვლენებს, ან მოახდინოს საკუთარი წარმოსახვით მანიპულირება. გაცნობიერებული სიზმრები საკმაოდ რეალური და მკვეთრი შეიძლება იყოს. ხშირად გვინდა, რომ ესა თუ ის სიზმარი აღარ განმეორდეს, ან – პირიქით. ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ სიზმრების კონტროლი და, მით უმეტეს, მათი შეკვეთა შეუძლებელია. ზოგიერთის აზრით კი სიზმრის ნაწილობრივი კონტროლი რომ შეძლო, საჭიროა პრაქტიკა. არის რამდენიმე ვარჯიში, როდესაც პირდაპირ ან ირიბად ზემოქმედებ ქვეცნობიერზე; ან – ყურადღების ვარჯიში, რათა ჩაძინების მომენტში არ გამოგეპაროს და ძილის წინ ღრმად შეძლო გონებაში იმის გაცნობიერება, რომ იძინებ და, რაც შეიძლება, შემდგომ მოხდეს, ეს მხოლოდ არარეალური, წარმოსახვა და სიზმარი იქნება.

**– შესაძლებელია თუ არა სიზმრის დახმარებით მომავლის წინასწარმეტყველება?**

– ზოგს მიაჩნია, რომ სიზმრები ეშმაკისეულია, ზოგი კი პირიქით – ღვთის გამოგზავნილად მიიჩნევს. პარაფსიქოლოგების ნაწილი გვირჩევს, არ დავუჯეროთ და არ მივაქციოთ ყურადღება, ნაწილი კი აღიარებს, რომ სიზმარი ხშირად გვიწინასწარმეტყველებს, თუ რა მოხდება მომავალში. ხანდახან პირიქითაც ხდება – სიზმარში იმას ხედავ, რაც უკვე იყო, ანუ, როგორც ამბობენ ხოლმე „გულში ჩაგყვაო”. ხშირად იმდენად ვართ დამოკიდებული სიზმარზე და ისე გვჯერა, რომ მომდევნო დღეს გაუცნობიერებლად ვაკეთებთ იმას, რაც სიზმარში ვნახეთ, ანუ, მოსახდენს ჩვენ თვითონ ვახდენთ და რჩება შთაბეჭდილება, თითქოს წინასწარმეტყველები ვართ და წინასწარ ვიცოდით, რაც მოხდებოდა. ზუსტი დასკვნა იმის შესახებ, თუ რა არის სიზმარი და რატომ ვხედავთ მას, არ არსებობს. ჯერჯერობით, მეცნიერებს არ გააჩნიათ ერთი მტკიცე შეხედულება, რომელზეც შევძლებდით დაყრდნობას, ამიტომ, სიზმარი დღემდე მისტიკურ და ამოუცნობ ფენომენად რჩება.

**აურის გასაფართოებლად აუცილებელია ვარჯიშების სპეციალური კურსის ჩატარება, რათა პრობლემებსა და გაუგებრობებს ადვილად აარიდოთ თავი**

**– ბატონო დავით, ვიცი რომ კვლევას ატარებდით მობილური ტელეფონის ზემოქმედებაზე. რა შედეგებამდე მიხვედით? თუ არის ის რეალურად სახიფათო ჩვენი ჯანმრთელობისთვის?**

– მობილური ტელეფონი – ეს, ერთი შეხედვით, უწყინარი და საჭირო ნივთი, ძალიან საშიშია. მისი არასწორი ხმარება და გამოყენება, თუნდაც შენახვა, დიდ საფრთხეს უქმნის ადამიანებს. მრავალწლიანი კვლევით დავადგინე, რომ მართლაც საშიში და ზიანის მომტანია მობილურ ტელეფონთან ადამიანის ახლო კონტაქტი. მოკლედ, წლების წინ დავიწყე საფუძვლიანი კვლევა. გადავწყვიტე, ის სპეციალური აპარატის საშუალებით შემემოწმებინა და გამერკვია, როგორ მოქმედებს ის ადამიანებზე, ზოგადად კი – მისი ვიბრაცია ადამიანის აურაზე. გაზომვას ვაწარმოებდი ბიოლოკაციის მეთოდებით მობილური ტელეფონების სხვადასხვა მოდელზე. გავარკვიე, რომ ნებისმიერი მოდელის მავნე გამოსხივება ვრცელდება: გამორთულ მდგომარეობაში – 0,6 სანტიმეტრ რადიუსში ჩართულ და მუშა მდგომარეობაში კი – 1 მეტრიდან, 140 სანტიმეტრამდე. მისი ზემოქმედება ადამიანის აურაზე ავი თვალისა და ჯადოს ზემოქმედების ტოლფასია. მობილური ტელეფონი იწვევს ჩვენი აურის დაზიანებას, შემდეგ კი გამჭოლ ნახვრეტებს აჩენს მასზე, რაც, რასაკვირველია, ძალიან საშიშია ნებისმიერი ჩვენგანისთვის. იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, სად გიდევთ ტელეფონი. მაგალითად, თუ მობილურ ტელეფონს გულის ჯიბით ატარებთ, გულის არეში წარმოიქმნება პათოლოგია; თუ ქამარზე გაქვთ მარჯვენა მხარეს მიმაგრებული (ასე მამაკაცების უმრავლესობა დადის ქუჩაში), იწყება საშარდე ბუშტის ტკივილი. თუ მამაკაცი მობილურ ტელეფონს შარვლის ჯიბით ატარებს, აუცილებლად შეექმნება პოტენციასთან დაკავშირებული პრობლემები. ნორმალური აურის მქონე ადამიანი, ანუ, როცა აურა 60 სანტიმეტრს აღემატება, ამ ზემოქმედებას ტელეფონის ტარებიდან დაახლოებით ექვსი თვის ან ერთი წლის შემდეგ იგრძნობს. აურის გასაფართოებლად კი აუცილებელია ვარჯიშების სპეციალური კურსის ჩატარება, რათა პრობლემებს და გაუგებრობებს ადვილად აარიდოთ თავი.

**ნონა დათეშიძე**

## ძალა თუ სისუსტე?!

უკვე ძალიან ბევრი მამაკაცი დარწმუნდა, რომ ქალი საკმაოდ ძლიერი არსებაა. ქალთა ემანსიპაციის ეპოქაში ბევრი რამ შეიცვალა. მათ გამოსავალიც აღარ აქვთ, რომ არ იყვნენ ძლიერები. თანამედროვე სამყარო მკაცრია და თამაშის მკაცრ წესებსაც აწესებს. არანაირი პრივილეგია ქალებს აღარ აქვთ, კონსტიტუციითაც კი აბსოლუტურად გაუთანაბრდნენ მამაკაცებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მამაკაცებივით უნდა იბრძოლონ გადარჩენისთვის. ამიტომაც, ლაპარაკი იმაზე, რომ ქალი სუსტი და დაუცველი უნდა იყოს – ბლეფია, პირფერობა და ფარისევლობა. თუ ქალი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ძალიან სუსტი და დაუცველია, მას ასე აწყობს და კარგადაც თამაშობს, საკითხი კი ასე დგას: თუ ქალი მუშაობს, ცხოვრობს აქტიურად, პრობლემაა, ეყოფა თუ არა სიბრძნე, საჭირო მომენტში თავი სუსტად წარმოაჩინოს?!

ჭკვიანი ქალი არასდროს შეეცდება თავისი ძალაუფლება მამაკაცზე გაავრცელოს, მით უმეტეს, იმაზე, რომელიც უყვარს.

ქალები ყოველთვის, ყველა დროში იყვნენ ძლიერები და ბევრმა მათგანმა მთელი ეპოქა შექმნა. უბრალოდ, უნდა იცოდეთ, როგორ მართოთ საკუთარი შინაგანი ენერგიები, რომ თქვენი სიძლიერე მამაკაცისთვის საყვარელ, მომხიბვლელ სისუსტედ იქცეს.

## მომხიბვლელობა სიყვარულისა

გამოცდილი მამაკაცები ამტკიცებენ, რომ მათ შეუძლიათ, შეყვარებული ქალი ათას ადამიანში გამოარჩიონ. ამბობენ, რომ ის თითქოს ანათებს – თვალებიდან ცეცხლს აფრქვევს, სავსეა ბედნიერებით და ეს ისეთი თვალსაჩინოა, შეუძლებელია, არ მოიხიბლო. ალბათ, შეგინიშნავთ უცნაური ფაქტი, შეყვარებულ ქალს გაცილებით მეტი თაყვანისმცემელი ჰყავს, ვიდრე ჩვეულებრივ, თუნდაც ლამაზ ქალს. მამაკაცები იმასაც აღიარებენ, რომ შეყვარებული ქალი მამაკაცებს მაგნიტივით იზიდავს. იქნებ, ყველაფრის თავი და თავი ის არის, რომ სიყვარული ჩვენს ცხოვრებას გაცილებით აზრიანს, საინტერესოსა და შინაარსიანს ხდის, მერე კი ეს ყველაფერში გვეტყობა?!

რა მოხდებოდა, ადამიანებს სიყვარულის ნიჭი რომ არ ჰქონოდათ – ეს არის თემა, რომელიც ძველ აღმოსავლელ სწავლულებს აწუხებდათ. ისინი საბოლოოდ მივიდნენ დასკვნამდე, რომ სიყვარულის დეფიციტი სამყაროში ჰარმონიულობის ბალანსს არღვევს.

როგორც სიბნელეა აუცილებელი სინათლის დასაფასებლად, ისევე აუცილებელია სიყვარული, რომ გულმოწყალება, სიკეთის გაცემა შევძლოთ.

ფაქტი ერთია: სიყვარული, გარდა იმისა, რომ ბედნიერებას გვანიჭებს, მომხიბვლელებსაც გვხდის როგორც ქალებს, ისე მამაკაცებს და ეს ბუნებრივია. სიყვარულს ხომ სქესი არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. ის ჩვენი მწვანე ბილეთია ბედნიერი მომავლისთვის.

## აბსოლუტური ჭეშმარიტება?!

რა შედეგები მოაქვს სიყვარულის დეფიციტს სხვა გრძნობებთან მიმართებაში?! – ჩვენ, უბრალოდ, გთავაზობთ ფსიქოლოგთა მოსაზრებებს, დასკვნები კი თავად გააკეთეთ.

* ვალდებულება სიყვარულის გარეშე წარმოშობს გაღიზიანებას და მომავალში – აგრესიას.

* პასუხისმგებლობა სიყვარულის გარეშე ნელ-ნელა ტრანსფორმირდება უცერემონიობასა და ცინიზმში.

* სამართლიანობა სიყვარულის გარეშე სხვა არაფერია, თუ არა სისასტიკის ერთ-ერთი ფორმა.

* გულადობა და გულისხმიერება სიყვარულის გარეშე შობს ფარისევლობასა და სიყალბეს.

* კომპეტენტურობას სიყვარულის გარეშე უკომპრომისობასთან და გულგრილობასთან მივყავართ.

* ღირსება სიყვარულის გარეშე აუცილებლად გადაიქცევა პატივმოყვარეობად და ქედმაღლობად.

* ურთიერთობა უსიყვარულოდ მხოლოდ გათვლაა და ანგარიში, ან, უბრალოდ, თამაში.

* რწმენა უსიყვარულოდ შობს ფანატიზმს.

## ექსკლუზიური ქალი!

ქალისთვის სილამაზე ჭკუაზე მეტად საჭიროა, თუნდაც იმიტომ, რომ მამაკაცს გაცილებით ეადვილება მისი შეფასება ცქერით, და არა მოსმენით, – ამას ამბობდა ულამაზესი ქალი მარლენ დიტრიხი. ის ყოველთვის ქალების მხარეს იყო და ძალიან გულუხვად აძლევდა რჩევას ყველას. მას უამრავი მეგობარი ქალი ჰყავდა, რომლებიც თვალდახუჭული ენდობოდნენ.

მარლენს სამი ძირითადი პრინციპი ჰქონდა ქალებისთვის და სთხოვდა, ამით ეხელმძღვანელათ, რათა ყოფილიყვნენ ექსკლუზიურად ქალები.

1) გააკეთე ყველაფერი, რათა გამოიყურებოდე მიმზიდველად და საინტერესოდ. მნიშვნელობა არა აქვს, რამდენი წლის ხარ და როგორი მატერიალური მდგომარეობა გაქვს. მთავარია, არ შეანელო სრულყოფილებისკენ ლტოლვის ტემპი.

2) კარგად შეისწავლე მამაკაცის ხასიათის ნიუანსები და მიეცი მას, რასაც მოითხოვს – ეს მარტივი სქემა არასდროს გიღალატებს.

3) არასოდეს გაიხსნა ბოლომდე – დაიტოვე რაღაცა, რაც შეუცნობელს გაგხდის. რაღაც უთქმელიც უნდა დარჩეს. კაცებს, შეიძლება, არ მოსწონთ ქალი-გამოცანა, მაგრამ, მისი ამოხსნის ჟინი უკან დახევის საშუალებას არ აძლევთ და, ამიტომაც, თავს ვერ ანებებენ მას.

## მამაკაცური ხედვა

ამბობენ, რომ მამაკაცებს ქალებთან დაკავშირებით ინდივიდუალური, საკუთარი ხედვა აქვთ. ბევრ რამეს საერთოდ ვერ იგებენ და წუწუნებენ, რომ ქალი ასუცნობიანი განტოლებაა. პრინციპში, ამაში ცუდი არაფერია – იყვნენ გაოცებულები და დაინტრიგებულები, მაგრამ პრობლემა ის არის, რასაც ვერ იგებენ – აღიზიანებთ.

მაგალითად, მამაკაცებს უჭირთ გაიგონ და აღიზიანებთ:

* გრძელი ფრჩხილები. რატომ უნდა გაიზარდო იმსიგრძე ფრჩხილი, რომ მოგტყდეს? ეს ხომ ისეთი არაკომფორტული და მოუხერხებელია. განა არის ამაში რამე ლამაზი?!

* რატომ ურჩევნიათ ქალებს, მოისმინონ საკუთარ გარეგნობაზე სასიამოვნო ტყუილი? მაშინ, როცა აბრაზებთ სრულიად უწყინარი სიმართლე. მაგალითად, ასეთი: ძვირფასო, ეგ კაბა საერთოდ არ გიხდება. მოკლე ფეხებს გიჩენს.

* რატომ არ შეუძლია ქალს უბრალოდ თქვას „არა"! ამ ერთი მარტივი სიტყვის თქმას, რატომ ურჩევნია ნახევარსაათიანი, მიკიბ-მოკიბული ლაპარაკი?!

* რატომ ტრანსფორმირდებიან სიყვარულში?! შეყვარებული ქალები რატომ ივიწყებენ, რომ პიროვნებები, ინდივიდები არიან – აქვთ საკუთარი გზა, არჩევნის თავისუფლება და მიზანი.

***P. S. პრინციპში, იქნებ არის ამაში რაღაც ლოგიკა?!***



# გინესის რომელი რეკორდის მფლობელია ჰოლივუდის ვარსკვლავი დუეინ „კლდე" ჯონსონი და რამდენი მილიონი დოლარი მიიღო მან პირველი მთავარი როლისთვის

*„ვუყურებ საკუთარ თავს და ვფიქრობ: არაჩვეულებრივი მსახიობია, რა კარგად გამოსდის ყველაფერი", – ეს ფრაზა ჰოლივუდის ვარსკვლავს, მძაფრსიუჟეტიანი ფილმების გმირს, დუეინ „კლდე" ჯონსონს ეკუთვნის, რომლის გზა წარმატებამდე ამერიკული ფეხბურთითა და რესტლინგით დაიწყო. ახლო მომავალში მსოფლიო კინოეკრანებზე მისი მონაწილეობით ორი პოტენციური ბლოკბასტერი – „ფორსაჟი 6" და „G.I.Joe – კობრას გადატყორცნა 2" გამოვა, რომლებსაც „ბოევიკების" მოყვარულები მოუთმენლად ელიან.*



* დუეინ ჯონსონი დაიბადა 1972 წლის 2 მაისს კალიფორნიაში, ჰეივარდში, ცნობილი რესტლერის – სოულმენ როკი ჯონსონისა და პრომოუტერ ატი მაივიას ოჯახში. დუეინის დედის მხარე წარმოშობით სამოას კუნძულიდან არის და მას პოლინეზიური ფესვები აქვს. ბაბუა დედის მხრიდან – ჰაი ჩიფ პიტერ მაივია, ასევე ცნობილი რესტლერი იყო, ხოლო ბებია, ლია მაივია, რესტლერთა საპრომოუშენო კომპანიას ხელმძღვანელობდა სამოაში. ბავშვობის წლების გარკვეული პერიოდი დუეინი ოკლენდში, ახალ ზელანდიაში ცხოვრობდა, საიდანაც შემდგომ ჰონოლულუში გადავიდა საცხოვრებლად და სწავლა იქ დაასრულა.

* სკოლაში სწავლის პერიოდში დუეინი გატაცებული იყო ამერიკული ფეხბურთით; გარდა ამისა, ის მძლეოსნობასა და ჭიდაობაში ვარჯიშობდა. მაიამის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში დუეინ ჯონსონი სასწავლებლის გუნდის წევრი იყო და უნივერსიტეტებს შორის ამერიკის ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა. მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ პროფესიულ სპორტში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დუეინ ჯონსონმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა კანადის საფეხბურთო ლიგის კლუბ „კალგარი სტამპიდრესთან", თუმცა, მხოლოდ ერთი სრული სეზონის თამაში მოახერხა – ზურგის ტრავმამ მას პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერაზე უარი ათქმევინა.

* დუეინ ჯონსონის დებიუტი რესტლინგ-რინგზე შედგა 1996 წელს. თავდაპირველად იგი როკი მიავიას ფსევდონიმით გამოდიოდა, თუმცა, შემდგომ ფსევდონიმად „კლდე" დაირქვა და ამ სახელით 1990-იანების ბოლოსა და 2000-იანებს დასაწყისის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი რესტლერი გახდა რესტლინგის მსოფლიო ფედერაციაში. მისი და სტივ ოსტინის დაპირისპირებები რინგზე რესტლინგის კლასიკად იქცა. აღსანიშნავია, რომ, აქტიური სამსახიობო კარიერის მიუხედავად, დუეინ „კლდე" ჯონსონი კვლავაც განაგრძობს კარიერას რესტლინგში და ყველა დროის ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან რესტლერად ითვლება. რესტლინგის სამყაროში მისი მეტსახელებია: სახალხო ჩემპიონი, კორპორატიული ჩემპიონი, „დიდებული", „ყველაზე ფეთქებადი ადამიანი", „როკი." 2001 და 2002 წლებში დუეინი პლანეტის ყველაზე ქარიზმატულ რესტლერად დასახელდა, ხოლო რესტლინგის მსოფლიო ფედერაციის მიერ შედგენილ ყველა დროის საუკეთესო რესტლერთა რეიტინგში იგი მეხუთე პოზიციაზე იმყოფება.

* 2000 წელს დუეინ „კლდე" ჯონსონმა, ჯო ლაიდენის დახმარებით, დაწერა თავისი ავტობიოგრაფიული წიგნი, სახელწოდებით – „კლდე" ამბობს". „ნიუ-იორკ თაიმსის" ცნობით, წიგნმა პირველი ადგილი დაიკავა იმ წლის ბესთსელერებს შორის და რამდენიმე კვირის განმავლობაში ყველაზე გაყიდვადი წიგნების რეიტინგში პირველ პოზიციას იკავებდა.

* პირველად დიდ ეკრანზე დუეინ „კლდე" ჯონსონი გამოჩნდა ბლოკბასტერში „მუმიას დაბრუნება," ხოლო 2002 წელს მისი სრულფასოვანი დებიუტი შედგა „მორიელების მეფეში", სადაც დუეინმა მთავარი როლი შეასრულა და ჰონორარის სახით კარიერაში პირველი მთავარი როლისთვის რეკორდული თანხა მიიღო – 5,5 მილიონი ამერიკული დოლარი. ჯონსონის ჰონორარი 2002 წელს გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა.

* დუეინ „კლდე" ჯონსონის სიმაღლე 196 სანტიმეტრია, წონა – 120 კილოგრამი.

* 1997 წლის 3 მაისს დუეინ ჯონსონი დენი გარსიაზე დაქორწინდა. 2001 წელს წყვილს ქალიშვილი – სიმონ ალექსანდრა ეყოლა. 2007 წელს დუეინი და დენი განქორწინდნენ, თუმცა, მეგობრებად დარჩნენ.

* დუეინ ჯონსონი კალიფორნიის ყოფილი გუბერნატორის, ჰოლივუდისა და ბოდიბილდინგის ლეგენდის – არნოლდ შვარცენეგერის ახლო მეგობარია.

* უეინ „კლდე" ჯონსონი მაიამის უნივერსიტეტის ბაკალავრია კრიმინალისტიკასა და ფსიქოლოგიაში.

* დუეინის ბიძები – აფა და სიკა, ასევე, მისი ბიძაშვილები: მანუ, იოკოძუნა, რიკიში, როსი და უმაგა პროფესიონალი რესტლერები არიან და „ველური სამოელების" გუნდს წარმოადგენენ.

* 17 წლის ასაკამდე დუეინი ცხრაჯერ იყო დაკავებული პოლიციის მიერ ჩხუბისა და მაღაზიებში პროდუქტების მოპარვის ფაქტებზე. „წესით, ციხეში უნდა ვმჯდარიყავი, თუმცა, გამიმართლა – ფეხბურთის მწვრთნელმა მიხსნა და გუნდში ამიყვანა," – იხსენებდა დუეინ ჯონსონი.

* დუეინ ჯონსონმა 15 წლის ასაკში ისწავლა ავტომობილის მართვა, ხოლო პირველი ავტომობილი 40 დოლარად იყიდა, რომელიც ყიდვიდან მეორე დღესვე გაფუჭდა. დუეინის საყვარელი საავტომობილო მარკა „ფორდია", რომლის 15-მდე სხვადასხვა მოდელი აქვს გამოცვლილი.

* დუეინ ჯონსონის მეგობარი იყო მაიკლ კლარკ დანკანი – ამერიკელი მსახიობი და „არმაგედონისა" და „მწვანე მილის" ვარსკვლავი, რომელიც 2012 წელს გარადიცვალა. მაიკლი დუეინის პარტნიორი იყო ფილმში „მორიელთა მეფე".

* დუეინ ჯონსონს სახიფათო ტრიუკების შესრულების დროს ცვლის მისივე ნათესავი, კასკადიორი ტანოია რიდი.

* დუეინ ჯონსონი ტიმ ბარტონის მეორე არჩევანი იყო ვილი ვონკას როლზე ფილმში „ჩარლი და შოკოლადის ქარხანა", იმ შემთხვევაში, თუკი ჯონი დეპი უარს განაცხადებდა ამ როლის შესრულებაზე.

* დუეინ ჯონსონს არაქნოფობია აქვს – მას პანიკურად ეშინია ობობების.

* დუეინ „კლდე" ჯონსონის საყვარელი კერძი შემწვარი ქათამი, ბრინჯი და ბროკოლია. მას ასევე, უყვარს პიცა, რომელშიც ბევრი ყველი დევს.

* დუეინ ჯონსონის თქმით, მას შემდეგ, რაც სამსახიობო კარიერას დაასრულებს, იგი ბედს პოლიტიკაში ცდის და, არ გამორიცხავს, რომ კენჭს იყრის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობაზე. „საბედნიეროდ ამერიკაში ვარ დაბადებული და მაქვს შანსი, კენჭი ვიყარო პრეზიდენტობაზე", – განუცხადა დაინტერესებულ ჟურნალისტებს მსახიობმა.

* დუეინ ჯონსონს სხეულზე ორი სხვადასხვა დატვირთვის მქონე ტატუირება აქვს: მის მარჯვენა ხელზე წითელთვალება ხარია გამოსახული, რომელიც მის ზოდიაქოს ნიშანს – კუროს აღნიშნავს, ხოლო მარცხენა ხელზე და მარცხენა მხარზე, სამოური ტრადიციების დაცვით შესრულებული ოჯახის აღმნიშვნელი ტატუირება აქვს, რომელიც მან 2003 წელს ცნობილ ტაიტელ ტატუს ოსტატთან, პოინო ირონდისთან გაიკეთა. მთლიანი ტატუს გაკეთებას, რომლითაც სხეულზე მთელი თავისი ოჯახის ისტორია აქვს გამოსახული, დუეინი 60 საათს მოუნდა.

**უშანგი რუხაძე**

## „ისი-პარი" შეუდარებელი „შაკირას" არომატით ამ სეზონის აღმოჩენას გპირდებათ




„სითი კლუბში", სუნამო „შაკირას" პრეზენტაციაზე მისულ სტუმრებს ხატია შამუგიამ, მონიტორზე ცხელი უდაბნოს კადრებისა და ირგვლივ დანთებული სანთლების ფონზე, ნამდვილი რომანტიკული გარემო დაგვახვედრა.

კომპანია „ისი-პარი" ხშირად გვანებივრებს სიურპრიზებით და ყოველ სეზონზე სასიამოვნო სიახლეებს გვთავაზობს, გასულ კვირას კი ჟურნალისტებისთვის მოწყობილი ზღაპრული სამყაროსა და „შაკირას" ახალი პარფიუმის ჯადოსნურ სურნელს გვაზიარა, რაც ნამდვილად შთამბეჭდავი გამოვიდა. ეს სუნამო შექმნილია გემოვნებიანი, ენერგიული და რომანტიკული ქალბატონებისთვის, რომლებიც ინდივიდუალიზმით გამოირჩევიან და სჯერათ საკუთარი შესაძლებლობების. მერწმუნეთ, მისი არომატით არაერთი მანდილოსანი გაუსვამს ხაზს თავის მომხიბვლელობას, შინაგან სიძლიერეს და, ამავდროულად, ნაზ ბუნებასა და ინდივიდუალიზმს, რაც ნებისმიერ ქალბატონს კიდევ უფრო მიმზიდველსა და სასურველს გახდის.



რასაკვირველია, სიურპრიზები ამით არ ამოწურულა და ჯეოსტარელმა მარიტა როხვაძემ კიდევ ერთხელ გაგვაოცა თავისი ნიჭით – სცენაზე ნამდვილი შაკირასებური ცეცხლი დაანთო და ენერგიული სიმღერების შესრულებით დამსწრე საზოგადოებაც ადვილად აიყოლია.

ასე რომ, სულ მალე „შაკირას" არომატით ბევრი ქალბატონი გახდის თავის ყოველდღიურობას უფრო სასიამოვნოს, ანუ, ეს თქვენთვის ამ სეზონის ნამდვილი აღმოჩენა იქნება.

**ნონა დათეშიძე**

# როგორ გაიყვეს ჰიტლერმა და სტალინმა პოლონეთის ტერიტორია

***თანამედროვე პოლონეთის სახელმწიფო საზღვრები მეორე მსოფლიო ომის შედეგად დადგინდა. იოსებ სტალინისთვის ეს სულაც არ იყო უმნიშვნელო საკითხი, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბელადი განსაკუთრებით იყო დაინტერესებული პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვრით. ამ თემას განვიხილავთ საქართველოს საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მასალებზე დაყრდნობით.***

დიდი ხნის განმავლობაში, მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებში პოლონეთსა და რუსეთს შორის ხანგრძლივი ომები მიმდინარეობდა სასაზღვრო ტერიტორიებისთვის. უნდა ითქვას, რომ ეს ომები ძირითადად პოლონეთის გამარჯვებით მთავრდებოდა. პოლონეთმა რუსეთს წაართვა არა მარტო დღევანდელი უკრაინისა და ბელორუსიის უდიდესი ნაწილი, არამედ, საკუთრივ რუსული ტერიტორიებიც – ქალაქები: ფსკოვი, სმოლენსკი და სხვა. მეთვრამეტე საუკუნეში პოლონეთი ისე დასუსტდა, რომ რუსეთმა, პრუსიამ და ავსტრიამ მისი ტერიტორია სამჯერ გადაინაწილეს. ბოლო გადანაწილებით, რომელიც 1795 წელს განხორციელდა, რუსეთს ერგო ქალაქი ვარშავა და მდინარე ვისლის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია. ეს ტერიტორია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში 1917 წლამდე დარჩა.

1917 წელს, რუსეთის იმპერიის აღსასრულის შემდეგ, პოლონეთმა სახელმწიფოებრიობა აღიდგინა და რუსეთის, გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის შემადგენლობაში მყოფი პოლონეთის ისტორიული ტერიტორიები კვლავ ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდა. ცხადია, საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკი ლიდერებისთვის ეს მიუღებელი იყო, მაგრამ, პირველი მსოფლიო ომის დროს შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში რუსეთმა ხელი ვერ შეუშალა პოლონეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენას ხელმძღვანელობდა დიდი პატრიოტი, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი და უდრეკი ნებისყოფის ადამიანი, იუზეფ პილსუდსკი. მან კარგად იცოდა, რომ რუსეთის უკანდახევა დროებითი იყო. პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული რუსეთი ძალას მოიკრებდა და პოლონეთის ტერიტორიის მიტაცებას შეეცდებოდა. დასავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფოების მხრიდან სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერით უზრუნველყოფილი პილსუდსკი საბჭოთა რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის აღსაკვეთად ემზადებოდა. 1920 წლის აპრილში პოლონეთმა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო და ძალიან სწრაფად დაიკავა უკრაინისა და ბელორუსიის დიდი ნაწილი. იუზეფ პილსუდსკი ვარაუდობდა, რომ თუ საბჭოთა რუსეთი მოახერხებდა ომის დაწყებას პოლონეთის წინააღმდეგ, მას ჯერ უკრაინიდან და ბელორუსიიდან მოუხდებოდა პოლონეთის განდევნა, ხოლო შემდეგ – საკუთრივ პოლონეთში შეჭრა. ასე რომ, პილსუდსკის ვარაუდით, უკრაინა და ბელორუსია უნდა ყოფილიყო ბუფერი პოლონეთსა და რუსეთს შორის. პილსუდსკის ვარაუდი გამართლდა. 1920 წლის მეორე ნახევარში საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ უკრაინის ტერიტორიიდან პოლონელების განდევნა შეძლო, მაგრამ, წარმატებით გათამამებული წითელი არმიის იერიშები ვარშავისა და ლვოვის მიმართულებით რუსებისთვის სრული კატასტროფით დასრულდა. ქანცგაწყვეტილ წითელ არმიას ომის გაგრძელება აღარ შეეძლო. პილსუდსკიმ „წითელი საფრთხე" პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვრებთან შეაჩერა. ცხადია, წითელი არმიის სამარცხვინო მარცხის შემდეგ საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ტერიტორიულ დათმობებზე მოუწია წასვლა. იმის შიშით, რომ პოლონეთის არმიას კვლავ ახალი შეტევები არ დაეწყო, 1921 წლის მარტის საზავო ხელშეკრულებით პოლონეთს გადაეცა უზარმაზარი ტერიტორია _ დასავლეთ უკრაინა (ქალაქები ლვოვი, უჟგოროდი და სხვა) და დასავლეთ ბელორუსია (ქალაქები: გროდნო, ბრესტი და სხვა).

ყოველივე ზემოთ თქმული ძალიან მძიმე მემკვიდრეობას წარმოადგენდა იოსებ სტალინისთვის. საბჭოთა სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი ვერ შეეგუებოდა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის დაკარგვას. სტალინისთვის ისიც ცხადი, იყო, რომ აღნიშნულ ტერიტორიებს პოლონეთი ომის გარეშე არ დათმობდა. ბელადი შესაფერის დროს ელოდა, ელოდა მოთმინებით და ეს დროც დადგა...

ნაცისტური გერმანიის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი პოლონეთი აღმოჩნდა. სტალინმა რამდენჯერმე შესთავაზა პოლონეთს გერმანიისაგან დაცვა, მაგრამ, პოლონელმა პოლიტიკოსებმა შორს დაიჭირეს თავი – ისინი გერმანიის აგრესიის მოგერიებას ინგლისისა და საფრანგეთის დახმარებით ცდილობდნენ. სტალინი პოლონეთის ამ პოზიციამ ძალიან გააღიზიანა. 1939 წლის 23 აგვისტოს მოსკოვში ხელი მოეწერა საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის პაქტს. ადოლფ ჰიტლერმა და იოსებ სტალინმა აღმოსავლეთ ევროპაში გავლენის სფეროები გადაინაწილეს. ეს გამიჯვნა სხვა ქვეყნებთან ერთად პოლონეთსაც შეეხო. მხარეები შეთანხმდნენ, რომ გერმანიის მფლობელობაში უნდა გადასულიყო მდინარე ვისლის დასავლეთით მდებარე ტერიტორია, ვისლის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია კი საბჭოთა კავშირს ერგო. ორად უნდა გაყოფილიყო ქალაქი ვარშავაც: ვისლის მარცხენა



**ნაცისტური გერმანიის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი პოლონეთი აღმოჩნდა. სტალინმა რამდენჯერმე შესთავაზა პოლონეთს გერმანიისგან დაცვა, მაგრამ, პოლონელმა პოლიტიკოსებმა შორს დაიჭირეს თავი – ისინი გერმანიის აგრესიის მოგერიებას ინგლისისა და საფრანგეთის დახმარებით ცდილობდნენ. სტალინი პოლონეთის ამ პოზიციამ ძალიან გააღიზიანა**

სანაპიროზე მდებარე ქალაქის ნაწილი გერმანიას რჩებოდა, მარჯვენა კი – საბჭოთა კავშირს. 1939 წლის 1 სექტემბერს გერმანიამ ომი დაიწყო პოლონეთის წინააღმდეგ. გერმანელები სწრაფად მიიწევდნენ ვარშავისკენ. 17 სექტემბერს პოლონეთის ტერიტორიაზე ჯარების შეყვანა დაიწყო სტალინმა. საბოლოოდ, საბჭოთა არმიამ დაიკავა 1921 წლიდან პოლონეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ტერიტორია, შემდეგ – საკუთრივ პოლონეთის ტერიტორია და მიუახლოვდა ვარშავას. ამ დროისთვის პოლონელებს ვარშავა უკვე მთლიანად ჰქონდათ დაკავებული. ამრიგად, გერმანიამ დაარღვია 1939 წლის 23 აგვისტოს პაქტის პირობა და ვისლის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარე ვარშავის ნაწილი საბჭოთა კავშირს არ დაუთმო. ამ გადაწყვეტილებას რომ იღებდა, ჰიტლერი, გარკვეულ რისკზე წავიდა, თუმცა, გაუმართლა – სტალინმა ვითარება აღარ გაამწვავა. საბოლოოდ, ბერლინსა და მოსკოვს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, სტალინი მხოლოდ დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ტერიტორიებით დაკმაყოფილდა.

1945 წელს, ნაცისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ, ევროპაში ახალი საზღვრები დადგინდა. ცვლილება შეეხო პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვარსაც. სტალინი დიდ პოლიტიკურ თამაშს ეწეოდა: მან მხარი დაუჭირა პოლონეთისთვის ისეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქის გადაცემას, როგორიც იყო დანცინგი (დღევანდელი გდანსკი) და სხვა ტერიტორიები. სამაგიეროდ, სტალინმა ერთი გოჯი მიწაც კი არ დაუთმო პოლონეთს აღმოსავლეთით და მთელი დასავლეთ უკრაინა და დასავლეთ ბელორუსია (მათ შორის პოლონელებით კომპაქტურად დასახლებული ტერიტორიებიც კი) საბჭოთა კავშირის საზღვრებში მოაქცია. არც ერთი სერიოზული პრეტენზია საზღვრის დადგენის შესახებ სტალინმა პოლონელებისგან არ მიიღო.

**მოამზადა**
**ანრი შავლაძემ**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

# როგორ გავისუფთაოთ აზრები და ფიქრები ნეგატიური გავლენისგან და შესაძლებელია თუ არა არომატების დახმარებით აურის გაწმენდა

არავისთვის უცხო არ არის, რომ ენერგია სიცოცხლის არსია. ისიც ცნობილია, რომ ცეცხლი და წყალი ენერგეტიკულ ზემოქმედებას ახდენს ყველაფერზე, რაც გარშემო არსებობს, კერძოდ, წვის პროცესი სივრცეს ასუფთავებს, წყალი კი ის ნივთიერებაა, რომელიც ინფორმაციას ინახავს. თუმცა, ამ ორივე სტიქიას, გარდა ამ თვისებებისა, კიდევ ერთი საიდუმლო გააჩნია.

უარყოფით ენერგიებზე, მის ზემოქმედებასა თუ შედეგებზე დღეს ბევრი საუბრობს. თუმცა, ადამიანების უმრავლესობა ამას ყურადღებას არ აქცევს, მშვიდად განაგრძობს ცხოვრებას, არც პარალელური სამყაროსი სჯერა და არც იქ ბინადართა არსებობა ჰგონიათ რეალობა. საჭიროა, ადამიანმა ჯერ გარკვეული ცოდნა მიიღოს, მსგავს დამოკიდებულებაზე შეხედულება შეიცვალოს და ამის შემდეგ თავად დააკვირდეს, არის თუ არა საეჭვო ეს მოვლენები. აქვე ერთ რამეს შეგახსენებთ, მაგალითად, ვინც ისტორია კარგად იცის და მედიცინაშიც გარკვეული ცოდნა აქვს, მოეხსენება, რომ ძველად აღმოსავლეთის ქვეყნებში მძიმე ავადმყოფი განსაკუთრებული ბუნებრივი ენერგეტიკის ადგილას მიჰყავდათ და იქ ცეცხლისა და წყლის ენერგიების შეჯერებით იწყებდნენ მის მკურნალობას. შედეგი, უმეტეს შემთხვევაში, დადებითი იყო. ასე რომ, ცეცხლი და წყალი რომ ჩვენზე ზეგავლენას ახდენს, უარყოფითი ენერგეტიკაც რომ დამღუპველია და მისი განეიტრალება და მისგან თავდაცვა უნდა ვიცოდეთ, ეს ფაქტია. საიდუმლო, რომელიც ეხება წყლისა და ცეცხლის ზემოქმედებას პარალელურ სამყაროსა და იქ მცხოვრებ არსებებზე, ბოლომდე ამოხსნილი არ არის. ადრეულ საუკუნეებში პარალელურ სამყაროში მობინადრე არსებებს „ელემენალებს“ უწოდებდნენ, ზოგი „პოლტერგეისტად“ მოიხსენიებს, ზოგიც „ბარაბაშკად“. საქართველოში კი, მათ ფუძის კეთილ ანგელოზებად მიიჩნევენ. სხვა სამყაროების მცხოვრებლები, ისევე, როგორც ჩვენ – ადამიანები, ბოროტებიც არიან და კეთილებიც. ისინი ჩვენს დამოკიდებულებასა და განწყობას ხვდებიან და შესაბამისადაც რეაგირებენ დედამიწაზე მცხოვრებ კონკრეტულ ადამიანებზე. ასევე, არიან ისეთებიც, ადამიანების უხილავ დამცველებად რომ გვევლინებიან და ამიტომ დაარქვეს მათ ფუძის კეთილი ანგელოზები. ზოგი კი პირიქით, ზიანს აყენებს ადამიანს, მის ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებს და, რეალურ სამყაროში გადმოსული, უწმინდურ ძალად გვევლინება.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებისგან განსხვავებით, ისინი სიცოცხლის არაცილოვან ფორმას წარმოადგენენ, მაინც ძალიან არიან დაინტერესებული ორგანული სამყაროთი და მათ წარმომადგენლებთან კონტაქტის დამყარებით, ამას კი თავისი ახსნა აქვს. კერძოდ, სიცოცხლის როგორც ცილოვან, ასევე არაცილოვან ფორმებს, აქვს საერთო ენერგია, ანუ, მთელი სამყაროსთვის უნივერსალური საწყისი. სხვა სამყაროების არსებები საკუთარ თავს სასიცოცხლო ენერგიებით სხვადასხვაგვარად ამარაგებენ: ზოგი ამას თავად გამოიმუშავებს, ზოგი კი ვამპირული წესით, ანუ, სხვების ხარჯზე. პარალელური სამყაროს დაბალი ფენების არსებები, სწორედ ასეთი ვამპირობით იკვებებიან საჭირო ენერგიებით დედამიწაზე მცხოვრები ადამიანებისგან. ამ შემთხვევაში ადამიანი მათი მსხვერპლია. აქვე იმასაც გეტყვით, რომ სწორედ ამ სხვასამყაროელი ვამპირების უხილავი, მაგრამ აქტიური მოქმედების შედეგია ჩვენი უამრავი დაავადება, ორგანიზმის ნაადრევი დაბერება-გამოფიტვა, სასიცოცხლო ძალების განლევა და ასე შემდეგ. აღმოსავლეთის ქვეყნებში ღრმად სჯერათ, რომ პარალელური სამყაროს არსებები ნამდვილად არიან ჩვენ გარშემო და მათ თავიანთ სასარგებლოდაც კი იყენებენ. რაც შეეხება მათ მიერ კონკრეტული ადამიანის ამორჩევას, ამაში თავად ადამიანია „დამნაშავე“ – ის თავად იწვევს პარალელური სამყაროს არსებებს.

პარალელური სამყაროს უხილავი არსებები იმ საცხოვრებელ ბინებში იბუდებენ, სადაც სისუფთავის წესებს არ იცავენ. ხშირად არ ასუფთავებენ ბინას და გასარეცხი ნივთები აქვთ დაგროვილი. ასევე, მათი კვების მთავარი წყაროა ენერგია, რომელიც სივრცეში ჩვენი უარყოფითი ფსიქიკური გამოხდომების დროს გამოიყოფა. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ ცუდ ფიქრებს, ემოციებს, განრისხებას, გაღიზიანებას, გინებას, წყევლას, შურს, სიბრაზეს და ასე შემდეგ. ფიზიკურ ჭუჭყზე მეტად, უცხო განზომილების ვამპირებს ფსიქიკური აფეთქების ენერგეტიკა იზიდავთ. ყველას მოგეხსენებათ, რომ გაბრაზებული ადამიანის აურიდან სივრცეში ფსიქიკური ენერგიის ნაკადები გამოიფრქვევა. ასტრალურ ვამპირსაც სწორედ ეს ენერგია სჭირდება გამოსაკვებად. ასე რომ, ნეგატიური ემოციების შედეგად, ადამიანი უამრავ სასიცოცხლო ენერგიას კარგავს, რაც მის აურაში ბევრ ბზარს აჩენს და დაზიანებულ ადგილებში ვითარდება დაავადებების განვითარების საწყისები. ასევე, ირღვევა მისი ბუნებრივი ენერგეტიკული თავდაცვის მექანიზმი ფიზიკურ დონეზე და სხვა სამყაროების უარყოფითი ზეგავლენა ადვილი ხდება. ენერგიულად დაუცველი და დაზიანებული აურა კი ადამიანის ორგანიზმს დაუცველსა და გარე მავნე ზემოქმედებისადმი ღიას ხდის.

მათგან თავდაცვის მეთოდი კი, რასაკვირველია, არსებობს და ეს არის არომათერაპია. სხვა სამყაროების ბინადრები ძალიან მგრძნობიარეები არიან არომატების მიმართ. ამ მხრივ ყველაზე კარგი საშუალება და მათგან თავდაცვის მთავარი წყაროა ველური ვარდის, ევკალიპტისა და პიტნის სურნელის მქონე ჩხირების ანთება ბინაში. ადამიანის ორგანიზმის ენერგეტიკული გაწმენდა, ასევე, დაბინძურებული აზრებისა და გრძნობების მოშორება შესაძლებელია. კერძოდ, საკუთარი აზრების სწორი ტრანსფორმირება და მიმართულების მიცემა შეგვიძლია ცეცხლის, წყლისა და სხვადასხვა არომატის დახმარებით. ამიტომ, ხშირად უყურეთ დანთებულ ცეცხლს, სანთლის ალს, გამდინარე წყალს და ისუნთქეთ სურნელოვანი ჩხირების არომატი – ამით საკუთარ აზრებსა და ფიქრებსაც გაისუფთავებთ ნეგატიური გავლენისგან და სხვა სამყაროს არსებების ენერგოდონორობასაც დააღწევთ თავს.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1978 წლის 10 მაისს, საღამოს საათებში. უცხოეთის რომელი ქვეყანაა ჩემთვის მისაღები და ასტროლოგიურად რომელი სფეროებია წარმატების მომტანი?**

**პასუხი**: უცხოეთი თქვენი კარმული მისია ნამდვილად არ არის, ის თქვენთვის საშუალოა. ქვეყნებიდან კი შედარებით კარგია: ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთი მხარე, ინგლისი, ბელგია, კანადა, ეგვიპტე, საბერძნეთი, ნორვეგია, არგენტინა, მონაკო, ჩინეთი, ლატვია, ესპანეთი, ავსტრალია, იტალია, გერმანია და რუსეთი. პროფესიებიდან წარმატებების მომტანია: ჟურნალისტიკა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, ხელოვნების ფართო სპექტრი, სადალაქო ინდუსტრია, არქიტექტურა, ტურისტული ბიზნესი, პროფესიონალური დიპლომატია, ავიაციის ბიზნესი, ქორეოგრაფია, საკონდიტრო ინდუსტრია, სოციოლოგია, ფოტოგრაფია, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური სფერო.

**კითხვა: დავიბადე 1984 წლის 1 ნოემბერს. უცხოეთის რომელი ქვეყანაა ჩემთვის მისაღები და რა არის ჩემი კარმულ-კოსმიური მისია?**

**პასუხი**: თქვენი კარმული მისია უკავშირდება იმას, რომ იყოთ პატრიოტი, დაიცვათ ტრადიციები. უნდა დაასტაბილუროთ საოჯახო და სამეგობრო ურთიერთობები. უცხოეთი თქვენი კარმული მისია არ არის, თუმცა, დროებით წასვლა მისაღებია. იქ დაგროვილი კაპიტალი, ცოდნა და გამოცდილება სამშობლოში უნდა მოიხმაროთ. ქვეყნებიდან კი კარგია: ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთი ნაწილი, ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის ქვეყნები, ჰოლანდია, პარაგვაი, შოტლანდია, თურქეთი, საფრანგეთი, ახალი ზელანდია, ჩინეთი, ინდოეთი, იტალიის ვენეციის მხარე, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ნეპალი, არგენტინა, ბირმა, ტიბეტი, სან-მარინო, მონაკო, ლატვია, ჰავაის კუნძულები, ავსტრია, გვატემალა.

**კითხვა: ჩემი შვილიშვილი დაიბადა 1992 წლის 16 აგვისტოს, შუადღისას, დაახლოებით 2-დან 3 საათამდე. რა არის მისი კარმული მისია დედამიწაზე და რა გააკეთოს, რომ ცხოვრებაში წარმატებული იყოს?**

**პასუხი**: მისი კარმული მისიაა, იყოს აქტიური, ენერგიული, შეძლოს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება, წინა პლანზე წამოწიოს ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებები. სადაც საჭიროა, იყოს უშიშარი და მებრძოლი. ასევე, უნდა იყოს ოპტიმისტი, კეთილშობილი, კომუნიკაბელური, დაეყრდნოს ცოდნის ბაზას, გააზრებულად ხარჯოს ფინანსები. ყველგან უნდა დაიცვას წესრიგი და სისუფთავე. უნდა იყოს „უხალტურო“ მუშაკი; ასევე, უნდა იყოს მიზანსწრაფული და დამოუკიდებლად შეძლოს საქმის კეთება. გამოავლინოს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა. ამით ის დადგება სწორ კოსმიურ ევოლუციურ გზაზე და წარმატებებსაც ადვილად მიაღწევს ცხოვრებაში. ასევე, მისი კოსმიური მისიაა უცხოეთთან კონტაქტი. მისთვის აუცილებელია, იქ გაატაროს გარკვეული პერიოდი, შეიძინოს ცოდნა და გამოცდილება.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

17 აპრილი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„პირველი სიყვარული"** - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: ლევან ბერიკაშვილი, ზვიად პაპუაშვილი, ქეთი ხიტირი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

19 აპრილი, **პარასკევი** 19.45 - **„სულიერი არსებები".** (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: თათული დოლიძე, მარინა კახიანი, გელა ოთარაშვილი, ნინო მითაიშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, ნინო თარხან-მოურავი. კომედია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

20 აპრილი, **შაბათი** 19.45 - **„თორმეტი განრისხებული მამაკაცი".** (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი რევაზ ჩხაიძე. მონაწილეობენ: სოსო აბრამიშვილი, დავით კვირცხალია, მურმან ჯინორია, თემიკო ჭიჭინაძე, ლევან ხურცია, ირაკლი მაჭარაშვილი, დავით დარჩია, ზურა ინგოროყვა, დავით პაპუაშვილი, ტრისტან სარალიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, ვანო გოგიტიძე. ტრაგიკომედია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

21 აპრილი, **კვირა** 19.45 - **„პრინცი ჰომბურგი".** (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი გოშა გორგოშიძე. მონაწილეობენ: ირაკლი მაჭარაშვილი, მარინა ჯანაშია, ია სუხიტაშვილი, ზურა ინგოროყვა, სანდრო მიკუჩაძე-ლალანიძე, დავით უფლისაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, ბაჩი ლეჟავა, ბექა სონღულაშვილი, მანანა აბრამიშვილი; დრამა. ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.**

16 აპრილი, **სამშაბათი** 20.00 - **„აგნუს დეი" - „მოცარტი და სალიერი" და „ეგვიპტის ღამეები"-ს მიხედვით** (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი დავით ჩხარტიშვილი. მონაწილეობენ: გივი ჩუგუაშვილი, გაგა შიშინაშვილი, შაკო მირიანაშვილი, ჯანო იზორია, დათო ბელთაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

16 აპრილი, **სამშაბათი** 20.00 - **„ჟოლო"** - (დიდი სცენა), (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

17 აპრილი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ბახტრიონი"** - ლეო ანთაძის საავტორო სპექტაკლი - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში); ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

17 აპრილი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„რევიზორი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: დავით დვალიშვილი, მანანა კოზაკოვა, ნატა ბერეჟიანი, ონისე ონიანი, როლანდ ოქროპირიძე, ავთანდილ მიქაძე, ზურა ბერიკაშვილი, დავით ხურცილავა, ნოდარ დოლონაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30წთ.;***

18 აპრილი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„მე, ბებია, ბაბუა და ჭინკები"** - სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). რეჟისორი გიორგი თავაძე. მონაწილეობენ: ნუგზარ ჩიქოვანი, ნინო შავგულიძე, მერაბ ბრეკაშვილი, მარინა სოლომონია, ნუგზარ წერედიანი; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 10წთ.;***

19 აპრილი, **პარასკევი** 20.00 - **„როგორც გენებოთ"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მანანა კოზაკოვა, ნატო კახიძე, ქეთევან შათირიშვილი, ქეთევან ცხაკაია, ნატა მურვანიძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ნიკოლოზ თავაძე, მალხაზ აბულაძე, ბესო ბარათაშვილი, დავით ხურცილავა, ნიკა კუჭავა, ზურაბ ბერიკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ონისე ონიანი. ***ხანგრძლივობა: 2 სთ.;***

19 აპრილი, **პარასკევი** 20.00 - **„ექსტრავაგანსა".** (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: ზაალ კაკაბაძე, თეონა მაღალაშვილი, გიორგი მებაღიშვილი, ელენე ფირცხალავა, თინათინ წულაძე. თითების თეატრი. ***ხანგრძლივობა: 55 წუთი***

20 აპრილი, **შაბათი** 20.00 - **„ქაქუცა ჩოლოყაშვილი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნიკა კუჭავა, ლელა მებურიშვილი, იოსებ გოგიჩაიშვილი, გია ბურჯანაძე, ზურა ბერიკაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, ზაზა იაქაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ბექა გოდერძიშვილი, ონისე ონიანი, ლეო ანთაძე. ***ხანგრძლივობა: 3სთ.;***

20 აპრილი, **შაბათი** 20.00 - **„კედელი".** (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: მარიამ კვაჭაძე, ზაალ კაკაბაძე, თეონა მაღალაშვილი, გიორგი მებაღიშვილი, ელენე ფირცხალავა, გრიგოლ გოგოლაძე; თითების თეატრი. ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

21 აპრილი, **კვირა** 20.00 - **„შერეული ემოციები"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: დუტა სხირტლაძე, ქეთი ცხაკაია; ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

21 აპრილი, **კვირა** 20.00 - **„ქალები"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ზაუტაშვილი, ნინო დუმბაძე, ქეთი ჩხეიძე, ქეთი გეგეშიძე, ირმა ბერიანიძე, ეკა მჟავანაძე, ზაზა გოგუაძე, თემო კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.**

15 აპრილი, **ორშაბათი** 19.00 - **„მგზნებარე შეყვარებული"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი თიკო ქათამაშვილი. მონაწილეობენ: სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, თიკო კორძაძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ.;***

16 აპრილი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

17 აპრილი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ;***

18 აპრილი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„თაფლობის თვე"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 12 ლარი), რეჟისორი მაია დობორჯგინიძე. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, სალომე ჭულუხაძე, ნათია კვაშალი; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ.;***

19 აპრილი, **პარასკევი** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

20 აპრილი, **შაბათი** 19.00 - **„ვალსი ძილის წინ"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, მაია დობორჯგინიძე, მარიამ ჯოლოგუა, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

21 აპრილი, **კვირა** 19.00 - **„მექანიკური ფორთოხალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი.***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

18 აპრილი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„შავი კეტები"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: თამარ ტყემალაძე, ანა მატუაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, სალომე წურწუმია, მამუკა მაზავრიშვილი, იმედა ნატროშვილი, კოტე მჟავია, ვასო შიხაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

19 აპრილი, **პარასკევი** 19.00 - **„ჭურში"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), სცენური ვერსიის ავტორი და რეჟისორი - ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: შალვა ბახტაძე, ვაკო მანძულაშვილი, ანა მატუაშვილი, კოტე მჟავია, ვალერი ტორონჯაძე, ლექსო ტურიაშვილი, ვასო შიხაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

20 აპრილი, **შაბათი** 19.00 - **„ტაქსისტი გივის სასიყვარულო ისტორია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი მალხაზ ასლამაზაშვილი. მონაწილეობენ: ბაჩო ქაჯაია, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური, ანდრო სარიშვილი, გიორგი ქსოვრელი, კახა ჯოხაძე, ზურაბ იაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

21 აპრილი, **კვირა** 19.00 - **„მაგიის საოცრებანი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), მონაწილეობენ: გოგა თავაძე, ზურა ავსაჯანიშვილი, აკაკი ხიდაშელი, გვანცა დადიანიძე, კახა ჯოხაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი.***

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**ალმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90.**

18-19 აპრილი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 20.00 - **„პანთეონი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი გურანდა იაშვილი. მონაწილეობენ: ნინო გომართელი, გიორგი ტორიაშვილი, ცისია მეტრეველი, გოგა მოძმანაშვილი, მარინა ჯოხაძე, ანა ზამბახიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

20-21 აპრილი, **შაბათი-კვირა** 20.00 - **„(შუა) ზაფხულის ღამის სიზმარი"** - (ბილეთის ფასი - 10, 15 ლარი), რეჟისორი დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: ბუბა გოგორიშვილი, კახა კინწურაშვილი, არჩილ სოლოღაშვილი; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

## ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი
**ჭავჭავაძის გამზირი №32. ტელ.: 229-47-15.**

19 აპრილი, **პარასკევი** 20.00 - **„ფრანგული გარნირი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: ბაჩო დოლონაძე, სალომე მიქაძე, გიორგი ჭუმბურიძე, სალომე ლაფერაძე, სალომე წურწუმია, ზურაბ გაბუნია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

20 აპრილი, **შაბათი** 20.00 - **„ფსიქოზი 4:48"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისურა, მხატვრობა და მუსიკალური გაფორმება ბუბა ბასიშვილისა და გოგა ქაჩიბაიასი. მონაწილეობენ: ეკა აბშილავა, ნინო ლეჟავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

21 აპრილი, **კვირა** 20.00 - **„ხარმსი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ოთარ ეგაძე. მონაწილეობენ: დავით გოცირიძე, დავით გიგოლაშვილი, დავით ველიჯანაშვილი, თამთა ცინცაძე, თათია ბუაძე, მაია გელოვანი, მაკა ძაგანია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი.***

**დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.**
**ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.**

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

## ორშაბათი 15 აპრილი

**06.30** დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებანი" **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** დ/ფ "ოთხგანზომილებიანი ატლასი" **17.00** დ/ფ "ამერიკის საიდუმლო"**18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ "**დაველოდეთ**"**21.00** ტ/სერ "**როსელა**" **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** "კომენტატორი" **00.00** "საფარი" **00.30** მხ/ფ "**10.000 წელი ჩვენს ერამდე**" (ტიტ.).

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება)**10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **911.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **13.00** სერ. "**24 – 6**" **14.40** ფულთან თამაში (გ/ჩ)**16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**"**17.50** სერ. "**თილისმა**"**18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **6** სერ. **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** მხ/ფ "**ბედს ვერ გაექცევი**" (ვ.ჰ არილსონი). **00.15** იმედი არტარეა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**"**11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**"**12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი**12.30** "შუა დღე"**15.30** ყველაზე ჭკვიანი**17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**"**20.05** სერ "**ერთგულების ძალა**"**22.00** "საქართველოს ვარსკვლავი" **00.00** შიშის ფაქტორი **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბები კოლაჟი **7.30** მულტფილმი **8.00, 9.00, 1.00, 6.30** ახალი ამბები **8.10, 9.15** მაღვიძარა **11.00** ღია კარის დღე **11.30** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.00, 4.30** თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** პრესკლუბი **16.40** პრესპრესი **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.15, 2.00** თოქ-შოუ "არგუმენტი" **19.15** სერიალი **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30** "ყოველდღიური აბები" **22.20, 0.30** მაგთიფანი **23.00, 3.00** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი.

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.20** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.45** მხ/ფ "**ვინ შეკაზმავს ცხენს**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30** ისტორიის დღიური **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** ეთნოგრაფია **10.55** კვირიაკე **12.10** მხ/ფ "**კაცია ადამიანი?!**" **13.35** კონცერტი - ანს."ურმული" **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმრები **15.30** სპექტაკლი "**პატარა უფლისწული**" **17.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **17.40** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ. გვასალია) **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**მე დავბრუნდები**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** სალვთისმეტყველო საუბრები **22.25** საუბრები ლიტერატურაზე **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სალვთისმსახურო წელიწადი **23.35** დოკ/ფ "თიხით მოუბარი" **00.35** განთიადის სტუმრები **01.00** მოკ/ფ "**ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება**" **01.55** დოკ/ფ "მაჭახელა".

## სამშაბათი 16 აპრილი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.30** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ "**როსელა**" **17.00** დ/ფ "თანამედროვე იარაღი"**18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ "**დაველოდეთ**"**21.00** ტ/სერ "**როსელა**"**22.00** "აქცენტები" **23.30** მხ/ფ "**ჯადოსნური შარვალი – 2**" (ა.ფერერა) **01.50** დ/სერ "მიხეილ გორმაჩოვი".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება)**10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**"**13.00** სერ. "**24 – 6**" **14.40** კონცერტი: "მაკარევიჩი თბილისში'' (გ/ჩ)**16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**"**17.50** სერ. "**თილისმა**"**18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **7** სერ. **21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** ახალი საბავშვო ხმა **00.15** იმედი არტარეა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**"**11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**"**12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი**12.30** "შუა დღე"**15.30** ვანოს შოუ (გ/ჩ)**17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**"**18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**"**20.05** სერ. "**ერთგულების ძალა**"**20.50** ეროვნული ლატარეა**22.00** პოზიცია.**23.30** სერ. "**გრიმი**" **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბები კოლაჟი **7.30** მულტფილმი **8.00, 9.00, 1.00, 6.30** ახალი ამბები **8.10, 9.15** მაღვიძარა **11.00** მაგთიფანი (ორშ. სერია) **11.30, 16.40** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.00, 4.30** თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** პრესკლუბი **17.00** სტუდია რე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.15, 2.00** თოქ-შოუ "სუბ. აზრი" **19.15** სერიალი **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30** "ყოველდღიური აბები" **22.20, 0.30** მაგთიფანი **23.00, 3.00** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** სპექტაკლი "**პატარა უფლისწული**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ქრისტიანული სწავლება **10.55** საუბრები ლიტერატურაზე **10.20** სალვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**მე დავბრუნდები**" **13.20** კონცერტი - თეატრალურის კვარტეტი **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.00** სალვთისმსახურო წელიწადი **16.20** მხ/ფ "**პრემიერა**" **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დოკ/ფ "ჩემი ქვეყანა" **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.30** ჩვენი ფონდი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "საქართველოს ისტორია" **23.50** ფოტოგალერეა **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** ერთსულოვნების სალონი **01.40** კარაბადინი.

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი“**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**15 – 21 აპრილი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.00, 16.00, 18.00 - **„რუდსების ოჯახი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00, 22.30 - **„შურისძიება”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.15 - **„კომა”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.15 - **„მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.30, 17.10, 22.30 - **„ჯეკი გიგანტების გამანადგურებელი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

19.45 - **„რუდსების ოჯახი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.30, 15.00, 17.30 - **„შურისძიება”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

20.00, 22.30 - **„რუდსების ოჯახი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 11,50 ლარი)&

**კინოთეატრი „ამირანი”**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

12.00, 14.00, 16.00, 18.00 - **„რუდსების ოჯახი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00, 22.30 - **„შურისძიება”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*მცირე დარბაზი*

12.30, 15.00, 17.30 - **„შურისძიება”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

20.00, 22.30 - **„მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 11,50 ლარი).

**კინოთეატრი „საქართველო”**
**გურამიშვილის გამზ. 2/9,**
**ტელ: 230-80-80; 269-66-47.**

12.00, 14.00 - **„დედამიწიდან გაქცევა”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

16.00 - **„ჯეკი გიგანტების გამანადგურებელი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

18.00 - **„კომა”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00, 22.00 - **„შურისძიება”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 4 - 8 ლარი).

# ბიფშტექსი „ბერლინი“









**საჭირო ინგრედიენტები:** 600 გრამი საქონლის რბილი ხორცი, 750 გრამი მაგარი ყველი, 3 ცალი კვერცხი, შავი პილპილი და წითელი წიწაკა, ზეთი, მარილი – გემოვნებით, მოხარშული ბრინჯი – გარნირისთვის.

**მომზადების წესი:** ხორცი დაჭერით ხელისგულის ზომის ულუფებად, კარგად დაბეგვეთ, მოაყარეთ მარილი, შავი პილპილი და დაფქული წითელი წიწაკა. ათქვიფეთ კვერცხი და ჩაუმატეთ გახეხილი ყველი. ამ მასაში სათითაოდ ამოავლეთ ხორცის ნაჭრები და შეწვით ზეთიან ტაფაზე ყველა მხრიდან.

შებრაწული ბიფშტექსი ჩააწყვეთ გამოსაცხობ ფორმაში, შეფუთეთ ფოლგაში და ნახევარი საათით მოათავსეთ აირღუმელში, დაბალ ცეცხლზე. წინასწარ მარილწყალში მოხარშულ ბრინჯზე დააწყვეთ ბიფშტექსის ნაჭრები და მოასხით საწებელი ან ტომატ-პასტა.

ამ რეცეპტით ქათმის ფილეს მომზადებაც შეიძლება.

# „გემრიელი კარტოფილი“








**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი საშუალო ზომის კარტოფილი (დაახლოებით 6 ცალი. ძალიან კარგია ახალი კარტოფილი), 100 გრამი ნედლი ქამა სოკო, ზეთი, კამა და ოხრახუში; მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** სოკო დაჭერით ძალიან წვრილად, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი, მოაყარეთ ცოტა მარილი და პილპილი.

თუ ახალი კარტოფილი გაქვთ, საკმარისია, კარგად გარეცხოთ და აღარ გათალოთ, ძველი კი გათალეთ. თითოეული კარტოფილი ღრმად ჩაჭერით მარაოსავით და ეს ღრმული სოკოს ფარშით ამოავსეთ. საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა, მოთმინებას მოითხოვს, მაგრამ, კერძის გემო ამად ღირს.

ფარშირებული კარტოფილი დააწყვეთ გამოსაცხობ ტაფაზე. მოასხით ზეთი (ან გამდნარი კარაქი), აცხვეთ აირღუმელში 30 წუთის განმავლობაში. ტაფა ჯერ ფოლგაში გაახვიეთ, მერე კი მოხადეთ და კარტოფილი კარგად დაბრაწეთ.

# სამარხვო კერძი – „პიკანტი“









**საჭირო ინგრედიენტები:** 500-800 გრამი კომბოსტო, 1 თავი ხახვი, 1-3 ცალი სტაფილო, 100 მილილიტრი ტომატ-პასტა, 100 გრამი მრგვალი ბრინჯი, 100 მილილიტრი ზეითუნის ან სიმინდის ზეთი. ცოტა ოხრახუში, მარილი, შავი პილპილი, დაფქული კორიანდრი, ცოტა ჩილი (მწარე წიწაკა), 2-3 ძირი მწვანე ხახვი.

**მომზადების წესი:** უპირველესად, მდუღარე მარილწყალში გათუთქეთ კომბოსტო. ხახვი დაჭერით მსხვილ კუბიკებად, სტაფილო – რგოლებად (სტაფილოს რაოდენობა თქვენი გემოვნების მიხედვით განსაზღვრეთ). ზეთში რიგრიგობით მოშუშეთ ხახვი და სტაფილო. დაუმატეთ ჯერ რგოლებად დაჭრილი მწვანე ხახვი, შემდეგ კი – დაჭრილი კომბოსტო და მოხრაკეთ მაღალ ცეცხლზე. მუდმივად ურიეთ, სანამ კომბოსტო ფერს შეიცვლის. მერე ჩაუმატეთ ტომატ-პასტა, სუნელები, მარილი და აურიეთ. დაუკელით ცეცხლს მინიმუმამდე. ჩაუმატეთ მრგვალი ბრინჯი და ბრინჯის რაოდენობაზე ორჯერ მეტი წყალი. დაახურეთ ქვაბს თავსახური და შუშეთ, სანამ ბრინჯი მოიხარშება. კერძს მოაყარეთ მსხვილად დაჭრილი ოხრახუში, ჩილი და გემრიელად მიირთვით.







FABIO

* ისრაელის წარმოების უნივერსალური სარეცხი ფხვნილი Fabio
* გამოიყენება როგორც ხელით, ასევე, სარეცხი მანქანით რეცხვისას.
* მისი უნივერსალურობა იმაშიც გამოიხატება, რომ, რეცხავს როგორც თეთრეულს, ისე ფერად ტანსაცმელს.
* მინიმალური დანახარჯით – მაქსიმალური შედეგი: 5 კილოგრამ სარეცხზე 37-გრამიანი მოხმარება!
* 1 კილოგრამი Fabio გაძლევთ საშუალებას, იდეალურად გარეცხოთ 27-ჯერ (ანუ, 27-ჯერ გარეცხავთ 5 კილოგრამ სარეცხს, როგორც თეთრეულს, ასევე ფერად ტანისამოსს).
* არის ეკოლოგიურად სუფთა და არ იწვევს ალერგიას.

ტელეფონი: 551 441111

## გურმანთა მეგზური



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# კომბოსტოს შნიცელი

**საჭირო ინგრედიენტები:** კომბოსტოს 10 ცალი ფოთოლი, 10 თხელი ნაჭერი ყველი, 150 გრამი ლორი, 2 კვერცხი, მარილი – გემოვნებით; ფქვილშერეული საფანელი – შნიცელების ამოსავლებად, ზეთი – შესაწვავად, არაჟანი.

**მომზადების წესი:** კომბოსტოს ფოთლები რამდენიმე წუთი ადუღეთ მარილწყალში. დარბილებული ფოთლები ქაფქირით ამოიღეთ და შესაგრილებლად გაშალეთ. ლორი თხელ ნაჭრებად დაჭერით და ორივე მხრიდან შებრაწეთ ზეთში. დაფაზე გაფინეთ კომბოსტოს ფოთლები, თითოეულ ფოთოლზე დააწყვეთ ყველისა და ლორის ნაჭრები და კონვერტივით გადაახვიეთ. თითოეული შნიცელი ამოავლეთ ჯერ მარილთან ერთად გათქვეფილ კვერცხში, შემდეგ კი – ფქვილნარევ საფანელში. შეწვით ორივე მხრიდან და სუფრაზე მიიტანეთ არაჟანთან ერთად.



# სპაგეტი ბადრიჯნითა და ქონდრის სოუსით



**საჭირო ინგრედიენტები:** 350 გრამი სპაგეტი, 3 ცალი ბადრიჯანი, 2 ცალი პომიდორი, 1 კონა ქონდარი, 5 კბილი ნიორი, 0,5 ჭიქა ზეთი, წიწაკა და მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ქონდარი კარგად გარეცხეთ და დაჭერით, ჩაყარეთ ბლენდერში ზეთთან, ნიორთან, მარილთან და წიწაკასთან ერთად და ათქვიფეთ. ბადრიჯანი დაჭერით სიგრძეზე, მოაყარეთ მარილი და შეწვით ზეთში. სპაგეტი მოხარშეთ ჩვეულებრივი წესით, შეურიეთ ბადრიჯანი, დაჭრილი პომიდორი და მოასხით ქონდრის სოუსი.

# ბადრიჯანი ნადუღითა და ყველით

**საჭირო ინგრედიენტები:** 5 ცალი ბადრიჯანი, 200 გრამი ნადუღი, 150 გრამი ყველი „პარმეზანი“, 4 კბილი ნიორი, 600 გრამი პომიდვრის პიურე, 1 კონა რეჰანი, 1 კონა ოხრახუში, 0,5 ჭიქა ზეითუნის ზეთი, მარილი – გემოვნებით.



**მომზადების წესი:** ბადრიჯანი დაჭერით თხლად და მოაყარეთ მარილი. 30 წუთის შემდეგ გაწურეთ და შეწვით ზეთში. ნადუღი, „პარმეზანი,“ წვრილად დაჭრილი ოხრახუში და 2 კბილი დანაყილი ნიორი აურიეთ ერთმანეთში, ეს მასა მოათავსეთ შემწვარი ბადრიჯნის ნაჭრებზე და რულეტივით გადაახვიეთ. სოუსისთვის პომიდვრის პიურეში აურიეთ 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, დაჭრილი ნიორი, რეჰანი და 5 წუთი ადუღეთ. სოუსის ნაწილი ჩაასხით ფორმაში, ზედ მოათავსეთ მომზადებული ბადრიჯნები და ზემოდან მოასხით დანარჩენი სოუსი, შედგით 200 გრადუსზე გახურებულ ღუმელში 20 წუთით. სუფრაზე გატანის წინ მოაყარეთ დაჭრილი ოხრახუში.

38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 17 აპრილი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ **"როსელა"** **17.00** დ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები"**18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"დავქორწინდეთ"21.00** ტ/სერ **"როსელა"** **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** მხ/ფ **"შეუპოვარი"** (ჯ. ფორდი) **01.20** დ/სერ "კავასაკელი კანდიდატის საარჩევნო კამპანია".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება)**10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** 11 სერ.**11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"13.00** სერ. "24 – 6" **14.40** ღამის შოუ (გ/ჩ)**16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"17.50** სერ. **"თილისმა"18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** 8 სერ.**21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ფულთან თამაში**23.00** მხ/ფ **"ნიკო – აპლოდისმენტი"** **00.15** იმედი არტარეა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი**12.30** "შუა დღე"**17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"20.05** სერ **"ერთგულების ძალა"22.00** ნანუკას შოუ.**23.30** სერ. **"გრიმი"** **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი**პ** დაიჯესტი.

**7.00, 8.00, 9.00, 1.00, 6.30** ახალი ამბები **7.30** მულტფილმი **8.10, 9.15** მაღვიძარა **11.00** მაგთიფანი (სამშ. სერია) **11.30, 16.40** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.00, 4.30** თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** პრესკლუბი **17.00** გადაცემა "ჩვენ" **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.15, 2.00** თოქ-შოუ "არგუმენტი" **19.15** სერიალი **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30** "ყოველდღიური აბები" **22.20, 0.30** მაგთიფანი **23.00, 3.00** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.25** მხ/ფ **"პრემიერა"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ჩვენი ფონდი **11.00** ქრისტიანული ხელოვნება **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **13.20** ქრისტიანული სწავლება **13.40** კონცერტი - ვენის სიმფონიური ორკესტრი **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** მხ/ფ **"ბათა ქექია"** I სერია **16.55** კვირიაკე **18.05** დიდ ხარ შენ,უფალო **18.30** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ძმა"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "წმინდა დიმიტრი ყიფიანი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"გაქცევა შოუშენკოდან"** I ნაწ.

## ხუთშაბათი 18 აპრილი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.20** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ **"როსელა"** **17.00** დ/ფ "მუზეუმის საიდუმლოებანი"**18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"დავქორწინდეთ"21.00** ტ/სერ **"როსელა"22.00** "აქცენტები" **23.30** "წითელი ზონა" **00.30** მხ/ფ **"ხელები ქალაქზე"** **02.40** დ/სერ "მარიხუანას პარადოქსები".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება)**10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** 13 სერ.**11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"13.00** დოკ/ფ "მოდის ფანატიკოსები" **14.40** ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ)**16.35** რომ გადახვალ" გაიჩერე (გ/ჩ)**17.50** სერ. **"თილისმა"** **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** 10 სერ.**21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) **00.15** იმედი არტარეა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი**12.30** "შუა დღე"**15.30** ეკი ვოკი (გ/ჩ)**17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"20.05** სერ **"ერთგულების ძალა"20.50** ეროვნული ლატარეა**22.00** პოზიცია**23.00** ვანოს შოუ **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.00, 1.00, 6.30** ახალი ამბები **8.10, 9.15** მაღვიძარა **11.00** მაგთიფანი (ხუთშ. სერია) **11.30, 16.40** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.00, 4.30** თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** პრესკლუბი **17.00** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00** თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები" **19.15** სერიალი **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30** "ყოველდღიური აბები" **22.20, 0.30** მაგთიფანი **23.00, 3.00** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მხ/ფ **"გაქცევა შოუშენკოდან"** II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.45** შაბათის სახარების განმარტება **11.10** დოკ/ფ "საქართველოს ცის ქვეშ" დავით ჭკადუა **11.40** ქრისტიანული სწავლება **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"ცისკრის ზარები"** **13.15** კონცერტი - ქართული მუსიკის საღამო **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** დეკორატიული ფლორა **16.05** დიდი მარხვის სამოციქულო სახარების განმარტება - გ. სარია **16.20** მხ/ფ **"უკანასკნელი ჯვაროსნები"** **17.25** საუბრები ლიტერატურაზე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.35** ფოტოგალერეა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ქრისტიანული ხელოვნება **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ფოტოგალერეა **22.20** დიდი მარხვა **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე **02.00** ირაო.

## პარასკევი 19 აპრილი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.20** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ **"როსელა"** **17.00** დ/ფ "მუზეუმის საიდუმლოებანი"**18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"დავქორწინდეთ"21.00** ტ/სერ **"როსელა"22.00** "აქცენტები" **23.30** "წითელი ზონა" **00.30** მხ/ფ **"ხელები ქალაქზე"** (ტიტ.) **02.40** დ/სერ "მარიხუანას პარადოქსები".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება)**10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** 13 სერ.**11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"13.00** დოკ/ფ "მოდის ფანატიკოსები" **14.40** ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ)**16.35** რომ გადახვალ" გაიჩერე (გ/ჩ)**17.50** სერ. **"თილისმა"** **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** 10 სერ.**21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) **00.15** იმედი არტარეა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი**12.30** "შუა დღე"**15.30** ეკი ვოკი (გ/ჩ)**17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"20.05** სერ **"ერთგულების ძალა"20.50** ეროვნული ლატარეა**22.00** პოზიცია**23.00** ვანოს შოუ **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.00, 1.00, 6.30** ახალი ამბები **8.10, 9.15** მაღვიძარა **11.00** მაგთიფანი (ხუთშ. სერია) **11.30, 16.40** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.00, 4.30** თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** პრესკლუბი **17.00** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00** თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები" **19.15** სერიალი **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30** "ყოველდღიური აბები" **22.20, 0.30** მაგთიფანი **23.00, 3.00** თოქ – შოუ -"პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მხ/ფ "**გაქცევა შოუშენკოდან**" II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.45** შაბათის სახარების განმარტება **11.10** დოკ/ფ "საქართველოს ცის ქვეშ" დავით ჭკადუა **11.40** ქრისტიანული სწავლება **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**ცისკრის ზარები**" **13.15** კონცერტი - ქართული მუსიკის საღამო **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** დეკორატიული ფლორა **16.05** დიდი მარხვის სამოციქულო სახარების განმარტება - გ. სარია **16.20** მხ/ფ "**უკანასკნელი ჯვაროსნები**" **17.25** საუბრები ლიტერატურაზე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.35** ფოტოგალერეა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ქრისტიანული ხელოვნება **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ფოტოგალერეა **22.20** დიდი მარხვა **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე **02.00** ირაო.

## შაბათი 20 აპრილი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **09.30** საბავშვო ან/ფ " ნენსი დრიუ" **11.00** "ეთნოგრაფიული ნარკვევები" **11.30** საბ. ტ/სერ "**პირველყოფილი**" **12.00, 16.00, 20.00, 02.30** "მოამბე" **12.30** "AGVA-GEORGIA"**13.00** ქართ. მხ/ფ "**ლაქა**" **15.00** დ/ფ "ღვინო" **16.30** "ჩემპიონთა ლიგის დღიური" **17.00** დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" **18.00** "ეტალონი" **19.00** "გურმანია" **21.00** "ევროვიზიის დღიური" **21.30** დ/ფ "დიზაინი" **22.00** თ. ყვითელაშვილი **23.00** "ახალი ქართული კინო" **23.20** მხ/ფ "**სუსა**" **00.30** მხ/ფ "**ქალაქი**" (ტიტ.).

**07.40** ან/ფ "სალადინი" **08.40** მხ/ფ "**ასტერიქსი ოლიმპიურ თამაშებზე**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა**11.15** ან/ფ "ავატარი"**12.00** ქ/სერ. "**შუა ქალაქში**"**13.00** იუმორინა **14.20** იმედიატორი (გ/ჩ)**16.00** ქ/სერ. "**ეჰ" მეგობრებო**" 1 სერ. **17.50** სერ. "**თილისმა**"**18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" 11 სერ.**21.00** სერ. "**მარტოსული**" **22.00** ქ/სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** კაცების შოუ **00.00** მხ/ფ "**კარგი ქალი**" **01.40** მხ/ფ "**ბოროტების სავანე – 3**".

**08.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** MTV ROOM RAIDERS **09.00** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.30** სერ. "**კლუბი**" (ს2)**10.30** შერეკილები**12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი**12.30** ბიზნეს კურიერი**13.30** ქართ. მხ/ფ "**რა გაცინებს**"**15.30** სერ. "**სიყვარული და საიდუმლო**"**16.30** "ნანუკას შოუ" - (გ/ჩ)**19.00** ყველაზე ჭკვიანი **2.20.05** სერ. "**ერთგულების ძალა**"**22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**"**23.00** რა? სად? როდის? **00.00** პოკერის ტურნირი **00.30** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **01.00** "Latin Angels" **01.30** სერ. "**გრიმი**" **02.00, 04.30** მხ/ფ.

**7.00** ახალი ამბები **7.30** მულტფილმი **8.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **9.30** თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები" **11.00, 23.00, 3.30** მაგთიფანი **11.30** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** სთ-ზე **12.30, 14.00, 15.30, 16.15, 19.15** სერიალი **15.00** ახალი ამბები **3** სთ-ზე **18.00** ახალი ამბები **6** სთ-ზე **18.30** მონიტორი ან დოკ. ფილმი **21.00** ახალი ამბები **9** სთ-ზე **21.45, 1.30, 5.30** "პრეს-პრესი" **23.30, 1.00, 3.00, 5.00, 6.30** ახალი ამბები კოლაჟი **0.00, 4.00** ღია კარის დღე **0.30, 4.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება (გამ.).

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ**" **13.25** ქრისტიანული სწავლება **13.40** დოკ/ფ "ჰამლეტ გონაშვილი" **14.30** საღვთისმსახურო წელიწადი **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.10** ოპერა- "**სტეფალიო**" **17.30** თბილისის ტაძრები **18.10** ქრისტიანული ხელოვნება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** ერთსულოვნების სალონი **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.30** "კარაბადინი" **22.25** პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სიმღერის კვალდაკვალ **00.30** მხ/ფ "**რებეკა**".

## კვირა 21 აპრილი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** საბ/ფ "**მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ**" **10.00** "ეტალონი" **11.00** "ჩვენი ექსპრესი" **11.30** საბ. ტ/სერ "**პირველყოფილი**" **12.00, 16.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** "სპექტაკლის დრო" – შ. რუსთაველის თეატრის სპექტაკლი: "**რიჩარდ III** " **16.30** "ჩვენი ეზო" **17.30** "ვაშინგტონი დღეს" **18.00** პაატა ბურჭულაძე, თამარ ივერი **20.00** მხ/ფ "**დაჯავშნას არ საჭიროებს**" (კ.ზეტა-ჯონსი) **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **23.00** "აღმოაჩინე საქართველო" **23.30** "უცნობი მუსიკა" **00.30** კონცერტი **01.30** მხ/ფ "**ზაბრისკი პოინტი**".

**07.00** ან/ფ "სალადინი" **07.30** ან/ფ "ბარბი: ფერიების ქვეყანა " **08.50** მხ/ფ "**სახლში მარტო დარჩენილი - 3**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა**11.15** ბასტი ბუბუ**12.00** ქ/სერ. "**შუა ქალაქში**"**13.00** იუმორინა (გ/ჩ)**14.20** ქ. მხ/ფ "**იმერული ესკიზები**" **16.00** ქ/სერ. "**ეჰ" მეგობრებო**" მე–2 სერ. **17.40** იმედის გმირები **18.00** კონცერტი: თამარ ჭოხონელიძე**21.00** ღამის შოუ **22.00** ქ/სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** რომ გადახვალ" გააჩერე **23.30** იმედიატორი **01.00** დოკ/ფ "ღვინის აკვანი".

**08.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** MTV ROOM RAIDERS **09.00** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.30** სერ. "**კლუბი**"**10.30** შიშის ფაქტორი**12.00, 15.00, 18.00, 04.00** კურიერი**12.30** დოკ/ფ (ფრაგმენტი)**13.00** "საქართველოს ვარსკვლავი".**15.30** სერ. "**სიყვარული და საიდუმლო**"**16.30** პროფილი (გ/ჩ)**19.00** ეკი ვოკი**20.00** იღბლიანი ბორბალი**21.00** P.S.**22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**"**23.00** კომედი შოუ **00.00** კარდაშიანების ოჯახი (ს2) **01.00** ტოპ გოგო (გ/ჩ) **01.30** სერ. "**გრიმი**" **02.30, 05.00** მხ/ფ.

**7.00** ახალი ამბები კოლაჟი **7.30** მულტფილმი **8.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **10.15** ღია კარის დღე (გამ.) **11.00** მაგთიფანი (შაბათის სერია) **12.00** ახალი ამბები **12** სთ-ზე **12.30, 14.00, 15.30, 16.15** სერიალი **15.00** ახალი ამბები **3** სთ-ზე **18.00** ახალი ამბები **6** სთ-ზე **18.15, 4.00** სტუდია "რე" **19.30, 0.30** მონიტორის ჟურნალისტური გამეორება **20.00, 23.30, 5.30** "ჩვენ" **21.00** ახალი ამბები **9** სთ-ზე **21.45, 1.30** კვირის აბები **22.20, 2.00** ღია კარის დღე **23.00, 3.30** მაგთიფანი **1.00, 3.00, 5.00, 6.30** ახალი ამბები კოლაჟი.

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 21.30** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 22.55, 00.05** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.50** სიმღერის კვალდაკვალ **11.30** ქართული ალბომი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**ცისკარა**" **13.25** ქრისტიანული ხელოვნება **13.55** დიდი მარხვა **14.30** კარაბადინი **15.05, 18.05, 21.05, 00.10** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** საღვთისმეტყველო საუბრები **18.20** დროის ჩანაწერები **19.30** მხ/ფ "**ქალაქი ანარა**" **21.35** ლექსით ქებათა ქება **21.40** კვირიაკე **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **00.35** მხ/ფ "**ნისლების სანაპირო**".

## ვერძი

გარშემო მყოფების ყურადღებას მიიპყრობთ. ახალი რომანტიკული გატაცება მეტ ხალისს შეგმატებთ და ენთუზიაზმით შეუდგებით ახალ საქმიანობას. ბევრი შეხვედრა, ახალი ნაცნობობა და მოგზაურობები მალე გამოიღებს შედეგს და დამატებითი ენერგიით აგავსებთ. თუმცა, პერიოდულად შეისვენეთ, რათა არ გადაიღალოთ.

## კურო

ხელსაყრელი დროა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმეებისთვის. გამძაფრდება სახლის მოწყობის სურვილი. მიუხედავად დაქვეითებული ენერგეტიკისა, კარგ განწყობაზე იქნებით. ახლობლებისა და მეგობრების წრეში გატარებული დრო ერთიორად შეგმატებთ სილაღეს. სასიყვარულო სფერო სტაბილური იქნება და საყვარელი ადამიანის გვერდით თავს მშვიდად იგრძნობთ.

## ტყუპები

სასიკეთოდ წარიმართება კარიერასთან დაკავშირებული საკითხები. ფინანსური და მატერიალური საკითხების გადაწყვეტისას კონსერვატიული მეთოდებით იხელმძღვანელეთ. საყვარელ ადამიანთან გულახდილი იყავით. ამ პერიოდში შეგიძლიათ, გამოასწოროთ ადრე დაშვებული შეცდომები, დაიბრუნოთ დაკარგული ადამიანები და საფუძველი ჩაუყაროთ ახალ ცხოვრებას. ეცადეთ, ნაკლებად მომთხოვნი და პრეტენზიული იყოთ.

## კირჩხიბი

განსაკუთრებული ინტერესი გაგიჩნდებათ ფარული მოვლენების მიმართ. გაგიადვილდებათ ცხოვრების რადიკალურად შეცვლა, თუმცა, მოერიდეთ ძალისმიერ მეთოდებს და არ გადაიღალოთ. კარგია ახალ საქმიან პარტნიორებთან შეხვედრა. პირად ურთიერთობებში კი, შესაძლოა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღოთ, რაც გარშემო მყოფთა უკმაყოფილებას გამოიწვევს.

## ლომი

ოპტიმიზმი პროფესიულ საქმიანობაში დაგეხმარებათ და ახალ მიზნებს დაგანახვებთ. მატერიალური მდგომარეობა დამოკიდებული იქნება თქვენს შრომისუნარიანობასა და ხელმძღვანელ პირთა კეთილგანწყობაზე. სიამოვნებას მოგანიჭებთ ახალი კავშირების დამყარება და ინფორმაციის მიღება. სასიყვარულო ურთიერთობა ბედნიერებით აგავსებთ.

## ქალწული

საკმაოდ მშვიდი და მომთმენი იქნებით ყველასა და ყველაფრის მიმართ. საპირისპირო სქესის ყურადღებას ადვილად მოიპოვებთ. ფინანსური მდგომარეობა დროულად მოაგვარეთ და დახმარება სთხოვეთ ახლობლებს. შესაძლოა, საფუძველი ჩაეყაროს ახალ სასიყვარულო კავშირს. კარგია, პერიოდულად განმარტოება და დასვენება. იზრუნეთ ჯანმრთელობაზე.

## სასწორი

გაიზრდება თქვენი შემოქმედებითი შემართება. მოიმატებს შემოსავალი. ახალი ინფორმაცია ადვილად ასათვისებელი გახდება. გაუმჯობესდება ჯანმრთელობის მდგომარეობა. კარგი დროა მოგზაურობისთვის, ურთიერთობებისა და დასვენებისთვის. შესაძლოა, გამწვავდეს ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან, რაც აგაფორიაქებთ.

## ღრიანკალი

აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება ახალ შემოთავაზებასა და წინადადებებს. უძრავ ქონებაში ფულის დაბანდებას ამ პერიოდში არ გირჩევთ. მოგზაურობა და უცხოელებთან საქმიანი ურთიერთობა კარიერაში ზრდისა და მომავალში წარმატების საწინდარი გახდება. პირად და სასიყვარულო სფეროში მიმდინარე მოვლენები სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს.

## მშვილდოსანი

გაუმჯობესდება ჯანმრთელობის მდგომარეობა. მოგინდებათ, ყველას გააცნოთ თქვენი საქმიანობა და მიღწევები. საზოგადოებრივი საქმეები დიდ დროს წაგართმევთ. ხშირად განმარტოვდით, მოდუნდით და დაისვენეთ. საყვარელ ადამიანთან ერთად მხიარულად გატარებული დრო დიდხანს დაგამახსოვრდებათ. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებსა და ინტუიციას.

## თხის რქა

ნურავის უსაყვედურებთ – ამით პრეტენზიების მოსმენას აარიდებთ თავს. არ დაკარგოთ ცხოვრების ხალისი. ფინანსური გაურკვევლობა კოლეგებთან დაპირისპირების მიზეზი გახდება. თუ დახმარება გჭირდებათ, თამამად მიმართეთ მეგობრებს. ახალი რომანტიკული ურთიერთობისთვის წინასწარ მოემზადეთ და შეიცვალეთ იმიჯი. არ გირჩევთ უცხოელებთან კონტაქტს.

## მერწყული

საქმეების რაოდენობა და პასუხისმგებლობა გაიზრდება. შედეგები და შემოსავლები გაორმაგდება, თუ თქვენს ორიგინალურობას, არაორდინარულობასა და გონებამახვილობას გამოიყენებთ. საყვარელი ადამიანისგან და ოჯახის წევრებისგან მხარდაჭერას მიიღებთ. მოგიწევთ, გააკეთოთ არჩევანი. მიხედეთ საქმეებს დროულად. მოგზაურობა სარფიანი აღმოჩნდება. კარგია მკურნალობის დაწყება.

## თევზები

ბედი გაგიღიმებთ და წარმატებულად განვითარდება როგორც საქმიანი, ისე პირადი ურთიერთობები. შესაძლოა, დაფიქრდეთ ოჯახში სიტუაციის შეცვლაზე ან ადგილსამყოფლის გამოცვლაზე. გამოამჟღავნეთ ნიჭი და „დაიპყარით" გარშემო მყოფები. ნებისმიერ სფეროში გაგიმართლებთ. საყვარელი ადამიანი კი სიურპრიზებით გაგანებივრებთ. უცხოელებთან ურთიერთობა სამომავლო გეგმებს შეგიცვლით.

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 10 მაისი, 00 სთ: 28 წთ.**

### ორშაბათი

მოიმატებს ჭორების, ინტრიგებისა და მოტყუების ალბათობა. ატარეთ ოქროსფერი, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, იასამნისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, სარდიონი, ნეფრიტი, იასპი ან აკვამარინი. ნურავის მოუყვებით სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია საქმიანი შეხვედრები და მოლაპარაკებები; სწავლა, საბანკო ოპერაციები, სამეცნიერო კვლევა, მშენებლობა. სუსტდება ბრონქები, ფილტვები, მხრები, ხელები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.***

### სამშაბათი

უმჯობესია, დღეს საქმიანი გადაწყვეტილება არ მიიღოთ და ის სხვა დროისთვის გადადოთ. აკონტროლეთ ემოცია და ეჭვიანობის გრძნობა. მეტად დაეყრდენით ინტუიციას. ნუ გასცემთ ტყუილუბრალო დაპირებებს. იზრუნეთ იმიჯზე. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. ატარეთ ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, თეთრი, ცისფერი, იისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, მწვანე იასპი, ოპალი, მარგალიტი ან გიშერი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. არ ვარგა სახლის მშენებლობის დაწყება, ადგილსამყოფლის შეცვლა, სესხის აღება. კარგია საოჯახო-სანათესაო ურთიერთობები, ვაჭრობა. სუსტდება კუჭი, მკერდი, ლიმფური სისტემა, ღვიძლი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტურია დღის მეორე ნახევარი

მიიღეთ ზუსტი და აუჩქარებელი გადაწყვეტილებები. ატარეთ თეთრი, იისფერი, მწვანე, ნაცრისფერი, ვერცხლისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, აქატი, მალაქიტი, ოპალი, მარჯანი ან ამეთვისტო. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მაღალია ფინანსური შეცდომების დაშვების ალბათობა. გადაამოწმეთ ყველა საბუთი, სანამ მათ ხელს მოაწერთ. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, სახლის მშენებლობის დაწყება, ადგილსამყოფლის შეცვლა, სესხის აღება. კარგია შემოქმედებითი მუშაობა, ვაჭრობა, სასამართლო პროცესების დაწყება. სუსტდება კუჭი, მკერდი, ლიმფური სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტური დღეა

იყავით ყურადღებით ყოველი მოვლენის მიმართ. მაღალია ტრავმებისა და მოტყუების ალბათობა. აკონტროლეთ აზრები და სიტყვები. მეტი დრო დაუთმეთ ახლობლებს, ნაცნობებსა და ტრადიციების დაცვას. ატარეთ თეთრი, შინდისფერი, შავი, მწვანე, იისფერი, წითელი, ლურჯი, ცისფერი, ვერცხლისფერი ან ოქროსფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, ბრილიანტი, ალექსანდრიტი, ქარვა ან ოპალი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სახლის მშენებლობა, სესხის აღება. კარგია ახალი ნივთების ყიდვა, ვაჭრობა, სასამართლო პროცესების დაწყება. სუსტდება გული, კუჭი, მკერდი, ლიმფური სისტემა, ღვიძლი.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღეა

ადამიანებში მოიმატებს აგრესია, ეგოიზმი, სულსწრაფობა; ასევე, მაღალია ტრავმების ალბათობაც. ამიტომ, იყავით ფრთხილი და წინდახედული. ატარეთ წითელი, შინდისფერი, შავი, ლურჯი, ოქროსფერი, ნარინჯისფერი ან ბეჟი ფერის სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. არ ვარგა ფინანსური გარიგებები, ხელშეკრულებების დადება, ადგილსამყოფლის შეცვლა. კარგია იურიდიული საქმეების წარმოება, ახალი სამსახურის დაწყება, შოპინგი, გართობა. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღეა

მოიმატებს შრომისუნარიანობა, შეუპოვრობა, მოთმინების უნარი და ერთგულება. ამ დღეს დაწყებული საქმე აუცილებლად მიიყვანეთ ბოლომდე. ატარეთ წითელი, შავი, ლურჯი, ბეჟი, ოქროსფერი, ნარინჯისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა, ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა ფინანსური გარიგებები, ადგილსამყოფლის შეცვლა, მცენარეების დარგვა-გადარგვა, სასიყვარულო კავშირები. კარგია თმის შეჭრა, მშენებლობის დაწყება. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.***

### კვირა

ნუ აჩქარდებით და მშვიდად მიუდექით მოვლენებს. დაძლიეთ შიშები და მოერიდეთ ეჭვიანობას. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს, ტრადიციებს და ახლობლებს. ატარეთ ყავისფერი, ნაცრისფერი, მწვანე, ყვითელი, ნარინჯისფერი, ვერცხლისფერი ან ოქროსფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ოპალი ან ონიქსი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო კავშირები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია სწავლა, ვაჭრობა, დიეტის დაწყება, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ფადარაშვილი
გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ფადარა.**

1781 წელს კოდაში ბევრელი ლაზარე და **ფადარა** გადასულან. ლაზარედან წარმოშობილა გვარი ლაზარიაშვილი, ხოლო **ფადარადან** კი – **ფადარაშვილი.**

ამავე ბზითაა გაჩენილი გვარები: ოსიყმაშვილი, პოჩიკაშვილი, ოპენეზაშვილი, სარქისაშვილი, აბატაშვილი, მატიაშვილი, დალაქიშვილი, რევაზიშვილი, ყვავილაშვილი და ასე შემდეგ.

საქართველოში 138 **ფადარაშვილი** ცხოვრობს: თეთრი წყაროში – 103, თბილისში – 29, ბოლნისში – 4. არიან სხვაგანაც.

### ელიაშვილი-ელიავა
გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ელია**, რომელიც ბერძნული წარმოშობისაა და ქართულად მზიურს, მზიანს ნიშნავს. ქართულში დამკვიდრებულია **ილია**, რომლის კნინობითი ფორმებია – **ილო, ილიკო.**

1721 წელს მოიხსენიება გერმანოზიშვილის ყმა ივანა **ელიაშვილი.**

ამავე ძირისაა გვარი **ელიავა.**

არსებობს დღესასწაული **ელიაობა**, რომელიც ამინდის ღვთაების – **ელიას** სახელობისაა.

საქართველოში 1 261 **ელიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 309, ქარელში – 286, გორში – 258. არიან სხვაგანაც.

### მეხრიშვილი
გვარის ფუძე, სავარაუდოდ, საქმიანობის აღმნიშვნელი ტერმინი – **მეხრე**, რაც საქონლის მწყემსს ნიშნავს.

გადმოცემის მიხედვით, სოფელ ხვედურეთიდან ბატონს ყმა გლეხი **მეხრიშვილი** გამოუქცევია, პატარა თონეთში დასახლებულა და გვარი **მეხრაძედ** შეუცვლია.

თონეთელმა პავლე **მეხრიშვილმა** 1829 წელს იქორწინა გორის მაზრის სოფელ ნიჩბისში მცხოვრებ ნიკოლოზ ციციანოვის ყმის, ივანე ბონდაურის ქალზე, ნინოზე.

1886 წლის აღწერით, პატარა თონეთში მოიხსენიება ნინია **მეხრიშვილი**.

საქართველოში 828 **მეხრიშვილი** ცხოვრობს: დედოფლისწყაროში – 221, თბილისში – 151, ხაშურში – 133. არიან სხვაგანაც.

### ცხაკაია
სავარაუდოდ, გვარის ფუძეა მეტსახელი **ცხაკა, ჩხაკა**, რაც თვალღიას, ღიას, გადახუნებულ თვალს ნიშნავს; **ცხაკუა** კი მეგრულად უძალო დერტყმას, მოცაცუნებას ნიშნავს.

**ცხაკაიები** ცხოვრობენ სოჭშიც – რამდენიმე ოჯახი 1980-იან წლებში გადასულა იქ.

ასევე, **ცხაკაიები** ცხოვრობენ სოფლებში: ქვაითი, ახალკახათი, ნაჯახავო, ლესიჭინე, მარტვილი; **საცხაკაიო** გვხვდება უბნად ახალკახათში.

საქართველოში 590 **ცხაკაია** ცხოვრობს: თბილისში – 189, მარტვილში – 105, ზუგდიდში – 93. არიან სხვაგანაც.

### ინაიშვილი
გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ინა**. ამავე ძირისაა გვარები: **ინაური, ინაძე, ინალიშვილი, ინანაული.**

**ინაიშვილი** ალექსანდრე მეფემ მამის ბედაურთან ერთად, შესწირა გელათის მონასტერს, 1484-1510 წლებში.

**ინაიშვილები** აჭარაში ოსმალეთის ბატონობის დროს აღად მოიხსენიებიან.

საქართველოში 535 **ინაიშვილი** ცხოვრობს: ქობულეთში – 410, ბათუმში – 91, თბილისში – 15. არიან სხვაგანაც.

### მოქია
**მოქია** პირსახელია. დაბოლოების მიხედვით (**ია**) კოლხური, მეგრული გვარის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა, ამ საგვარეულოს ძირძველი მოსახლე სამეგრელოში იშვიათია.

**მოქია** გურიიდან გადასულ გვარად ითვლება.

1995 წელს აღწერილი ვაუჩერების მიხედვით,




საქართველოში დაფიქსირებულია 362 **მოქია**: ლანჩხუთში – 209, ბათუმში – 53, ოზურგეთში – 50. არიან სხვაგანაც.

### მათიაშვილი
გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **მათე**, რომელიც ძველ ებრაული წარმოშობისაა და ღვთის საჩუქარს ნიშნავს.

„კოდაში მცხოვრებ საბატონო ყმას, სოლომონ **მათიაშვილსა** და სჯულიერსა ცოლსა მისსა მარიამს, 1834 წელს დაებადათ ვაჟი – მიხეილი. სახელი განათლა და მონათლა კოდის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმა, იაკობ აბრამის ძე ხუროშვილმა."

მოგვიანებით, გვარი **მათიაშვილი** რუსულის გავლენით **მატინოვად** ჩაწერეს. ამავე ძირისაა გვარები: **მატიაშვილი, მათეშვილი, მათეშვილი, მატიკაშვილი.**

**მატიაშვილების** ერთი შტო 1886 წლის აღწერით, შემდეგ აზატაშვილად ჩაწერა.

საქართველოში 2 870 **მათიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 1 336, საგარეჯოში – 301, გურჯაანში – 272. არიან სხვაგანაც.

20 – **მატიაშვილი.**

### ბეკურაშვილი-ბეკურიშვილი
გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბეკური.**

**ბეკურაშვილი** და ემინტოშვილი ერთი და იგივე გვარია.

ენრიკო **ბეკურაშვილი**, იგივე ემინტოშვილი, დიდი ენაგეთის აღწერაში, მოიხსენიება 1823 წელს.

დიდ ენაგეთში მცხოვრები იოსებ **ბეკურაშვილი** 1873 წელს ამავე სოფლის ეკლესიაში შვილს უნათლავს ფარცხისელ ივანე წულაძეს.

ამავე ძირისაა გვარი **ბეკურიშვილი**.

საქართველოში 411 **ბეკურაშვილი** ცხოვრობს;

87 – **ბეკურიშვილი.**

### ახსიაშვილი
გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ახსია**.

1721 წელს **ახსია ახსიაშვილი** დასახელებულია მოწმედ. ის, ასევე, დასახელებულია მოწმედ 1732 წელს ტბელი გიორგი იაგულაშვილის მიერ ხელავერა გიორგისთვის მიცემულ ნასყიდობის წიგნში.

**ახსიაშვილები**, როგორც ქართველი მართლმადიდებლები, 1873 წლის აღწერით, სოფელ სალორაშენში ცხოვრობდნენ.

ენაგეთში მცხოვრებმა იოსებ **ახსიაშვილმა** 1830 წელს იქორწინა და ჯვარი დაიწერა ბარბარესთან. გვირგვინი უკურთხა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ.

საქართველოში 52 **ახსიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 30, გარდაბანში – 12, თეთრი წყაროში – 10.

### სადაღაშვილი
**სადაღაშვილი** ეპონიმური გვარ-სახელია. ისტორიული წყაროებით, ეს გვარი მეექვსე საუკუნიდან გვხვდება. მისი ფუძე უნდა იყოს **სადალი** (იგივეა, რაც **სადაგი**). გვხვდება მამაკაცის საკუთარი სახელი **სადაღა.**

1651 წელს ჩიტაალში მცხოვრები **სადაღა** წილად ერგო ყორჩიბაშ ბაადურ ციციშვილს.

მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს, ატენში მცხოვრებმა ბესო სადაღაშვილმა სამი დღის მიწა მიჰყიდა ვინმე თამაზას.

1639 წელს ძეგვში მცხოვრები ბერიკა **სადაღაშვილი** როსტომ მეფემ დეკანოზ იასე ზუმბულიძეს უწყალობა.

საქართველოში 713 **სადაღაშვილი** ცხოვრობს: გორში – 425, თბილისში – 236, რუსთავში – 19. არიან სხვაგანაც.

### ზამთარაული-ზამთარაშვილი
მეტსახელი **ზამთარა** გვხვდება გვარში **ზამთარაული.**

**„ზამთარაული** გიორგი არის თონელი, ჰყავს ძმა – ლომიტა. თეიმურაზ მეფემ ის უწყალობა ლუარსაბ მაყაშვილს" (1610 წელი).

**„ზამთარაული** ბერიკა, თიანეთში მცხოვრები, ჰყავს ძმა – ვეფხია და ძმისწულები. არჩილ მეფემ მისი წყალობა დაუმტკიცა მაყაშვილს, 1675 წელს."

გვარი **ზამთარაშვილი** მიღებული უნდა იყოს გვარიდან **ზამთარაული.**

საქართველოში 40 **ზამთარაული** ცხოვრობს: გარდაბანში – 24, თბილისში – 7, დედოფლისწყაროში – 2. არიან სხვაგანაც.

54 – **ზამთარაშვილი**: თბილისში – 34, თიანეთში – 11, გარდაბანში – 7. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

## დავით საბაშვილის გახსენება



ძნელი წარმოსადგენია, რომ ცრემლიან მონატრებად იქეცი... რეალობასთან შეგუება ის ჯვარი იქნება, რომელიც ამიერიდან შენმა ახლობლებმა უნდა ვზიდოთ... მარტო იმათ კი არ დასწყვიტე გული შენი გარდაცვალებით, ვისთვისაც ყველაზე ძვირფასი იყავი, არამედ, იმათაც, ვისთვისაც შენი გავლილი ცხოვრებით იქეცი მაგალითად. კეთილღიმილიანი და გულწრფელი გულით უზარმაზარ სიყვარულს დაატარებდი და ამ სიყვარულით გამთბარი გულის ნაწილს დებდი ყველასთან და ყველაფერში... ბოლომდე იხარჯებოდი საქმეშიც და ადამიანებთან ურთიერთობაშიც... ძნელი იქნება შენზე წარსულ დროში ლაპარაკი, ძნელი იქნება უშენობა...

თბილისს კიდევ ერთი თბილი, კეთილი კაცი დააკლდა, დავით საბაშვილის სამეგობროს კი – მისი ღიმილიანი, სიყვარულით სავსე მზერა...

**მეგობრები**

ჟურნალ „თბილისელების" რედაქცია სამძიმარს უცხადებს ნინო საბაშვილსა და ირაკლი გოგავას ბაბუის **დავით საბაშვილის** გარდაცვალების გამო.

# დიეტა „ცისარტყელა“ – მათთვის, ვისაც მკერდი აწუხებს

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №15(641)

### ხუთშაბათი – ნარინჯისფერი მზე

ნარინჯისფერი ხილი და ბოსტნეული შეიცავს ანტიოქსიდანტ-კაროტინოიდებს, რომელიც იცავს ქალის მკერდს კიბოსგან. ცხადია, მათში დიდი რაოდენობით არის თითქმის ყველა სახის ვიტამინი.

პროდუქტები: გოგრა, სტაფილო, ნარინჯისფერი ბულგარული წიწაკა, ფორთოხალი, მანდარინი, გრეიპფრუტი, გარგარი, ასკილი, ქაცვი.

გოგრის 2 მოზრდილ ნაჭერს მოაჭერით ქერქი. რბილობი დაჭერით დაახლოებით 1 სანტიმეტრი ზომის კუბიკებად. დაკეპეთ 200 გრამი მწვანე ხახვი. ტაფაზე მოხალეთ 50-60 გრამი კედარის ნაყოფი (თხილივით რომ არის, სამკუთხედი ფორმის). ცალკე, ღია ტაფაში, საშუალო ცეცხლზე ოდნავ მოზრანეთ დაჭრილი გოგრის კუბიკები (ცოტაოდენ ზეთში). რომ შევარდისფერდება (დაახლოებით 5-8 წუთის შემდეგ), მოაყარეთ 2 ჩაის კოვზი ზაფრანა, დაუმატეთ ნაღები და ბულიონი და ხარშეთ კიდევ 5 წუთი. გამორთვამდე 2 წუთით ადრე ჩააყარეთ დაჭრილი მწვანე ხახვი, მარილი, პილპილი, მსხვილად დანაყილი კედარის ნაყოფი, მერე გამორთეთ და სრულ კონდიციამდე მისაყვანად 15 წუთის განმავლობაში გააჩერეთ თავდახურული.



წყალი – დღეში 2 ლიტრამდე.

### პარასკევი – მხოლოდ იისფერი

პროდუქტის იისფერი შეფერილობა მიუთითებს იმაზე, რომ ის შეიცავს ანტოციანებს – ნივთიერებას, რომელიც იცავს ორგანიზმს ონკოლოგიური პროცესებისგან.

ძირითადი პროდუქტები: იისფერი კომბოსტო, შავი მოცხარი („სმაროდინა“), მოცვი, ღოღნოშო და ცოტაოდენი შავი ღვინო.

დესერტის მომზადების წესი: 2 ჭიქა მოცვი (ნედლი ან გაყინული) გადაანაწილეთ საშუალო ზომის მუცლიან ჭიქებში; მოასხით თითოეულს თითო ჩაის კოვზი თაფლი. ცალკე გააკეთეთ 4-5 ცალი კივისგან პიურე, დაუმატეთ ნახევარი ფორთოხლის ცედრა (წვრილ სახეხზე გახეხეთ). ათქვიფეთ 1 ჩაის ჭიქა ნაღები, შეურიეთ კივის პიურე და თანაბრად გადაანაწილეთ მოცვიან ჭიქებში. ზემოდან მორთეთ კივის პატარა ნაჭრებითა და წვრილ ზოლებად დაჭრილი ფორთოხლის ქერქებით (შეგიძლიათ, მოცვი ჩაანაცვლოთ ღოღნოშოთი ან შავი მოცხარით).

წყალი – დღეში 2 ლიტრამდე.

### შაბათი – ოქროს სამყარო

ყვითელი ხილი და ბოსტნეული უნიკალური ნივთიერებების – ლუტეინისა და ზეაქსანტინის წყაროა, რომლებიც ძალიან სასარგებლოა კუჭ-ნაწლავისა და მხედველობისთვის. „ყვითელი დღე“ სპეციალურად არის მოთავსებული „ფერადი კვირის“ ბოლოში – ყვითელი პროდუქტები (ანანასი, ბანანი) ხომ შეიცავენ, ასევე, სეროტონინს – ნივთიერებას, რომელიც აუმჯობესებს გუნება-განწყობას. რადგან შოკოლადისგან თავის შეკავება გვმართებს, „მივაწვეთ“ ანანასს – ეს ის ხილია, რომელიც საოცრად უწყობს ხელს გახდომას.

ძირითადი პროდუქტები: სიმინდი, ყვითელი ბულგარული წიწაკა, ანანასი, ბანანი, კვერცხის გული.

რადგან შაბათი უქმე დღეა, მომზადეთ წვნიანი: საშუალო ზომის ქათამს გააცალეთ კანი, დაჭერით მომცრო ზომის ნაჭრებად და მოხრაკეთ ქვაბში 2 სადილის კოვზ კარაქთან, ცოტა მარილთან და წიწაკასთან ერთად. შემდეგ დაუმატეთ 3-4 ჩაის ჭიქა წყალი და თავდახურული ადუღეთ 25-30 წუთი. ცალკე ქვაბში კარაქში მოშუშეთ წვრილად დაჭრილი 1 თავი ხახვი, რგოლებად დაჭრილი 1 ძირი პრასი, 3-4 ძირი დაჭრილი ნიახური, 1-2 ცალი დაჭრილი ყვითელი ბულგარული წიწაკა. ამ ქვაბში გადმოასხით ბულიონი და ადუღეთ 5 წუთი. შემდეგ გადმოაწყვეთ ხორცის ნაჭრები, ჩაუმატეთ 1 პატარა ქილა სიმინდის კონსერვი და კიდევ ერთხელ წამოადუღეთ. სუფრაზე მიტანის წინ, ყოველ ულუფაში ჩაუმატეთ 1-2 სადილის კოვზი ნაღები.

წყალი – დღეში 2 ლიტრამდე.

### კვირა – წინა დღეების გახსენება

კვირას შეგიძლიათ, მოდუნდეთ, უფრო სწორად, ცოტაოდენი თავისუფლება მიანიჭოთ საკუთარ თავს, ოღონდ, ზედმეტი არ მოგივიდეთ.

სხვადასხვა ფერის ხილისა და ბოსტნეულისგან მომზადეთ ცოცხალი სალათები, აქცენტი გააკეთეთ ხაჭოზე, სვით ბევრი წყალი. უმჯობესია, 1 ჭიქა წყალი დალიოთ ჭამამდე 10 წუთით ადრე, რომ დანაყრების შეგრძნება გაგიჩნდეთ და ნაკლები საჭმელი მიირთვათ.

ძირითადი პროდუქტები: ნებისმიერი ფერისა და სახეობის, მაგრამ, შეზღუდული რაოდენობით, რომ დიეტის შედეგი არ ჩაშალოთ. ცომეულსა და ტკბილეულზე კი მაინც უარი თქვით – ერთი ნაჭერი ტორტის ჭამას, ჯობია, ერთი ცალი ბანანი მიირთვათ – მასში არსებული სეროტონინები ბედნიერების შეგრძნებას მოგანიჭებთ.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: როგორც იქნა, გადავწყვიტე და თმა ქერად შევიღებე, მაგრამ, საცურაო აუზიდან დაბრუნების შემდეგ მთელ თმას მწვანე ფერი დაედო. რისი ბრალია ეს და როგორ მოვიშორო თმიდან მწვანე შეფერილობა ისე, რომ ხელახლა შესაღები არ გამიხდეს?**

**პასუხი:** ეს არის თმის საღებავის რეაქცია წყალში არსებულ ქლორზე. მომწვანო ელფერის ნეიტრალიზება ხელახლა შეღებვის გარეშეც შეიძლება. წაისვით მთელი თმის სიგრძეზე ტომატის წვენი (ძალიან თხელი არ იყოს, რომ არ ჩამოგეწუროთ) და გაიჩერეთ 20-25 წუთი, შემდეგ კი თბილი წყლით ჩამოიბანეთ. მაგრამ, ეს პრობლემა ყოველ ჯერზე რომ არ წარმოიქმნას, აუზში სპეციალური ქუდით იცურავეთ.

**კითხვა: ვიყიდე ძალიან ძვირად ღირებული პომადა, მაგრამ, წასმის დროს გადამიტყდა. გადაგდება მენანება. შესაძლებელია თუ არა მისი შეწებება?**

**პასუხი:** გადატეხილი პომადის შეწებება შესაძლებელია შემდეგნაირად: ანთებული სანთლის ალს რამდენიმე წამით შეუშვირეთ ტუჩის საცხის გადატეხის ადგილი; ხელზე ცელოფნის ხელთათმანი ჩაიცვით (თითები რომ არ დაგესვაროთ) და მოტეხილი ნაწილი მსუბუქად დააჭირეთ ქვედა ნაწილს. შემდეგ დაატრიალეთ პომადის ბუდის (კორპუსის) მბრუნავი ნაწილი ისე, რომ მიწებებული ნატეხი მთლიანად ჩაიმალოს ბუდეში, დაახურეთ თავსახური და ნახევარი საათით მოათავსეთ მაცივარში.

**კითხვა: ძალიან ხშირად მაქვს ხოლმე ერთი და იგივე პრობლემა თმასთან დაკავშირებით: წინა ღამით ან იმავე დღის დილით დაბანილი და ბზინვარე თმა შუადღისთვის თითქოს იტკეპნება, ბზინვარებას კარგავს და უსიცოცხლოდ გამოიყურება. როგორ გამოვაცოცხლო თმა დაბანის გარეშე?**

**პასუხი:** დილით, სახლიდან გასვლის წინ, წინასწარ მოამზადეთ შემდეგ სახის ხსნარი: ნახევარ ლიტრ ანადუღარ წყალს შეურიეთ 1 ცალი ლიმონის წვენი და ეს ნარევი ჩაასხით პულვერიზატორიან ბოთლში. როცა შეატყობთ, რომ თქვენმა თმამ „მოიწყინა“, დაახლოებით 20 სანტიმეტრი სიშორიდან შეისხურეთ ეს სითხე თმის მთელ სიგრძეზე (ძალიანაც ნუ დაისველებთ). ლიმონიანი წყალი, გარდა იმისა, რომ თქვენს თმას ახალ სიცოცხლეს შესძენს, მოგიხსნით დაღლილობას და შეგმატებთ ხალისსა და ენერგიას.

**კითხვა: ისეთი სამსახური მაქვს, თითქმის მთელი დღის განმავლობაში მიწევს ფეხზე დგომა, რის გამოც, საღამოობით, სახლში დაბრუნებისას, ვგრძნობ ფეხებში სიმძიმეს (არაფერი ორგანული არ მჭირს), მცირე მანძილის გავლის დროსაც კი ძალიან ვიღლები. რას მირჩევთ?**



**პასუხი:** თუ ეს მხოლოდ დაღლილობის ბრალია, ყოველ საღამოს გაიკეთეთ აბაზანა: საშუალოზე ნაკლებად ცხელ წყალში გახსენით ზღვის მარილი და ლავანდის ეთერზეთი (თუ ლავანდის ზეთი არ გაქვთ, კანიანად დაჭერით 1 ცალი საშუალო ზომის ლიმონი, დაასხით მდუღარე წყალი და გააჩერეთ 10 წუთი, შემდეგ კი ეს ნაყენი ლიმონის ნაჭრებიანად შეურიეთ აბაზანისთვის მომზადებულ წყალს). დაღლილობა და ფეხებში სიმძიმის შეგრძნება აუცილებლად მოგეხსნებათ.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# როგორ გახდა დახვრეტილი თბილისელი თავადის ვაჟი ყველაზე ახალგაზრდა კანონიერი ქურდი

*შარშან, 2012 წლის 9 მაისს, ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ მაიამიში, თავის ფეშენებელურ აგარაკზე, 92 წლის ასაკში გარდაიცვალა საბჭოთა კრიმინალური სამყაროს ლეგენდა ვიქტორ ანდრონიკოვი, მეტსახელად „შავგვრემანი“. 1920 წლის 9 მაისს, თბილისში, თავად ლევან ანდრონიკაშვილის ოჯახში დაბადებულ ერთადერთ ვაჟს ძალიან დინამიკური და ფათერაკებიანი ცხოვრება ჰქონდა, რომელიც უამრავი ლეგენდით, აშკარა თუ დაუჯერებელი ისტორიით იყო აღსავსე და რეალურ მასალებს მის შესახებ აწ უკვე რუსეთის მილიციის არქივები ინახავს. ჩვენი დღევანდელი პუბლიკაცია ექსკლუზიურ მასალებზე დაყრდნობით იბეჭდება და რედაქციასთან შეუთანხმებლად გადაბეჭდვა ყოვლად დაუშვებელია. მასალაში მოხსენიებული ყველა პიროვნება რეალურია, ზოგიერთი მათგანი კი ცნობილი ისტორიული პირია.*

### „გადაგდებული“ სტალინი

ვიქტორ ანდრონიკოვი ყველაზე ახალგაზრდა კანონიერი ქურდი იყო საბჭოთა კავშირის კრიმინალური სამყაროს ისტორიაში. მან ეს ტიტული 15 წლის ასაკში, 1935 წელს მიიღო ცნობილ მოსკოვურ „სხოდკაზე“, რომელიც ცნობილ „მალინაზე“ გაიმართა „მარინა როშჩაში“ და მას ოცი ქურდი ესწრებოდა. ეს ტიტული ანდრონიკოვმა თავისი ბიოგრაფიის წყალობით და ცნობილი ქურდის – ანტონ პავლოვის, იგივე „ოქროსთვალების“ გადარჩენისთვის დაიმსახურა. პავლოვმა და ოთხმა კანონიერმა ქურდმა მოსკოვის საათის ქარხნის სეიფი გატეხეს, იქიდან 20 კილოგრამი ოქრო და 150 ათასი მანეთი წაიღეს და თითქმის სამშვიდობოზე იყვნენ გასულები, როდესაც მათ პატრული გადაეყარათ. ოქროსთვალება მილიციამ ფეხში დაჭრა, დანარჩენმა ოთხმა ქურდმა კი გაქცევით უშველა თავს. პავლოვი კი ოქროთი და ფულით მიწაზე ეგდო და გადაადგილება არ შეეძლო. იქვე იმყოფებოდა ანდრონიკოვიც, რომელიც პავლოვთან იზრდებოდა და ქურდებს მალულად გაჰყვა „ოპერაციაზე“. სწორედ მან მოიკიდა ზურგზე დაჭრილი ქურდი, 20 კილოგრამი ოქრო, 150 ათასი მანეთი და მოსკოვის მიწისქვეშეთში გაუჩინარდა, რომელსაც ის კარგად იცნობდა. მილიციამ მათ კვალს ვერ მიაგნო და ქურდები მშვიდობიანად დაბრუნდნენ კონსპირაციულ ბინაზე. სამაგიეროდ, ცუდი დღე გაუთენდათ გაქცეულ ქურდებს: შეიკრიბა სპეციალური „სხოდკა“, სადაც ისინი დაიბარეს, გაამტყუნეს და ქურდული ტიტულები ჩამოართვეს. ორმა მათგანმა იმავე დღეს ნაგანებით მოიკლა თავი, რათა სირცხვილი ჩამოერეცხათ, მესამე კი „ჩეკაში“ წავიდა და ოქროსთვალება დაასმინა. მილიციამ და „ჩეკამ“ ერთობლივი ღონისძიება ჩაატარეს და ვიქტორ ანდრონიკოვის კურთხევიდან ოთხი დღის მერე ოქროსთვალება და შავგვრემანი დააპატიმრეს, გაასამართლეს და 20-20 წლით ჩასვეს ციხეში. 15 წლის „შავგვრემანი“ ჯერ მოსკოვში, ტაგანკის ციხეში იხდიდა სასჯელს 2 წლის განმავლობაში, შემდეგ კი ურალში გაამგზავრეს ეტაპით. იქ მას დიდი ბრძოლების გადატანა მოუხდა, მაგრამ, მტკიცე ხასიათისა და ფიზიკური სიძლიერის წყალობით, 17 წლის კანონიერმა ქურდმა შეძლო თავის დამკვიდრება და კოლეგებში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. 1940 წლის ივნისში, 20 წლის ვიქტორი მოულოდნელად მოსკოვში ჩაიყვანეს, დახურულ, ფარდებიან მანქანაში ჩასვეს და კრემლში, სტალინთან მიიყვანეს. დიდი ბელადის კაბინეტში სტალინის გარდა იმყოფებოდნენ ლავრენტი ბერია (რომელიც მაშინ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი იყო) და ყოფილი კანონიერი ქურდი, იმჟამად კი მილიციის პოლკოვნიკი, ნათან ფრენკელი. სწორედ ფრენკელის იდეა იყო, რომ კოლონიებში კანონიერი ქურდების პოზიციები განემტკიცებინათ, რათა მათ პატიმრები იძულებული გაეხადათ, რომ მონურად ეშრომათ. ამის გამო გაათავისუფლა სტალინმა ფრენკელი ციხიდან, მილიციაში მაღალი პოსტი და წოდება უბოძა და საპყრობილეები ჩააბარა. ფრენკელი წარმატებით უძღვებოდა თავისავე მოგონილ სისტემას და შავგვრემანიც სწორედ იმიტომ მოაყვანინა სტალინთან, რომ მისთვის ურალის მხარე ჩაებარებინათ.

**ორმა ტიტულჩამორთმეულმა კანონიერმა ქურდმა, სირცხვილი რომ ჩამოერეცხათ, იმავე საღამოს თავი მოიკლეს**

– ასეთი ახალგაზრდა და ასეთი ავტორიტეტული ქურდი პირველად ვნახე – უთხრა სტალინმა ბერიას ქართულად და შავგვრემანს მიუბრუნდა:

– თუ არ ვცდები, ეროვნებით ქართველი თავადი ხარ და მამაშენი ცნობილი ინჟინერი იყო.

– დიახ, ის 1929 წელს დახვრიტეს, – გატეხილი ქართულით უპასუხა ვიქტორმა სტალინს და დაამატა – მაშინ 9 წლის ვიყავი. დედა სამ თვეში მიჰყვა მამას, დავობლდი და ბავშვთა სახლში მოვხვდი, იქ კი, ძირითადად, ცუდ გზას ადგებიან.

შავგვრემანის მამა რომ დახვრიტეს, ბერია მაშინ საქართველოს „ჩეკას“ მეთაურობდა და ინჟინერ ანდრონიკაშვილის საქმე კარგად ახსოვდა, მაგრამ, არაფერი უთქვამს. საუბარში კი ნათან ფრენკელი ჩაერთო და ვიქტორს შესთავაზა, თუკი ის პატიმრებს აიძულებდა ეშრომათ, პრივილეგიებს მიიღებდა.

– მე მგონი, ცუდი წინადადება არ უნდა იყოს, – უთხრა სტალინმა ავტორიტეტულ ქურდს.

– კარგი, თანახმა ვარ, მაგრამ ერთი თხოვნა მაქვს, – მიუგო ვიქტორმა სტალინს.

– თქვი, გისმენ, – უთხრა სტალინმა.

– სანამ ურალში დამაბრუნებთ, გთხოვთ, ორი-სამი დღით მოსკოვში დამტოვოთ, რომ ცოტა გავერთო.

– კარგი, – თქვა სტალინმა, – ხუთი დღე „მეტროპოლის“ ლუქსში იცხოვრებ, მაგრამ, ჩვენი გაცურება თუ დააპირე, იცოდე, ცუდ დღეში ჩავარდები.

შავგვრემანი კრემლიდან პირდაპირ სასტუმრო „მეტროპოლში“ წაიყვანეს, მაგრამ, რამდენიმე საათის მერე ის გაუჩინარდა, ანუ, თვით სტალინი „გადააგდო“.

ანდრონიკოვის საძებნელად მთელი „ჩეკა“ ფეხზე დადგა. მის გაქცევას ლამის ნათან ფრენკელი შეეწირა. თუმცა, ვერც შავგვრემანს მიაგნეს და ფრენკელიც გადარჩა – სტალინმა ის არ დასაჯა, რადგან, წარმატებით უძღვებოდა პენიტენციური სისტემის მართვას. იქ მილიონობით ადამიანი იჯდა და მშენებარე ქვეყანას მილიონობით უფასო მუშახელი ჰყავდა, ეს კი სტალინისთვის უმთავრესი იყო და ფრენკელიც ამან გადაარჩინა.

### ფაშისტების რისხვა

„მეტროპოლიდან“ გაქცეული ვიქტორ ანდრონიკოვი კიევში გაემგზავრა და მან თავის ბავშვობის მეგობართან, გივი ზანდუკელთან შეაფარა თავი, რომელთან ერთადაც თბილისის ბავშვთა სახლში იზრდებოდა. გივის მშობლებიც 1929 წელს დახვრიტეს მავნებლობის ბრალდებით. ზანდუკელი, ისევე, როგორც შავგვრემანი, თავისი საქმის უბადლო პროფესიონალი იყო და თითქმის ნებისმიერი სეიფის გახსნა შეეძლო. თუმცა, ის ზეინკლის პროფესიას იყო ამოფარებული, კიევის მექანიკურ ქარხანაში მუშაობდა და ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ის ახალგაზრდა, მშრომელი ჭაბუკი სეიფების რისხვა იყო. კრეშჩატიკზე, კიევის ცენტრში, მას ოროთახიანი ბინა ჰქონდა, შავგვრემანი მასთან იმალებოდა და ყველაზე ეჭვიანი კიეველი მილიციელიც კი ვერ წარმოიდგენდა ამას. 1940-1941 წლებში, სანამ ჰიტლერი ომს გამოუცხადებდა საბჭოთა კავშირს, გივიმ და ვიქტორმა 6 მსხვილი „საქმე“ გააკეთეს, სეიფები გაძარცვეს და 350 ათასი მანეთი წაიღეს, ხოლო, ომი რომ დაიწყო და კიევი ფაშისტებმა დაიპყრეს, ძმაკაცებმა ფაშისტების წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყვიტეს: მათ არალეგალური ბრძოლა გამოუცხადეს და ღამღამობით პატარ-



პატარა ტერაქტებს აწყობდნენ, რომლებსაც ყოველდღიურად ორი-სამი ფაშისტის სიცოცხლე მაინც ეწირებოდა. კიევში კარგად ორგანიზებული და კონსპირირებული საბჭოთა ორგანიზაცია მოქმედებდა, თუმცა, გივისა და ვიქტორს მათთან არანაირი შეხება არ ჰქონდათ, ისინი დამოუკიდებლად მოქმედებდნენ.

ამგვარად, ერთი მხრივ, საბჭოთა დაზვერვა ცდილობდა საბჭოთა პატრიოტი ტერორისტების გაშიფვრას, მეორე მხრივ კი – „გესტაპო“, რომელიც მუხლჩაუხრელად მუშაობდა. თუმცა, ერთიც და მეორეც პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ. უფრო მეტიც, ზაფხულის ერთ წვიმიან დღეს, ზანდუკელმა და შავგვრემანმა დიდი ხნის წინ ჩაფიქრებული გეგმა განახორციელეს და კიევის კომისარიატის ქვეშ ჯერ 140 მეტრი სიგრძის გვირაბი გათხარეს, შემდეგ შენობის სალაროსა და სპეცგანყოფილებებში შეიპარნენ და, შესაბამისად, 110 კილოგრამი ოქროს ზოდები და საიდუმლო დოკუმენტების მთელი დასტა გაიტაცეს, სადაც საბჭოეთის არაოკუპირებულ ტერიტორიებზე შესაგზავნი აგენტების სრული სია იყო, მათი ფოტოებითურთ... ოქროს 22 ცალი ზოდი საიმედოდ გადამალეს, საბუთები კი ვინმე მიკოლა შევჩუკთან ინკოგნიტოდ დატოვეს. ფოტოატელიეს თანამშრომელი შევჩუკი სინამდვილეში საბჭოთა მზვერავი იყო და ეს ზანდუკელმა ზუსტად იცოდა, რადგან შემთხვევით მოისმინა შევჩუკისა და თავისი მეზობლის იური მოროზის საუბარი.

## 92 წლის „შავგვრემანის“ დასაფლავებას მაიამიში ცნობილი ადამიანები დაესწრნენ

ომის დამთავრების შემდეგ, 1947 წელს, გათავისუფლებულ კიევში, ერთ-ერთმა ძველმა მილიციელმა შავგვრემანი იცნო, რომელიც ქუჩაში მიდიოდა, იარაღი მიადო მას და დააპატიმრა. კიევის მილიციამ მოსკოვში დეპეშა გაგზავნა, სადაც შავგვრემანის პიროვნების დადგენას ითხოვდნენ. პასუხში ეწერა: რომ „ვიქტორ ლევანის ძე ანდრონიკოვი, შვიდი წლის განმავლობაში ძებნილი, განსაკუთრებით საშიში დამნაშავე იყო და მის გაძლიერებულ დაცვას მოითხოვდნენ მანამ, სანამ მოსკოვიდან გაგზავნილი სპეცბადრაგი ჩავიდოდა უკრაინის დედაქალაქში მის წასაყვანად. ორი დღის შემდეგ კიევში სპეცბადრაგი ჩავიდა. იმავე დღეს, გივი ზანდუკელმა, ხუთდღიანი ძებნის მერე კიევის მილიციის სამმართველოში მიაგნო შავგვრემანს და განაცხადა, რომ ის ოკუპირებულ კიევში ფაშისტებს ხოცავდა, რაც არავინ დაიჯერა. მაშინ ზანდუკელმა დაზვერვის ოფიცერთან შეხვედრა მოითხოვა და მას კომისარიატიდან გატაცებული საიდუმლო დოკუმენტების ამბავი მოუყვა.

– თუ ის საბუთები მართლა თქვენ გადმოგვეცით ინკოგნიტოდ, მაშინ ოქროს ამბავიც გეცოდინებათ და მხოლოდ მაშინ ვირწმუნებთ თქვენს სიტყვებს, – განუცხადა ოფიცერმა ზანდუკელს, რომელსაც მეტი არაფერი დარჩენოდა, რომ 22 ცალი ხუთკილოგრამიანი ოქროს ზოდის ადგილსამყოფელი მიეთითებინა. ჩეკისტებმა, მართალია, ოქრო ამოიღეს და ბანკში ჩააბარეს, მაგრამ შავგვრემანი მაინც მოსკოვში წაიყვანეს, ზანდუკელს კი ხელი არ ახლეს.

ანდრონიკოვის ამბავმა სტალინის ყურამდეც მიაღწია და მან ზანდუკელი და ანდრონიკოვი საბრძოლო წითელი დროშის ორდენებით დააჯილდოვა, ფაშისტებთან ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის. თუმცა, შავგვრემანი პატიმრობიდან მაინც არ გაათავისუფლა – 1947 წელს მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და მოსკოვში, ბუტირკის ციხეში გადაიყვანეს. ამგვარად, სტალინმა მაინც არ აპატია შავგვრემანს სიტყვის გატეხა, თუმცა ის ცოცხალი დატოვა და საბრძოლო ორდენითაც დააჯილდოვა.

### მოუხელთებელი ქურდი

მიუხედავად იმისა, რომ „ბუტირკაში“ გამომწყვდეული შავგვრემანი მხოლოდ 27 წლის იყო, მას უზარმაზარი ცხოვრებისეული გამოცდილება და დიდი ქურდული ავტორიტეტი ჰქონდა. თუმცა, 1952 წლის მაისში, ბუტირკის ციხის ქურდულ საკანში მასა და 66 წლის კანონიერ ქურდ ევგენი პაჟოვს, მეტსახელად „ხოლოდს“ შორის სერიოზული შელაპარაკება მოხდა, რაც შეტაკებასა და ციხის ბუნტში გადაიზარდა. ხოლოდი შავგვრემანს ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში სდებდა ბრალს და ამის არგუმენტად საბრძოლო წითელი დროშის ორდენი მოჰყავდა, რითაც ის და ზანდუკელი დააჯილდოვა სტალინმა. მაგრამ, ანდრონიკოვმა პაჟოვს არაფერი დაუთმო და, როცა პაჟოვმა პირველმა დაარტყა, შავგვრემანმა მას დარტყმითვე უპასუხა. ამ კონფლიქტმა ბუტირკის ციხე ორად გაყო და ისეთი არეულობა გამოიწვია, რომ ადმინისტრაციამ დამატებითი ძალები გამოიძახა და აბუნტებული პატიმრები მძიმე ხელჯოხებით სცემეს... ხოლოდთან დაპირისპირებამ შავგვრემანის ავტორიტეტი კიდევ უფრო გაზარდა შავ სამყაროში, თუმცა, ბევრი მტერიც გაუჩინა და მისი მოკვლა სცადეს, მაგრამ ანდრონიკოვი მხოლოდ მსუბუქად დაიჭრა. შემსრულებელი კი, ვინმე კაცევი, პატიმრებმა ჯერ გაატყავეს, შემდეგ კი მეოთხე სართულიდან ციხის ეზოში გადააგდეს. ამის გამო, 1953 წლის 4 მარტს შავგვრემანი ციმბირში გაუშვეს ეტაპით, მაგრამ 5 მარტს ის გზიდან გაიქცა და მოსკოვში დაბრუნდა, სადაც მისი ძებნა აღარავის დაუწყია, რადგან სტალინი გარდაიცვალა და საბჭოთა კავშირი გლოვობდა...

1953-1959 წლებში შავგვრემანი საკავშირო ძებნაში იყო. ამ ხნის განმავლობაში, ის ერთ კვირაზე მეტხანს არსად ჩერდებოდა, თან, ქურდობდა და საკმაოდ მსხვილადაც. 1959 წლის მარტში ანდრონიკოვმა თბილისის ერთ-ერთი ქარხნის სეიფი მარტომ გაძარცვა, იქიდან 120 ათასი მანეთი გაიტაცა და მიიმალა. თუმცა, ქუთაისში მაინც აიყვანეს, სადაც ის ერთმა ყოფილმა პატიმარმა იცნო და მილიციაში დააბეზღა. ვიქტორი ოპერჯგუფმა სოხუმისკენ მიმავალი მატარებლიდან მოხსნა და ქუთაისის ციხეში გაამწესა. საქვეყნოდ ცნობილ ქურდს 15 წელი დაუმატეს და პირდაპირ სოლიკამსკში, ცნობილ „ბელი ლებედში“ უკრეს თავი. იქ მან 4 წელი დაყო, 1963 წელს კი მოსკოვში დააბრუნეს, ერთი ძველი საქმის გამომძიებლისთვის რომ მიეცა ჩვენება. შემდეგ მოსკოვშივე დატოვეს, თუმცა, 45 წლის შავგვრემანი ჯერ ციხიდან გაიქცა, შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოახერხა გასვლა, სადაც 45 წელი იცოცხლა. იქ მან ეგრეთ წოდებული „შავი სახლი“ დააარსა, რომელშიც სხვადასხვა ეროვნების მომპარავები იყვნენ გაერთიანებული და მათ ჩაუდგა სათავეში. ისინი მთელ შეერთებულ შტატებში ქურდობდნენ, ეგრეთ წოდებულ „ობშჩიაკს“ აგროვებდნენ და თანდათან „ათეთრებდნენ“ თავიანთ ბიზნესს. გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურულს კი შავგვრემანის ფირმა სრულიად ლეგალური გახდა, ის დღემდე ფუნქციონირებს და სხვადასხვა სახის საბროკერო საქმიანობითაა დაკავებული. თავად შავგვრემანის ცხედარი კი პრესტიჟულ სასაფლაოზეა დაკრძალული და ის ბევრმა ცნობილმა სახემ გააცილა უკანასკნელ გზაზე.

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

### 15 აპრილი

1912 – ჩაიძირა გემი „ტიტანიკი“. დაიღუპა 1513 ადამიანი.

1919 – ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვიდა მსოფლიოში პირველი საავტომობილო გზების რუკა.

1951 – ლონდონში ჩატარდა პირველი კონკურსი „მის მსოფლიო“. „მის მსოფლიო“ გახდა გერმანელი გოგონა.

1994 – როგორც ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს სწორედ ამ დღეს დიდ ბრიტანეთში ვირთხების რაოდენობამ გადააჭარბა მოსახლეობის რაოდენობას, ანუ 58 მილიონს.

### 16 აპრილი

1912 – ინგლისელი ჰარიეტ ქუიმბი გახდა პირველი ქალი, რომელმაც გადაუფრინა ლა-მანშს.

1917 – ლენინის ჩამოსვლა პეტროგრადში. მისი გამოსვლა ფინეთის საზღვარზე, სადაც მან ჩამოაყალიბა „აპრილის თეზისები“.

### 17 აპრილი

1607 – 21 წლის არმან ჟან დიუპლესი დე რიშელიე ეკურთხა მღვდლად. ასე დაიწყო მისი ბრწყინვალე კარიერა.

1722 – პეტრე პირველმა რუსეთში შემოიღო გადასახადები წვერის ტარებაზე. წვეროსანს წელიწადში 50 რუბლი უნდა გადაეხადა.

1964 – ინგლისში გამოვიდა ჯგუფ „როლინგ სთოუნზის“ პირველი ალბომი.

### 18 აპრილი

1902 – დანია გახდა მსოფლიოში პირველი სახელმწიფო, სადაც დაიწყეს თითების ანაბეჭდების გამოყენება დამნაშავეთა იდენტიფიკაციისთვის.

1906 – ძლიერმა მიწისძვრამ დაანგია ქალაქი სან-ფრანცისკო.

1956 – ჰოლივუდის მსახიობი გრეის კელი გათხოვდა მონაკოს პრინც რენიე მესამეზე.

1980 – ინგლისის კოლონიამ სამხრეთ როდეზიამ მიიღო დამოუკიდებლობა და ეწოდა ზიმბაბვე.

### 19 აპრილი

1199 – რომის პაპმა ინოკენტი მესამემ დააარსა ტევტონთა ორდენი.

1878 – თომას ალვა ედისონმა დააპატენტა ფონოგრაფი.

1915 – დაიწყო გალიპოლის სამხედრო ოპერაცია – პირველი მსოფლიო ომის ერთ-ერთი ტრაგიკული ფურცელი.

1964 – ეკრანებზე გამოვიდა ჟან დემის ფილმი „შერბურის ქოლგები“, რომლისთვისაც მუსიკა დაწერა მიშელ ლეგრანმა.

1986 – საბჭოთა კავშირმა კოსმოსში გაუშვა ორბიტალური სადგური „მირი“.

### 20 აპრილი

1653 – ოლივერ კრომველი გახდა ინგლისის ერთპიროვნული მმართველი.

1841 – გამოქვეყნდა ედგარ ალან პოს პირველი დეტექტიური მოთხრობა „მკვლელობა მორგის ქუჩაზე“.

1865 – დაპატენტებულ იქნა ჩვეულებრივი ასანთი.

1994 – გერმანელებმა გაუსწრეს ფრანგებს ერთ სულ მოსახლეზე ალკოჰოლის მოხმარების პროცენტით.

### 21 აპრილი

753 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე – ლეგენდის მიხედვით, ამ დღეს დაარსდა რომი.

1689 – ინგლისის ტახტზე ავიდა ვილჰელმ ორანელი. ინგლისში გაფორმდა კონსტიტუციური მონარქია.

1960 – ბრაზილიის დედაქალაქი გახდა სპეციალურად ამ მიზნით აშენებული ქალაქი ბრაზილია.

1976 – ვალერი ანდრე გახდა პირველი ქალი გენერალი საფრანგეთის არმიაში.

**ჩვენი რესპონდენტი 22 წლის ლუკა მგელაძეა. მართალია, ის მომავალი რეჟისორია და ჯერ მხოლოდ მეოთხე კურსის სტუდენტია, მაგრამ რამდენიმე ნამუშევარი უკვე ფიქსირდება მის სარეჟისორო კარიერაში. პრაქტიკა ჯერ კიდევ თეატრალურ უნივერსიტეტში ჩაბარებამდე მიიღო, რადგან ბავშვობიდან რეჟისორების გარემოცვაში გაიზარდა. ლუკას ბაბუა ყველასთვის ცნობილი რეჟისორი, გუგული მგელაძე გახლავთ, ხოლო მამა – გიო მგელაძე. რაც შეეხება ლუკას, მას ჩვენი ინტერვიუდან გაგაცნობთ უკეთ.**

# რა ისწავლა ლუკა მგელაძემ საკუთარ შეცდომებზე და მერამდენე რეჟისორია ის მგელაძეების ოჯახში

**– ლუკა, ოჯახში მესამე თაობის რეჟისორი ხარ, რაც საკმაოდ იშვიათობაა. მკითხველი კარგად იცნობს შენს ბაბუასა და მამას, შენ შესახებ რას გვეტყვი?**

– თეატრალური უნივერსიტეტის, სარეჟისორო ფაკულტეტის მეოთხე კურსზე ვსწავლობ ლევან თუთბერიძის ჯგუფში. ამჯერად სადიპლომო ფილმის გადაღებისთვის ვემზადები და დიდი იმედი მაქვს, რომ გადაღება შედგება.

**– რეჟისორის პროფესია რომ აირჩიე, ეს ალბათ არავის გაჰკვირვებია. როგორც უკვე აღვნიშნე, ოჯახში მესამე თაობის რეჟისორი იქნები.**

– პირველი რეჟისორი ნამდვილად არ ვიქნები ოჯახში, ბაბუაჩემიც და მამაჩემიც რეჟისორები არიან. დედაჩემი მხატვარი იყო და ბავშვობიდან ისეთ ატმოსფეროში ვიზრდებოდი, სულ კინოსთან მქონდა კავშირი. ბაბუასაც დავყვებოდი გადაღებებსა და მონტაჟზე. მამაჩემი რომ უცხოეთში მიდიოდა გადაღებებზე, მეც თან დავყავდი, ისევე როგორც თბილისში ვესწრებოდი მის გადაღებებს. ალბათ, ამ ყველაფერმა განაპირობა, რომ ეს სფერო და პროფესია შემიყვარდა.



ჩემთვის სიყვარული მამოძრავებელი ძალაა

**– ძალიან კარგია, როცა ასეთი რეჟისორები გყავს ოჯახში. თუმცა, ხშირად იმ ფაქტსაც შეეჯახები, როცა იტყვიან, გუგული მგელაძის შვილიშვილია, ან გიო მგელაძის შვილიო. ეს თუ გაქვს გათავისებული?**

– ამ ფაქტის წინაშე სწავლის პროცესში უკვე არაერთხელ აღმოვჩნდი. როცა იციან ვისი შვილი და შვილიშვილი ვარ, უფრო მეტს მოითხოვენ და გაცილებით მეტს ელიან ჩემგან. მეც ვცდილობ, მათ იმედები არ გავუცრუო.

**– კინოს რომელი ჟანრი უფრო მოგწონს, ანუ რა ჟანრის ფილმების გადაღება გინდა?**

– მაგალითად, ბაბუაჩემი კომედიებს იღებდა. მე კი მგონია, რომ კომედიას არ გადავიღებ. უფრო ზუსტად რომ გიპასუხოთ, არ ვიცი, რას გადავიღებ, მაგრამ ზუსტად ვიცი, რას არ გადავიღებ. კომედიას თავისებური მიდგომა სჭირდება.

**– სადიპლომო ფილმის გადაღებას გეგმავ. ამაზე რას გვეტყვი?**

– პრინციპში რაღაც მხრივ, კომედიური ჟანრიც არის. ანუ, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. სცენარი აპოლინერის მოთხრობის მიხედვით გაკეთდა. იმედი მაქვს, კარგი გამოვა. ჟანრი მისტიკა და ფანტასტიკაა, რომელიც კომედიურ ელემენტებს შეიცავს.

**– ოჯახის წევრები როგორ აფასებენ შენს სარეჟისორო ნამუშევრებს? ლოგიკურია, რომ მათგან რჩევებიც უნდა მიიღო.**

– საერთოდ არ მიყვარს ჩემი ნამუშევრების ჩვენება. ძირითადად, მამაჩემს ვაჩვენებ, ბაბუაჩემმა თუ შემთხვევით არ გაიგო, ისე არ ვეუბნები.

**– რატომ?**

– ალბათ, ცოტა მაინც სხვა ტიპია. შეიძლება ბევრი რამ ისე ვერ გაიგოს, როგორც მამაჩემი გამიგებს. თუმცა, საბოლოო ჯამში ბაბუაჩემს უფრო მეტი ესმის, ვიდრე ჩვენ ორს ერთად. რჩევებს ნამდვილად ვიღებ, ისინი ყველაფერს გულახდილად მეუბნებიან – რა მოსწონთ ჩემს ნამუშევარში და რა – არა. ასე რომ, მათგან კრიტიკაც მისაღებია ჩემთვის.

**– ბავშვობიდან გინდოდა რეჟისორობა?**

– გადაწყვეტილება როგორც ასეთი არ მიმიღია, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო. თუმცა მერვე-მეცხრე კლასში ექიმობა მოვინდომე, მაგრამ სურვილმა ისე გადამიარა, სახლში არც არავის გაუგია. სხვათა შორის, შარშან ვუთხარი მამაჩემს, ადრე ექიმობა მინდოდა, მაგრამ მერე მივხვდი, ვეტერინარობა მდომებია-მეთქი. ცხოველები ძალიან მიყვარს, ძაღლიც მყავს – „ბენჯი.“

რაც შეეხება რეჟისორობას, მიმაჩნია, რომ ეს პროფესია უფრო ზრდასრულ ასაკში უნდა აირჩიო. ვხვდები, რომ ნაჩქარევი გადაწყვეტილება მივიღე. შეიძლებოდა, ჯერ სხვა პროფესია ამერჩია, რეჟისორი კი მერე გავმხდარიყავი.

**– მართალია, მსახიობი რეჟისორზეა დამოკიდებული, მაგრამ რეჟისორს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სწორი ხედვა, როლზე აყვანილმა მსახიობმა რომ გაუმართლოს. შენ როგორი ხედვა გაქვს?**

– ეს მაშინ გამოჩნდება, სადიპლომოს რომ გავაკეთებ. მანამდე რაზეც მიმუშავია, მსახიობებთან მიმართებაში, ვფიქრობ, შეცდომები მაქვს დაშვებული. მგონია, ამ შეცდომებზე, უნდა მესწავლა რაღაც ეტაპამდე მაინც.

**– ცხოვრებაში თუ გიმართლებს?**

– მთავარია, შენ რას გააკეთებ იმისთვის, რომ გაგიმართლოს. ალბათ, ხან ნაკლებს ვაკეთებ იმისთვის, რომ გამიმართლოს, ხან შედარებით მეტს. შესაბამისად, ხან მიმართლებს, ხან – ნაკლებად.

**– როცა ადამიანს რაღაც არ გამოსდის, შეიძლება, ხელი ჩაიქნიოს და იფიქროს, რომ ეს მისი საქმე არ არის, ან ფეთქებადი ხასიათი გამოავლინოს. შენ?**

– დეპრესიაში არასდროს ვვარდები, პირიქით თუ რამე ისე არ არის, მიზეზს ვეძებ და სხვა გზას გამოვნახავ კარგი შედეგის მისაღებად.

**– ყველაზე მეტად რომელ ფილმებს გამოარჩევ მამისა და ბაბუის შემოქმედებიდან?**

– მამაჩემის გადაღებული მხატვრული ფილმებიდან რომელიმეს გამორჩევა გამიჭირდება, რადგან ყველა ძალიან მომწონს. დოკუმენტურს რაც შეეხება, „7 დღე ტიბეტში,“ ძალიან კარგად არის გაკეთებული. ბაბუას ძალიან ბევრი ფილმები აქვს გადაღებული... კომედიებიდან გამოვარჩევ – „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი.“ გენიოსია ბაბუაჩემი ასეთი მაგარი ფილმი რომ გადაიღო. მას რადიკალურად განსხვავებული ფილმები აქვს, მაგალითად, სად „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“ და სად – „ცისკრის ზარები“ ან „ფესვები.“ ბაბუაჩემის მთლიანი შემოქმედება ძალიან მომწონს, რადიკალურად განსხვავებული რომ არის იმიტომ.

**– ალბათ, ძალიან ამაყიც უნდა იყო ასეთი მამისა და ბაბუის შთამომავალი ხარ?**

– კი, რა თქმა უნდა.

**– დედისერთები ხშირად ეგოისტობით გამოირჩევიან. შენც მიეკუთვნები მათ რიცხვს?**

– ეგოიზმი ყველა ადამიანში დევს, მთავარი ისაა, დადებითი ეგოისტი ხარ თუ ეგოცენტრიკი. მე კი ეგოცენტრიკი ნამდვილად არ ვარ.

**– ცელქი ბავშვი იყავი?**

– გააჩნია, სად ვიყავი და საქმეს როგორ სჭირდებოდა. ეზოში, ალბათ, ცელქიც ვიყავი, მაგრამ სულ არა. როგორც უკვე გითხარით, მამასთან ერთად ხშირად ვმოგზაურობდი. მაგალითად, ინდოეთში, 50-გრადუსიან სიცხეში ვიყავი 6 წლის ასაკში. ისე ცხელოდა, ფეხსაცმლის ძირები გამდნარი იყო რომ ჩამოვედით. გადაღების დროს მამაჩემის ხან ერთ მეგობართან მივიდოდი და ხან მეორესთან: წამო, ნაყინი ვჭამოთ-მეთქი. მერე ვეტყოდი, ამ სიცხეში ცივი ყავა ჯობია ნაყინს-მეთქი. ერთ დღეს 7 ჭიქა ნაყინიანი ყავა დავლიე. კინაღამ გავგიჟდი, ყირაზე გადავდიოდი, ლამის კედლებზე გავიარე.

**– რაზე არ იტყვი არასდროს უარს?**

– მოგზაურობაზე არასდროს ვიტყვი უარს, რადგან ძალიან მიყვარს.

**– შეყვარებული ხარ?**

– შეყვარებული არ მყავს, მაგრამ ზოგადად, მაინც სულ შეყვარებული ვარ. ადამიანს სიყვარული აუცილებლად სჭირდება, რომელიც ყველაფერში გეხმარება. ამას მაშინ ხვდები, როცა

**მიმაჩნია, რომ ეს პროფესია უფრო ზრდასრულ ასაკში უნდა აირჩიო. ვხვდები, რომ ნაჩქარევი გადაწყვეტილება მივიღე, რადგან შეიძლებოდა, ჯერ სხვა პროფესია ამერჩია, რეჟისორი კი მერე გავმხდარიყავი**

არავინ გიყვარს. ჩემთვის სიყვარული მამოძრავებელი ძალაა.

**– როგორი გოგონები მოგწონს, ან როგორი არ უნდა იყოს ის.**

– უზრდელი არ უნდა იყოს. როცა ადამიანთან ურთიერთობა გაქვს, ცხადია, არც უნდა გიღალატოს.

**– როგორ ფიქრობ, როგორი რეჟისორი გახდები, შენი პროგნოზი როგორია?**

– დიდი სურვილი მაქვს, კარგი რეჟისორი გავხდე, რასაც საბოლოოდ, დრო გვაჩვენებს.

**მარიკა ხიდურელი**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

**კითხვა: მყავს ავტომობილი „კორსა“, 1998 წლის, 1.4-იანი ეკოტეკის ძრავათი, მართვის ავტომატური კოლოფით. პირველ, მეორე, მესამე და უკანა სიჩქარეში ჩვეულებრივად ვარდება, მაგრამ „დე-ში“ არა. ავტომობილი ხელოსანს მივუყვანე, მაგრამ ვერაფერი გაუგო. მითხრეს, კომპიუტერია დაზიანებულიო. იქნებ ამიხსნათ, რა არის შესაცვლელი, მთლიანად კომპიუტერი, თუ მისი რომელიმე ნაწილი. უშველის თუ არა ეს პრობლემას. ხაშურში ვცხოვრობ და ალბათ, თბილისში მომიწევს გასაკეთებლად ჩამოსვლა და სად მივიდე?**

**პასუხი:** დისტანციურად იმის განსაზღვრა, თქვენს ავტომობილში კომპიუტერია დაზიანებული თუ თვითონ გადაცემათა კოლოფი, რთული სათქმელია. ეს ბევრ ნიუანსზეა დამოკიდებული, რომელიც კარგმა ხელოსანმა უნდა შეამოწმოს. ნებისმიერ შემთხვევაში მოგიწევთ თბილისში ჩამოსვლა და მიბრძანდით თუნდაც ჩვენი სახელით, გადაცემათა კოლოფების ხელოსანთან, კონკრეტულად, დათო ლობჟანიძესთან. მისი ავტომატური კოლოფების სპეციალური სერვისცენტრიც თემქა-მუხიანის გასაყარზე მდებარეობს. უფრო დეტალური ინფორმაციისთვის დაუკავშირდით თავად მეპატრონეს ნომერზე: 598 490-001.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> მიხაილ შუმახერი

**კითხვა: ამას წინათ, ერთ-ერთ ავტომობილს გასწრებაში შევეჯიბრე, რომელიც ჩემს ავტომობილზე გაცილებით სუსტი იყო, ყოველ შემთხვევაში, მონაცემებით. მაგრამ, მან დიდი ძალდატანების გარეშე გამასწრო. ბევრი ვიმსჯელეთ, როგორ და რა მიზეზით მოხდა ეს, მაგრამ, მგონი, რეალურ მიზეზს ვერ მივაგენით. რა შეიძლებოდა ყოფილიყო მიზეზი?**

**პასუხი:** მოდელების მიხედვით გასწრება საკმაოდ ინდივიდუალურია და უკვე მოდელებზე საუბარი იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა კონკრეტული რბოლაა, ყველა ავტომობილი მოწესრიგებული და გამართულია მექანიკოსების მიერ და პილოტების მაღალი პროფესიონალიზმიც არ დგება კითხვის ნიშნის ქვეშ. სხვა შემთხვევაში კი, რომელი ავტომობილი რომელს გაასწრებს, უამრავი ფაქტორი განაპირობებს. პირველი, რასაც მძღოლი ფიქრობს არის – რამე ხომ არ სჭირს ჩემს ავტომობილს. ავტოსპორტში ინჟინრები ძალიან ბევრს მუშაობენ იმაზე, რომ ყველა ნიუანსი, რაც ავტომობილის აჩქარებაზე „მუშაობს,“ გაითვალისწინონ და მაქსიმალურად გამოიყენონ მანქანის პოტენციალი. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა, ვთქვათ, ას კილომეტრ-საათში სიჩქარემდე ერთი ავტომობილი უფრო სწრაფია, შემდეგ კი, შედარებით ნელდება. ძირითად მიზეზებს ჩამოვთვლი, რომელიც ამ დროს ყველაზე მეტად მოქმედებს. პირველი – ძრავას სიმძლავრე და მისი გამართულობა. თუ ძრავა გამართულად არ მუშაობს, ის გაცილებით ნაკლებ ცხენის ძალას გამოიმუშავებს და სუსტია. მეორე – ეს სიჩქარეების კოლოფია. თუმცა, ქარხნულ ავტომობილებზე თუ ვისაუბრებთ, მას იშვიათად თუ ვინმე ცვლის. ვთქვათ, საქმე მიდგა ავტომობილის ყიდვაზე, ჩვენ ვარჩევთ 2.0-იან ძრავიანს, ვიდრე 1.6-იანს, რადგან ის უფრო სწრაფი და მძლავრი იქნება. მაგრამ, თუ ქარხნულ მონაცემებს ჩავხედავთ, ვნახავთ, რომ ას კილომეტრამდე ისინი ზუსტად ერთსა და იმავე დროში ჩქარდებიან. განსხვავებას ძრავას მოცულობაში მხოლოდ სიჩქარის სიდიდე გვაძლევს 2.0-იანს 240 კილომეტრ-საათის სიჩქარის განვითარება შეუძლია, მეორე შემთხვევაში კი – მხოლოდ 195 კილომეტრ-საათის სიჩქარის, რომელსაც საქართველოს პირობებში საერთოდ არ ვიყენებთ. ის, რომ აჩქარება ერთნაირი აქვთ, ამაზე უკვე სიჩქარეთა კოლოფი მოქმედებს. როგორ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, იმისთვის, რომ ავტომობილი აჩქარდეს, მასში იგივე მოდელის, უფრო სუსტი ძრავის მქონე სიჩქარეთა კოლოფი უნდა ჩადოთ. ის ძალიან სწრაფად განავითარებს სიჩქარეს, მაგრამ მაქსიმალურ სიჩქარეზე სიტუაცია შეიცვლება. ანუ, 200 კილომეტრ-საათს ძალიან სწრაფად განავითარებს, მის ზევით კი ის კონკრეტული ავტომობილი უბრალოდ არ წავა, მიუხედავად მისი სიძლიერისა.

აჩქარებაზე ასევე ძალიან სერიოზულად მოქმედებს წონა – თუ რამდენს იწონის ავტომობილი და რამდენის თრევა უწევს ძრავას. წონა ზოგადად, ძალიან სერიოზულად განსაზღვრავს ავტომობილის აჩქარებასაც და მართვის სტილსაც. დატვირთული ავტომობილის სამართავად მართვის ნიუანსების კარგი ცოდნაა აუცილებელი. ამ დროს ავტომობილი სულ სხვანაირად იქცევა, სხვანაირად ამუხრუჭებს, უხვევს და სხვა. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა სიმძიმის ტვირთის ტრიალი უწევს ძრავას. ყველაფერ დანარჩენს რომ თავი დავანებოთ, ეს ბორბლებია, ანუ საბურავი თავისი დისკით. კიდევ სხვა უამრავი ნიუანსია, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „პაჯერო იო”, 1999 წლის. როგორ უნდა გავიგო, შესაცვლელია თუ არა ეგრეთ წოდებული „პადმატორნი”, ძრავას სადები ბალიში?**

**პასუხი:** რადგან დაიბადა ეს კითხვა, ნიშნავს, რომ როგორც მინიმუმ, ხელოსანმა ან ვინმემ გითხრათ, რომ „პადმატორნი” შესაცვლელია და ამიტომაც დაინტერესდით, შესაცვლელია თუ არა მართლა. როგორც წესი, ვიზუალური დათვალიერებით და მცირე გასინჯვითაც იოლად ჩანს, დაზიანებულია თუ არა ის. მაგრამ, შესაძლოა, უფრო უხეში მეთოდითაც გავსინჯოთ ისე, რომ თან საჭესთან ვიჯდეთ. უნდა ვაწვალოთ გაზის პედალი. ავტომატის შემთხვევაში, ჩააგდეთ ელ-ში და რამდენჯერმე მკვეთრად დააჭირეთ გაზს, ანუ იმპულსურად, დააჭერთ გაუშვებთ, დააჭერთ გაუშვებთ. თუ „პადმატორნი” დაზიანებულია, გაზზე ფეხის დაჭერის ან აშვებისას მცირე ხმა იქნება – თუ ხმა არა, სიცარიელის შეგრძნება მაინც, ეგრეთ წოდებული, ლუფტი. თითქოს რაღაც გადაბრუნდა, გაიდგაფუნა და მერე დაიწყო აჩქარება თუ შენელება. დაზიანებული „პადმატორნით” სიარული ძრავას არ დააზიანებს, მაგრამ ეს არის დისკომფორტი – იმის განცდა, რომ თითქოს ძრავა უნდა ამოხტეს. რიგ ავტომობილებში ამის გამო შეიძლება ძრავა გვერდით იმდენად გადაადგილდეს, რომ სიჩქარეებსაც კი აგდებდეს, შესაძლოა, ვიბრაცია სალონშიც გადმოვიდეს; იმდენად დაზიანებული იყოს ბალიში, რომ რკინა რკინას ედებოდეს. რაც შეეხება შეცვლას, გააჩნია, თქვენს ავტომობილში რომელი „პადმატორნია” დაზიანებული. ის ყველა ავტომობილს რამდენიმე აქვს, ზოგი ძვირი ღირს და რთული გამოსაცვლელია, ზოგი კი იაფი და იოლი გამოსაცვლელიცაა.

> **ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**
>
> ** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
>
> ** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
>
> ** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
>
> ** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
>
> *გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

თოვლის ბაბუ
ქრისტეს არჩიეს / ....კლინ-ტონი
ჩათ-რევას სჯობს
აზერბ-აიჯანე-ლი მწ-ერალი
იოლი, მარბილი / ...კალა-ნდაძე
სცენას ანათ-ებს
სულ ზღვას ხატავდა
უსაფ-უარო პური
მდი-ნარის ნაპირი
შარა, ტრასა, ბილიკი
„დავით აღმაშე-ნებლის" პერსონაჟი
ჭაობის მცენარე
გრამატ. კავშირი / აფრიკის მდინარე
წყალკ-ურთ-ხევა
რაჭის სოფელი
მეღვინ-ეთუხუ-ცესი
რკინის ჭურ-ჭელი
შექს-პირის მეფე
ცისკარას სატრფო / კომიკური პიესა
ნორმის დარღვევა / ჭანკ-ავეტაძე



ომის შემდეგ / ქალაქი ჰოლანდ.
ხის გა-დანაჭერი
ბაში / რჩეული
უძვ.სახ-ელმწიფო შუამდი-ნარეთში
ბორო-ტი
იორდა-ნიის დედა-ქალაქი
მესამე პირს / აშშ-ის შტატი
ფრეინ-დლიხი / დიკენსის ბიჭუნა
ბრძოლა
ძველ პურს ეკიდ-ება
ფრანგი მსა-ხიობი
მოძრავი კიბე
ქართ-ველი მწერ-ალი
ძველი სიმე-ბიანი საკრავი
ხელზე მკით-ხავი
ფილმი „(......) და მისი ძმები"
აფრიკის ქვეყანა
ხიზი-ლალა
ბულგ-არეთის მთები
ირლ-ანდია ირლან-დიურად
მსუ-ბუქი ძილი
ბანქოს ტუზი
ფირ-ოსმანი
ოჰაიოს შტატშია
ბატონი მუზინ
(......) პუგაჩოვა / კანის დაავადება
რაიმეზე დამდგა-რი მზის შუქი
მოღა-ლატე
ფიფქების ცვენა
სახეცვ-ლილება
იუგოსლ-ავიელი მსახიობი გოიკო....
გაგა-რინი
ჯეიმზ ჯოისის რომანი
„მიმი-ნოს" რეჟი-სორი
ცნობილი კარმენის მიჯნური
გრამატ-იკული კავშირი
ონე-გინის სატრფო
ოქროს მითიური ქვეყანა
ცეცხლის ენა / არაბული ქვეყანა
დიას-ამიძე
XIX ს გერმან. მათემა-ტიკოსი
რუსული „ხინ-კალი"
ხარი / ფანჯა-რას აქვს
ამერ-იკელი მომღ-ერალი
აშშ-ს შტატი
ნათესი
რუსული ჟურნალი
შთამო-მავალი / ეშმაკი
რა არის ტაიგა?
„ნაუტი-ლუსის" კაპიტანი
(......)-კაპონე
(.......) ბადურა-შვილი
ნუსხა / ელიავა
იტალ. მანქანა / იტალიის ქალაქი
(.......) ფრანკო
კატის ხმა
მოუხარ-შავი
მაუგლის მეგო-ბარი გველი
.....ჟი-რარდო / ბანკის საბუთი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 1 | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | 4 | 4 | | 4 | 4 | 4 | 1 | | | | | | | | | | | |
| | | | | 1 | | 5 | | | | | | 4 | 4 | | 4 | 4 | 4 | 4 | 1 | | | | | | | | | | |
| | | | | 1 | 3 | 1 | 9 | 11 | 11 | | | 5 | 5 | | 5 | 5 | 5 | 5 | 2 | 4 | 10 | 8 | 7 | | 3 | 2 | | | |
| 1 | 1 | 2 | 3 | 2 | 4 | 3 | 5 | 6 | 6 | 20 | 5 | 5 | 5 | 25 | 5 | 5 | 5 | 6 | 6 | 6 | 6 | 5 | 4 | 10 | 3 | 2 | 2 | 1 | 1 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | 3 |
| | | | 1 | 3 |
| | | | | 1 |
| | | | | 6 |
| | | | | 6 |
| | | | 1 | 6 |
| | | 3 | 6 | 1 |
| | | 3 | 1 | 2 |
| | | 4 | 7 | 2 |
| | | 4 | 7 | 3 |
| | | 4 | 7 | 4 |
| | | 5 | 7 | 3 |
| | | 5 | 1 | 4 |
| | | 6 | 7 | 4 |
| | | 6 | 7 | 5 |
| | | 7 | 7 | 5 |
| | | 4 | 7 | 6 |
| 1 | 7 | 1 | 1 | 1 |
| | 7 | 1 | 1 | 1 |
| 4 | 1 | 4 | 1 | 12 |
| | | | | 25 |
| | | | | 22 |
| | | | | 18 |
| | | | | 15 |
| | | | | 13 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | 9 | 7 | 8 | | 4 | |
| 4 | | | 5 | 3 | | 7 | 9 | 8 |
| | 9 | 8 | | 4 | 6 | 5 | | 3 |
| 8 | 5 | 1 | 3 | | 4 | | 7 | |
| | 4 | 7 | 8 | | 5 | 3 | | 9 |
| 9 | | 2 | | 1 | 7 | | 8 | 5 |
| 5 | | 4 | | 8 | | 9 | 3 | 7 |
| | 7 | | 4 | | 9 | | 6 | 1 |
| 1 | 8 | 9 | | 6 | | 2 | 5 | |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | | | 7 | | 9 | |
| 3 | | | 2 | | | 6 | | 1 |
| | | 7 | 1 | | | | 3 | |
| | | | | 7 | | | 4 | |
| | | 6 | 9 | | | 3 | | 7 |
| | | 9 | | 3 | 2 | | 1 | |
| 9 | 6 | | | | | | 5 | |
| | | 5 | | 9 | 4 | 7 | | 3 |
| 4 | 7 | | | 1 | | | 8 | |

# ისწავლეთ ხატვა ზაალთან ერთად



1. ოვალური ფორმით დაიწყეთ ბაჭიას თავის ხატვა



2. ბაჭიას მიახატეთ ტანი და თავში თვალის ადგილას – პატარა წრე



3. მიახატეთ რვალის ფორმის პირი და თვალ-წარბი



4. ბაჭიას მიახატეთ უკან დაცქვეტილი ყურები და ფეხი



5. მიახატეთ წინა თათებიც



6. შემდეგ – აპრეხილი კუდი



7. გააფერადეთ



თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ ათი განსხვავება





## იპოვე ყვავილების შესაბამისი ჩრდილები



## რა გზით მივა წითელქუდა ბებიასთან



# ბიჭი და ლოკოკინა

## (იგავ-არაკი)

ერთხელ გლეხის ონავარმა ბიჭმა ლოკოკინის ნიჟარას ცეცხლი წაუკიდა. საბრალო ლოკოკინა აწრიპინდა.

– რა უტვინოა, – თქვა ბიჭმა, – მე სახლს ვუწვავ, ის კი მღერისო.

უადგილო ყბედობა საძრახისიაო, – ამბობს არაკი.

## რიცხვრებუსი

5,,, ,,3, 10,,



# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
ზაქრო ბაჟიაშვილი

ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.

**ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: ჩემს ძაღლს ხშირად აქვს კუჭის პრობლემები. რისი ბრალი შეიძლება იყოს კუჭის აშლილობა?**

**პასუხი**: ხშირი კუჭის აშლილობა შეიძლება, საკვების მიცემასთან, დისბაქტერიოზის ან რაიმე სხვა დაავადებასთან იყოს დაკავშირებული. ამიტომ, საჭიროა მიზეზის დაზუსტება და სათანადო მკურნალობის ჩატარება. ამაში კი ვეტერინარი დაგეხმარებათ.

**კითხვა: მაინტერესებს რამდენ ხანში ერთხელ უნდა გავუქლიბო ძაღლს ბრჭყალები, შესაძლებელია თუ არა ეს სახლის პირობებში და როგორ?**

**პასუხი**: ეს დამოკიდებულია იმაზე სად იმყოფება თქვენი ძაღლი, ქუჩაში თუ სახლში, რამდენ ხანს ასეირნებთ მას გარეთ. რა თქმა უნდა, აღნიშნული პროცედურა სახლშიც შესაძლებელია ჩატარდეს, ამისთვის დაგჭირდებათ სპეციალური მკვნეტარა, მაგრამ უმჯობესია, ეს პროცედურა სპეციალისტმა ჩაატაროს.

**კითხვა: რა საფრთხე შეიძლება შეუქმნას ძაღლს ჯლიბამ? გაზაფხულზე ჯლიბები გააქტიურდნენ. როგორ დავიცვათ ძაღლები?**

**პასუხი**: ჯლიბში ალბათ, ტკიპას გულისხმობთ. მან შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას თქვენს ცხოველს, რადგან მისი საშუალებით გადადის პიროპლაზმოზები, რომელიც რთულად იკურნება. ტკიპებისგან დასაცავად ძაღლი უნდა დაამუშაოთ სპეციალური საშუალებებითა და ანტიპარაზიტული წვეთებით.

**კითხვა: თუ შეიძლება, მითხარით, რას მოიცავს ძაღლის მინიმალური გაწვრთნა?**

**პასუხი**: ძაღლის მინიმალურ გაწვრთნაში შედის აუცილებელი საბაზისო ბრძანებები: მოდი! დაჯექი! დაწექი! ადგილზე! დარჩი! ფუ (გაუშვი)! გვერდით! (სეირნობისას), ჩუმად! დაიყეფე! მომიტანე! გაითვალისწინეთ, რომ გამორიცხულია, ძაღლის ფიზიკური შეხებით დასჯა – ასე უფრო ძნელად მიაღწევთ შედეგს.

**კითხვა: მყავს 10 წლის გერმანული ნაგაზი. როგორც ხვდებით, ის უკვე ასაკშია. მაინტერესებს, რამე სპეციალური დანამატი ხომ არ უნდა მივცე საკვების სახით, ანუ, შევიტანო თუ არა კვებაში ცვლილებები?**

**პასუხი**: როცა ძაღლი ასაკშია, მას ხელის შეწყობა არა მხოლოდ კვებაში, არამედ სხვა რამეშიც სჭირდება. მაგრამ, რადგან თქვენ კონკრეტულად კვება გაინტერესებთ, გეტყვით, რომ მისთვის აუცილებლად სპეციალური რაციონია საჭირო. არსებობს საკვები, რომელიც სპეციალურად ასაკიანი ძაღლებისთვის არის განკუთვნილი და მისი მიღება ძალიან კარგია ძაღლის ორგანიზმისთვის. ის იმ მინერალებს შეიცავს, რომლებიც ხანში შესული ძაღლის ორგანიზმს ესაჭიროება. ასე რომ, არ დაიზაროთ და, ასაკში შესულ ძაღლს აუცილებლად შეუქმენით პირობები, რომელშიც ის თავს კომფორტულად იგრძნობს.

**კითხვა: ჩემს ძაღლს ერთხელ ჰქონდა ღებინება. რამდენიმე ვეტერინართან გვყავდა მიყვანილი, მაგრამ ყველამ სხვადასხვა პასუხი გაგვცა, კონკრეტული მიზეზი მგონი მაინც ვერ დაადგინეს, როგორ გავიგოთ, რომელია სწორი პასუხი?**

**პასუხი**: არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ძაღლის ერთი ექიმიდან მეორესთან და მესამესთან ტარება. ეს უშედეგო მცდელობაა, რადგან ყველა ექიმს მკურნალობის თავისი მეთოდი აქვს და, როდესაც ამის არევა ხდება, ხშირ შემთხვევაში, შედეგი აბსოლუტურად წარუმატებელია. ამიტომ, არჩევანი ერთ ვეტერინარზე გააკეთეთ.

მოამზადა
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

**კითხვა: როგორ მოვუაროთ პავლოვნიას?**

**პასუხი**: პავლოვნია სუბტროპიკული მცენარეა, ამიტომ განსაკუთრებული მოვლა არ ესაჭიროება, მაგრამ მისი გაზრდა პატარა ზომის ქოთანში სასურველი არ არის. მცენარე სწრაფად მზარდია და ძალიან დიდი ფესვთა სისტემა აქვს, ამიტომ, გირჩევთ, ის დარგოთ დიდ ქოთანში. ზაფხულობით გაიტანეთ გარე პირობებში, ზამთარშიც შეგიძლიათ, დატოვოთ გარეთ. მას საერთოდ არ ეშინია სიცივის და არც ყინვების. ყვავილობის დროს განსაკუთრებით ლამაზია. ყვავილობის პერიოდი მას ივნის-აგვისტოში აქვს, ამიტომ, ძალიან ალამაზებს გარემოს. შეგიძლიათ, ის გადარგოთ ადრე გაზაფხულზე და მისცეთ საკვები ელემენტები. მცენარე, ასევე, ლაღად გრძნობს თავს ეზოს პირობებში.

**კითხვა: ეზოში თავისით ამოვიდა ლილია. შესაძლოა, რომ ეს მცენარე გადავრგო?**

**პასუხი**: ლილია, საერთოდ ამ დროს ირგვება და, შეგიძლიათ, გადარგოთ. ის ყვავის ივნისიდან გვიან შემოდგომამდე და სულაც არ არის პრეტენზიული. მცენარე კარგ ეფექტს ტოვებს როგორც ეზოში, ასევე ქოთნის პირობებში. მას იყენებენ ინტერიერებისა და გარე პირობების გასალამაზებლად. ლილია მრავლობს როგორც თესლით, ასევე, ბოლქვის გაყოფით. როდესაც ის ამოვა, შეგიძლიათ, მისცეთ ვიტამინები და დაუსხათ წყალი.

**კითხვა: შევიძინე პრიმულა. რამდენიმე დღეა, მცენარე მიჭკნება. რისი ბრალია ეს და როგორ მოვიქცე?**

**პასუხი**: პრიმულა გამოყვანილი ჯიშია, ამიტომ, ეცადეთ, ასეთი გამოყვანილი მცენარეები არ იყიდოთ, რადგან მას განსხვავებული მოვლა სჭირდება. თავად მცენარე არ არის პრეტენზიული, მაგრამ, ჩამოტანილ ან აქ შეძენილ მცენარეებს რგავენ ტორფში, რის გამოც ისინი საერთოდ ვერ იტანენ ვერც გადარგვებს და ვერც ფესვების შეჭრას. გირჩევთ, თქვენ თავად გაახაროთ თესლით აქაურ ნიადაგში, რათა თავიდანვე შეეჩვიოს ყველანაირ მინერალს. პრიმულა უხვად ყვავის და ამიტომ კარგია ინტერიერის გასაფორმებლად, ასევე, ამშვენებს კლდოვან ადგილებს, ის კარგად ხარობს იქ, სადაც ლანდშაფტური რელიეფია. სასუქები ადრე გაზაფხულზე მიაწოდეთ.

**კითხვა: როგორ მოვუარო გლიცინიას?**

**პასუხი**: გლიცინია არის სუბტროპიკული მცენარე, რომელიც ძალიან იოლი მოსავლელია. ის ღია გრუნტის მცენარეა, ამიტომ, ეცადეთ, რომ ამყოფოთ გარე კლიმატში. ეს მცენარე ყვავის შუა ზაფხულიდან და 2-3 თვის განმავლობაში, მრავლდება თესლით და გადაწვენით. მას ადრე გაზაფხულზე ესაჭიროება დიდი დოზით ვიტამინების ნაკრები. გლიცინია დათესეთ ადრე გაზაფხულზე (მარტის დასაწყისში) და, როცა ის იქნება 4-5 ფოთლის ფაზაში, გადაიტანეთ ცალ-ცალკე ქოთნებში. ეს მცენარე ნახევრად მხვიარაა, ამიტომ, ძალიან ლამაზია, თუ მას კიბის ახლოს დარგავთ; ასევე, შეგიძლიათ, დარგოთ ქოთანში და დადგათ დიდ შესასვლელებში, სადაც ზამთრის პირობებში მინიმალური ტემპერატურა 18-22 გრადუსი იქნება. გლიცინია არსებობს რამდენიმე სახეობის, როგორც მხვიარა, ასევე, სისტემის. ის კარგად იტანს გადარგვებსა და ფორმირებას.

**კითხვა: ალოკაზიას ფოთლები სცვივა და სიმაღლეშიც არ იზრდება. ხომ ვერ მეტყვით, რისი ბრალია?**

**პასუხი**: ეს მცენარე რთულად იზრდება, მას მუდმივად სჭირდება ტენი და სითბო. მისი დაკბილული და ლამაზად მოხატული ფოთლები 50 სანტიმეტრზე გრძელია, თუმცა, თუ სიგრილეში ამყოფებთ, ფოთლები დასცვივდება. ეცადეთ, ალოკაზია უფრო მაღალ ტემპერატურაზე ამყოფოთ, რომ ფესურიდან ახალი ფოთლები ამოუვიდეს.

მოამზადა
**თეონა გოზალიშვილმა**

# რატომ იძია ქალმა შური ყოფილ ქმარზე და როგორ გაძარცვა მისი კუთვნილი სეიფი



42 წლის ზურა გ-ძე საავადმყოფოში მრავლობითი დაზიანებებით მოათავსეს. ახალგაზრდა მამაკაცს, ფიზიკური ძალადობის შედეგად მიღებული ტრავმების გარდა, დანით გულ-მკერდის არეში მიყენებული ჭრილობაც აღენიშნებოდა. დაზარალებული მამაკაცის ოჯახის წევრებმა პოლიციაშიც განაცხადეს მომხდარის შესახებ – მათი ინფორმაციით ადამიანი, ვინც ზურა გ-ძე დაჭრა მისი ყოფილი მეუღლე, 35 წლის ლალი მ-ძე იყო.

ამონაწერი მოწმის, ზურა გ-ძის დის, მანონი გ-ძის ჩვენებიდან: „ლალი მ-ძე ჩემი ყოფილი რძალია. ის და ზურა ერთმანეთს 5 წლის წინ დაშორდნენ, ჰყავთ 14 წლის ქალიშვილი. განქორწინებიდან რამდენიმე თვეში, ლალი სხვა მამაკაცზე დაქორწინდა. ბოლო პერიოდში ჩემს ძმას თავის ყოფილ ცოლთან ურთიერთობა ძალიან გაურთულდა – ლალი ცდილობდა სხვადასხვა გზით გამოეძალა ფული ზურასთვის, რაც მათ გამწვავებულ ურთიერთობას კიდევ უფრო ამძიმებდა. ლალი საბაბად შვილის კეთილდღეობას იყენებდა, სინამდვილეში კი, ყოფილ ქმარს ფულს ახალი ქმრისთვის სძალავდა."

როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, ინციდენტი ყოფილ ცოლ-ქმარს შორის ლალი მ-ძის ბინაში მოხდა. ახალგაზრდა ქალთან სასაუბროდ მისულ ქმარს ქალი სასტიკად გაუსწორდა – ჯერ დანა დაარტყა, შემდეგ კი დაჭრილი მამაკაცი სცემა. ამონაწერი მანონი გ-ძის ჩვენებიდან: „დედამ დამირეკა და მითხრა, რომ ზურა ლალისთან წავიდა, მეც უკან გავყევი. როცა ლალის სახლში მივედი, ინციდენტი უკვე მომხდარი იყო – ჩემი ძმა დაჭრილი დივანზე იწვა და სისხლი სდიოდა. ლალი კი დაჭრილ ზურას ხან ხელით სცემდა, ხან ხის სკამის სახელურით. ამის თვითმხილველნი იყვნენ ჩემი არასრულწლოვანი ძმისშვილი და ლალის მეგობარი, რომელიც ამაოდ ცდილობდა ქალის შეჩერებას."

მოგვიანებით, სამართალდამცველებთან ლალი მ-ძის მეგობარმაც დეტალურად აღწერა ინციდენტი. ამონაწერი მისი ჩვენებიდან: „სახლში მე, ლალი და თეკლა ვიყავით. როცა ზურა მოვიდა, ჩვენ სამზარეულოში ვისხედით. ვიცოდი, რომ სასაუბრო ჰქონდათ და ბავშვთან ერთად სამზარეულოდან გავედი. ძალიან მალე ხმაური და ყვირილი შემომესმა. როცა ოთახში შევბრუნდი, ლალის ხელში დანა დავინახე, ზურა კი უკვე დასისხლიანებული. დივანზე იყო მიწოლილი. მალე ზურას დაც მოვიდა, სასწრაფო მან გამოიძახა ლალის სახლში."

რა გახდა ყოფილ ცოლ-ქმარს შორის სისხლიანი დაპირისპირების მიზეზი, ამის შესახებ გამოძიებისთვის წინასწარი მოკვლევით გახდა ცნობილი. ამ ინციდენტამდე ორი კვირით ადრე, ლალი მ-ძე ზურა გ-ძის ჩვენების საფუძველზე პოლიციაში დაკითხვაზე დაიბარეს. ქმარი ყოფილ ცოლს ბინის ძარცვასა და ქურდობაში ადანაშაულებდა. ქურდობის ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობდა გამოძიება.

ზურა გ-ძის კუთვნილი ბინა, სადაც ის დედასთან ერთად ცხოვრობდა, დაუდგენელმა დამნაშავემ გაძარცვა. სახლიდან რამდენიმე საათით გასულ მამაკაცს, უკან დაბრუნებისას ბინიდან მოპარული დახვდა 3 500 დოლარი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ზურა გ-ძემ პოლიციაში განაცხადა. როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, ზურა გ-ძემ ქურდობამდე რამდენიმე დღით ადრე, ავტომობილი გაყიდა, ფულს კი სახლში ინახავდა. ქურდს ამ ფულთან ერთად ბინიდან რამდენიმე ოქროს სამკაულიც მოეპარა. გამოძიება დამნაშავეს რომ ეძებდა, დაზარალებული მამაკაცისთვის ცნობილი გახდა, რომ ბინის გაძარცვის დროს მეზობლებმა სახლის სიახლოვეს მისი ყოფილი მეუღლე ნახეს. ის იქ შემთხვევით არ უნდა ყოფილიყო. ამის შესახებ ზურა გ-ძემ პოლიციასაც აცნობა; ამონაწერი მისი ჩვენებიდან: „მე და ლალის დაძაბული ურთიერთობა გვქონდა. მაგრამ, შვილის ინტერესებიდან გამომდინარე, მასთან კონტაქტს არ ვწყვეტდი. ავტომანქანა რომ გავყიდე, ამის შესახებ ლალის სწორედ იმ დღეს ვუთხარი: ხვალ ფულს მომიტანენ და ათას ლარს, რომელიც ბავშვის სწავლისთვის უნდა გადამეხადა, აუცილებლად მოგიტან-მეთქი. იმ დღეს ფული მართლაც მომიტანეს და მეგობრის ხელით გავუგზავნე ჩემს ყოფილ ცოლს. რამდენიმე საათი იქნებოდა გასული, ბავშმა დამირეკა და მათთან მისვლა მთხოვა. საღამო იყო, სახლში მარტო ვიყავი, დედაჩემი თავის დასთან იყო წასული და რამდენიმე დღე იქ რჩებოდა. ბავშმა ამის შესახებ იცოდა და თავისდაუნებურად, დედასთანაც თქვა. როდესაც თეკლასთან მივედი, ლალი სახლში არ დამხვდა. ღამე იყო და ბავშვის მარტო ყოფნა გამიკვირდა. მეგობართან არის წასულიო, მითხრა თეკლამ. სახლში ალბათ, ორ საათში დავბრუნდი. კარი ღია დამხვდა – ერთხანს ისიც კი ვიფიქრე, მე დამრჩა ღია-მეთქი. სამზარეულოში, კარადის ქვეშ პატარა სეიფი გვაქვს, რომლის არსებობის შესახებ მხოლოდ ახლობლებმა იციან. სეიფი გაფუჭებულია, არ იკეტება, მაგრამ ფულს მაინც იქ ვინახავ ხოლმე. სახლში შესვლისთანავე სეიფი გავხსენი – იმ დღით შენახული 3 500 დოლარი იქ აღარ იყო. საძინებლიდან მოპარული იყო დედაჩემის ოქროს ბეჭედი და საყურე, რომელიც ადრე ბევრჯერ გახდა დედაჩემისა და ლალის დავის თემა. იმ წუთებში ლალიზე ეჭვი არ მიმიტანია. პოლიცია გამოვიძახე, რომელთაც დაადასტურეს ჩემი ეჭვი, რომ ბინა ახლობლის მიერ იყო გაქურდული. ამ ინციდენტიდან მეორე-მესამე დღეს, დედაჩემს მეზობელმა უთხრა, რომ იმ საღამოს ლალის სადარბაზოსთან შეეფეთა. ის კი შეეცადა, თავი აერიდებინა მისთვის. მხოლოდ ამის შემდეგ განვაცხადე პოლიციაში, ვისზეც ეჭვის მიტანა შემეძლო, ეს ჩემი ყოფილი ცოლი იყო. ლალი პოლიციაში დაკითხვაზე დაიბარეს, მაგრამ მან უარყო რაიმე კავშირი ამ ფაქტთან. განაცხადა, რომ იმ დროს, როცა ჩემი სახლი გაიქურდა მეგობართან იყო. ალიბი იმისთვის გაიკეთა, რომ მასზე ეჭვი არ მიეტანათ. თუმცა, სახლის გაქურდვა ადამიანისთვის, რომელსაც იმ სახლის გასაღები ჰქონდა, რა პრობლემა უნდა ყოფილიყო. მან ორ საათში სახლის გაძარცვაც მოასწრო და მეგობართან გაელაც. ბავშვსაც სპეციალურად დაარეკინა ჩემთან. თუმცა, თეკლას წარმოდგენაც არ ჰქონდა, დედამისი რას გეგმავდა."

**ქმარს ქალი სასტიკად გაუსწორდა – ჯერ დანა დაარტყა, შემდეგ კი დაჭრილი მამაკაცი სასტიკად სცემა**

იმ დღეს, როცა ლალი მ-ძემ ყოფილი ქმარი დაჭრა, კაცი მასთან ქურდობის ფაქტზე სასაუბროდ იყო მისული. ამონაწერი ზურა გ-ძის ჩვენებიდან: „როგორც კი ბინაში შევედი, ლალი მაშინვე თავს დამესხა. მე როგორ მაბრალებ ქურდობას, შენი შვილის დედას ციხისთვის იმეტებო? – ყვიროდა გამწარებული. მე ვუთხარი: დარწმუნებული ვარ, სახლიდან გამომიტყუე ბავშვის დახმარებით და მერე შენ გამქურდე-მეთქი. უცებ დანას წამოავლო ხელი და გულში დამარტყა. ხმაურზე მისი მეგობარი შემოვარდა, ვერც იმან გააჩერა – ხან ხელებს მირტყამდა, ხან – ხის ჯოხს."

ლალი მ-ძე ყოფილი ქმრის დაჭრის ფაქტზე დააკავეს. მან ჩადენილი დანაშაული აღიარა – მოგვიანებით მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ჩადენილი ქურდობის ფაქტზეც. თავიდან ლალი მ-ძე უარყოფდა დანაშაულს, მაგრამ მას შემდეგ, რაც სარეალიზაციოდ ჩაბარებული დედამთილის კუთვნილი ოქროს სამკაულების ამოღება მოხერხდა, ის იძულებული გახდა, ჩადენილი ქურდობის ფაქტიც ეღიარებინა. ამონაწერი ლალი მ-ძის ჩვენებიდან: „სამი წელი ზურას ბავშვისთვის არაფერი გაუკეთებია, ჩემი სახსრებით ვინახავდი შვილს. როცა გავიგე, რომ მანქანა გაყიდა, ბავშვის სკოლის ფულის გადახდა ვთხოვე. ამაზე დამთანხმდა, მაგრამ მითხრა, ამის გარდა ჩემგან ერთ ლარსაც ვერ მიიღებო. ვალდებული იყო ჩემთვის ფული გადაეხადა, ამდენი წელი მარტო ვზრდიდი შვილს. ვიცოდი, ფულს სადაც ინახავდა, ბავშვის დახმარებით სახლიდან გამოვიყვანე. ვიცოდი, რომ ჩემი დედამთილიც არ იყო სახლში. გასაღები მქონდა, ბინაში უპრობლემოდ შევედი, ფულთან ერთად ჩემი დედამთილის ორი სამკაულიც ავიღე. სადარბაზოსთან მეზობელს შევეჩეხე. თავის არიდება მინდოდა, მაგრამ ვერ მოვახერხე. ოქროს ნივთები მეგობრის მეზობელს მივუტანე ოქროს ბირჟაზე გასაყიდად."

სასამართლომ დააკმაყოფილა ლალი მ-ძის ადვოკატის შუამდგომლობა სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, გაითვალისწინა რა, რომ ის არასრულწლოვანი გოგონას დედაა და ყოფილი ქმრის გაქურდვისა და დაჭრის ბრალდების სანაცვლოდ, 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

# მე – დაქირავებული მკვლელი

## უშიშროების პოლკოვნიკის ჩანაწერების მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №28(550)-15(641)

– გორბაჩოვს გულისხმობთ?

– მას და მის ბანდას, – სიმწრით თავი გააქნია ვიქტორ იაკოვლევიჩმა, – ეს კაცობრიობის ისტორიაში პირველი და ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ქვეყნის პირველი პირი მტრის უშუალო, მიყიდული აგენტია და მის ყველა მითითებას ყურმოჭრილი მონასავით ასრულებს.

– ალბათ, – დავეთანხმე ვიქტორ იაკოვლევიჩს, – არც მე მახსენდება ასეთი მაღალი დონის მოღალატის სახელი კაცობრიობის ისტორიაში.

გორბაჩოვის სახელი ჩემს ჩანაწერებში არაერთხელ მიხსენებია და ყოველთვის, რა თქმა უნდა, უარყოფით კონტექსტში. თუკი ის გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ადამიანი და „მსოფლიოს გადამრჩენი“ იყო, დღესდღეობით თითქმის ყველა მიხვდა, თუ რა საბედისწერო, უცუდესი როლი ითამაშა მან მსოფლიოში.

რამდენიმე წლის წინ მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში ვიმყოფებოდი და ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროში გორბაჩოვის ყოფილ პირად მცველს შევხვდი, რომელიც საბჭოეთის დაშლისთანავე გაემგზავრა ქვეყნიდან და თავის ყოფილ პატრონს უკიდურესი ზიზღით მოიხსენიებდა.

– იცით, ჩემო მეგობარო, გორბაჩოვი რომ ხელისუფლებაში მოვიდა და მოქმედებები დაიწყო, ასეულ მილიონობით ადამიანს ეგონა, რომ ახალი, ბედნიერი ხანა დგებოდა. ის კი, თურმე, ამერიკელების პირდაპირი აგენტი ყოფილა.

– როდის მიხვდით ამას?

– ძალიან გვიან.

– მაინც, როდის?

– ყოველ შემთხვევაში, ეგრეთ წოდებული აგვისტოს პუტჩი სრული ფარსი იყო. ის ყირიმიდან ადევნებდა თვალყურს მოვლენების განვითარებას მოსკოვში. „გეკაჩეპე“ განტევების ვაცად გამოიყენეს, ხალხის ყურადღება მათზე გადაიტანეს და გორბაჩოვი სუფთად გამოიყვანეს თამაშიდან.

– ვინ?

– რა თქმა უნდა, ამერიკელებმა. გორბაჩოვს ძალიან ეშინოდა, რომ მოტყუებული ხალხი მას ცოცხლად გაატყავებდა და ასეთი კომბინაციაც მისი ტყავის გადასარჩენად მოიფიქრეს. სამწუხაროა, რომ მისი გაშიფვრა არ მოხერხდა.

– რომ გაგეშიფრათ, რას იზამდით?

– ძნელი სათქმელია. ალბათ, მოვკლავდი.

– ეჰ, ჩემო მეგობარო, ასეთი ვერაგი მტრის გამოცნობა რომ ადვილი იყოს, მაშინ არც ჰიტლერი იბოგინებდა და ამდენ უბედურებას ველარ დაატრიალებდა და არც მისი მსგავსნი.

– მართალს ბრძანებთ, – დამეთანხმა გორბაჩოვის ყოფილი პირადი მცველი, – ამ ნაძირალამ ჰიტლერზე არანაკლები უბედურება დაატრიალა მსოფლიოში. ყველაზე სამწუხარო კი ისაა, რომ ის დღემდე ცოცხალია და პასუხს არავინ სთხოვს.

– მოვა დრო და მოსთხოვენ. ახლა კი თქვენი პასუხისგების დრო მოვიდა. ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენი ყოფილი პატრონის აღსასრულს ვერ მოესწრებით, – ვუთხარი ობიექტს, რომლის სალიკვიდაციოდ 300 ათასი დოლარი იყო გადახდილი და მას გულში ვესროლე მაყუჩიანი პისტოლეტიდან, იქვე დავტოვე და სასტუმროდან ჩუმად გამოვედი.

გორბაჩოვის ყოფილი მცველი იარაღით მოვაჭრეებმა შემიკვეთეს, რომლებსაც ის ხელს უშლიდა. მას სიამოვნებით დავტოვებდი ცოცხალს და გორბაჩოვის აღსასრულის ნახვის საშუალებას მივცემდი, მაგრამ საქმე საქმეა და ვერ გადავდებდი...

– კოკი, ჩემო ძვირფასო, გადადებული საქმე ეშმაკისაა, ამიტომ არასდროს გადადო სახვალიოდ ის, რაც დღეს უნდა გააკეთო, – მასწავლიდა ერთ-ერთი კოჯრელი ინსტრუქტორი, ეროვნებით ქართველი, რომელიც ძალიან მხიარული ადამიანი იყო და ისეთი იუმორით მოყვებოდა ხოლმე ყველაზე საზარელი მკვლელობის ამბებს, საკუთარ ყურებს არ დაუჯერებდი. მას „ძია დიტოს“ ვეძახდი და ვეტყოდი ხოლმე:

– ძია დიტო, ისე მხიარულად მითხარი, იმ პოლკოვნიკს წიწილასავით წავაცალე თავიო, თითქოს მართლაც წიწილა დაკალი და არა ადამიანი.

– რას ამბობ, კოკი, ის პოლკოვნიკი სამშობლოს მოღალატე იყო და იმიტომ გავიმეტე, თორემ, წიწილას რას ვერჩი?

– კარგი, რა, ძია დიტო, წიწილა და ადამიანი ერთია?

– ერთი როგორაა, შვილო, მაგრამ, მოღალატე არაკაცია, არაკაცი კი უნდა გაანადგურო, – ფილოსოფიურად მომიგო მან და დაამატა – იცი, რომ ცხოვრებაში ქათამი არ დამიკლავს?

– არ მჯერა.

– ზოგჯერ მეც არ მჯერა, მაგრამ, ფაქტია. მოკლედ, იმას გეუბნებოდი, რომ საქმე ყოველთვის დროზე გააკეთე და არასდროს გადადო, თორემ, საქმეებმა დაგროვება იცის და ერთბაშად ვერ აუხვალ.

ძია დიტო დიდი განათლებითა და სიბრძნით არ გამოირჩეოდა, მაგრამ, სასარგებლო რჩევების მოცემა იცოდა ხოლმე და მართალი იყო, რომ ამბობდა, საქმე არასოდეს გადადოო. მე დღემდე ვასრულებ მის ამ შეგონებას და გასაკეთებელს ყოველთვის დროზე ვაკეთებ. არასოდეს არაფრის გადადება არ მიყვარს და არც მოვლენებს ვუსწრებ წინ, რადგან, სულსწრაფობამ, ისევე, როგორც დაგვიანებამ, შესაძლოა, საქმე წაახდინოს. ერთხელ, მე და ჩემი მეწყვილე, ვინმე ფედია, ბუდაპეშტში ვიყავით გაგზავნილი ერთი ობიექტის სალიკვიდაციოდ. წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად, ობიექტი ზუსტად დღის პირველ საათზე უნდა გამოსულიყო სასტუმროს შენობიდან და მე ის სნაიპერული შაშხანით უნდა მომეკლა. ჩვენ მოპირდაპირე შენობაში გვქონდა შერჩეული საცეცხლე წერტილი და ყურსასმენები მეკეთა. იმავე გეგმის მიხედვით, რაც არ უნდა ხელსაყრელი მომენტი მქონოდა, მიმართულების მიმცემის სიტყვიერი დასტურის გარეშე გასროლა არ უნდა განმეხორციელებინა. ფედია გვერდით მედგა, მას სპეციალური ბინოკლი ჰქონდა, იმით აკონტროლებდა ობიექტს და სწორი გასროლის განსახორციელებლად რჩევები უნდა მოეცა.

შესრულდა თუ არა პირველი საათი, ობიექტი სასტუმროდან გამოვიდა და ფედიამ მითხრა:

– ორი გრადუსით მარცხნივ და ხიე!

– დადასტურება არ მიმიღია და ჯერ ვერ ვესვრი, – მშვიდად მივუგე ფედიას, მან კი ნერვულად მითხრა:

– რა დადასტურება? ჩქარა, თორემ ხელიდან წაგვივიდა!

– დამიდასტურებენ და ვესვრი, – ვუთხარი ფედიას. ამ დროს ყურსასმენში მიმართულების მიმცემმა ხმადაბლა მითხრა:

– ფედია შენ გვერდითაა?

– დიახ.

– ჩქარა მოკალი, ობიექტი ეგაა. ბოლო მომენტში დადგინდა.



– არის! – მივუგე მიმართულების მიმცემს და შაშხანა გავასწორე, მაგრამ მისი ტარი ფედის ყბაში ვთხლიშე და გავთიშე. შემდეგ მაყუჩიანი პისტოლეტიდან ორჯერ ვესროლე თავში და მოვკალი. სნაიპერული შაშხანა კი ვიოლინოს ყუთში ჩავდე, ქუდი დავიხურე და იქაურობას მოვშორდი. ეს ისტორია კი იმიტომ მოვყევი, რომ ჩემი საქმისადმი პედანტურობა რომ არ გამომეჩინა და დადასტურების გარეშე მომეხდინა გასროლა, უდანაშაულო ადამიანს მოვკლავდი. თუმცა, შეცდომებისგან დაზღვეული არავინაა და სუპერპროფესიონალებიც კი ცდებიან. მათ შორის, ერთხელ მეც შევცდი, მაგრამ, განგება დამეხმარა და ჩემი უნებლიე შეცდომა კატასტროფით არ დასრულებულა.

ერთხელ, ბულგარეთში, ქალაქ ვარნის პლაჟზე ერთი ობიექტის ლიკვიდაცია უნდა მომეხდინა. ის ჩეხი იყო და „კაგებემ" მისი მოშორება ანტისაბჭოური პასკვილების გამო გადაწყვიტა, რაც ძირს უთხრიდა ჩვენს ქვეყანას. ვარნაში რომ ჩავედი, „კაგებეს" ახალბედა თანამშრომელი ვიყავი და სულ რამდენიმე მსგავსი დავალება მქონდა შესრულებული. გეგმის მიხედვით, ობიექტივისთვის შხამიანი ისარი უნდა მომერტყა მარცხენა მხარში და ის რამდენიმე წუთში ინფარქტით მოკვდებოდა, ისარი კი დადნებოდა და მკვლელობის კვალს ვერავინ აღმოაჩენდა.

ოქროს შემოდგომა იდგა. მე ზღვის პირას, ღია კაფეში ვიჯექი და გლიასეს ვსვამდი, თან ობიექტს ველოდებოდი, რომელიც წამი-წამზე უნდა გამოჩენილიყო და ისიც ღია კაფეში დამჯდარიყო. ობიექტი გამოჩნდა. მას თეთრი პერანგი და შავი ჯინსი ეცვა და სპორტული კეპი ეხურა. მაგრამ, ის სასტუმროში შევიდა, ორიოდე წუთის მერე კი გამოვიდა, თუმცა, ამჟამად თეთრი შარვალი, შავი პერანგი და პიჯაკი ეცვა. ის ღია კაფეში არ დამჯდარა, გზა განაგრძო და, აშკარა იყო, რომ იქვე მდგომ ტაქსიში უნდა ჩამჯდარიყო. მე წამოვდექი, ერთადერთი შხამიანი ისარი გავამზადე, ვტყორცნე და მარცხენა მხარში შევარჭვე. ობიექტი ტაქსიში ჩაჯდა და წავიდა. „ორიოდე წუთში მზად იქნება. მე კი წავედი", – თვითკმაყოფილმა ვთქვი გუნებაში და, როცა მეც ტაქსისკენ გავემართე, რომ იქაურობას გავცლოდი, სასტუმროდან ობიექტი გამოვიდა, რომელიც ძველებურად იყო ჩაცმული. ის ღია კაფეში დაჯდა და ვისკი შეუკვეთა. მივხვდი, რომ ორეულთან მქონდა საქმე. სასწრაფოდ კონსპირაციულ ბინაში გავემართე, რათა ამ ფანტასტიკური დამთხვევის შესახებ მოსკოვისთვის მეცნობებინა და ცენტრს გადაეწყვიტა, როგორ მოვქცეულიყავი. მივდიოდი და ტყუილად მოკლულ ორეულზე ვფიქრობდი, რადგან ის არაფერ შუაში იყო. მოსკოვმა უკან გამიწვია. შჩუკინთან დარცხვენილი რომ მივედი, ვიქტორ იაკოვლევიჩმა ღიმილით მითხრა:

– მართლაც რომ ფანტასტიკაა და ასეთი რამ ყოველ ას მილიონ შემთხვევაში ერთია. შენ რომ ესროლე, თურმე, ობიექტის ტყუპისცალი ყოფილა, მაგრამ, ამის შესახებ არც ერთმა ძმამ არ იცოდა. შენ არ გამტყუნებ. ისინი მართლაც ძალიან ჰგავნან ერთმანეთს. ბედის ირონიით, ორივე ძმა ერთ პატარა ქალაქში ჩავიდა დასასვენებლად და შენ ამიტომ შეცდი.

– მაინც ჩემი ბრალია.

– რატომ?

– იმიტომ, ამხანაგო გენერალო, რომ სხვადასხვა ტანსაცმელი ეცვათ და უნდა მომეტყვინა.

– ეგ არაფერი. შენ იფიქრე, რომ ნომერში ავიდა და გამოიცვალაო.

– დიახ, სწორედ ასე ვიფიქრე, მაგრამ, მაინც შევცდი. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ყოვლად უდანაშაულო ადამიანი მოვკალი.

– მერედა, ვინ გითხრა, რომ მოკალი? ის ცოცხალი და საღ-სალამათია.

– ეგ როგორ? ჩემი თვალით ვნახე, როგორ შეესო მას ისარი მარცხენა მხარში. რა, შხამმა არ იმოქმედა?



– არა, – გაეცინა შჩუკინს, – ორეულს ხის ხელი აქვს და იმან გადაარჩინა. ბავშვობაში ავარიაში დაკარგა მარცხენა ხელი. ასე რომ, ჩემო კოკი, დამშვიდდი და განმეორებითი დავალების შესასრულებლად მოემზადე. შესრულების იარაღი იგივეა, თუმცა, ამჯერად ის უკვე იტალიაში, კუნძულ კაპრიზე უნდა მოიხელთო.

კაპრიზე არანაირ შემთხვევითობას არ ჰქონია ადგილი, ამიტომ დავალება ზუსტად შევასრულე და იქიდან ისე ავორთქლდი, რომ არავის მოვუკითხივარ.

– ყოჩაღ, კოკი, კლასიკური ნამუშევარი იყო, – შემაქო ვიქტორ იაკოვლევიჩმა, მოსკოვში რომ დავბრუნდი და მას დავალების შესრულება ვუპატაკე.

– ძალიან დაიღალე?

– არა, რატომ მეკითხებით, ამხანაგო გენერალო?

– კიდევ ერთი დავალების შესრულება უნდა დაგავალო და შენი მდგომარეობა მაინტერესებს.

– კარგ ფორმაში ვარ, თუნდაც ახლავე გამიშვით საქმეზე.

– სწორედ ახლა მინდა დავალებაზე შენი გაშვება და ამიტომ გკითხე. ესე იგი, კარგ ფორმაში ხარ?

– რა თქმა უნდა. სად, რა დავალებაზე უნდა გავემგზავრო?

– შორს წასვლა არ მოგიწევს. აი, ამ გემზე ეგრეთ წოდებული „ცეხავიკების" შეხვედრა ეწყობა და შენ, აი, ეს ობიექტი უნდა მოიშორო, – მითხრა შჩუკინმა და ორმოციოდე წლის კაცის სურათი მაჩვენა, – მდინარემდე მოტოციკლით მიხვალ. იქიდან კი გემს კატერით დაეწევი, ზედ ახვალ, საქმეს შეასრულებ და კვლავ იმავე გზით დაბრუნდები. ჩვენ ერთ მრავალსვლიან ოპერაციას ვახორციელებთ და ეს საქმე პირველი ნაბიჯია.

შჩუკინის კაბინეტიდან პირდაპირ საქმეზე წავედი, მანამდე კი სასწრაფოდ შევინიღბე, შლემი ჩამოვიცვი და მდინარე მოსკოვის ნაპირზე მივედი. ბინდდებოდა, როცა კატერი გემს მივაბი, ზედ ავძვერი, ობიექტს ორჯერ ვესროლე თავში და იმავე გზით უკან დავბრუნდი. საათნახევარიც არ იყო გასული, რომ კვლავ ვიქტორ იაკოვლევიჩს ვეახლე და დავალების შესრულება უკვე მეორედ ვუპატაკე.

– შენ სუპერპროფესიონალი ხარ. წადი, დაისვენე, – მითხრა გენერალმა და მე წამოვედი.

შჩუკინი ყოველთვის აღფრთოვანებული იყო ჩემი პროფესიონალიზმით და ხშირად უთქვამს:

– კოკი, შენი გაშვება მდუღარე ვულკანშიც კი არ მეშინია – ისეთი პროფესიონალი ხარ, იქიდანაც ცოცხალი დაბრუნდები.

– ეგ უფრო გამართლებაზეა დამოკიდებული, ვიდრე პროფესიონალიზმზე, – ვუთხარი ერთხელ შჩუკინს, როდესაც მან თავისთან დამიბარა და მორიგი საქმეზე სიტყვები მითხრა.

– არ იფიქრო, რომ ყველას უმართლებს. გამართლებასაც პროფესიონალიზმი სჭირდება, – მომიგო ვიქტორ იაკოვლევიჩმა და საქმ-




ერთო ჯგუფი
-ლექტორი ბებიის დანატოვარ 5 ოთახიან ბინას ვყიდი ვაკეში, ვართ ორი ძმა, და თან არ გვაქვს ნორმალური სამუშაო და თან ...
-რუსეთიდან ჩამოვედი და მსურს ვიყიდო 5 ოთახიანი ბინა ვაკეში, მყავს ცოლ-შვილი და თან მაქვს კარგი სამსახური და თან ...
მაკლერი:
-აი თქვენ გენაცვალეთ და თან ... გადაგვიხადეთ 6%.
3 გამყიდველის და 3 მყიდველის მხრიდან.
მარიკა 599 24 28 31

ეზე გადავიდა, – აქ კი იმიტომ დაგიბარე, რომ საკმაოდ რთული დავალება უნდა მოგცე. დაახლოებით ისეთი, რომლის შესრულებასაც მარტო პროფესიონალიზმი არ ყოფნის და გამართლებაც სჭირდება.

– გისმენთ, ამხანაგო გენერალო!

შჩუკინმა ჩემი ხნის მამაკაცის ფერადი ფოტო მაჩვენა და მკითხა:

– გეცნობა?

– რა თქმა უნდა. ეს ხომ ტოლია ნაუმოვია. კოჯორში ერთად ვსწავლობდით. შემდეგ ბალაშიხაშიც შემხვდა, მაგრამ, კოჯრისგან განსხვავებით, იქ უკვე აღარ ვეკონტაქტებოდით ერთმანეთს. მე განსაკუთრებულ სექტორში ვცხოვრობდი და იქ არავის უშვებდნენ, – ვუთხარი შჩუკინს, მან კი მითხრა:

– ნაუმოვი იგივე „ისარია“. ის ჩვენი არალეგალი მზვერავი იყო ლათინურ ქვეყანაში და სწორედ ბალაშიხაში მოამზადეს ამისთვის. თუმცა, მან გვიღალატა – ამერიკელებს ჩაჰბარდა და, სანამ გავშიფრავდით, ორი წელი გვატყუებდა. ვერც სალიკვიდაციოდ მოვიხელთეთ და ვერც იმისთვის, რომ აქ ჩამოვათრიოთ, გავასამართლოთ და დავსაჯოთ. ერთი სიტყვით, მისი ადგილსამყოფელი ჯერჯერობით არ ვიცით. მას მუდმივი საცხოვრებელი არც აქვს, ის სულ მოძრაობაშია და ამერიკელებს უარიც კი უთხრა გარეგნობის შეცვლასა და დამალვაზე. მოკლედ, მას თავისუფალი ცხოვრება და „გულაობა“ ურჩევნია და ამისთვის ფულიც აქვს. ბოლოს და ბოლოს, მაინც მივაგნებდით, მაგრამ, მოულოდნელად გავიგეთ, რომ საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ თავგამოდებული გულშემატკივარია და, თურმე, ყველა გადამწყვეტ მატჩს ესწრება. ზეგ ელ-კლასიკოა, „ბარსელონა“ მადრიდის „რეალს“ ეთამაშება და, იმის დიდი ალბათობაა, რომ ნაუმოვი ამ თამაშს დაესწროს. შენც დაესწრები თამაშს და იქნებ გაგიმართლოს. აი, ბილეთები. სადაც გაგიხარდება, იქ დაჯექი. თუ მოიხელთებ, ხომ კარგი, თუ არა და, კარგ თამაშს ხომ მაინც ნახავ და უკან დაბრუნდები.

ვიქტორ იაკოვლევიჩმა ბარსელონის სტადიონ „ნოუ კამპის“ ათი ბილეთი გადმომცა, რომლებიც სხვადასხვა ტრიბუნების იყო. ეს ბილეთები შავ ბაზარზე რომ გამეყიდა მატჩის დღეს, ახალთახალ სპორტულ მანქანას ვიყიდდი.



„ბარსა“-„რეალის“ თამაში, ანუ ელ-კლასიკო, მანამდე ოთხჯერ მქონდა ნანახი უშუალოდ სტადიონზე: ორჯერ – მადრიდში, ორჯერაც – ბარსელონაში. დიდი ფეხბურთის ქომაგობა და ამ სფეროში ჩახედულობა არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ გენერალმა შჩუკინმა შეუსრულებელი მისია დამაკისრა. საქმე ისაა, რომ ამ გუნდების ყველა შეხვედრა სტადიონს პირთამდე ავსებს და, როგორ უნდა იპოვო ასი ათას კაცს შორის „კაგებეს“ კარგად გაწვრთნილი, ყოფილი აგენტი?..

ბარსელონაში თამაშის დღეს ჩავედი, „ბარსას“ სამოსში გამოვეწყვე და მის ფანებს შევერიე. ჯიბეში მატჩის ათი ბილეთი და „კაგებეს“ ლაბორატორიაში დამზადებული სპეცრეკვიზიტები მედო, იმ შემთხვევისთვის, თუკი ნაუმოვს ვიპოვიდი. თუმცა ამის შანსი თითქმის არ არსებობდა. სტადიონზე დურბინდი შევიტანე და ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე ორი საათით ადრე ვათვალიერებდი ტრიბუნებს იმ იმედით, რომ იქნებ ნაუმოვისთვის მომეკრა თვალი. თუმცა, ობიექტი ვერ აღმოვაჩინე და თამაშის დამთავრებისთანავე დავტოვე სტადიონი, სადაც მასპინძლებმა იმარჯვეს. ინსტრუქციის თანახმად, მოსკოვში დილით უნდა დავბრუნებულიყავი და კონსპირაციული ბინისკენ გავემართე ღამის გასათევად. სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ავტოსადგომს რომ ჩავუარე, ჩემი ყურადღება შავგვრემანმა გოგონამ მიიპყრო, რომელიც სპორტულ მანქანაში ჯდებოდა. მე მას თვალი გავაყოლე და ტოლია ნაუმოვს, იგივე „ისარს“ მოვკარი თვალი, რომელმაც მანქანა ადგილიდან მოწყვიტა... დაყოვნება არ შეიძლებოდა. ამიტომ, ერთ-ერთი მანქანა ქურდულად გავხსენი, რაც კოჯორში მასწავლეს და ობიექტს „კუდზე დავაჯექი.“ ნაუმოვი, როგორც უკვე ვთქვი, კარგად გაწვრთნილი აგენტი იყო და მასთან ხუმრობა არ შეიძლებოდა. თუმცა, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მან მე ვერ შემნიშნა და იმ დროს წამოვადექი თავზე აბაზანაში, როდესაც წყლიდან ამოდიოდა, რომ მომხიბვლელ, შავგვრემან გოგონასთან ერთად ნეტარებას მისცემოდა. მე მას პისტოლეტი მივუშვირე და ვუთხარი:

– ფრთხილად, ფეხი არ დაგიცდეს!

ნაუმოვი შემობრუნდა, რომ დამინახა, უმალვე მიცნო და მშვიდად მითხრა:

– კოკი, შენ?.. როგორ მომაგენი?

– სრულიად შემთხვევით. „ნოუ კამპის“ ავტოსადგომზე დაგინახე და მოპარული მანქანით აქამდე გდიე, – აბსოლუტური სიმართლე ვუთხარი „ისარს“. მან, რა თქმა უნდა, არ დაიჯერა ჩემი სიტყვები და მითხრა:

– დორამ გამყიდა?

– დორა, ალბათ, ის მშვენიერი, შავგვრემანი არსებაა, რომელიც პულვერიზატორით მივაძინე. მაგრამ, იძულებული ვიყავი, რომ ეს მექნა და ბოდიში სენიორიტასთან, – კვლავ სიმართლე ვუთხარი ნაუმოვს. მან კი მითხრა:

– გეყოფა, თავს ნუ იკატუნებ, კოკი, დორამ ჩამიშვა. მაგრამ, როგორ გახვედით მასზე? მე ხომ ის, სულ რაღაც, სამი დღის წინ გავიცანი?

– მთავარი ის კი არ არის, ნაუმოვ, გჯერა თუ არ გჯერა ჩემი სიტყვების, არამედ ის, რომ ხელში ჩაგიგდე. ფრთხილად, ყოველგვარი ზედმეტი მოძრაობის გარეშე ჩაიცვი და წამომყევი, – ვუთხარი ნაუმოვს და გზა დავუთმე, რომ აბაზანიდან გასულიყო.

– ეეჰ, დორა, დორა! მე კი ის თითქმის შემიყვარდა, არადა, თურმე, „კაგებესთან“ ყოფილა შეკრული, – თავი გააქნია ნაუმოვმა, როდესაც აბაზანიდან გამოდიოდა. უცებ ელვისებურად შემობრუნდა, რომ თავს დამსხმოდა, მაგრამ აპერკოტი ამოვკარი, გავთიშე და დავაყოლე:

– გითხარი, რომ შემთხვევით მოგაგენი-მეთქი, კრეტინო!

ნაუმოვი საიმედოდ გავკოჭე და კარგად გამოფხიზლებულიც არ იყო, რომ საბჭოთა გემის ტრიუმში იწვა, რომელიც სამშობლოში დასაბრუნებლად ემზადებოდა. „ისარი“ სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა და სამშობლოს ღალატისთვის თხუთმეტი წელი მიუსაჯა. თუმცა, ის სულ რაღაც ორ წელიწადში გაათავისუფლეს და უცხოეთში გამგზავრების საშუალება მისცეს. საქმე კი ის იყო, რომ მომხიბვლელი, შავგვრემანი დორა ცნობილი კოლუმბიელი მილიარდერის ერთადერთი ქალიშვილი აღმოჩნდა. მილიარდერი კი საბჭოეთის მეგობარი იყო და მოღალატე ნაუმოვი საკუთარი ქალიშვილის დაჟინებული თხოვნით გაათავისუფლებინა ჩვენს მთავრობას. ჩვენს მთავრობას კი ნაუმოვის პატიმრობაზე მეტად მილიარდერი სჭირდებოდა და ასეთ დათმობაზე იმიტომ წავიდა. მახსოვს, შჩუკინი მაშინ ამბობდა:

– სწორედ რომ სასწაული დატრიალდა ნაუმოვის თავზე. საშინელი ციხიდან ოქროს სასახლეში ამოყო თავი. არა, რა, ტყუილს არ ამბობენ, რომ ლათინოსი ქალის გადაკიდებას, ჯობია, ეშმაკს გადაეკიდოო...

ეშმაკის რა მოგახსენოთ, მაგრამ, დორას წყალობით ნაუმოვი ქერის ორმოში ჩავარდა და მილიარდერი სიმამრის მარჯვენა ხელი გახდა. დორამ მას ხუთი შვილი გაუჩინა და მათი ოჯახი ბედნიერად ცხოვრობდა. როგორც შემდეგ გაირკვა, კოლუმბიელი მილიარდერი ერთ-ერთი უმსხვილესი ნარკომოვაჭრე ყოფილა მსოფლიოში. საბჭოთა კავშირის დაშლამდე ცოტა ხნით ადრე კი ტერორისტული აქტის მსხვერპლი გახდა და მისი ყველა საქმე ნაუმოვმა ჩაიბარა. მაშინ ამ ტერაქტზე ბევრს ლაპარაკობდნენ და ერთ-ერთი საუბრის დროს შჩუკინს ვუთხარი:

– ნაუმოვის სიმამრი, ალბათ, ამერიკელებმაააფეთქეს.

– არა, ის კონკურენტებმა მოკლეს. თავიდან, ჩვენც ასე გვეგონა, მაგრამ, შევცდით. არადა, ის კაცი ძალიან გვადგებოდა. ინვესტიციებსაც დებდა ჩვენს ეკონომიკაში და, რაც მთავარია, აგენტურულ საქმიანობაშიც გვეხმარებოდა. პასუხი უნდა გავცეთ და მისი მკვლელობის შემკვეთი უნდა გავანადგუროთ. სწორედ ამიტომ დაგიბარე აქ. აი, ესაა სამიზნე, – ვიქტორ იაკოვლევიჩმა ობიექტის სურათი მაჩვენა და დაამატა – ესეც კოლუმბიელია, მაგრამ, თითქმის სულ უცხოეთშია, ხოლო, სამშობლოში რომ ჩადის, ისეთ ცხრაკლიტულში იკეტება, მის მოკვლას ერთი პოლკი დასჭირდება.

– მეც, სხვაგან მოვიხელთებ.

– არც ესაა იოლი – ახლა გაძლიერებული დაცვა ჰყავს და მასთან ადვილად ვერ მიხვალ. თუმცა, შენთვის შეუსრულებელი მისია არ არსებობს და, აბა, შენ იცი.

ობიექტი ბრაზილიაში რიოს ერთ-ერთ ფეშენებელურ ვილაში მოვიხელთე, რომელიც დაცვის სამმაგი ზოლით იყო შემოზღუდული. მას მე ვერტმფრენიდან გავუხსენი ცეცხლი, რომელსაც თავადვე ვმართავდი და საკუთარ საცურაო აუზში ნაფლეთებად ვაქციე. ეს იყო ჩემი უკანასკნელი საქმე „კაგებეში“ მუშაობის პერიოდში – ამ ამბიდან რამდენიმე თვეში ჩვენი უზარმაზარი ქვეყანა დაიშალა. მოსკოვში რომ

დავბრუნდი და შჩუკინს პატაკის ჩასაბარებლად ვეახლე, მან ბოლომდე მომისმინა და მითხრა:

– ყოჩაღ შენ, როგორც ყოველთვის, ამ ამოცანასაც წარმატებით გაუმკლავდი. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს შენი ბოლო მისია იყო „კაგებეში“.

– ბოლო მისია? ეგ როგორ?

– როგორ და, მსგავსი სპეცოპერაციები მკაცრად აკრძალეს, რაც ძალიან ცუდი ნიშანია.

– რას გულისხმობთ?

– იმას, ჩემო კოკი, რომ ჩვენს უწყებას ფუნქციებს უზღუდავენ და, საერთოდ, ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყანა დასასრულისკენ მიდის.

მაშინ შჩუკინის სიტყვები გადამეტებული მომეჩვენა და ჩვენი საუბარი ამით დასრულდა. თუმცა, მეტი დავალება აღარ შემისრულებია. საბჭოეთის დაშლისთანავე „კაგებეც“ დაიშალა, მეც უმუშევარი დავრჩი და, რომ არა ძია რომანი, ვინ იცის, რა გზას დავადგებოდი.

სხვათა შორის, ტოლია ნაუმოვთან შეხვედრა კიდევ ერთხელ მომიწია. ერთხელ „ძიამ“ დამიბარა და ჩვენი ტრადიციული შეხვედრის ადგილზე, ალექსანდრეს ქვედა ბაღში რომ მივედი, მითხრა:

– შემკვეთს პირადად სურს შენთან შეხვედრა. თუ თანახმა ხარ, მაშინ ორმოცდაათ ათას დოლარს გიხდის გზასა და ცხოვრებაში. გაწყობს?

– სად უნდა შევხვდე?

– რიოში გეპატიჟება.

– ხომ იცი, რომ საკუთარ თავს არ ვშიფრავ?

– ის მარტო მოვა, თანაც, შენ ხომ შენილბული მიხვალ... რას იტყვი? თუ საქმეს აიღებ, მილიონს გადაგიხდის.

– კარგი. გადაეცი, რომ ერთ კვირაში რიოში ვიქნები და მაცნობოს, სად მივიდე.

ერთი კვირის შემდეგ შემკვეთს ოკეანეში, რიოდან ორ კილომეტრში, წყალში მცურავ იახტაზე შევხვდი, სადაც მისმა ხელქვეითმა მიმიყვანა და თვითონ უკან დაბრუნდა. იახტის ფეშენებელურ სალონში რომ შევედი, შევცბი – ჩემ წინ ტოლია ნაუმოვი იდგა. მე საიმედოდ შენილბული ვიყავი. მან ვერ მიცნო და ესპანელისთვის დამახასიათებელი ინგლისურით მითხრა:

– დაბრძანდით, სენიორ!

მე სავარძელში ჩავეშვი და მივუგე:

– გისმენთ.

ნაუმოვმა გორგოლაჭიანი მაგიდა მოაგორა, რომელზეც ნაირ-ნაირი საჭმელ-სასმელი და სიგარები ელაგა და მითხრა:

– ისე იგრძენით თავი, როგორც საკუთარ სახლში. მიირთვით.

– გმადლობთ, სენიორ. გისმენთ.

ნაუმოვმა სიგარა გააბოლა, შემდეგ ოქროს ჩარჩოში ჩასმული სურათი დამიდო წინ და მითხრა:

– ეს დორაა, ჩემი გარდაცვლილი მეუღლე. მე ის უზომოდ მიყვარდა. მას კი უფრო მეტად ვუყვარდი. ცხრამეტი წლის იყო, როდესაც გავიცანი, ოცდაერთის კი, როდესაც დავქორწინდით. მან მე ორჯერ გადამარჩინა სიკვდილს: პირველად მაშინ, როცა „კაგებეს“ ციხიდან გამომიყვანა, მეორედ კი ამ ორი თვის წინ, როცა მკვლელი მომიგზავნეს – ჩემი დორა წინ გადამეფარა და საკუთარი სიცოცხლის ფასად იხსნა ჩემი სიცოცხლე. მე მინდა, რომ მისი მკვლელობის შემკვეთს წამებით ამოხდეს სული. თქვენზე მითხრეს, ნებისმიერ საქმეს ასრულებსო. თუ თანახმა ხართ, ფულს ახლავე მიიღებთ – სრულ მილიონ დოლარს.



ნაუმოვის სიტყვები გულის ამაჩუყებლად ჟღერდა და ლაპარაკი რომ დაასრულა, თვალებიდან ცრემლები გადმოუგორდა. მე მას გავუღიმე და ვუთხარი:

– თანახმა ვარ, სენიორ. ვინაა სამიზნე?

ნაუმოვის სამიზნე კოლუმბიელი ნარკობარონი, მისი ერთ-ერთი კონკურენტი აღმოჩნდა.

– სენიორ, გიმეორებთ, მან საშინელ წამებაში უნდა დალიოს სული.

– მაშინ, ერთ რამეს შემოგთავაზებთ და, ვფიქრობ, თანახმა იქნებით.

– ბრძანეთ.

– სენიორ, ასე მგონია, რომ მისი წამებით მოკვლა თქვენ უფრო დაგაკმაყოფილებთ. ამიტომ, მე მას იქ მოგგვრით, სადაც მეტყვით, დანარჩენი კი თქვენ იცით.

– ეს საუკეთესო ვარიანტია, მაგრამ, განუხორციელებელი. მას ისე საიმედოდ იცავენ, რომ ახლოს არ მიგიშვებენ. მის წამებით სიკვდილში შხამიანი ტყვიით დაჭრას ვგულისხმობდი.

– მე მას თქვენ მოგგვრით – ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. ოღონდ, ცოტა დრო მჭირდება – მაქსიმუმ, ორი თვე.

– კეთილი, თანახმა ვარ. რამდენი უნდა დაგიმატოთ?

– არც ერთი ცენტი. უბრალოდ, მითხარით, სად უნდა მოვიყვანო.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ე | | | | | | | | | | | | | | |
| ჩ | ი | ლ | ე | | ი | ბ | უ | კ | | კ | | | | | | |
| | ნ | ო | რ | ი | ს | ი | | ო | | ი | | | | | | |
| ც | ა | | ე | | ი | კ | ე | რ | უ | ნ | | | | | | |
| | რ | ე | ვ | ე | ლ | ი | | ი | | ე | | | | | | |
| ბ | ი | | | | ა | ნ | ი | დ | ე | მ | | | | | | |
| | ე | | ი | | ვ | ი | ტ | ო | | ა | | | | | | |
| | ჯ | ი | ლ | დ | ო | | ე | რ | ი | ტ | | | | | | |
| | | ლ | ა | ი | ნ | ე | რ | ი | | ი | | | | | | |
| ი | ნ | ო | ე | ლ | | | | | | კ | | | | | | |
| | ი | ნ | რ | ე | ბ | | მ | ა | რ | ა | გ | ი | | მ | | ხ |
| ო | ნ | ი | | მ | ო | ლ | ა | | | | ა | ზ | ი | ე | ლ | ი |
| | ი | ტ | რ | ა | მ | | ნ | ა | გ | ა | ზ | ი | | დ | | ნ |
| | | ე | | | ო | | ტ | | რ | | ა | მ | ი | რ | ა | ჯ |
| | ა | რ | გ | ე | ნ | ტ | ი | ნ | ა | | ფ | ე | ნ | ო | ლ | ი |
| ი | ლ | | ი | ნ | ი | | ს | | ფ | | ხ | რ | ო | ვ | ა | |
| ა | ი | რ | ტ | ა | | კ | ა | კ | ა | დ | უ | | გ | ე | კ | ი |
| ჩ | ე | | ა | | | რ | | | | | ლ | | ა | | ი | |
| | ვ | ა | რ | ი | კ | ო | ზ | ი | | | ი | ო | ვ | ა | ნ | ა |
| | ი | | ა | ლ | უ | ს | ო | მ | ე | შ | | ნ | | | | თ |
| | | ი | | ა | რ | ი | მ | ა | ნ | ი | | ი | ნ | ა | რ | ი |
| ი | ტ | ა | ლ | ი | ა | | ა | მ | ა | რ | ო | ნ | ა | პ | | ნ |
| | | ბ | ე | ლ | გ | ა | | ა | ვ | ე | | ა | ს | ი | ლ | ა |
| ა | გ | ო | ნ | ი | ა | | | ტ | ა | ა | ტ | ი | | ს | | თ |
| | ი | რ | ა | ფ | | ა | რ | ი | ს | | | პ | ა | ი | კ | ი |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 5 | 4 | 8 | 9 | 7 | 3 | 6 |
| 8 | 7 | 6 | 3 | 5 | 1 | 2 | 9 | 4 |
| 4 | 9 | 3 | 6 | 7 | 2 | 5 | 8 | 1 |
| 3 | 6 | 9 | 7 | 1 | 5 | 4 | 2 | 8 |
| 2 | 8 | 7 | 9 | 4 | 6 | 1 | 5 | 3 |
| 5 | 1 | 4 | 8 | 2 | 3 | 6 | 7 | 9 |
| 6 | 4 | 8 | 5 | 9 | 7 | 3 | 1 | 2 |
| 7 | 3 | 1 | 2 | 6 | 8 | 9 | 4 | 5 |
| 9 | 5 | 2 | 1 | 3 | 4 | 8 | 6 | 7 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1 | 8 | 3 | 7 | 2 | 4 | 9 | 6 |
| 2 | 7 | 4 | 9 | 6 | 5 | 3 | 8 | 1 |
| 9 | 6 | 3 | 8 | 1 | 4 | 7 | 2 | 5 |
| 8 | 3 | 1 | 6 | 2 | 7 | 9 | 5 | 4 |
| 4 | 9 | 6 | 5 | 3 | 8 | 1 | 7 | 2 |
| 7 | 5 | 2 | 4 | 9 | 1 | 6 | 3 | 8 |
| 1 | 8 | 9 | 2 | 4 | 3 | 5 | 6 | 7 |
| 6 | 2 | 7 | 1 | 5 | 9 | 8 | 4 | 3 |
| 3 | 4 | 5 | 7 | 8 | 6 | 2 | 1 | 9 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები:** 1. „ლამა“. 2. მეფუნდუკე, ვინც სასმელი მიჰყიდა. 3. ფიქრობდნენ, რომ ფიზიკამ თავისი თავი ამოწურა – აღმოსაჩენი და გასარკვევი არაფერი დარჩა, მეცნიერებას პერსპექტივა აღარ ჰქონდა. 4. უცხოპლანეტელებისთვის – კოსმოსში „ვოიაჯერის“ საშუალებით გაუშვეს. 5. თილისმები. 6. წყლით. 7. ამ საშიშ მანქანაში ჩაჯდომა არავის უნდოდა. 8. წითელი ზღვა. 9. ფაკირი. 10. წვეულებაზე, სადაც ქალბატონები იყვნენ.

# ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №12-15(641)

## სიმართლის ძიებაში

იცით ვინმემ, რა არის „მიუნჰაუზენის სინდრომი“? – ბარონ მიუნჰაუზენის შესახებ მაინც არ გსმენიათ? ცნობილი ცრუპენტელა იყოო?! – აბა, რას ბრძანებთ, სულაც არა. ძვირფასი ბარონი, უბრალოდ, უდიდესი ფანტაზიორი გახლდათ და ამ ფანტაზიებში ცხოვრობდა. ის ბარონი იყო და ეპატიებოდა ასეთი „ამჩატება“, მაგრამ ჩვენ – უბრალო მოკვდავთ, ნამდვილად არ გვაქვს ასეთი ფუფუნების უფლება. ვნახოთ, რა მნიშვნელობა აქვს ტერმინ „მიუნჰაუზენის სინდრომს“ სამედიცინო ფსიქოლოგიაში. ნუ გაოცდებით და, ექიმებისთვის ამ სინდრომით დაავადებულებს მიეკუთვნებიან ისინი, ვინც ცდილობს, საკუთარი თავიცა და სხვებიც დააჯეროს, რომ უამრავი სხვადასხვა ავადმყოფობა სჭირს. სხვათა შორის, ისინი სულაც არ არიან სულელები. საკმაოდ ზუსტად მოგიყვებიან ყველა კონკრეტული დაავადებისა და მათი სიმპტომების შესახებ. ზოგჯერ გამოცდილ ექიმებსაც კი აბნევენ და რეალობად „შეაპარებენ“ ხოლმე ფანტაზიას: ბარონის უნიჭო, თუმცა ორიგინალური მიმდევრები უწყინარნი არიან. თუ არ გაუვიდათ, შეუძლიათ, უფრო საშიშ მაქინაციებს მიმართონ. დაიზიანონ თავი, მიიყენონ ტრავმები ან გადაყლაპონ რაღაც ნივთები.... იკითხავთ, რაში სჭირდებათ ეს ყველაფერიო?.. ლოგიკური შეკითხვაა, თუმცა პასუხი საკმაოდ ბანალურია: ყურადღების მისაპყრობად. ისინი, ყველანი „მიუნჰაუზენის სინდრომით“ ყურადღების დეფიციტმა დააავადა...

ქეთიმ უკვე გაციებული ჩაი ჭურჭლის გასარეცხ ნიჟარაში გადაღვარა და ფინჯანი ხმაურით იქვე ჩააგდო. ვახომ მხოლოდ ახლა მოაშორა მზერა კომპიუტერის მონიტორს და



ცოლს გაოცებულმა გახედა.

– რა გჭირს?

– მე? – ყასიდად გაიოცა ქეთიმ, – არაფერი...

– როგორ, არაფერი, ჭურჭელს ამტვრევ... ჩაი დამისხი, რომ გთხოვე?

– რას მელაპარაკები? მართლა მთხოვე? როდის? მე რომ არ გამიგონია? თანაც, ჩაი ხომ დალიე უკვე?

– როდის? რას ლაპარაკობ, კარგად ხარ?

– მე კარგად ვარ. აი, შენ კი მეხსიერებაში „ჭედავ“. ჩაი უკვე დალიე. ამ წუთას ავიღე ჭიქა გასარეცხად და საერთოდ, დარწმუნებული ვიყავი, რომ დაყრუვდი და არაფერი გესმოდა...

– საიდან მოიტანე?

– იქიდან, რომ უკვე ორმოცი წუთია, გელოდები. ზუსტად ამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ჩაი დაგისხი და რამდენჯერმე დაგიძახე კიდეც. მაგრამ, მე ხომ არ ვარსებობ... მე რეალური, ცოცხალი ადამიანი უფრო შეუმჩნეველი ვარ შენთვის, ვიდრე ეგ ვირტუალური სამყარო, – ქეთიმ ხმას აუწია... – გელაპარაკები, გელაპარაკები, მაგრამ შენ საერთოდ არ მისმენ, ან „პოზა გიჭირავს“ ისეთი, რომ არ გესმის. დავიღალე, მეტი აღარ შემიძლია. ჩემი ნერვული სისტემა ამას ველარ გაუძლებს. გავგიჟდები.

ვახომ ცოლს შეხედა და ამოიოხრა.

– ნუ ოხრავ და ისე ნუ მიყურებ, თითქოს რაღაც საშინელება ვიყო, – იფეთქა ქეთიმ, – თუ სულ გაღიზიანებული ვარ, ამაში მარტო შენ ხარ დამნაშავე. რატომ სამსახურში არ ვჩხუბობ?

– არ ვიცი. მართლა არ ვიცი, – ვახო მოიღუშა.

– არ იცი, რატომ არ ვჩხუბობ, თუ არ იცი, ვჩხუბობ თუ არა?! – ჩააცივდა ქალი.

კაცისთვის ხსნა იყო იმ მომენტში ოთახში ძიძის შემოსვლა.

– დაიძინა, მე წავალ. ხვალ მოვიდე?

– ხვალ? რა ხდება ხვალ? – ქმართან საჩხუბრად შემართული ქეთი დაიძაბა.

– დასვენების დღედ არის გამოცხადებული და ვიფიქრე... თუ არ მუშაობთ...

– ნუ მოხვალ, ნანა, მივხედავთ, როგორმე, – ქეთის დაასწრო პასუხი ვახომ და ძიძას გაუღიმა.

– გმადლობ. მაშინ, ნახვამდის. ზეგ მოვალ, ათი საათისთვის.

ძიძამ კარი გაიხურა თუ არა, ქეთი ქმარს ეცა.

– რა გალაპარაკებდა ჩემ მაგივრად? კეთილი ბიჭი ხარ? ჩემს ხარჯზე? რატომაც არა?! შენ რა გენაღვლება? ხვალ ვითომ რატომ არ უნდა მოსულიყო? გამაგებინე, რატომ? მაგას სახელმწიფო კი არ უხდის ფულს, მე ვუხდი. დასვენების დღეებსაც მე ვუწესებ.

– ქეთი, გეხვეწები, ნუ ჩხუბობ. გემუდარები, ჯერ არ მეძინება და მინდა, საღამო მშვიდად გავატარო, ტელევიზორის წინ. ხვალ ხომ ისვენებ, დაისვენოს იმანაც ერთი დღე, რა დაშავდება ამით?

– ის დაშავდება, რომ მე ვერ დავისვენებ. რა გალაპარაკებდა, გგონია, მე არ ვიცოდი, ხვალ რომ დასვენების დღე იყო? ვიფიქრე, ცოტას მეც დავისვენებ, განვიტვირთებიმეთქი... ვინ დაგაცადა? ახლა ხვალ თქვენი მოსამსახურე უნდა ვიყო?! პლუს ბავშვიც...

– რატომ უნდა იყო მოსამსახურე? ყველაფერში მოგეხმარები. არც მე წავალ სამსახურში და სამივემ ერთად გავატაროთ დღე. მარტო ბავშვისთვის მოგიწევს რამის მომზადება და მერე, სადმე ვისადილოთ. გავისეირნოთ, მოკლედ.

ქალმა ეჭვით შეხედა ქმარს.

– საქმეს არ გამოიჩენ და დილითვე არ გამიქრები სახლიდან?

– არა. გეფიცები.

ქეთი მოლბა. ქმართან მივიდა და მხარზე მიეხუტა.

– ძალიან მიყვარხარ... რატომ მაიძულებ, ეკლები გამოვისხა კაქტუსივით.

– მე გაიძულებ? – გულწრფელად გაუკვირდა ვახოს.

– ჰო. არ მითხრა, ვერ ვხვდები, ეს როგორ ხდებაო.

– თუ მართლა არ ვიცი?!

– დაფიქრდი და მიხვდები. მე აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი. შეიძლება, ისევ კამათამდე მივიდეთ, რისი სურვილიც ნამდვილად არ მაქვს.

ვახომ მხრები აიჩეჩა.

– რა გამოდის? რომ ჩვენ კამათის გარეშე საუბარი არ შეგვიძლია?

– ეს ჩემი ბრალი არ არის. არასოდეს მისმენ. ერთსა და იმავეს გამეორება იმდენჯერ მიწევს, რომ მერე ნერვები მეშლება.

– მე კი ვფიქრობ, რომ, უბრალოდ, დასვენება გჭირდება. რამდენიმე დღე რომ დაეთხოვო სამსახურიდან? ერთი კვირით მაინც.

– და, სახლში დავჯდე?

– რატომ? სადმე წავიდეთ. ადგილობრივი კურორტები ავითვისოთ. ბავშვიც წავიყვანოთ.

– ჰო, ბავშვიც, ძიძაც, დედაშენიც... დედაჩემიც...

ვახომ ხელი ჩაიქნია.

– მოკლედ, შენს გულს კაცი ვერ მოიგებს. რა გინდა, აღარ ვიცი. დასვენებას გთავაზობ და ამაზეც უარს მეუბნები.

– არა, უარს კი არ გეუბნები, ვცდილობ, აგიხსნა, რომ ბავშვთან ერთად ვერ დავისვენებ.

– მაშინ, დედაშენს ან დედაჩემს დავუტოვოთ. ძიძაც მიხედავს და არ გაუჭირდებათ.

ქეთიმ გაიღიმა.

– ჰო, კარგი. რამდენი ხანია, ვფიქრობ, რომ არ გვაწყენდა ორი-სამი დღე ერთად გაგვეტარებინა სადმე, სიმშვიდესა და კომფორტში.

– ძალიან კარგი. ასეც მოვიქცევით. შენ მოაგვარებ თუ მე ვითავო სასტუმროს შერჩევისა და დაჯავშნის ამბავი?

– მე მოვაგვარებ, – ქეთის თვალები აუციმციმდა და შესამჩნევად გახალისდა.

– ბავშვს სძინავს... რაღაცაზე შევთანხმდით კიდეც, რამე ხომ არ მოგვეფიქრებინა?

ვახომ თავი დაუქნია.

– საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მოდი,

ჩემთან, შე აშარო, მომენატრა ის დრო, როცა სულ იცინოდი და დილას ღიღინით იწყებდი.

ქეთი მუხლზე ჩამოუჯდა ქმარს და შუბლით შუბლზე მიეყრდნო.

– ჰო, რა მემართება, თვითონაც არ ვიცი. შენ გგონია, რომ მინდა, ასე ვიქცეოდე? ვცდილობ კიდეც, წინააღმდეგობა გავუწიო ამ აგრესიას, შიგნიდან რომ მომდის, მაგრამ ვერ ვახერხებ. წავიდეთ, დავისვენოთ ორივემ და არაფერზე არ ვიფიქროთ. ის რაღაც დავიბრუნოთ, რაც აშკარად დაგვაკლდა. ზოგჯერ საერთოდ ვერ მამჩნევ და ეს მაგიჟებს. როცა ვერც კი ხედავ, რა მაცვია, როგორ გამოვიყურები... ყურადღება მჭირდება, სულ ცოტა ყურადღება და სითბო... მეტი არაფერი...

– სულ ცოტა ყურადღება და სითბო... – გაიმეორა ვახომ, ამოიოხრა და სახე ცოლის მკერდში ჩამალა.

***

უცნაური დროა... ოცნება ნელ-ნელა კარგავს აზრს. უფრო ზუსტად – აღარ იცი, რაზე იოცნებო. სიყვარული? – ძალიან არასერიოზულია. არც ერთი თანამედროვე, ცხოვრებაში გარკვეული, კარგად გათვითცნობიერებული ადამიანი სიყვარულზე ოცნებას არ დაიწყებს. ვიღაც-ვიღაცეები კი საერთოდ გეტყვიან, რომ სიყვარული ნამდვილი სტიქიური უბედურებაა. ცუნამის მსგავსი – ანუ ისეთი, ზემოთ რომ სიბნელეა, ქვემოდან კი გიგანტური ტალღები გარყევს. მღვრიე ნაკადი სულ უფრო ღრმად და ღრმად გითრევს. ბოლოს წინააღმდეგობის გაწევის თავიც აღარ გაქვს. შეიძლება, ვინმეს მოსწონს კიდეც (ასეთებიც არსებობენ, თანაც არცთუ ცოტანი), მაგრამ სტიქიურ უბედურებაზე ოცნება მეტისმეტია... თუნდაც იმ მარტივი მიზეზით, რომ სტიქიური უბედურებები, როგორც წესი, ბუნებრივად და თავისთავად ხდება. არაპროგნოზირებადია და ვერც მის მასშტაბურობას იწინასწარმეტყველებ. სიყვარული და ცუნამი არ ეკითხება ადამიანებს, როდის აიღებენ სტარტს და ცხოვრებას მთლიანად შეცვლიან, თავდაყირა დააყენებენ იმას, რაც ჯერ კიდევ დღეს ბუნებრივი და ნორმალური იყო.

გიგი და ზუკა ბარში, დაბალ მაგიდასთან ისხდნენ, ვისკის წრუპავდნენ და საუბრობდნენ. გიგიმ თვალები მოჭუტა, ჭიქაში ჩარჩენილი ყინულები შეანჯღრია და ზუკას ჰკითხა:

– როგორ სიკვდილს ინატრებდი? მოიცადე, ეგეთი დაფეთებული სახით ნუ მიყურებ. კი არ გეუბნები, ახლავე მოკვდი-მეთქი. უბრალოდ, ძალიან მაგარია, წარმოუდგენლად მაგარია, როცა შეგიძლია, თვითონ ამოირჩიო, როგორ მოკვდები. ესე თქვა, მგონი, ერთმა აღმოსავლელმა პოეტმაც.

– მაგ პოეტის შესახებ მე არაფერი გამიგია. ის კი ზუსტად ვიცი, რომ სიკვდილზე ლაპარაკი არ მსიამოვნებს, – შეიჭმუხნა ზუკა, – ის კი არა, რომ წარმოვიდგენ, უნდა დავბერდე, ცუდად ვხდები... ბიჭო, მოხუცების დანახვასაც ველარ ვიტან, დამიჯერებ? ისინი რეალურად მახსენებენ ჩემი დაბერების გარდაუვალობას.

– შენ გადამრევ. რა სისულელეებზე ფიქრობ. სიბერე სულაც არ არის ცუდი, თუკი მასში საკუთარი თავის რეალიზებას შეძლებ.

– ეგ როგორ?

– როგორ და მაშინ ხომ ნამდვილად გექნება დრო, გააკეთო ის, რისი გაკეთებაც სულ გინდოდა და ვერ აკეთებდი.

– ჰო? დრო კი მექნება მაგის საკეთებლად, მაგრამ შესაძლებლობა?! ასე რომ, ვერ დამამშვიდებ, – ზუკამ ვისკი ხმაურით მოწრუპა და ამოიოხრა, – მაგარი არეული ვარ, რა...

– მე კი, სიამოვნებით დავიხრჩობოდი სუფთა, კამკამა წყალში. ჩავიძირებოდი და აღარ ამოვყვინთავდი. ძალიან ღირსეული სიკვდილია. არა? ისე, როგორი განცდაა, როცა იძირები და კვდები... მაგრად მაინტერესებს – თავისას აგრძელებდა გიგი.

– ვეშაპებს როგორი სექსი აქვთ, ეგ არ გაინტერესებს? – გაღიზიანდა ზუკა, – სხვათა შორის, ახლა აქვთ სწორედ სეზონი.



– მართლა? ეგეც საინტერესოა. ნუ იბღვირები რა. აქ ამისთვის მომიყვანე?

– რა ვქნა, პრობლემები მაქვს... ძალიან მომწონს ის ქალი.

– რომელი ქალი? აა, ისა, ჰო? – მერე ეგ პრობლემა რატომ არის? მიდი და ისიამოვნე!

– ეგრე მარტივადაც არ არის საქმე, – თავი გააქნია ზუკამ, – არადა, როგორც მაგნიტი, ისე მიზიდავს.

– ანუ, გეშინია, რომ შეგიყვარდება? შენ რა, ასე ადვილად გიყვარდება? მაშინ მაგარ შარში ყოფილხარ, ტო!

– მე ახლა სიყვარულზე არ გელაპარაკები. პასუხისმგებლობაც ხომ არსებობს?

– პასუხისმგებლობა იმის ქმრის მიმართ. აუ, ეგ ნამდვილად არ არის შენი საფიქრალი. შენ თუ ასე გააგრძელებ, სიბერეს დაიჩქარებ, ასე რომ არ გევასება....

– გიგი, პასუხისმგებლობას მე საკუთარი თავის წინაშე ვგრძნობ. რა არის აქ გაუგებარი? ამ შინაგანმა ბრძოლებმა კი ძალიან დამღალა.

გიგიმ მრავალმნიშვნელოვნად შემართა ჭიქიანი ხელი.

– ვენდოთ კლასიკოსებს, რომლებიც გვასწავლიან: „იპოვი მხოლოდ იმას, რასაც ეძებდი“. ძებნის პროცესი კი ძალიან საინტერესო და მიმზიდველია.

– შენც უნდა იფიქრო პასუხისმგებლობაზე. ნინი კარგი გოგოა.

– ოჰო? ნინი კარგი გოგოა... – მე ეს ვიცი და იმიტომაც ვარ მასთან. მაგრამ, ჯერ პასუხისმგებლობისთვის მზად არ ვარ. ოცნებას და თავისუფლებას ვერ შევიზღუდავ. ჯერ რეალური მიზანიც არ დამისახავს ცხოვრებაში, – გიგიმ ჭიქა შეავსო, – დინებას მივყვები, რა!

– მერე ეგ კარგია? მეც დინებას მივყვები და სულაც არ მომწონს. ვგრძნობ, რომ დროს ფუჭად ვხარჯავ.

– ბევრი ფიქრი საერთოდ არ არის სასარგებლო. ცხოვრება ასეთია... ისეთი ჩქარი დინება აქვს, თუ არ მიჰყვები, ძალით ჩაგითრევს და დაგახრჩობს. ჯერჯერობით ასეა. მომავალში, როცა მთვარემდე საზოგადოებრივი ტრანსპორტი ივლის, შეიძლება, სხვანაირად იყოს. მაგრამ მე და შენ მაგას ვერ მოვესწრებით. ამიტომაც შევიმუშავე საკუთარი პრინციპები. თუ გინდა, ორ-სამს შენც გაგიზიარებ. მაგალითად, დღეს ნინის უნდა შევხვედროდი, მაგრამ არც კი დამირეკავს.

– რატომ? არ გინდოდა? იჩხუბეთ?

– ვერ გამოიცანი. საქმე ის კი არ არის, მე რა მინდოდა, არამედ – სიტუაციას როგორ სჭირდებოდა. ზოგჯერ ასე უნდა მოვიქცე, რომ მეტისმეტად არ მომეწებოს, მომავლის კოშკები არ ააგოს და არ იფიქროს, რომ თავისუფლებას შევიზღუდავ.

– და, ამიტომ გულს სტკენ?

– დიახ. პრევენციისთვის... რომ მერე უფრო მაგრად არ ეტკინოს.

ზუკამ მხრები აიჩეჩა.

– არ ვიცი, შეიძლება, მართალი ხარ.

– შეიძლება კი არა, მართალი ვარ. აბა, რა... მიდი, ვახოს დაურეკე. მოვიდეს და დღეს კარგად ჩავთვრეთ.

ზუკამ საათს დახედა.

– ბიჭო, ძალიან გვიანია. უხერხულია ქეთისთან.

– ეე, გიგი, რა... აი, კიდევ ერთი სტერეოტიპი. რადგან ცოლი ჰყავს, დალევის და თერთმეტი საათის შემდეგ სახლიდან გამოსვლის უფლება არა აქვს? თუ მისი ცოლი უკრძალავს, ქაჯია?!

– შენ დათვერი? რას ლაპარაკობ?

– მე თვითონ დავურეკავ, – გიგიმ მობილურს სტაცა ხელი და ნომერი აკრიფა... რამდენიმე ზარი გავიდა და ტელეფონი გაითიშა. გიგიმ ისევ დარეკა... ისევ რამდენიმე ზარი და ისევ წყვეტილი ზუმერი... ზუკამ მობილური წაგლიჯა...

– გეყოფა, შეეშვი... შეიძლება, სძინავს უკვე.

– ან სძინავს, ან... – გიგი გადაბჟირდა, – ხედავ, რა არ მინდა, რომ დამემართოს? ჯობია, დღეს ნინიმ ინერვიულოს, ვიდრე ხვალ – მე. ეს არის ჩემი სიმართლე, მოგწონს ეს შენ თუ არა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# მარტოობის გავლენა



*იცით, რა ზეგავლენას ახდენს თქვენს პიროვნებაზე მარტოობა? გულახდილად უპასუხეთ შეკითხვებს და ნახეთ შედეგები.*

*გაეცით დადებითი ან უარყოფითი პასუხი.*

**1. მარტოობა მართმევს მთელ ენერგიას;**
**2. ჩემთვის მარტოობა შემოქმედების წყაროა;**
**3. მარტოობა ახალი შესაძლებლობებია;**
**4. მარტოობა აჩენს კომპლექსებს;**
**5. მარტოობა მილამაზებს ცხოვრებას;**
**6. მარტოობა შეუმჩნეველს მხდის და დამალვის სურვილს მიჩენს;**
**7. მარტოობა ადამიანებისკენ მიბიძგებს;**
**8. მარტოობა ახალი ენერგიით მავსებს;**
**9. მარტოობა ფეხქვეშ ნიადაგს მაცლის;**
**10. მარტოობა სამყაროს შავ-თეთრს ხდის;**
**11. მარტოობა საშიშია – შეიძლება, შეგისრუტოს;**
**12. მარტოობა ფიქრების კონცენტრაციას უწყობს ხელს, მობილიზებულს მხდის;**
**13. მარტოობა სევდას მგვრის;**
**14. მარტოობა მამშვიდებს, მაწყნარებს;**
**15. მარტოობა ზღუდავს პერსპექტივებს, შესაძლებლობებს;**
**16. მარტოობა დამამცირებელი მდგომარეობაა;**
**17. მარტოობა აუცილებელია;**
**18. მარტოობა ამძაფრებს გრძნობებს.**

*დაიწერეთ თითო ქულა დადებითი პასუხების შემთხვევაში*
*2, 3, 5, 7, 8, 12, 14, 17 და 18 კითხვებზე.*

*კიდევ თითო ქულა გეკუთვნით დადებითი პასუხებისთვის:*
*1, 4, 6, 9, 10, 11, 13, 15 და 16.*

*უარყოფითი პასუხებისთვის 0 ქულა გეწერებათ. დაითვალეთ და ნახეთ შედეგები:*

**10 ქულაზე მეტი**: თუ მარტოობას პოზიტიურად განიხილავთ, ეს, ერთი მხრივ, დიდი პლუსია. მაგრამ ამან ძალიან არ გაგიტაცოთ და თავი არ მოიტყუოთ. მარტოობაში ბედნიერი ვერ იქნებით.

**5-10 ქულა**: მარტოობა თქვენში უსიამოვნო ემოციებს იწვევს, გალიზიანებთ და გიქვეითებთ შრომის უნარს, თუმცა, გამკლავებას ახერხებთ. მარტოობას პოზიტიური მხარეებიც აქვს. შეეცადეთ, დაინახოთ ისინი – წაგადგებათ.

**5 ქულაზე ნაკლები**: მარტოობის ძალიან გეშინიათ. როგორც ჩანს, ერთხელ უკვე იყავით მარტოობის ტყვეობაში და ძალიან შეშინდით. მარტოობა ზოგჯერ საჭიროა, რათა დაინახოთ თქვენი შინაგანი რესურსები. იფიქრეთ ამაზე.

## ზუსტი ადგილმდებარეობა

ალბათ, ყველას აინტერესებს, სად მდებარეობდა სოდომი და გომორი. ბიბლიური ისტორია ორი ცოდვილი ქალაქის შესახებ, რომლებიც ღმერთმა აღგავა პირისაგან მიწისა, ყოველთვის იწვევდა ისტორიკოსებისა და საზოგადოების ცხოველ ინტერესს.



გაჩნდა შეკითხვაც – სად მდებარეობდა ისინი, ან, რეალურად, არსებობდა კი?! ისტორიკოსებმა დაიწყეს ძებნა. ერთ-ერთ სავარაუდო კანდიდატად დასახელდა ქალაქი ბაბ-ელ-დაჰრა, რომელიც გაშენებული იყო დღევანდელი პალესტინის ტერიტორიაზე. არქეოლოგებმა ის ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3100-2300 წლებით დაათარიღეს. ეს სწორედ ის დროა, როცა ბიბლიის მიხედვით, სოდომისა და გომორის ტრაგედია მოხდა. დადასტურებულია, რომ ქალაქი ბაბ-ელ-დაჰრა ცეცხლმა გაანადგურა. გათხრების შედეგად არქეოლოგებმა დამწვარი ქალაქის ნანგრევებში ძველისძველი ტაძარი აღმოაჩინეს, დაცული დიდი კედლითა და უზარმაზარი სასაფლაოთი. არცთუ დიდი ხნის წინათ კი, ამ ქალაქიდან 11 კილომეტრის დაშორებით, ცეცხლისგან განადგურებული კიდევ ერთი დასახლება აღმოაჩინეს – ქალაქი ნუმეირიუ. სწორედ ამ ყველაფრის შემდეგ, მეცნიერებმა გააკეთეს დასკვნა, რომ სწორედ ეს ორი ქალაქი გახლავთ სოდომი და გომორი. ანუ, ახლა შეგვიძლია, ვთქვათ, რომ სოდომი და გომორი მდებარეობდა მკვდარი ზღვის რაიონში, სადაც დღესაც ბევრი ნავთია. ზოგიერთი გეოლოგი ამტკიცებს, რომ სწორედ ნავთის სიჭარბე გახდა ხანძრის მიზეზი, ამას თან დაერთო მიწისძვრაც, ამოიფრქვა დიდი რაოდენობით ცხელი გაზები და უზარმაზარმა ხანძარმა ორივე ქალაქი სრულად გაანადგურა.

## ცხენის ძალა

დღეს მიღებულია, მანქანის ძრავის სიმძლავრე ცხენის ძალებით გაიზომოს. მაგრამ, ცოტამ თუ იცის, რომ ამ ისტორიას საუკუნე-ნახევრის ხანდაზმულობა აქვს. შედარება ეკუთვნის ინგლისელ გამომგონებელს – ჯეიმს უატს, რომელმაც მსოფლიოში პირველი ორთქლის მანქანა შექმნა. ერთხელ ინგლისში პატარა მაღაროს მფლობელმა ჯეიმს უატს სთხოვა, დაემონტაჟებინა მისთვის ორთქლის მანქანა, რომელიც მაღაროდან წყალს ამოტუმბავდა. მანამდე ამ სამუშაოს ცხენები ასრულებდნენ.



– მანქანა ისეთი უნდა იყოს, რომ საათში იმაზე ნაკლები წყალი არ ამოქაჩოს, ვიდრე ჩემი ცხენი ქაჩავსო.

– კარგი, მაგრამ, თუ ვაჯობე, მანქანაში ორმაგს გადამიხდიო.

მაღაროს მეპატრონე შეშინდა და უბრძანა, ცხენისთვის სული ამოეხადათ მუშაობით, ანუ, მთელი დატვირთვით ემუშავებინათ მანქანასთან შეჯიბრების მიზნით. დღის ბოლოს, ახალგაზრდა, ჯანმრთელი ცხენი დაღლილობისგან მოკვდა. სწორედ მაშინ აღიარეს, რომ მანქანა გაცილებით მძლავრი იყო ცხენზე, თუმცა, საცოდავ ცხენს ამან უკვე ვეღარ უშველა.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძე**

# გამოიჭირე ტყუილში

## ჯეკ უები

პოლ მელკორის თაღლითობაში სადაზღვევო ფირმის პროფესიონალ აგენტს ეჭვი ოდნავაც არ ეპარებოდა. ინტუიციაც ჰკარნახობდა და გამოცდილებაც, მაგრამ, ფაქტები არ ჰქონდა. რანაირად დაემტკიცებინა სასამართლოსთვის, რომ მელკორი ცრუობდა? ამაში კიდევ უფრო დარწმუნდა, როცა მელკორის ცოლი ნახა. ასეთი ქერა ლამაზმანები არ მიჰყვებიან ცოლად უიმედო ხეიბრებს. თუმცა, როგორც უკვე გითხარით, აგენტს ხელთ არაფერი ჰქონდა საკუთარი ეჭვების გარდა, პოლს კი შესანიშნავი ადვოკატი ჰყავდა. მან გულის ამაჩუყებელი სიტყვა წარმოთქვა სასამართლოზე: „ქალბატონებო და ბატონებო! თქვენ წინაშეა ახალგაზრდა კაცი, რომელიც ჯერ კიდევ ორი თვის წინ სრულიად საღ-სალამათი იყო და ცხოვრებას შეჰხაროდა. იმ კომპანიამ, რომლის ინტერესებსაც ახლა სადაზღვევო კომპანია იცავს და დაზარალებულისთვის კომპენსაციის გადახდა არ უნდა, ჩემს კლიენტს ხვალინდელი დღის რწმენა და იმედი დაუკარგა. ეს უსინდისობაა, ბატონებო!..“

ჰეილორი უსმენდა. ადვოკატი სადღაც მართალი იყო. პოლ მელკორი მართლაც იყო ახალგაზრდა და ჯან-ღონით აღსავსე. მას იმ კომპანიის მანქანა დაეჯახა (თანაც, ტროტუარზე მდგომს), რომელიც ჰეილორის სადაზღვევო კომპანიის კლიენტი იყო. შესაბამისად, კომპენსაციაც ამ სადაზღვევოს უნდა გადაეხადა მელკორისთვის. ჰეილორი აღიარებდა, რომ პოლ მელკორს აუცილებლად უნდა მიეღო კომპენსაცია, მაგრამ, არა ნახევარი მილიონი, რასაც ის ითხოვდა და აცხადებდა, რომ ამ ავარიით ის სამუდამოდ მიეჯაჭვა ინვალიდის სავარძელს. აი, სწორედ აქ იყო დამარხული ძაღლის თავი. ჰეილორს შინაგანი ხმა ჰკარნახობდა, რომ მელკორს ხერხემალი არ დაზიანებია. ის, უბრალოდ, კარგად ახერხებდა სიმულაციას. ექიმები ვერაფერს ამტკიცებდნენ. სადაზღვევო კომპანიამ რამდენიმე სერიოზული სპეციალისტი მიიწვია კონსულტაციისთვის, მაგრამ, ყველა ერთხმად მივიდა იმ დასკვნამდე: პაციენტი პარალიზებულია – მისი კიდურები უსიცოცხლო და უმოძრაოა, თუმცა, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ადგილი აქვს სიმულაციას. ჰეილორი ისევ ჩიხში აღმოჩნდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მოწყალების დაც მოისყიდა და პოლ მელკორის პალატაში სათვალთვალო კამერა დააყენებინა... არაფერმა გაჭრა. პოლ მელკორი ან ძალიან ეშმაკი იყო და ყველაფერი წინასწარ გათვალა, ან, მართლაც პარალიზებულს, განძრევა არ შეეძლო. სასამართლოზე ზუსტად ის მოხდა, რასაც ჰეილორი ელოდა: სადაზღვევო კომპანიას კომპენსაცია დააკისრეს, 250 000 დოლარის ოდენობით. ჰეილორი გაცეცხლებული იყო. მან გადაწყვიტა, გაეგრძელებინა თვალთვალი მელკორზე და ის ტყუილში გამოეჭირა. მის ამ იდეას სადაზღვევო კომპანიის უფროსიც დაეთანხმა. მისთვისაც არ იყო ადვილი ამ მარცხთან შეგუება. ჰეილორი იმედოვნებდა, რომ ადრე თუ გვიან, მელკორი ფულის დახარჯვის სურვილს ვერ გაუმკლავდებოდა და გაიყიდებოდა. სასამართლო პროცესის დასრულებიდან ორი თვის შემდეგ მელკორი ცოლთან ერთად ახალ სახლში გადავიდა, საკმაოდ პრესტიჟულ რაიონში. თუმცა, სახლი დიდი არ იყო. ჰეილორი ცოლ-ქმარს ბინაში ესტუმრა. კარი, რა თქმა უნდა, „ქერამ“ გაუღო. ტანზე მჭიდროდ მოტმასნილი ყვითელი შარვალი და ლურჯი მაისური ეცვა, რაც მისი სხეულის ლამაზ ფორმებს კიდევ უფრო მკვეთრად აჩენდა. „სწორედ ასე უნდა იცვამდე სახლში ღამის ბარის ყოფილი მომღერალი“, – გაიფიქრა ჰეილორმა. მელკორი ინვალიდის სავარძელში იჯდა. ბინაში სულ ოთხი ოთახი იყო: მისაღები, ბარ-სამზარეულო და ორი საძინებელი – ინვალიდისთვის და მისი ლამაზი მეუღლისთვის.

– რა გინდა, ჰეილორ, რისთვის მოხვედი? – ჰკითხა მელკორმა.

– მინდოდა, ახალ ბინაში მომენახულებინე.

– შენ ჩემი მეგობარი არ ხარ, ამიტომ, ეს ვიზიტი, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარია.

– მინდოდა, მენახა, როგორ ხარჯავ ჩვენს ფულს!

– ეს შენი საქმე არ არის.

– შენ სადაზღვევო კომპანია მოატყუე. ზუსტად ვიცი, რომ შენი დამბლა მოგონილია. უბრალოდ, კარგი მსახიობი ხარ. გპირდები, თვალს არ მოგაშორებ. მე ისიც ვიცი, რომ შენი ცოლისნაირი ქერა ლამაზმანები ინვალიდებზე არ თხოვდებიან. რამდენ ხანს გააჩერებ ამ გალიაში?! რისი იმედი გაქვს?

მელკორი ბრაზისგან გაწითლდა, მაგრამ, ნაძალადევად მაინც გაიცინა:

– რა სასაცილო ხარ, ჰეილორ. რისთვის ირთულებ ცხოვრებას? დამანებე თავი და იყავი შენთვის.

– არ გინდა, სიმართლე მითხრა? შენც მოგეშვება.

– ტელეფონიც ხომ არ გიდევს ჯიბეში, რომ ჩემი აღიარებითი ჩვენება ჩაიწერო? კარგი, მე გაგიმარტივებ საქმეს: ამ დღეებში მე და ჩემი ცოლი წმიდა ადგილის მოსალოცად მივდივართ. აქედან ძალიან შორს. იქ ადამიანები რწმენით მიდიან. იცი, რამდენი ინვალიდი და ხეიბარი განიკურნა? იმ ტაძარში რომ მიხვალ, უამრავ გადაყრილ ყავარჯენსა და სავარძელს ნახავ – განკურნებული მომლოცველები ტოვებენ.

– აჰა, ის არ გეყო, რომ სადაზღვევო კომპანია მოატყუე, ახლა მორწმუნეების გრძნობებზე უნდა ითამაშო? ნაძირალა ხარ, მელკორ. შენ ეს ყველაფერი წინასწარ დაგეგმე. იქ მიხვალ, ფარისევლურად ილოცებ და ინვალიდის სავარძლიდან ადგები. ანუ, ვითომ სასწაული მოხდა.

მელკორმა გადაიხარხარა და თავის ლამაზ ცოლს ახედა:

– გესმის, მია, რას ამბობს ბატონი დაზღვევის აგენტი? ჯერ ერთი, ეგ მხოლოდ შენი ფანტაზიის ნაყოფია. მეორეც – ვითომ სასწაული არ არსებობს, მით უმეტეს, მორწმუნეებისთვის. ჩემი განკურნება მხოლოდ რწმენას განუმტკიცებს მათ. შენ ვერც ხვდები, ამით რამხელა საქმეს გავაკეთებ...

გამწარებულმა აგენტმა იმავე დღეს მიიღო გადაწყვეტილება, „მორწმუნე“ ცოლ-ქმარს უკან გაჰყოლოდა, რაშიც უფროსიც დაეთანხმა.

მონასტერი პატარა კუნძულზე მდებარეობდა. ორი პატარა სასტუმრო გაჭედილი იყო ხეიბრებით და სულით ავადმყოფებით. ჰეილორმა ტაძარი ჩასვლისთანავე მოინახულა. მისი შემოგარენი მართლაც სავსე იყო ყავარჯნებითა და ინვალიდის ეტლებით. ელაპარაკა ტაძრის მოძღვარსაც, რომელმაც დაადასტურა, რომ იქ ასეთი სასწაულები ხშირად ხდებოდა და დასძინა, მხოლოდ უფალმა იცის, ვის მიიჩნევს განკურნების ღირსადო.

მეორე დილით მომლოცველთა პროცესია ტაძრისკენ დაიძრა. გზა საკმაოდ რთული იყო. ციცაბო ფერდობზე, ვიწრო... პროცესია ძალიან ნელა იძვროდა. ინვალიდები ზოგი ტახტრევნებით მიჰყავდათ, ზოგს ოჯახის წევრები ეხმარებოდნენ გადაადგილებაში. მელკორს მეუღლე ახლდა. ისინი პროცესიის შუაში იყვნენ. უცებ სადაზღვევო აგენტის ყურადღება პროცესიაში ატეხილმა ჩოჩქოლმა და ხმაურმა მიიპყრო. ჰეილორის სმენას ქალების წივილ-კივილის ხმაც მისწვდა. შეშფოთებულმა პროცესიაში ძლივს გაიკვლია გზა, თუმცა, იმ ადგილამდე, სადაც რაღაც მოხდა, მაინც ვერ მიაღწია. სიმართლე მხოლოდ საღამოს გახდა ცნობილი: მელკორის ინვალიდის სავარძელი უბედური შემთხვევის გამო ფერდობზე დაგორდა და დაიმსხვრა. მელკორი ადგილზე გარდაიცვალა. ჰეილორმა უნუგეშო ქვრივი სასტუმროს ფოიეში მოინახულა. მიას შავი, ტანზე მოტმასნილი კაბა ეცვა. ქერა თმაც სადად ჰქონდა დავარცხნილი. თვალებთან წამდაუწუმ მიჰქონდა ცხვირსახოცი...

– ეს უბედური შემთხვევა არ იყო, ხომ ასეა? შენ უბიძგე სავარძელს? – პირდაპირ ჰკითხა ჰეილორმა

ქალმა ავად შეხედა:

– მე ის უანგაროდ მიყვარდა... ეს უბედური შემთხვევა იყო... მე მელკორის კანონიერი ცოლი ვარ და კანონიერი მემკვიდრეც. ასე რომ, შენი ადგილი აქ აღარ არის. ყველა შეკითხვას პასუხი გაეცა. მშვიდობით, ჰეილორ...

– შენ მელკორზე ბევრად ჭკვიანი ყოფილხარ. როგორ ვერ შევაფასე შენი შესაძლებლობები... – აღმოხდა ჰეილორს.

ქალმა პასუხად მხოლოდ გაიცინა...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# მკვდარი ვერსია

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №7-15(641)**

ბანკში მოქალაქეებს სამი კრედიტოფიცერი ემსახურებოდა. ისინი ტიხრებით გაყოფილ პატარა ოთახებში ისხდნენ, რომლებსაც შუშის კარები ჰქონდა. ამიტომაც, ნიკას არ გასჭირვებია მისთვის საჭირო კრედიტოფიცრის მოძებნა. შალვა მიქაძე, რომლის შედგენილიც იყო ანდრო სირაძეზე სესხის გაცემის ხელშეკრულება, მარცხენა განაპირა ტიხარში იჯდა. ნიკას თითქმის ერთსაათიანი ლოდინი დასჭირდა, ვიდრე მასთან შეხვედრას მოახერხებდა.

როგორც იქნა, მისმა რიგმაც მოაღწია. ნიკა შევიდა და მიპატიჟების გარეშე ჩამოჯდა კრედიტოფიცრის პირისპირ, რომელიც რაღაც დოკუმენტს ჩაჰკირკიტებდა. ორიოდ წუთში მან დოკუმენტი გვერდზე გადადო და მოიბოდიშა:

– მაპატიეთ, უყურადღებობისთვის. არ მიყვარს საქმის გვერდზე გადადება. რით შემიძლია, გემსახუროთ?

შალვა მიქაძე 30-32 წლის იქნებოდა. საშუალოზე დაბალი, ჩასუქებული მამაკაცი იყო. თეთრ, ფიზიკურ შრომას მიუჩვეველ კოტიტა თითებში აუჩქარებლად ატრიალებდა საწერკალამს და სტუმარს გულგრილი მზერით ათვალიერებდა.

– სესხის მიღების პირობების გარკვევა მსურს, – უპასუხა ნიკამ.

– რა ოდენობის თანხის მიღება გინდათ? – ჰკითხა კრედიტოფიცერმა.

– სამასი ათასი ლარის.

შალვა სკამზე შესწორდა, უფრო ყურადღებით შეათვალიერა ნიკა და თქვა:

– ეს საკმაოდ მსხვილი თანხაა.

– მე სწორედ ამდენი მჭირდება, – უპასუხა ნიკამ.

– თქვენ ხომ ხვდებით, რომ მტკიცე გარანტიის გარეშე, ბანკი ასეთი ოდენობის თანხას არ გასცემს, – განაგრძო შალვამ.

– რა თქმა უნდა.

– კეთილი... თქვენი პირადობის მოწმობა მომეცით.

ნიკამ ჯიბიდან პირადობის მოწმობა ამოიღო და კრედიტოფიცერს გაუწოდა. მან მოწმობაზე დატანილი პირადი ნომერი კომპიუტერში შეიყვანა, კლავიატურაზე რამდენიმე მანიპულაცია შეასრულა და შემდეგ თქვა:

– მონაცემთა ბაზა მიჩვენებს, რომ სხვა ბანკებიდან სესხი არ გაქვთ აღებული.

– ასეა, – თავი დაუქნია ნიკამ, – პირველად გადავწყვიტე სესხის აღება.

– მუშაობთ?

– იურიდიულ ფირმაში ადვოკატი ვარ, – ამ სიტყვებთან ერთად ნიკამ სავიზიტო ბარათი გაუწოდა.

– რა შემოსავალი გაქვთ? – შალვამ ყურადღებით დაათვალიერა სავიზიტო ბარათი.

– როგორ აგიხსნათ... სტაბილური შემოსავალი არ მაქვს, მაგრამ, პერიოდულად ვიღებ მსხვილ ჰონორარებს, საერთო ჯამში, წლის განმავლობაში ოცდათხუთმეტი-ორმოცი ათასი ლარის ფარგლებში. მიმიღია უფრო მეტიც, მაგრამ ამ შემთხვევაში მინიმალურ თანხას ვასახელებ.

– გასაგებია... – შალვამ კიდევ რამდენიმე მანიპულაცია შეასრულა კლავიატურაზე და ისევ ნიკას მიუბრუნდა, – რადგან სტაბილური შემოსავალი არ გაქვთ, სესხს მხოლოდ უძრავ-მოძრავი ქონებით უზრუნველყოფის შემთხვევაში მიიღებთ. რა სახის ქონებას ფლობთ?

– მაქვს სამოთახიანი ბინა დიღომში. „მერსედესის“ მარკის ავტომობილი. უახლესი მოდელი არაა, მაგრამ, მაინც კარგ მანქანად ითვლება.

– სამასათასიანი სესხისთვის ძალიან ცოტაა, – თავი გაიქნია შალვამ.

– ჩემს მეუღლეს აგარაკი აქვს წყნეთში, – დაამატა ნიკამ, – აგარაკს ჩვენ ვუძახდით, რეალურად კი კაპიტალური ორსართულიანი სახლია, მოზრდილი ბაღითა და აუზით.

– აგარაკი ერთობლივი საკუთრებაა, თუ მხოლოდ თქვენს მეუღლეს ეკუთვნის?

– არა... მეუღლის საკუთრებაა.

– ძალიან კარგი, – გამოცოცხლდა შალვა, – ჩვენ დაგვჭირდება ოფიციალური ცნობა თქვენი შემოსავლის შესახებ. ის თქვენი ფირმის ბუღალტრისგან უნდა მიიღოთ. ასევე, ჩემთან უნდა მოიყვანოთ თქვენი მეუღლე. მან ოფიციალურად უნდა დაადასტუროს, რომ თანახმაა, სესხი აგარაკით უზრუნველყოს. ამის შემდეგ მე შევაფასებ თქვენი ქონების საბაზრო ღირებულებას, შევადგენ ყველა საჭირო დოკუმენტს და თქვენ მიიღებთ სესხს.

– გასაგებია, მაგრამ... – ყოყმანით წამოიწყო ნიკამ, – მეუღლის ბანკში მოყვანის გარეშე ვერ მოვაგვარებთ ამ საკითხს?

– რა ბრძანეთ?! – შალვამ გაოცებით შეხედა.



– არ დაგიმალავთ, – განაგრძო ნიკამ, – მეუღლესთან მქონდა ამ თემაზე საუბარი. მას არ სურს აგარაკის ბანკში ჩადება, მაგრამ, მე აუცილებლად მჭირდება ფული. იქნებ, თქვენ მირჩიოთ, როგორ მოვაგვარო წყნეთის აგარაკის საკითხი მისი უშუალო მონაწილეობის გარეშე?

შალვა შესამჩნევად შეკრთა. ის სკამის საზურგეს მიეყრდნო, მზერა მონიტორზე გადაიტანა და გაღიზიანებულმა ჩაილაპარაკა:

– ეს, უბრალოდ, წარმოუდგენელია. რასაც თქვენ მთავაზობთ, ამას ოფიციალურად დოკუმენტების გაყალბება და ფიქტიური გარიგება ეწოდება, ეს კი სისხლის სამართლის დანაშაულია. გირჩევთ, თავიდან ამოიგდეთ მსგავსი აზრები და ნურავის მიმართავთ ასეთი წინადადებით!

ნიკა წინ გადაიხარა და ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა:

– რატომ?.. რა უნდა გაიგოს ჩემმა ცოლმა? დიასახლისია, მთელ დღეს სამზარეულოში და ტელევიზორთან ატარებს. სესხს კი ჩემი შემოსავლიდან დავფარავ. მომიგვარეთ ეს საქმე და, პირობას გაძლევთ, ვალში არ დაგრჩებით. მხოლოდ მითხარით, რაა საჭირო ამისთვის?

– ეს უკვე ნამეტანია! – შალვამ სასწრაფოდ დაუბრუნა პირადობის მოწმობა, – გთხოვთ, წაბრძანდეთ!

– თქვენი ფილიალის ხელმძღვანელს, ბატონ ლორიას რომ მივმართო? – ჯიუტად განაგრძო ნიკამ.

პასუხად შალვა ტელეფონის ყურმილს გადასწვდა და აღელვებულმა თქვა:

– ახლა დაცვას გამოვუძახებ!

– რატომ დაცვას? – ნიკა მოხერხებულად მოეწყო სკამზე, – იქნებ პოლიციაში დაგერეკათ. ან, უფრო უკეთესი – პირდაპირ პროკურატურაში!

შალვამ მძიმედ დაუშვა ყურმილი და დაძაბული ხმით ჰკითხა:

– ვინ ხართ?

პასუხად ნიკამ ჯიბიდან ანდრო სირაძესა და ბანკს შორის დადებული ხელშეკრულების ქსეროასლი ამოიღო და დემონსტრაციულად დაუგდო წინ.

შალვამ სწრაფად გადახედა ხელშეკრულებას. მან მაშინვე იცნო თავის მიერ შედგენილი დოკუმენტი, გაოცებული სახით გახედა ნიკას, შემდეგ თქვა – დამელოდეთო და სწრაფი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან. ორიოდ წუთში კრედიტოფიცერი უკან დაბრუნდა და ნიკას სთხოვა, გამომყევითო.

– სად? – ჰკითხა მან.

– ფილიალის ხელმძღვანელს თქვენთან საუბარი სურს.

– კეთილი, – ჩაილაპარაკა ნიკამ და ადგა.

ფილიალის ხელმძღვანელი აკაკი ლორია თავის კაბინეტში დახვდა ნიკას. მას თავიდანვე არ მოეწონა მასპინძელი. ლორია 23-24 წლის ახალგაზრდა კაცი იყო. ტუჩიდან ნიკაპის ბოლომდე წვერის წვრილი ზოლი ჩამოსდევდა. ტანთ, თავისი აზრით, სუპერელეგანტური კოსტიუმი ეცვა, რომელიც უხვად იყო მოფენილი ვერცხლისფერი წინწკლებით. წინწკლები სინათლის მოხვედრისას უჩვეულოდ ბრწყინავდა და სამოსის პატრონს საახალწლო ნაძვის ხეს ამსგავსებდა.

ლორია სახეზე ნაჩქარევად მოგდებული ყალბი ღიმილით შეეგება კაბინეტში შესულ ნიკას და დაჯდომა შესთავაზა. შალვამ უმალ გაიხურა კარი და ფილიალის ხელმძღვანელი და მისი სტუმარი მარტო დატოვა.

ლორია მაგიდას მიუჯდა, კიდევ ერთხელ ჩახედა ხელშეკრულების ასლს და შემდეგ ნიკას მიუბრუნდა:

– შეგიძლიათ, ამიხსნათ, ვინ ბრძანდებით და საიდან მოხვდა თქვენთან ეს დოკუმენტი?

– მგონი, შეამჩნიეთ, რომ ეს დოკუმენტი კი არა, მისი ასლია, – უპასუხა მან.

– შევამჩნიე, – დაუფარავი ბრაზით თქვა ლორიამ, – და იმასაც ვხვდები, რომ ორიგინალიც გაქვთ!

– თავისთავად, – დაუდასტურა ნიკამ.

– ასე რომ, დავუბრუნდეთ კითხვას, – განაგრძო ლორიამ, – ვინ ხართ და საიდან გაქვთ ეს დოკუმენტი?

– დოკუმენტი გარდაცვლილი ანდრო სირაძის მეუღლემ გადმომცა. მე მის ინტერესებს ვიცავ.

– ადვოკატი ხართ?

– ადვოკატის რანგში სასამართლო პროცესზე ვიქნები. ამჟამად კერძო დეტექტივის რანგში ვმუშაობ ამ საქმეზე, – უპასუხა ნიკამ.

– გასაგებია, მაგრამ, მე ვერ ვხვდები თქვენი სტუმრობის მიზეზს. რისთვის უჩვენეთ ჩემს თანამშრომელს ეს ხელშეკრულება და რას ემსახურებოდა თქვენი უაზრო წინადადება სესხის კანონის დარღვევით გაცემის თაობაზე? – განაგრძო ლორიამ, – სხვათა შორის, თქვენ კრედიტოფიცერს დაუფარავად შესთავაზეთ ქრთამი. თქვენ, რა თქმა უნდა, არაფერი იციით ამის შესახებ, მაგრამ, გაფრთხილებთ, რომ ყოველი ჩვენი ოფისი აღჭურვილია სათვალთვალო მოწყობილობებით. საჭიროების შემთხვევაში, ჩვენ სამართალდამცველებს თქვენი და კრედიტოფიცრის საუბრის ვიდეოჩანაწერს წარვუდგენთ და... დანარჩენს თავადაც მიხვდებით...

– თქვენმა კრედიტოფიცერმა პირველად მიიღო ასეთი წინადადება?! – ირონიით ჰკითხა ნიკამ.

– არა... მაგრამ, ყველა წინა შემთხვევაში ის ზუსტად ასე იქცეოდა – უარით პასუხობდა წინადადების ავტორს და მე მატყობინებდა ამის შესახებ.

– საინტერესოა, – ჩაილაპარაკა ნიკამ, – მაშინ, როგორ დაიდო ხელშეკრულება ანდრო სირაძესთან?

– ჩვეულებრივად. ხელშეკრულების თანახმად, ბატონი სირაძე ბანკის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა. შესაბამისად, გაიცა სესხი, – უპასუხა ლორიამ.

– მისი მეუღლე აცხადებს, რომ არაფერი იცოდა ამ სესხის შესახებ, სესხის უზრუნველსაყოფად კი ბანკში მისი კერძო საკუთრებაა ჩადებული.

– ქალბატონი სირაძე ნოვატორი არ არის ამ საქმეში. მე ადრეც შევხვედრივარ ადამიანებს, რომლებიც აცხადებდნენ, რომ არაფერი იცოდნენ ოჯახის წევრის მიერ სესხის აღების შესახებ და ავანტიურისტული მეთოდებით ცდილობდნენ ბანკის გადაგდებას. თუ თქვენ მართლაც დაინტერესებული ხართ თქვენი კლიენტის კეთილდღეობით, ურჩიეთ, ხელი აიღოს ამ საქმეზე. გარწმუნებთ, სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწევს, – დამრიგებლური ტონით თქვა ლორიამ.

– ჩვენ შეგვიძლია, ახლავე მოვაგვაროთ ეს საკითხი.

– რას გულისხმობთ? – ჰკითხა ლორიამ.

– თქვენ თქვით, რომ ყველა ოფისი აღჭურვილია სამეთვალყურეო კამერებით, – განაგრძო ნიკამ.

– დიახ.

– გადმომეცით ჩანაწერი, რომელზეც აღბეჭდილია ნანა სირაძე ხელშეკრულების დადებისას და გარწმუნებთ, რომ ყველაფერი ამით დამთავრდება!

– ეს... ეს... ეს კონფიდენციალური მასალაა, – აღელდა ლორია, – ბანკის უშუალო ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე ასეთ ჩანაწერს ვერავის გადავცემ.

ნიკა სწრაფად გადასწვდა ტელეფონს, ყურმილი ლორიას მიაწოდა და უთხრა:

– მე არ მეჩქარება. დაუკავშირდით ბანკის ხელმძღვანელობას!

– ასეთ საკითხებზე ტელეფონით არ ვმსჯელობ! – ლორიამ სწრაფად დადო ყურმილი.

– თუ, ასეთი ჩანაწერი არ არსებობს?! – დამცინავად ჰკითხა ნიკამ.

– საკმარისია!.. – ბრაზით წამოიძახა ლორიამ, – მე უკვე გითხარით ყველაფერი, რისი თქმაც მსურდა. შეგიძლიათ, მიბრძანდეთ!

ნიკა ადგა, ორივე ხელით დაეყრდნო მაგიდას, ლორიას თვალებში ჩააცქერდა და ცივად უთხრა:

– ეს კაბინეტიცაა აღჭურვილი სამეთვალყურეო მოწყობილობით?!

მასპინძელმა დუმილით უპასუხა.

– აღჭურვილია... ეს უშენოდაც ვიცი, – განაგრძო ნიკამ, – და, ძალიანაც კარგი, რომ აღჭურვილია. ახლა კი ყურადღებით მომისმინე, წინწკლებიანო ბიჭო! ერთი წამითაც რომ შემპარვოდა ეჭვი, რომ იმ ხელშეკრულების დადებისას ნანა სირაძე ბანკში იმყოფებოდა, სიტყვასაც არ დავძრავდი ამის შესახებ. მაგრამ, ვიცი, რომ ის აქ არ ყოფილა. დღეს ბოლო შანსს გაძლევ. განავალი, რომელშიც აღმოჩნდი, შენი ხელით უნდა გაქექო. ამას თუ არ გააკეთებ, მე გაგაქექინებ, მაგრამ, უკვე ცხვირით!.. გაიგე?.. – მოულოდნელად ჩაჰყვირა ნიკამ და საკინძეში სწვდა.

– ხელი გამიშვი! – სუსტად გაიბრძოლა ლორიამ.

ნიკამ ძლიერად უბიძგა, სავარძლის საზურგეს მიახეთქა და ლაპარაკი განაგრძო:

– ამ ჩანაწერს შენი ბანკის ხელმძღვანელებს აჩვენებ. იცოდე, გადავამოწმებ და მე თვითონ ვუამბობ, რაზეც აქ ვისაუბრეთ – ეს კარგად დაიმახსოვრე, წინწკლებიანო ბიჭო! – დაასრულა ნიკამ და სწრაფი ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან. ლორიამ გააფთრებული მზერით გააცილა დაუპატიჟებელი სტუმარი და, როგორც კი მან კარი გაიხურა, მობილური ტელეფონი მოიმარჯვა და სწრაფად აკრიფა ნომერი.

* * *

ნიკას ორიოდ კვარტალი ჰქონდა გავლილი, მისი მობილური რომ აწკრიალდა. ეკრანზე დოდოს ნომერი გამოჩნდა.

– გისმენ... – მაშინვე უპასუხა ნიკამ.

– ქალთან ურთიერთობის უცნაური წესი გქონია, – გაიცინა დოდომ.

– რატომ?

– ორი დღის განმავლობაში ერთხელაც არ დაგირეკავს.

– არ გეწყინოს, ძალიან დაკავებული ვიყავი, – თავი იმართლა ნიკამ.

– მესმის, მაგრამ, ხომ შეგეძლო დაგერეკა და მხოლოდ ერთი ფრაზა გეთქვა: „როგორ ხარ, ძვირფასო?.. ძალიან მენატრები, მაგრამ, საქმეებს ვერსად გავექეცი!..“ შეგეძლო?..

– შემეძლო... დამნაშავე ვარ. რით გამოვისყიდო დანაშაული? – გაეცინა ნიკას, – საქართველოში სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, დანარჩენზე კი თანახმა ვარ.

– ახლა გცალია? – ჰკითხა დოდომ.

ჯერ შუადღე იყო. ნიკას კიდევ რამდენიმე საქმის მოგვარება ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ, დოდოს განაწყენება არ უნდოდა და უპასუხა, თავისუფალი ვარო.



– მაშინ, შეგხვდები, – შესთავაზა მან.

– ახლა?! – გაუკვირდა ნიკას.

– ჰო, ახლა.

– კი მაგრამ, ახლა შუადღეა. არ დაგიმალავ, საღამოს მართლაც ვაპირებდი შენთან შემოვლას, – უპასუხა ნიკამ.

– წეღან ვიღაც დანაშაულის გამოსყიდვაზე ლაპარაკობდა, – შემპარავი ხმით განაგრძო დოდომ.

– მახსოვს, – დაეთანხმა ნიკა.

– ჩათვალე, რომ ეს შენი სასჯელია. დღევანდელ დღეს მე დამითმობ.

– და, ეს სასჯელია? – ისევ გაეცინა ნიკას.

– შენი საქციელით თუ ვიმსჯელებ, სასჯელია!

– კარგი... სახლში მოგაკითხო? – ჰკითხა ნიკამ.

– არა, არა... ახლა მართლაც სახლში ვარ, მაგრამ, სხვაგან შეგხვდები. ნუცუბიძის პლატოს ბოლოში ამოდი. იქ, ლისის ტბის მხარეს, ახალი იპოდრომია. იცი ის ადგილი?

– ვიცი.

– ნახევარ საათში იქ გელოდები... გკოცნი, – დაასრულა დოდომ და მობილური გათიშა.

„ლისის ტბა... იპოდრომი... – ჩაფიქრდა ნიკა, – რა შუაშია იპოდრომი?.. შეიძლება, იქ რომელიმე ორიგინალური კაფე ან რესტორანია, ან რამე ამდაგვარი და იპოდრომი მხოლოდ ორიენტირად, ადგილის მისანიშნებლად გამოიყენა...“

ნახევარი საათი არც იყო გასული, როცა ნიკა იპოდრომს მიუახლოვდა. დოდოს მანქანა იპოდრომის წინ, ავტოსადგომზე იდგა. ნიკამ მის გვერდით გააჩერა მანქანა და გადავიდა. დოდო მალე გამოჩნდა – ის იპოდრომის ცენტრალური შესასვლელიდან გამოვიდა. მიახლოებისას დოდო შეჩერდა და კმაყოფილი მზერით შეათვალიერა. შემდეგ სწრაფად მიუახლოვდა, მკერდზე მიეახლა და ტუჩის კუთხეში აკოცა.

– როგორ ხარ? – მკლავი მოხვია ნიკამ და ძლიერად მიიკრა მკერდზე.

– მოვიწყინე უშენოდ. გთხოვ, ნუღარ მოიქცევი ასე, – დოდომ ფრთხილად გაითავისუფლა თავი, უკან გადგა და ღიმილით ჩააცქერდა სახეში.

– კარგი, პირობას გაძლევ, – ნიკამ ირგვლივ მიმოიხედა და მერე ჰკითხა – სად მივდივართ?

– არსად... ადგილზე ვართ, – უპასუხა დო-

დომ.

– აქ რა უნდა გავაკეთოთ? – გაუკვირდა ნიკას.

– გამომყევი, მოგეწონება... – თვალი ჩაუკრა დოდომ და იპოდრომის მთავარ შესასვლელს მიუბრუნდა.

აზარტულობის მიუხედავად, ნიკას არასდროს იზიდავდა ცხენები, იპოდრომი და ყველაფერი ის, რაც ამ სფეროსთან იყო დაკავშირებული. ცხოვრებაში ერთხელაც არ გასჩენია სურვილი, დასწრებოდა დოღს, ახლა კი ინტერესით ათვალიერებდა ბილიკებზე მორბენალ კუნთებდაძაგრულ შესანიშნავ ცხენებს. მათი ნაწილი საჩეხებში იდგა და ადამიანის შემჩნევისას, მოლოდინით უახლოვდებოდა ღობურას. თითქოს ყველას აგრძნობინებდა, ამ ერთი ციდა სათავსოში მარტო ყოფნა მომბეზრდა, კარი გამიღეთ და ბილიკზე, სარბენად გამიშვითო. შეიცვალა დოდოც: ის თვალებანთებული ათვალიერებდა ცხენებს და გატაცებით უამბობდა მათი ჯიშების, წინაპრებისა და მიღწევების შესახებ. დროდადრო კი ღობურასთან მიდიოდა, ცხენებს ეფერებოდა და ყურში ალერსით ჩასჩურჩულებდა მოსაფერებელ სიტყვებს. ჩანს, ცხენებიც კარგად იცნობდნენ მას, რადგან, დოდოს მიახლოებისას ისინიც მისკენ მოიწევდნენ, თავს მხარზე ჩამოადებდნენ და ადგილზე გაქვავებულები ისმენდნენ მის ჩურჩულს.

– მახსოვს, სტუდენტობისას როგორ დააქროლებდით შენ და შენი მეგობრები მოტოციკლებს. თუ არ მეშლება, უნივერსიტეტში ერთადერთი სტუდენტი იყავი, რომელიც მოტოციკლით მოდიოდა ლექციებზე, – ნიკას მიუბრუნდა დოდო.

– ჰო, იყო ასეთ დრო, – გაეღიმა მას.

– გინდა, ის შეგრძნება დაიბრუნო? – განაგრძო დოდომ, – არა, უფრო მეტი მიიღო, ნამდვილი, სუფთა ადრენალინი!

– ცხენით ჯირითს მთავაზობ? – გაუკვირდა ნიკას.

– გამოიცანი, – თავი დაუქნია დოდომ.

– არა, არა... – იუარა ნიკამ, – მე არაფერი მესმის ამის, ცხენზე არასდროს ვმჯდარვარ.

– მითხარი ისეთი რამ, რაც შენს ცხოვრებაში პირდაპირ მეორედ მოხდა. ყველაფერი ხომ პირველით იწყება და ყველაზე დაუვიწყარი და განუმეორებელი სწორედ ის პირველი შეგრძნებაა. გაიხსენე პირველი სიყვარული, პირველი სექსი – ყველაფერი, რაც პირველად მოხდა შენს ცხოვრებაში... ესეც იგივეა. დამიჯერე, ნიკა, არასდროს დაგავიწყდება იმ შეგრძნება, რომელიც ცხენის ჭენებისას დაგეუფლება, – გატაცებით თქვა დოდომ.

– მესმის ადამიანის, რომელიც სწრაფად დაქრის მოტოციკლით ან მანქანით, ყვინთავს აკვალანგით, ხტება პარაშუტით, მაგრამ, ვერ ვხვდები, რით მიგიზიდეს ცხენებმა?

დოდომ ორივე მკლავი მოხვია კისერზე, ტუჩებით ყურზე მიეკრა და ვნებით ჩასჩურჩულა:

– არაფერი არ ალმაგზნებს ისე, როგორც ფეხებსშუა მოქცეული ულაყი, რომელიც სიტყვას და ჟესტს კი არა, მხოლოდ ჩემი სხეულის მოძრაობას ემორჩილება!.. სცადე, იქნებ, შენც მოგეწონოს...

ნიკას თბილ ტალღად დაურბინა სხეულში ჟრუანტელმა. დოდომ უმალ შეიგრძნო ეს ტალღა, ნაზად აკოცა ყურის ძირში, უკან გადგა და ჰკითხა:

– გადაწყვიტე?

– ვცდი, – თავი დაუქნია მან.

– წამოდი, მე უკვე შევუკვეთე ცხენები, – დოდომ მკლავი გამოსდო და უახლოესი საჩეხისკენ წაიყვანა.

საჩეხში რამდენიმე მამაკაცი ტრიალებდა. ორი მათგანი ცხენს უნაგირს ადგამდა, ერთი უკვე შეკაზმული ცხენი კი ღობურაზე მიებათ. დოდოს დანახვისას ცხენებმა მისკენ გამოიწიეს. შესაკაზმავ ცხენს მამაკაცებმა წასვლის საშუალება არ მისცეს – ერთმა მათგანმა აღვირი მოზიდა და ცხენი უკან მიაბრუნა, მეორემ კი ღვედების შეკვრა განაგრძო.

დოდო მეორე ცხენს მიუახლოვდა, ღობურიდან ახსნა და ნიკასკენ წამოიყვანა. მოძრაობისას ცხენი მის მოფერებას ცდილობდა – ცხვირით ეხებოდა მხარზე, კისერზე და ყურზე.

– კარგი, კარგი... – იცინოდა დოდო, – ტყუილად მელაქუცები. დღეს არაფერი გამოგივა, ნიკას ცხენი იქნები.

– გაიცანი, ეს „ოსკარია,“ სამი წლის ინგლისური ცხენი. ის სავსებით შეეფერება დამწყებ მხედარს – მშვიდია და საგანგებოდ გაწვრთნილი. მხედარს თუ რაიმე შეეშალა, თავად გამოასწორებს შეცდომას. ასე რომ, თუ არ დაგემორჩილა, სიჯიუტედ ნუ ჩაუთვლი, – დოდო ნიკას პირისპირ შედგა და აღვირი ხელში ჩაუდო, – მოეფერე. ცხენი განსაკუთრებით მგრძნობიარეა ალერსის მიმართ. გრძნობს კეთილგანწყობას და თავადაც ასევე პასუხობს.

ნიკამ ხელი ასწია და ცხენს ფრთხილად ჩამოუსვა შუბლზე ხელი. ცხენი უმალ გამოცოცხლდა, მისკენ მიიწია, ინტერესით დაყნოსა და თავით ლოყაზე გაეხახუნა. ნიკას მართლაც მოეწონა შეხება. თვითონაც მოეფერა ცხენს – ორივე მკლავი მოხვია კისერზე და ფაფარი აუჩეჩა.



– შესანიშნავია. თქვენ უკვე გაუგეთ ერთმანეთს, – ღიმილით თქვა დოდომ და მოახოებულ მეჯინიბეს მეორე ცხენის აღვირი ჩამოართვა, მერე მოხდენილი მოძრაობით მოაჯდა უნაგირს და ნიკას მოლოდინით აღსავსე მზერა მიაპყრო. ის მიხვდა, რასაც ელოდა დოდო, ფეხი უზანგში შედგა და სხეული ზემოთ აზიდა. ცალი ფეხი უკვე უნაგირზე ჰქონდა გადადებული, ცხენი ოდნავ რომ შეინძრა. ნიკამ მაშინვე დაკარგა წონასწორობა და, გვერდით მდგარი დოდო რომ არა, ალბათ თავდაყირა გადმოეშვებოდა ცხენიდან. ქალმა დროულად შეაშველა ხელი. ნიკამ წონასწორობა აღიდგინა, უნაგირზე მოეწყო და მადლიერებით გახედა დოდოს.

– შესანიშნავი დასაწყისია, – შეაქო დოდომ, – ახლა ყველაზე მარტივ წესებს აგიხსნი: თუ აღვირს მარცხნივ მოქაჩავ, ცხენი მარცხნივ შებრუნდება. შესაბამისად მოიქცევა, თუ აღვირს მარჯვნივ მოქაჩავ. ცხენის ადგილიდან დასაძრავად გვერდებში ქუსლები ამოჰკარი. ძლიერი დარტყმა საჭირო არ არის – „ოსკარი“ ჭკვიანი ბიჭია, მცირე შეხებაც ეყოფა. ცხენის შესაჩერებლად აღვირი უკან უნდა მოქაჩო. დღეისთვის საკმარისია, ჯერ ამით დავიწყოთ. მიდი!

ნიკა დარიგებისამებრ მოიქცა – ცხენს ქუსლებით მსუბუქად შეეხო გვერდებზე. „ოსკარი“ მაშინვე დაიძრა ადგილიდან და ბილიკს გაუყვა. დოდო გვერდით გაჰყვა, თან რჩევებს აძლევდა.

– თუ წინასწორობას ვერ იკავებ, ცხენს მუხლები მჭიდროდ შემოუჭირე... წინ ნუ გადაიხრები, წელში გაიმართე და ცხენის მოძრაობას აჰყევი – ისე, თითქოს ქალთან ხარ ლოგინში... მოკლედ, არ გესწავლება...

ნიკა მონდომებით ცდილობდა რჩევების შესრულებას. თავს ძალა დაატანა, წელში გაიმართა, ცხენის რიტმულ მოძრაობას აჰყვა და... შეგრძნება, რომ მანქანით მგზავრობდა ოღროჩოღრო გზაზე, მალე გაქრა. ნიკამ მთელი სხეულით შეიგრძნო ცხენი, რომლის ზურგიც რიტმულად მოძრაობდა ზემოთ-ქვემოთ. ამაში მართლაც იყო რაღაც მიმზიდველი, რის ბოლომდე აღქმასაც ის ჯერჯერობით ვერ ახერხებდა.

– ყოჩაღ, – შეაქო დოდომ, – კარგი მოსწავლე ხარ, სწრაფად ითვისებ ყველაფერს!

ამასობაში ორივე ცხენი სარბენ ბილიკზე გავიდა და გვერდიგვერდ განაგრძო გზა.

– როგორ გრძნობ თავს? – დოდომ იმდენად ახლოს მისწია ცხენი ნიკასკენ, რომ მათი მუხლები პერიოდულად ეხებოდა ერთმანეთს.

– იმაზე ბევრად უკეთესად, ვიდრე ვვარაუდობდი, – უპასუხა ნიკამ, – შესანიშნავია. ასე მგონია, მთელი დღე არ მომბეზრდება ასე სეირნობა.

– ცხენები ჩემი მთავარი გატაცებაა, – განაგრძო დოდომ, – ვიღაცას „ფერარი“ მოსწონს, ვიღაცას – „ასტონ მარტინი“, ვიღაცა თანამდებობასა და გავლენაზე გიჟდება, ვიღაცას ხუთკარატიან ბრილიანტზე ეკეტება ტვინი, მე კი ცხენებზე ვაფანატებ. ერთი ოცნება მაქვს: ვცხოვრობდე ქალაქიდან მოშორებით, ისე, რომ ჩემი სახლის სიახლოვეს არც სხვა სახლი იყოს და არც გზატკეცილი გადიოდეს. ორგვლივ სიმშვიდე იყოს და მყავდეს რამდენიმე ცხენი.

– შენ და სიმშვიდე?! – გაუკვირდა ნიკას.

– შენ მე კარგად არ მიცნობ. ის გოგონა, რომელიც უნივერსიტეტიდან გახსოვს, წარსულში დარჩა. მე დამღალა ხმაურმა, მოუსვენარმა ცხოვრებამ და ახლა მხოლოდ სიმშვიდეს ვეძებ.

– ამ ცხენებიდან რომელიმე შენი ხომ არ არის?

– არა... ეს ნამდვილი ფუფუნებაა. კარგი ცხენი ძალიან ძვირი ღირს – ორმოცდაათი, სამოცი, ასი ათასი დოლარი. არანაკლებ ხარჯებთანაა დაკავშირებული მისი შენახვაც. ამდენს ვერ გავქაჩავ. იმითაც კმაყოფილი ვარ, რომ დროდადრო აქ მეძლევა ცხენით სეირნო-



ბის შესაძლებლობა.

– რას ნიშნავს – დროდადრო? – გახედა ნიკამ.

– კვირაში რამდენჯერმე. აქ ჩემს რამდენიმე ნაცნობს ჰყავს ცხენები და ისინი მაძლევენ სეირნობის უფლებას, – დააზუსტა დოდომ.

– „ოსკარი" ვისი ცხენია?

– ნუ მკითხავ, – გაიცინა დოდომ.

– რატომ?

– გთხოვ... იმ პიროვნებას არ უყვარს თავისი ქონების აფიშირება.

– გასაგებია... – ჩაილაპარაკა ნიკამ.

– შენი საქმე როგორ მიდის? – საუბრის თემა შეცვალა დოდომ, – გაარკვიე რამე?

– ჯერჯერობით ადგილზე ვიტკეპნები. როგორც ჩანს, ისევ მომიწევს შენს კომპანიაში მოსვლა, – უპასუხა ნიკამ.

– რისთვის?

– ინნკირველს სერიოზულად უნდა ვესაუბრო. არ მჯერა პანამელი მოქალაქისა და უკრაინაში მცხოვრები მითიური გენერალური დირექტორის არსებობა. შენც და მეც კარგად ვიცნობთ საქართველოს და ვიცით, რომ ადგილობრივი მფარველის, უფრო კი მონილეს გარეშე, კომპანია ერთ კვირასაც ვერ გაქაჩავს. მე მისი ვინაობა მჭირდება. გამორიცხულია, რომ ინნკირველს ურთიერთობა არ ჰქონდეს მასთან.

– სამწუხაროდ, ვერაფრით დაგეხმარები, – გულისტკივილით ჩაილაპარაკა დოდომ.

– მჯერა... და ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ის პიროვნება საგულდაგულოდ მალავს თავის კავშირს კომპანიასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, შენც გეცოდინებოდა მისი ვინაობა.

– სიმართლე გითხრა, არც მაინტერესებს. მე მაქვს ჩემი საქმე, ყველაფერი ის, რაც მის შესასრულებლად მჭირდება და ამაში მიხდიან საკმაოდ სოლიდურ ხელფასს. დანარჩენი კი ჩემი საქმე არ არის, – თქვა დოდომ.

– თუმცა, ის სოლიდური ხელფასი ცხენის შესაძენად არ გყოფნის, – გაიცინა ნიკამ.

– არ მყოფნის... მაგრამ პესიმისტი არასოდეს ვყოფილვარ. იმედი მაქვს, რომ ოდესმე მაინც მოვახერხებ ამ ოცნების ასრულებას, – დოდო მცირე ხნით ჩაფიქრდა და განაგრძო, – ორი დღის შემდეგ კომპანია მივლინებაში მგზავნის ბათუმში, იქ ათი-თორმეტი დღე მომიწევს ყოფნა. კომპანიას საკუთარი სახლი აქვს სარფში, რომელსაც მაღალი რანგის ხელმძღვანელების დასასვენებლად ან უცხოელი პარტნიორების მისაღებად იყენებენ. ახლა იქ არავინაა. რას იტყვი, წამოხვალ ჩემთან ერთად?

– არ შემიძლია, – დაუფარავი გულისტკივილით უპასუხა ნიკამ, – სამუშაოს ვერ მივატოვებ.

– რატომ? შენ ხომ ქირურგი არ ხარ. თანაც, ფინანსურ საქმეზე მუშაობ. სამუშაო არსად გაგექცევა – ჩამოხვალ ბათუმიდან და გააგრძელებ...

– არ შემიძლია, დოდო. ვერ წარმოიდგენ, როგორ მწყდება გული, მაგრამ, მე ადამიანს პირობა მივეცი. მას ჩემი იმედი აქვს და მარტოს ვერ მივატოვებ! – თავი გააქნია ნიკამ.

– მე მეგონა, შეიცვალე. შენ კი ისევ ისეთი იდეალისტი ხარ, როგორიც სტუდენტობისას იყავი, – ყრუდ ჩაილაპარაკა დოდომ და ცხენიააჩქარა.

იგივე სცადა ნიკამაც და, დარიგებისამებრ, ცხენს ქუსლები მსუბუქად შემოჰკრა გვერდებში. სწორედ ამ დროს ღობის მიღმა ბუჩქნარიდან, რომლის გასწვრივაც გზატკეცილი გადიოდა, მანქანის გაბმული სიგნალი გაისმა. სიგნალმა საშინლად დააფრთხო „ოსკარი" – ცხენი მოულოდნელად გახტა გვერდზე, შემდეგ კი ადგილს მოსწყდა და ჭენებით გაუყვა ბილიკს. ნიკამ გაჭირვებით შეძლო თავის შეკავება. დოდომ მაშინვე გააფიცხა ცხენი, უკან მიჰყვა და თან უყვიროდა:

– ალვირი... ალვირი მოქაჩე!..

ნიკამ ძლიერად მოქაჩა ალვირი. „ოსკარმა" ოდნავ შეანელა ჭენება, შემდეგ კი მოულოდნელად ყალყზე შედგა, შებარბაცდა, უკან გადაქანდა და ზემოდან დაასკდა უნაგირიდან გადავარდნილ ნიკას...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# კალეიდოსკოპი

## მამაკაცებს გადაშენება ემუქრებათ

„მამაკაცები სქესთა ბრძოლაში მარცხდებიან," – ასეთი განცხადება გააკეთა მეცნიერმა ქალმა ჯენი გრეივსმა. მისი სიტყვებით, მამაკაცი, როგორც სახეობა, 5 მილიონი წლის შემდეგ მთლიანად გადაშენდება, რადგან Y-ქრომოსომა, რომელიც მამაკაცის გენზე აგებს პასუხს, სუსტია და დაშლის პროცესში იმყოფება.

როგორც ავსტრალიელი მეცნიერი ამბობს, ქალის X-ქრომოსომა 1 000-მდე გენს შეიცავს. მამაკაცის Y-ქრომოსომასაც დასაწყისში იმდენივე გენი ჰქონდა, რამდენიც ქალის ანალოგს, მაგრამ, ასობით მილიონი წლის განმავლობაში მუდმივ დაშლას განიცდიდა და თანამედროვე მამაკაცს მხოლოდ 100 გენი დარჩა. ერთ-ერთი მათგანია SRY-გენი – „სქესობრივი გადამრთველი", რომელიც ჩანასახის სქესს განსაზღვრავს.

როგორც ცნობილია, ქალებს ორი ქრომოსომა აქვთ (XX). გრეივსის აზრით, ეს საშუალებას იძლევა, დაზიანებულ გენებს ჩაენაცვლოს ჯანმრთელი. მამაკაცის Y-ქრომოსომას კი ეს არ შეუძლია და სწორედ ამიტომ ხდება გენების დაკარგვა. პროცესი უკვე დაიწყო – ეს ცუდი სიახლეა. „კარგი" კი ის არის, რომ მამაკაცების „სინსილის განწყვეტა" 5 მილიონი წლის შემდეგ მოხდება. ექსპერტები გვაიმედებენ, რომ ეს დრო სავსებით საკმარისი იქნება, მედიცინის მეცნიერება ისე განვითარდეს, რომ ყველაფერი გამოსწორდეს, ან... შეიძლება, ადამიანის ახალი სახეობაც კი წარმოიშვას.

## სალამი და ფოტოები კოსმოსში, „პატარა უფლისწულთან" გაიგზავნება

აღმოსავლეთი მზის ქვეყანაში მოიფიქრეს, როგორ გაუწიონ პოპულარიზაცია კოსმოსის ათვისების თავიანთ პროგრამას: მეცნიერებმა გადაწყვიტეს, რომ ზონდ „ჰაიაბუს 2-ს", რომელიც გრუნტის სინჯის ასაღებად გეზს ასტეროიდისკენ 2014 წელს აიღებს, „გაატანონ" ჩიპი, რომელზეც ჩაწერილი იქნება გზავნილები დედამიწიდან. მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს, ვინც გამოთქვამს სურვილს, გაგზავნოს თავისი ფოტო ან, „ჰაერების" ჩათვლით, 20 ნიშნისგან შემდგარი წერილი. იაპონელები მზად არიან, ითანამშრომლონ არა მარტო კერძო პირებთან, არამედ, კომპანიებთანაც. ასევე, გათვალისწინებულია, რომ მათ შეუძლიათ, სურვილი გამოთქვან, კოსმოსში გაგზავნონ ოჯახის ან ორგანიზაციის მთელი კოლექტივის ფოტოსურათები.

იაპონიის აეროკოსმოსური სააგენტოს კომპანია JAXA-მ ამ პროექტისთვის, რომელსაც სახელად უწოდეს „პატარა უფლისწულის შესახვედრად" სპეციალური საიტი გახსნა, სადაც შეგეძლებათ გაეცნოთ მონაწილეობის წესებს. განცხადებები მიიღება 2013 წლის 10 აპრილიდან 16 ივლისამდე.

„ჰაიაბუს 2" 2018 წელს მიაღწევს 920 მეტრი დიამეტრის ასტეროიდ 1999 JUS-ს, გადმოსვამს მასზე გერმანულ „მხტუნავ" მოდულ NASCOT-ს, აიღებს გრუნტის ნიმუშს, 2020 წელს კი დედამიწას დაუბრუნდება.

## გერმანიაში „ოსვენციმის" 50 ზედამხედველი აღმოაჩინეს

გერმანული უწყება, რომელიც ნაციონალ-სოციალისტების დანაშაულთა გამოძიებითაა დაკავებული, ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკის – „ოსვენციმის" 50 ზედამხედველის კვალზე გავიდა. აღმოჩნდა, რომ „სიკვდილის ბანაკის" ეს თანამშრომლები, რომელთა ასაკი დაახლოებით 90 წელია, თურმე, სულაც არ იმალებოდნენ ქვეყნის საზღვრებს გარეთ და მშვიდად ცხოვრობდნენ გერმანიის ტერიტორიაზე. გამომძიებლებისთვის უკვე ცნობილია მათი ვინაობა და მისამართები. თითოეულ მათგანს ბრალი წარედგინებათ მკვლელობებში მონაწილეობისთვის.

ეს სენსაციური ამბავია. „ოსვენციმის" ზედამხედველთა საქმე გასული საუკუნის 60-იან წლებში განიხილებოდა. უკანასკნელი განაჩენი, სხვათა შორის, გამამართლებელი, 37 წლის წინ გამოიტანეს. გასაოცარია, რომ 68 წლის შემდეგ არის აღმოჩენილი ბანაკის ამდენი ცოცხალი თანამშრომელი.

„ოსვენციმის" საკონცენტრაციო ბანაკი, სადაც წლების განმავლობაში მილიონზე მეტი ადამიანი იტანჯებოდა და იღუპებოდა, გერმანიის მიერ ოკუპირებულ თანამედროვე პოლონეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა. 1941-1945 წლებში ბანაკში 1,3 მილიონი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს, მათ შორის – მილიონამდე ებრაელი.

**მოამზადა
ლაშა გაბელიამ**

**ოთო ნემსაძე რომ უკრაინულ „ვოისში“ წარმატებას მიაღწევდა, ალბათ, ამაში არავის შეჰპარვია ეჭვი. თუმცა, ოთომ „ბრმა ქასთინგზე“ ნამღერით, არტისტიზმით, ემოციურობითა და ენერგიულობით არავინ დატოვა გულგრილი. რაც მთავარია, მან ოთხივე მწვრთნელი შემოაბრუნა და აღაფრთოვანა. ქასთინგისა და რინგების წარმატებულად გადალახვის შემდეგ, ოთოზე ლამის მთელი უკრაინა ალაპარაკდა და ბევრი გულშემატკივარიც გამოუჩნდა. ასე რომ, წინ უკვე „ლაივ“ კონცერტებია, სადაც ყველაფერს ესემესები გადაწყვეტს.**

# რა მდგომარეობაში ჩააგდეს უკრაინელ გოგონასთან ოთო ნემსაძე და რა შანსები არ დაუტოვა მან თავის კონკურენტებსა და მწვრთნელს

**ოთო ნემსაძე**: „ბრმა ქასთინგს“ რინგებიც მივაყოლე. ჯერ ეთერში არ გასულა, მაგრამ უკვე ჩატარდა. პირველ რინგზე, როგორ ცუდადაც არ უნდა ჟღერდეს, უკრაინელ გოგონას ვაჯობე. მეორე რინგზე ჰარდ-როკერ თურქ ბიჭს. მეორე შემთხვევაში შანსები 50-50-ზე იყო, ძალიან ძლიერი კონკურენტი მყავდა, მაგრამ, ხომ იცი, მე რომ მამაკაცური ქსელები მაქვს – საქართველო რომ დამცინოდა ამ ამბავზე. იქ ეს უფრო მეტად ჭრის და ვაჯობე. ქასთინგებში 13 ათას კაცზე მეტი იღებდა მონაწილეობას. „ბრმა ქასთინგზე“ რამდენი დარჩა, არ ვიცი, რადგან დღემდე გადის ეთერში და თან, როგორც ვიცი, ყველა არ მოხვდა. საბოლოო ჯამში, მწვრთნელებთან 18-18-ნი დავრჩით, ანუ სულ – 72. აქედან შემდეგ ეტაპზე გავედით 16. მწვრთნელმა დამაყენა უკრაინელ გოგონასთან – ის გაგდებს ასეთ მდგომარეობაში, ხოლო ტელევიზია სიმღერას გირჩევს.

**– როგორი იყო იმ გოგონასთან შენი შანსები?**

– არ მეშინოდა. უფრო სწორად, დარწმუნებული ვიყავი, რომ გადავიდოდი მეორე ეტაპზე. რაც შეეხება თურქ ბიჭთან სიმღერას, იქ კი ვნერვიულობდი. ძალიან ნიჭიერია, ძლიერი და სასიამოვნო ხმის ტემბრი აქვს. დღეს მე და ის მეგობრები ვართ, ძალიან კარგი ბიჭია. მან იმღერა „აეროსმიტის“ სიმღერა და მე – „იესო ქრისტე – სუპერვარსკვლავიდან“ იუდას არია. მწვრთნელი სცენაზე ამოვიდა და მითხრა: შანსი არ დამიტოვეო. ჩვენი დუეტი სხვა დუეტებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო – საკვანძო, თან, ბოლოს ვიმღერეთ, ძალიან დაღლილები ვიყავით. ამ შემთხვევაში, მე ავირჩიე სიმღერა. ბოლო დროს ჩემი მწვრთნელი მიჯერებს. ერთი თხოვნა აქვს, რომ მხოლოდ ერთი სიმღერის არჩევის უფლება დაიტოვოს. ანუ, კონცერტზე უნდა, უკრაინული სიმღერა ვიმღერო. რამდენჯერმე მიმღერია უკრაინული სიმღერა, მაგრამ ეს ძალიან მგრძნობიარეა – უკრაინელი ხალხისთვის ისეთი საყვარელი, როგორც დაახლოებით, ქართველებისთვის გოგი დოლიძის სიმღერებია. შესაბამისად, ჩემთვის ეს უფრო მეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა. ჩემს მწვრთნელს ყველაზე ძლიერი გუნდი ჰყავს, თან – ინტერნაციონალური. სხვა გუნდებში ძირითადად უკრაინელები არიან. ანუ, 4 კაცში დავრჩით მე, ერთი ქართველი ბიჭი – მიხეილ კილაძე, რომელიც 8 წელია, უკრაინაში ცხოვრობს, ასევე, ფრანგი ბიჭი და უკრაინელი გოგონა.



**ერთადერთი ადამიანი იყო, ვისი სახელიც ვიცოდი, სხვებისთვის კი როგორ უნდა მიმემართა, ისიც კი არ ვიცოდი. თან, თავიდანვე გადაწყვეტილი მქონდა, თუ შემობრუნდებოდა, მასთან წავსულიყავი**

**– ამხელა კონკურსში მაინცდამაინც ქართველთან მოგიწევს შერკინება?**

– დავმეგობრდით, ძალიან კარგი ბიჭია, სხვანაირი ხმის ტემბრი აქვს. მაგრამ, უკრაინაში უკრაინელების არ მეშინია და არც შენი მეშინია, მიშა! ახლა უკვე ყველაფერი ესემესებზეა. ვფიქრობ პირველი კონცერტიდან არ გავვარდები და მეორეზე – არ ვიცი. მაისის დასაწყისში დაიწყება კონცერტები, ამიტომაც მივდივარ თვის ბოლოს. ორკესტრთან გვექნება რეპეტიციები, გავარჩევთ 8-9 სიმღერას და რომელიც უკეთესი იქნება, იქიდან ოთხს ავარჩევთ. ერთი სიმღერის გარდა, ყველა ჩემი არჩეულია.

**– ოთხივე მწვრთნელი შემოგიტრიალდა, მაგრამ შენ სვიატოსლავ ვაკარჩუკი აირჩიე, თან თქვი, რომ თავიდანვე ასე გქონდა გადაწყვეტილი.**

– სვიატოსლავ ვაკარჩუკი ჯგუფის „ოკეან ელზის“ სოლისტია – ძალიან ცნობილი და წარმატებული. თამამად შეუძლია, ნებისმიერ დღეს მაყურებლით გაავსოს სტადიონი. არა მხოლოდ უკრაინაში, არამედ რუსეთში, ევროპაში, ამერიკაშიც აქვს კონცერტები. ისეთ მუსიკას წერენ, მლერიან, რომ დიდი სიამოვნებით ვუსმენ. თან, ახალგაზრდაა, ის მუხტი აქვს, რაც მასში უფრო მაინტერესებს, ვიდრე მისი მუსიკალურობა. თან, ერთადერთია, ვისი სახელიც ვიცოდი. სხვებისთვის როგორ უნდა მიმემართა, ისიც კი არ ვიცოდი. თან, თავიდან გადაწყვეტილი მქონდა, რომ თუ შემობრუდნებოდა, მასთან უნდა წავსულიყავი. თან, ძალიან იაქტიურა, როგორც კი მობრუნდა, მაშინვე დაიწყო ლაპარაკი. სხვათა შორის, არც მიფიქრია, რომ ოთხივე მწვრთნელი შემომიბრუნდებოდა, თუმცა, რაღაც წარმატებას რომ მივაღწევდი, ამაში დარწმუნებული ვიყავი. თან, ამხელა გამოხმაურება თუ მოჰყვებოდა ჩემს გამოსვლას, არ მეგონა. უკრაინაშიც ბევრს ლაპარაკობენ ამ თემაზე. უკრაინულ ბლოგებზე, საიტებზე წერენ, ტელევიზიებში საუბრობენ ჩემზე: „გრუზინ პრიცელილსია ნა პობედუ“. ჩემს ხასიათს უსვამენ ხაზს. უკრაინულ ესტრადაზე ემოციური შესრულება ძალიან აკლიათ, სულ მუხტს ელოდებიან და მიიღეს კიდეც. სიმართლე გითხრა, იქ რას ლაპარაკობენ, ამას ნაკლებად ვაქცევ ყურადღებას. მიხარია, რომ საქართველოში ჩემს გამოსვლას ამხელა ემოცია მოჰყვა, ამდენი ადამიანი მგულშემატკივრობს. ჩემ შესახებ ამდენი დადებითი კომენტარი ჯერ არ წამიკითხავს და ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია, სხვა ქვეყანაში ვთქვა – მე ქართველი ვარ, საქართველოდან. უკრაინაშიც ძალიან უყვართ ქართველები და მოკრძალების გრძნობა აქვთ: „გრუზინამ ნადო უვაჟატ“.

**– როდესაც უკრაინელების წინაშე მღერი, თუ ითვალისწინებ მათ ხასიათს, მუსიკისადმი დამოკიდებულებას, გემოვნებას?**

– არაფერი გამითვალისწინებია. ერთადერთი

**ერთადერთი ადამიანი ვიყავი, ვისაც დამრთეს უფლება, მემღერა ისეთი სიმღერა, რომელსაც უკრაინის 100 პროცენტი არ უსმენს. მითხრეს: ამას მაინც უყურებენო**

ადამიანი ვიყავი, ვისაც იმის უფლება დამრთეს, ისეთი სიმღერა მემღერა, რომელსაც უკრაინის 100 პროცენტი არ უსმენს. მითხრეს: ამას მაინც უყურებენო... რაც მთავარია, კარგი გამოხმაურება მოჰყვა, მოეწონათ.

**– როგორი ურთიერთობა გაქვს მწვრთნელთან?**

– ძალიან კარგი ადამიანია. სხვა მწვრთნელებისგან განსხვავებით, 24 საათი ჩვენთან ერთად არის, შეკრული გუნდია. ხშირად დავდივართ გასართობ ცენტრებში, რეპეტიციებზე სულ ერთად ვართ, ვსაუბრობთ, ბევრს ვმუშაობთ. დიდი გამოცდილება აქვს და ბევრ რამეს ვსწავლობ მისგან. ვისწავლე, რომ უფრო მეტი უნდა იმუშაო, ვიდრე შეგიძლია. სანამ არ დაეცემი და მოკვდები, არ უნდა გაჩერდე. ზოგადად, მიყვარს, როცა რაღაცას ვაკეთებ და ზედ ვაკვდები, მაგრამ ახლა უფრო მეტი და მეტი მინდა, ვაკეთო. რაც უფრო ბევრს აკეთებ, მით მეტს ითხოვ საკუთარი თავისგან. ბევრ მუსიკოსთან მიმუშავია და ეს ძალიან მეხმარება. მაგრამ, იქ ტემპი აჩქარებულია, ყველაფერი ძალიან მალე უნდა გააკეთო. მაგალითად, „ბრმა ქასთინგზე“ ნახევარ საათში გავაკეთე ეს სიმღერა. რაც ძალიან კარგია – სწავლობ სწრაფად მუშაობას. ბევრი კონკურსანტი იყო და შესაბამისად, სწრაფად ვაკეთებდით ყველაფერს. მწვრთნელი ყველა ტურის წინ მეუბნება, რომ ძალიან კარგად უნდა ვიმღერო. თან, ბევრი ადამიანი ელოდება ჩემს გადასვლას სხვა ტურებში და მეც მაქსიმალურს ვაკეთებ.

**– სად დადიხართ ძირითადად გასართობად?**

– პირველად ვიდექი ციგურებზე და ძალიან გაუკვირდათ – ასე კარგად როგორ დგახარო. მეგონა, სულ ძირს ვეგდებოდი, მაგრამ მშვენივრად ვიდექი და ძალიან მომეწონა. რესტორნები, ბარები, მოკლედ, იქაურობა აკლებული გვაქვს. არ ვიწყენ, კარგად ვერთობით, მაგრამ, როცა სამუშაო დღეა, დილის 9 საათიდან ღამის 3 საათამდე იქ ვართ. თან, პავილიონები ქალაქიდან მოშორებითაა. ეს ბორშჩიც ამოვიდა ყელში. არა, ვხუმრობ ძალიან გემრიელია. აი, ფრენა მართლა ამომივიდა ყელში. მგზავრობას და სასტუმროს ისინი უზრუნველყოფენ, არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ ყველა კონკურსანტისთვის. მაგრამ, მხოლოდ მე დავფრინავ, ისინი მატარებლით დადიან.

**– ხალხი გცნობს უკვე?**

– კი, ქუჩაში მცნობენ. ჩემი გუნდიდან ყველაზე პოპულარული ვარ, რადგან ჩემს ვიდეოს ყველაზე მეტი გამოხმაურება ჰქონდა, ბევრი ნახვა აქვს ინტერნეტში და ამ გადაცემას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. თან, ყველაზე ძლიერი გუნდი გვყავს. ყველა ძლიერი კონკურსანტი სვიატოსლავთან წამოვიდა, რადგან ბევრს უყვარს. ეს, რა თქმა უნდა, უკეთესია. თუმცა, ბევრმა მითხრა: სხვა გუნდში წასულიყავი, უფრო მარტივი იქნებოდა ფინალში გადასვლაო. თუ გამოვარდნაა, ბარემ თავიდან გამოვვარდე, არ ჯობია? ჯერ ზუსტად არ ვიცი, მაგრამ, იმედია, საქართველოდანაც იქნება დამესიჯება შესაძლებელი და ჩემი ხალხი კიდევ ერთხელ დამიდგება გვერდში.

**– უკრაინელ გოგონებშიც გახდებოდი პოპულარული.**

– რას მეუბნები, მაგათ ერთი გოგონები, „პერცოვკა“ და ბორშჩი არ უვარგათ, დანარჩენი ყველაფერი კარგი აქვთ. როგორ შეიძლება ნებისმიერი „გრუზინი“ არ იყოს უკრაინაში პოპულარული. ეს არ არის მითი, დიდ პატივს გვცემენ, ძალიან ვუყვარვართ, ოღონდ ყველას არა, რა თქმა უნდა.

**– „იურმალის“ შესარჩევ ტურშიც იღებდი მონაწილეობას, მაგრამ ვერ გახვედი.**

– საერთოდ არ ვნანობ, რატომ უნდა ვნანობდე იმას, რაც გავაკეთე? არ იყო, ალბათ, წელს ჩემი კონკურსი, ან იქით წელს არ იქნება ჩემი კონკურსი. თუმცა, საქართველო ღირსეულად წარდგება „იურმალაზე“ და წარმატებას ვუსურვებ!

**ნათია უტიაშვილი**

## ჯგუფ „შინისა“ და „ბრავო რეკორდსის“ ერთობლივი პროექტი

2013 წლის 11 აპრილს „ბრავო რექორდსში“ გაიმართა ჯგუფ „შინისა“ და ხმის ჩამწერი კომპანია „ბრავო რექორდ-ის“ ერთობლივი პროექტის პრეზენტაცია პრესისთვის. ჯგუფი თოთხმეტწლიანი მოღვაწეობის შემდეგ უბრუნდება სამშობლოს და უამრავ გეგმას ახორციელებს. პირველი ამ გეგმაში უნიკალური და ინოვაციური პროექტია, რომელსაც „ბრავო რექორდსი“ სიდი ალბომის სახით სულ



ცოტა ხანში გამოსცემს და ჯგუფის სამშობლოში დაბრუნებას მიუძღვნის. 2012 წლის 10 დეკემბერს ქალაქ რიგის კონგრესჰოლში ჯგუფი უკვე წარდგა მსგავსი პროექტით ლატვიელი მაყურებლის წინაშე. პროექტში თავმოყრილია გია ყანჩელის, ჩიკ კორეას, ჰოაკინ როდრიგოს, მაიკლ სტერნის, მაილს დევისის ნაწარმოებებისა და ქართული ხალხური მუსიკის მოტივები. „ბრავო რექორდსის“ პრეზიდენტმა ზაზა შენგელიამ პატარა საიდუმლოც გაგვანდო და თქვა, რომ ჯგუფი „შინი“ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გეგმავს პროექტის განხორციელებას.

ჯგუფ „შინის“ ახალ პროექტზე იმუშავებენ: თბილისის სიმფონიური ორკესტრი ვატო კახიძის ხელმძღვანელობით, თბილისის კონსერვატორიის ვოკალური კვარტეტი და ნინო ანანიაშვილის საბალეტო დასი. ალბომში შევა თორმეტი მუსიკალური ნაწარმოები, რომელთა სტუდიური ჩაწერებიც 12 აპრილს დაიწყო. კონცერტი „არაჩვეულებრივი გამოფენა“ 26 მაისს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება.

## დათუნა ხრიკულის თავბრუდამხვევი წარმატებები

***ცნობილ პედაგოგს, დოდო ცინცაძეს, მეტსახელად „ლაურეატების მჭედელს“ უწოდებენ. მის მიერ აღზრდილი პიანისტები მთელ მსოფლიოში წარმატებით მოღვაწეობენ. ამჯერად ქალბატონი დოდო მისი მოწაფის, პატარა – დათუნა ხრიკულის დიდი გამარჯვების შემდეგ გვიამბობს.***

**დოდო ცინცაძე:** დათუნა ჩემთან ოთხი წლის წინ მოვიდა. მაშინვე ჩანდა ბავშვის განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემები. პირველივე წელს დაუკრა ჰაიდნის კონცერტი ბატონ რეზო ტაკიძის დირიჟორობით. მონაწილეობა მიიღო თბილისში ჩატარებულ თითქმის ყველა რესპუბლიკურ კონკურსში, სადაც გამარჯვება მოიპოვა.

**– პირველად რომელ ქვეყანას ეწვია დათუნა?**

– რამდენიმე წლის წინ ჰოლანდიაში მყავდა წაყვანილი ჩემი მოწაფე – ანა გოგავა და პრესაში არაერთგან აღინიშნა ანას შესახებ, რომელმაც ამ კონკურსში უფროს ასაკობრივ კატეგორიაში მოიპოვა პირველი ადგილი



და ხუთი სპეციალური პრიზი... წელს მე და დათუნა გავემგზავრეთ ჰოლანდიაში და დათუნამ საერთაშორისო კონკურსში მიიღო მონაწილეობა უმცროს ასაკობრივ კატეგორიაში, რომელიც მოიცავს 11 წლიდან 16 წლამდე მონაწილეებს. მიუხედავად ასეთი ასაკობრივი დისტანციისა, დათუნამ პირველი ადგილი დაიკავა.

**– ცოტა ხნის წინ კი დათუნამ კიდევ ერთი დიდი გამარჯვება მოიპოვა...**

– დიახ... ამის შემდეგ დავიწყეთ მომზადება დანიის კონკურსისთვის, რომელიც ჩემთვის უცხო იყო. კონკურსზე წინასწარ უნდა გაგვეგზავნა ჩანაწერი 25-წუთიანი პროგრამით. მიწვევა მივიღეთ... ძალიან ვშიშობდი, რადგან, ქალაქიც უცხო იყო ჩემთვის, თან, კონკურსის ყველა მონაწილე 15-16 წლის იყო, დათუნა კი – მხოლოდ 11 წლის... პირველივე ტურში დათუნამ ჟიურის დიდი მოწონება და აპლოდისმენტები დაიმსახურა. პირველი ტურიდან მეორე ტურში 20 მონაწილიდან 10 მონაწილე გადავიდა. მეორე ტურში რომ გამოვიდა, ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, ხალხი წინასწარ გვილოცავდა გამარჯვებას. დასკვნით ტურში მხოლოდ სამი გადის და, როდესაც ამ სამეულში დათუნა გამოაცხადეს, დიდი ოვაციები და ტაშისცემა მოჰყვა... ჩვენი ძირითადი კონკურენტები იყვნენ ბავშვები მოსკოვიდან. ყველაზე მეტად გამახარა იმ ფაქტმა, რომ ისინიც და მათი მშობლებიც პატივისცემით გვეპყრობოდნენ და გვქომაგობდნენ კიდეც... დათუნამ დიდი წარმატებით დაუკრა. როდესაც პრემიები გამოაცხადეს, ცნობილი გახდა, რომ პირველი პრემია დათუნას მიენიჭა. ასევე მიენიჭა ფულადი ჯილდო. პრემიაც საკმაოდ სოლიდურ თანხას მოიცავდა და დათუნას ინსტრუმენტი შევუძინეთ... არის შემოთავაზებები და მიწვეულია სხავადასხვა ფესტივალზე, მათ შორის, ქალაქ კოპენჰაგენის ფესტივალზე. გარდა ამისა, წავა ერევანში საერთაშორისო ფესტივალზე და, ასევე, მიწვეულია შვეიცარიაში ორი კონცერტით.

## ნუგზარ მახათელი ბალეტის საუკეთესო ქორეოგრაფიაში ამერიკის მასშტაბით გამარჯვებულად დაასახელეს

***ნუგზარ მახათელი, მარინა ლოლაძე, დავით მახათელი, მაია მახათელი... ეს ერთი ოჯახის ოთხი წარმომადგენელია. ყველა მათგანი საბალეტო ხელოვნებაში მოღვაწეობს და მათ მსოფლიო წარმატებებზე უცხოური პრესა ხშირად აღნიშნავს. დავით მახათელს წარმატება სცენაზე თვით ინგლისის დედოფალმა და პრინცმა ჩარლზმა მიულოცა... ცოტა ხნის წინ ნუგზარ მახათელს ამერიკის მასშტაბით ძალზედ მნიშვნელოვანი ჯილდო გადაეცა...***

**ნუგზარ მახათელი:** უკვე 12 წელია ამერიკის შეერთებულ შტატებში ვეწევი სადადგმო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ჩემს მეუღლესთან – მარინა ლოლაძესთან ერთად. მრავალ ჯილდოსთან ერთად, ნომინირებული ვიყავი საუკეთესო ბალეტის ქორეოგრაფიაზე და იანვარში ჩატარებულ ცერემონიაზე (ნიუ-ორლეანის საუკეთესო სასტუმროში „მონტელეონ”) გამომაცხადეს გამარჯვებულად, რაც ძალიან სასიამოვნო იყო ჩემთვის.



**– სად მოღვაწეობენ დღეს თქვენი შვილები?**

– დათომ გახსნა ოფისი თავის ბელგიელ ბიზნესპარტნიორთან – დენისთან ერთად D&D ART PRODUCTIONS ლონდონსა და ბრიუსელში, რომელიც ემსახურება მაღალი მხატვრული კლასის ქორეოგრაფიული ნაწარმოებებისა და ნიჭიერი ახალგაზრდა მოცეკვავეების საერთაშორისო პოპულარიზაციას მთელი მსოფლიოს მასშტაბით...

დავით მახათელი წამყვანი მსახიობი იყო ქალაქ ჰიუსტონის საბალეტო კომპანიაში და ასევე 7 წლის მანძილზე ლონდონის, „კოვენტ-გარდენის”, „როიალ-ბალეტის” კომპანიის წამყვანი მსახიობი.

კომპანია AD&D ART PRODUCTIONS-ის მეშვეობით უკვე ჩატარდა ათობით მრავალი საინტერესო გალა კონცერტები, მსოფლიოს სხვადასხვა ვარსკვლავების მონაწილეობით. მათ შორის ათენში, ლონდონში, მოსკოვში, ნიუ-იორკში და ასე შემდეგ... ბოლო მათგანი იყო ნურიევის საღამო, რომელიც გაიმართა ბელგიაში 23 მარტს...

მაია მახათელი მოღვაწეობს ნიდერლანდებში, ამსტერდამის, საბალეტო კომპანიის წამყვანი ბალერინაა. მისი წარმატებები იმდენად შთამბეჭდავია, რომ ბოლო სამი თვის განმავლობაში მის საშემსრულებლო მოღვაწეობას პრესა ქებით მოიხსენიებდა..

**– როგორია თქვენი ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრება ამერიკაში?**

– ამერიკაში დენვერში ვცხოვრობდით 7 წლის განმავლობაში. დენვერში კიდევ თბილისელების სამი ოჯახი ცხოვრობდა, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი გვქონდა. რასაკვირველია, ყოველთვის დომინირებდა ქართული სუფრა, სიმღერა და ასე შემდეგ... რაც ნიუ-ორლეანში ჩამოვედით აქ ასეთი ქართული ნებივრობა 5 წლის განმავლობაში არ გვქონდა. როდესაც ნიუ-იორკში გადავალთ, იქ ბევრნი არიან საქართველოდან და ალბათ აღდგება ჩვენი ქართული ტრადიცია ამერიკაში... თუმცა ყველაფერს ისევ თბილისი ჯობია.

**– თქვენი დიდი გამოცდილებიდან რა რჩევები გაქვთ?**

– მინდა გაგიზიაროთ ჩემი გულისტკივილი თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებლის თაობაზე. ვფიქრობ, რომ ექვსი წლის წინათ განხორციელებულმა სასკოლო რეფორმამ უარყოფითად იმოქმედა მომავალ მოცეკვავეთა სწავლების ხარისხზე. მანამდე სკოლისა და ქორეოგრაფიული ცეკვის საგნები ერთ შენობაში ტარდებოდა და სკოლა ერთ დაწესებულებას, საქართველოს კულტურის სამინისტროს ექვემდებარებოდა. ამჟამად დანერგილმა განათლების ახალმა სისტემამ კი სწავლება მოუხერხებელი გახადა, რადგანაც სასკოლო და ქორეოგრაფიული საგნები გაიყო. ზოგადი საგნები დაექვემდებარა განათლების სამინისტროს, ქორეოგრაფიული სწავლება კი დარჩა კულტურის სამინისტროს კომპეტენციაში. გამოდის რომ, სასწავლებლის მაგიერ კვლავ დაუბრუნდნენ საბალეტო სტუდიის მსგავს მოდელს, რომელიც 1935 წელს დავით ჯავრიშვილმა დააარსა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შენობაში. მინდა ვთქვა, რომ განათლების ახალმა რეფორმამ 60 წლით უკან დააბრუნა ქორეოგრაფიული ხელოვნების სწავლება საქართველოში. მთელ მსოფლიოში მრავალგზის აპრობირებული და გამართლებული მეთოდია სკოლისა და ხელოვნების ერთ შენობაში არსებობა. ამიტომ ჩვენი განათლების ახლანდელ რეფორმატორებს უმორჩილესად მინდა ვთხოვო, რომ კიდევ ერთხელ საფუძვლიანად ჩაუღრმავდნენ აღნიშნული სასწავლებლის პრობლემატიკას და აღუდგინონ მას „რეფორმამდელი” სახე და სტატუსი, როგორც ეს იყო 2006 წლამდე.

**მოამზადა სალომე გველესიანმა**

**იაპონელები საუკუნეების განმავლობაში აყალიბებდნენ ტრადიციებს, რომელთა ერთგულებიც დღემდე რჩებიან. მათი ტრადიციის ნაწილია ორთაბრძოლა სუმო, რომელიც იაპონელებს ძალიან უყვართ. სუმოს მოჭიდავეს ტრადიცია უამრავ შეზღუდვას უწესებს და პრივილეგიას ანიჭებს. რის გამოა „სუმოისტი“ ზეადამიანი, ამის შესახებ კულტუროლოგი ნინო გოგავა გვიყვება.**

# რატომ მიიჩნევა სუმო ღმერთების ორთაბრძოლად და რატომ მსაჯობს შეჯიბრებას მღვდელმსახური

**ნინო გოგავა**: პროფესიულ დონეზე სუმო მხოლოდ იაპონიაშია, სხვაგან, ხუთივე კონტინენტზე არსებობს სუმოს ტურნირები, მაგრამ, ეს სამოყვარულო სუმოა და ტრადიციებთან ძალიან ცოტა აქვს საერთო. სუმოს მოჭიდავეები არიან იაპონიის ეროვნული გმირები, ზეადამიანები, რაც სუმოს შესახებ გავრცელებული ლეგენდებიდან მომდინარეობს. მათგან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია. მზის ქალღმერთის, ამატერასუს ბრძანებით, ორი უძლიერესი ღმერთი – მთის და ზღვისა და ტბების ერთმანეთს შეერკინენ სუმოში. ვინც გაიმარჯვებდა, მისი იქნებოდა იაპონიის კუნძულების მმართველობა და სწორედ მისი შვილები არიან იაპონიის იმპერატორები. შესაბამისად, სუმო საიმპერატორო კარის განუყოფელი ნაწილია. შეჯიბრებები სეზონურად ტარდება, სხვადასხვა რეგიონის გამარჯვებულები ჩამოდიოდნენ და საიმპერატორო კარზე ერთმანეთს ხვდებოდნენ. სუმოს ძალიან დიდი რელიგიური დატვირთვა აქვს, ის სამონასტრო-რიტუალური ორთაბრძოლაა. როგორც საიმპერატორო კარზე, ისე შინტოს მონასტრებშიც, სპეციალური სკოლები იყო, სადაც სუმოს მოჭიდავეებს ზრდიდნენ. სუმოს დარბაზი, მოჭიდავეები, მათი ცხოვრების სტილი დატვირთული და გაჟღენთილია რელიგიური ელემენტებითა და სიმბოლოებით. მსაჯიც კი, რომელიც სუმოისტებთან ერთად საჭიდაო მოედანზე დგას შინტოისტური ტაძრის მღვდელმსახურია. მას ხელში მარაო უჭირავს, რომლის აწევა და გადაშლა ნიშნავს, რომ ორთაბრძოლა დასრულდა. ამ მარაოთივე გადასცემს ის გამარჯვებულს კონვერტში ჩადებულ ფულად ჯილდოს.



**მარილი, რომელსაც მოჭიდავეები ტანზე იყრიან და დოხეზე ყრიან, ნიშნავს, რომ ის ადგილი და თავად მოჭიდავეებიც, სუფთავდებიან და ბოროტ ძალებს დევნიან**

**– მოჭიდავეები რანგის მიხედვით იყოფიან?**

– დიახ, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ. მანამდე მინდა გითხრათ, რომ მეჩვიდმეტე საუკუნე სუმოსთვის ოქროს ხანაა – ტოკუგავას პერიოდი, როდესაც იაპონიაში ყველაფერი ყვავის. ამ დროს ჩნდება ქუჩისა და ქალთა კომიკურ-სექსუალური ხასიათის სუმო, რომელიც მოგვიანებით, აიკრძალა. მეოცე საუკუნიდან ქალთა სუმოს ტურნირები არაპროფესიონალურ დონეზე უკვე ტარდება, მაგრამ ეს საკმაოდ მძიმე სანახაობაა. ესთეტიკურად ლამაზი ნამდვილად არ არის. ახლა მთავარი – სუმოს მოედანი, დოხე, როგორც ჩამოყალიბდა მეთექვსმეტე საუკუნეში იმ ფორმით, ზომითა და შინაარსით აგრძელებს არსებობას. ეს არის ოთხკუთხედი, შვიდი მეტრი და ოცდაშვიდი სანტიმეტრის სიგრძის მოედანი, რომელიც დაპრესილი თიხისგან კეთდება. მას ზემოდან აყრიან ქვიშას. ოთხკუთხედი მერე მრგვლად არის შემოსაზღვრული ბრინჯის თივისგან დაწნილი თოკით. სიმრგვალეში იყრება ქვიშა და ყოველი შეჯიბრების წინ, სწორდება, რათა ფეხის ანაბეჭდი კარგად გამოჩნდეს. ცენტრში ორი, თეთრად გამოყოფილი ხაზია მოჭიდავეების საწყისი პოზიციისთვის. ეს ყველაფერი დატვირთულია შინაარსით. ქვიშა სისუფთავის აღმნიშვნელი სიმბოლოა შინტოიზმში. მარილი, რომელსაც მოჭიდავეები თავად ყრიან მოედანზე, ნიშნავს, რომ ის ადგილი და მოჭიდავეებიც სუფთავდებიან და ბოროტ ძალებს დევნიან. სანამ შეჯიბრება დაიწყება, პირის ღრუში აუცილებლად ივლებენ წყალს და ქაღალდის ხელსახოცით ტანს იმშრალებენ. საერთოდ, იაპონელებს ფაქიზი დამოკიდებულება აქვთ სისუფთავის მიმართ. დარბაზის თავზე დაკიდებულია ჭერი, რომლის ოთხივე მხარეს ფუნჯები ჰკიდია, რაც წელიწადის დროებს აღნიშნავს: თეთრი შემოდგომაა, შავი – ზამთარი, მწვანე – გაზაფხული და წითელი – ზაფხული. ასევე, დაკიდებულია დროშები, რაც იმის მანიშნებელია, რომ სეზონი შეიცვალა და ქარია. შეჯიბრება ღია ცის ქვეშ იყო და ამ ყველაფერს ძველად სხვანაირი დატვირთვა ჰქონდა. კატეგორიულად აკრძალულია დოხეზე ქალი ავიდეს და იქ ფეხი დაადგას. თუ ეს მოხდა, იმ ადგილას პროფესიული შეჯიბრება აღარასდროს ჩატარდება.

**– ტურნირი როგორ იწყება?**

– ტურნირი იწყება აღლუმით, რომელსაც წინ ტიტულოვანი, სახელოვანი სუმოისტი მოუძღვის. ის შესაძლოა, აღარც იყოს აქტიურ სპორტში. ამის შემდეგ მოდიან მსაჯები – ოთხივე კუთხის და ერთი ცენტრალური მსაჯი მარაოთი. მათ მოსდევს ორი მოქმედი სუმოისტი დიდი ხმლით ხელში. შეჯიბრება იწყება განწმენდის ცერემონიალით. სუმოისტი აიღებს მარილს, მიიყრის ტანზე, დაყრის დოხეზე, დაუკრავს ტაშს, ფეხს დაარტყამს დოხეს და ჩაიმუხლავს. როდესაც ორივე მოჭიდავე ჩამუხლულია, ზუსტად ერთდროულად უნდა დაარტყან ხელი იატაკს. თუ სინქრონი დაირღვა, ვინც ააცდინა, ჯარიმდება საკმაოდ სოლიდური თანხით 500-დან 1 000 დოლარამდე. ამის შემდეგ, ჩაკუზულებს შორის თვალებით მიდის ფსიქოლოგიური ბრძოლა. მონაწილეებს ოთხი წუთი ეძლევათ მოსამზადებლად. ოთხი წუთის შემდეგ კი იწყება ბრძოლა და დამარცხებულია ის, ვინც დოხეს გადაცდება სხეულის ნებისმიერი ნაწილით, იქნება ეს თმა, ხელის თითი თუ სხვა. წაგებულია ასევე ისიც, ვინც დოხეს იქით ტერფის ანაბეჭდს დატოვებს. ფეხით გადასვლა წაგებად არ მიიჩნევა, უნდა წააქციო მოწინააღმდეგე. ორთაბრძოლა რამდენიმე წამს გრძელდება. სამი ჩემპიონატი ტარდება ტოკიოში და თითო-თითო – ოსაკაში, ნაგოიოსა და კუნძულ კიო-სიოზე. რაც შეეხება ჩაცმულობას, ისინი ბორდო-იასამნისფერი კიმონოებით დადიან. თმა აუცილებლად გრძელია და იკვრება ერთიან კონად, რაც დარტყმისგან თავდასაცავად გამოიგონეს. შეჯიბრების დროს მათი ერთადერთი სამოსი ქამარია – ცხრა მეტრისა და ორმოცი სანტიმეტრის სიგანის, რომელსაც ისე მაგრად იკრავენ, მისი ჩამოძრობა ან ჩამოვარდნა გამორიცხულია. თუ ეს მოხდა, სპორტსმენს დისკვალიფიკაცია ემუქრება. თითის ჩაცურებაც კი არ შეიძლება, ისე მყარად კრავენ. ამ ქამარს წინ აქვს ჯოხები, რომელსაც არანაირი დატვირთვა არ აქვს.

**– არცთუ ისე მიმზიდველად გამოიყურებიან ამ დროს.**

– იაპონიაში სუმოს უამრავი სკოლა არსებობს, სადაც მაღალი კლასის მოსწავლეებს იღებენ, მიღება ოცდასამ წლამდეა. აუცილებელია ამ დროს მისი წონა იყოს 70 კილოგრამი და სიმაღლე 1.73 მეტრი. ამაზე დაბალი გამორიცხულია. რაც უფრო მსხვილია ძვალი, მით მარტივად იკრებს წონას და ეს კარგია. სკოლაში დილით ექვს საათზე დგებიან, ხუთი საათი ვარჯიშობენ, მერე ჩადიან ძალიან ცხელ აბანოში. ამის შემდეგ აქვთ სადილი, ძალიან კალორიული, ცილოვანი საკვები. სადილის შემდეგ სამი საათი სძინავთ, მერე ისევ ვარჯიშობენ და საღამოს აქვთ ვახშამი.

**– აბა, რა ასუქებთ?**

– სპეციალური დიეტა, სადაც შედის ქათმის, ძროხის, ღორის ხორცის, თევზის, ბოსტნეულის, ზღვის პროდუქტების წვნიანი. ამ წვნიანის რეცეპტი ყველა სკოლას თავისი აქვს და ის გასაიდუმლოებულია. ეს ყველაფერი ერთად იხარშება, უბრალოდ, არ ვიცი, რა თანმიმდევრობით. ჩემპიონატის დროს კი მხოლოდ ქათმის წვნიანით იკვებებიან და რატომ? – სუმოისტი უნდა იდგეს ორ ფეხზე და არა ოთხზე, მსხვილფეხა საქონელივით. აუცილებლად მიირთმევენ ბრინჯს, ძალიან დიდი რაოდენობით ლუდს და ტოფუს, იაპონურ ყველს. არც ალკოჰოლური სასმელებია მათთვის აკრძალული და ესეც ასუქებთ. მათი წონა 120-175 კილოგრამს შორის მერყეობს. რაც უფრო მოქნილია სუმოისტი, ამით უპირატესობა აქვს. ისინი საოცარი პოპულარობით სარგებლობენ ღმერთკაცებად ჰყავთ მიჩნეული. ქუჩაში რომ ხედავენ, ხალხი იკრიბება, წრეს კრავს და ცდილობენ ხელით შეეხონ – მიაჩნიათ, რომ ამით მათ ცხოვრებაში ბედნიერება მოვა. ძალიან დიდი პრიზები აქვთ რანგების მიხედვით – ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენის გვარს კალიგრაფი ყველაზე დიდი იეროგლიფებით ხატავს დაფაზე. საინტერესოა, რომ მთავარ პრიზად ახალი მანქანის გასაღებს გადასცემენ, არადა მანქანის მართვა ეკრძალებათ. ასევე, იღებენ ერთი ძროხის წონა ხორცს, ერთი წლის „კოკა-კოლას“ მარაგს და ათას ცალ შიიტაკის სოკოს. ასევე, არის ფულადი პრიზები. ჰყავთ სპონსორები, მუშაობს ბონუს-სისტემა, მოკლედ, ფინანსურ მხარეს არ უჩივიან. სუმოისტს ჰყავს მძღოლი ან ტაქსით დადის. მანქანის მართვა იწვევს დისკვალიფიკაციას და რანგით ჩამოქვეითებას. არის ასეთი მითიც, რომ ის სუმოისტი გაიმარჯვებს დოხეზე, ვინც წინა ღამეს ლამაზ ქალთან გაატარებს, ან ხორცის ძალიან დიდ ულუფას მიირთმევს. კიდევ ერთი აკრძალვა, კატეგორიულად დაუშვებელია ტოტალიზატორი და რაიმე გარიგება სუმოსთან დაკავშირებით. ერთხელ ასეთი შემთხვევა მოხდა, სუმოისტების ესემესები გამოაშკარავდა და ოსაკას ტურნირი ჩააგდეს. არადა, მეორე მსოფლიო ომის დროს და ხიროსიმას დაბომბვისასაც კი არ აუკრძალავთ ჩემპიონატი არც ერთხელ. მკაცრად დაისაჯა ყველა მონაწილე.

**კატეგორიულადაა აკრძალული დოხეზე ქალი ავიდეს და იქ ფეხი დაადგას. თუ ეს მოხდა იმ ადგილას პროფესიული შეჯიბრება აღარასდროს ჩატარდება**

**– ქართველებს რა რანგები აქვთ?**

– საკმაოდ მაღალი. ოთხი ქართველია აქტიურ სუმოში: თეიმურაზ ჯუღელი, ლევან გორგაძე, მერაბ-გიორგი ცაგურია და ყველაზე ცნობილი – მერაბ-ლევან ცაგურია, ანუ კოკაი. კოკაი საკმაოდ ტიტულოვანია.

**სალომე გველესიანი**

**არასწორად შერჩეული კვების რაციონი არაერთი საშიში დაავადების მიზეზი ხდება. დამეთანხმებით, ადამიანების უმრავლესობა, დღეს არ აქცევს სათანადო ყურადღებას კვების რაციონს. ყოველდღიურად მივირთმევთ არასასურველ საკვებს და ამით იმუნიტეტს ვიქვეითებთ, რაც სამომავლოდ, ინფექციებისადმი გამკლავების უნარს მკვეთრად ამცირებს. თუ რომელი საკვებით შეგვიძლია, გავიძლიეროთ დაქვეითებული იმუნიტეტი ამ სეზონზე, რატომ უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება კვებას დღეს და როგორ გამოვკვებოთ ორგანიზმი მარხვის პერიოდში, ამაზე, ექიმი-დიეტოლოგი, ქალბატონი ასმათ კეკელიშვილი გვესაუბრება.**

# როგორ გადავარჩინოთ ორგანიზმი სასიცოცხლო ძალებისგან გამოფიტვას და რისი დაცვაა საჭირო მარხვისას

**– დღეს, ბევრი უჩივის საერთო სისუსტეს, ადვილად დაღლას, შრომის უნარის დაქვეითებას და ამას ზოგი გაზაფხულს აბრალებს, ზოგი არასწორ კვებას, ზოგი რას და ზოგი – რას. რეალურად, ორგანიზმის „მწყობრიდან გამოსვლას" ამ პერიოდში, რა იწვევს?**

– რეალურად, ეს იმაზე მეტყველებს, რომ თქვენი იმუნიტეტი დაქვეითებულია და ის სასწრაფოდ საჭიროებს აღდგენას. იმუნიტეტის დონე კი იმაზეა დამოკიდებული, იღებთ თუ არა საჭირო ვიტამინებს, ნახშირწყლებს, ცილებსა და ამინომჟავებს ყოველდღიური საკვებიდან. თავი მხნედ, ჯანმრთელად და ძლიერად რომ იგრძნოთ, აუცილებლად უნდა მიაქციოთ ყურადღება სწორ და სრულფასოვან კვებას. არასწორად შერჩეული კვების რაციონი ათასგვარი დაავადების გამწვავების მიზეზი ხდება. სამწუხაროდ, ჩვენ მიერ მოხმარებული საკვები ძირითადად ქიმიური, სინთეტიკური, რაფინირებული და გენმოდიფიცირებულია. ასევე, შეიცავს მასტიმულირებელ ნივთიერებებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მათში საერთოდ არ არის ის საზრდო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ამა თუ იმ ორგანოს მუშაობა, ზოგადად, მთელი ორგანიზმის ფუნქციონირება და, მათ შორის, იმუნიტეტის საჭირო დონეც. ადამიანის ორგანიზმი თვითმარეგულირებელი სისტემაა, რომელსაც აუცილებლად სჭირდება ვიტამინები, მინერალები, ფერმენტები და არა ხელოვნური დანამატები. ახლა სწორედ ის დროა, როცა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ორგანიზმის იმუნური სისტემის გაძლიერებას, რათა ასე გახშირებულ გაციებას, ვირუსებსა და ათასგვარ ინფექციურ დაავადებას ავარიდოთ თავი. ამისთვის კი უნდა მიირთვათ სხვადასხვა ბოსტნეული და სეზონური ხილი. ბოსტნეული შეიძლება იყოს როგორც მოხარშული, ისე ცოცხალი. ასევე, აუცილებელია, ორგანიზმის მომარაგება C ვიტამინით. მას კი დიდი რაოდენობით შეიცავს: კივი, ვაშლი, ციტრუსები და გოგრა.

**– ახლა მარხვაა. არასწორად შენახული მარხვა თუ იწვევს რაიმე გართულებას ჯანმრთელობის თვალსაზრისით?**

– შემიძლია, მთელი პასუხისმგებლობით მოგახსენოთ, რომ, პრაქტიკაში არ შემხვედრია ადამიანი, რომელიც სწორად იცავდეს მარხვის წესს კვების თვალსაზრისით. მარხვის დროს საკვების შერჩევა-მიღებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. როდესაც ჩემთან მოსულ პაციენტს ვეკითხები როგორ ჩაატარეთ მარხვის დღეები-მეთქი, არც ერთის პასუხი ჩემთვის, როგორც სპეციალისტისთვის, დამაკმაყოფილებელი არ არის. უფრო მეტსაც გეტყვით – ახლოსაც კი არ დგას კვების იმ რეჟიმთან მათი რაციონი, რასაც მარხვა ჰქვია და რომელმაც ჩვენ უნდა გაგვაძლიეროს და გამოგვაჯანმრთელოს როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად. სამწუხაროდ, ამ დროს, გამოჯანმრთელების ნაცვლად, ბევრი დაავადების განვითარების საფუძველს უქმნის თავის ორგანიზმს. საერთოდ, დაავადების პროვოცირება ხდება არასწორი მარხვის პერიოდში. მარხვის დასრულებისთანავე კი თავს იჩენს ეგრეთ წოდებული „დროებით მიძინებული" დაავადებები. ამიტომ, ამაზე მანამდე უნდა დაფიქრდეთ, სანამ მარხვას დაიწყებთ და სწორად უნდა შეადგინოთ თქვენი კვების რაციონი მარხვის პერიოდში. როგორც მარხვის, ისე ხსნილის დროს ნებისმიერ ადამიანს უნდა ჰქონდეს კვების კულტურა. მარხვის არასწორად დაცვა კი მიუღებელია. ჯერ კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რისთვის ვიცავთ მარხვას და შემდეგ შევუდგეთ მის დაცვას. ალბათ, ბევრმა არც კი იცის, რომ დიდი მარხვა სპეციალურადაა დადგენილი ზამთრის ბოლოს და გაზაფხულის დასაწყისში. რადგან, ზამთარში ორგანიზმი დათრგუნულია, შენელებულია ნივთიერებათა ცვლა, დეპრესიულია, შედეგად, სასიცოცხლო ძალებიც დაქვეითებულია, მარხვის დროს კი სწორად კვებით ორგანიზმი მომარაგდება აუცილებელი სასიცოცხლო ძალებით, რაც მისი სწორი ფუნქციონირებისთვისაა საჭირო. ამიტომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ: კი არ უნდა ვიშიმშილოთ, არამედ სწორად ვიკვებოთ.



**დაავადების პროვოცირება ხდება არასწორი მარხვის პერიოდში, მარხვის დასრულებისთანავე კი თავს იჩენს, ეგრეთ წოდებული, „დროებით მიძინებული" დაავადებები**

**– კერძოდ, რომელ საკვებ პროდუქტს მივანიჭოთ ამ პერიოდში მეტი უპირატესობა?**

– საკვები რაციონიდან უნდა გამორიცხოთ ის პროდუქტები, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავს ცხიმოვან, ტოქსიკურ მჟავებსა და სახამებელს. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საერთოდ ამოიღოთ კვებიდან ცხიმები, ცილები და სახამებელი. უბრალოდ, უპირატესობა იმ პროდუქტს უნდა მიანიჭოთ, რომელიც ბუნებრივ, ნატურალურ ორგანულ ცილებს, ცხიმებსა და სახამებელს შეიცავს. არც პური ამოიღოთ რაციონიდან იმის გამო, რომ გსურთ, გაზაფხულს კარგ ფორმაში შეხვდეთ. ხორბალი შეიცავს B ჯგუფის ყველა ვიტამინს, ანუ, მასში თავმოყრილია ყველა ის ორგანული სახამებელი, რომელიც ადამიანის ორგანიზმისთვისაა აუცილებელი. გარდა ამისა, ის ენერგიით გვავსებს. მიირთვით არარაფინირებული ხორბლის

**კი არ უნდა ვიშიმშილოთ, არამედ სწორად იკვებოთ**

ფქვილისგან გამომცხვარი პური, ის ძალიან სასარგებლოა ნორმალური განვითარებისა და ჯანმრთელობისთვის.

**– ბევრი, სწორედ ამ პერიოდში იწყებს კვების რაციონის შეზღუდვას, რომ ზაფხულს ფორმაში ჩამდგარი და ზედმეტი კალორიების გარეშე შეხვდეს. მათ რას ურჩევთ?**

– დიახ, ასეა და უამრავი დიეტა არსებობს, რომლებსაც სპეციალისტთან შეუთანხმებლად უნიშნავენ საკუთარ თავს. იმაზე კი არ ფიქრობენ, თუ რა სერიოზული შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას. არასწორად, თვითნებურად დაცული დიეტა, შესაძლოა, ადამიანის სიკვდილის მიზეზიც კი გახდეს, მით უმეტეს გაზაფხულზე, როცა ყველას სათანადო, ვიტამინებით მდიდარი საკვების მიღება ესაჭიროება. მოკლედ, დღეს ბევრი იცავს თვითნებურად მოდურ დიეტას და არ ფიქრობს იმ სავალალო შედეგზე, რაც ამას დროთა განმავლობაში მოჰყვება. გახდომის მიზნით, თვითნებურად აკრძალულმა საკვებმა და ზოგადად შედგენილმა კვებითმა რაციონმა, ბევრ ახალგაზრდას დაუზიანა ორგანოები და ჯანმრთელობა. არ არის გამორიცხული, ეს ყოველივე სიკვდილითაც კი დასრულდეს. ამიტომ, სანამ გახდომას დაიწყებთ და რომელიმე საკვებს აუკრძალავთ თავს, ჯობია, კონსულტაცია შესაბამის სპეციალისტთან გაიაროთ და ასე დაიზღვიოთ თავი შესაძლო გართულებებისგან. დიეტას ძირითადად მაშინ მიმართავენ, როცა ჭარბი წონა აწუხებთ. ეს კი, უმეტეს შემთხვევაში, გაზაფხულზე ახსენდებათ, როცა თბილი ტანსაცმლიდან შედარებით ხალვათ სამოსზე გადასვლა უწევთ. დანარჩენ შემთხვევაში კი რა დაავადებაც არ უნდა სჭირდეთ, სამკურნალო კვებას ყურადღებას არ აქცევენ. დამიჯერეთ, ყოველგვარი თვითნებურად დაცული დიეტა, ორგანიზმისთვის დამანგრეველია და იმ შედეგს არ იძლევა, რისი იმედიც გაქვთ. შედეგსაც რომ თავი დავანებოთ, ადამიანის ორგანიზმი ამ დროს მწყობრიდან გამოდის და ღირს კი ამად ექსპერიმენტის ჩატარება? დიეტის დაცვის დროს, ადამიანი ხედავს ვიზუალურ ეფექტს, მაგრამ, შიგნით რა ხდება, რა პროცესები მიმდინარეობს, ამას ვერ ამჩნევს და პრობლემა რომ ღრმავდება, მერე უკვე გვიანია. მით უმეტეს, გაზაფხულზე, როცა ორგანიზმი გამოფიტულია, დანგრეულია და საერთოდ ქაოსია მასში, არასწორი დიეტის დაცვა სწორედ გაზაფხულზე იწვევს იმუნური სისტემის მკვეთრ დაქვეითებას, ჰემოგლობინის დაცემას, სისხლძარღვების დაბინძურებას, ქოლესტერინის დონის მომატებას და ასე შემდეგ. ამის ფონზე კი ვითარდება სხვადასხვა დაავადება. ვისაც წონის შენარჩუნება, ან მინიმუმ წონის დაგდება სურს გაზაფხულზე, მაშინ მიირთვას შვრიის ფაფა, ხილ-ბოსტნეული ცოცხალი სახით, დიდი რაოდენობით ვაშლი, ფეიხოა, გოგრა. ეს უკანასკნელი არაჩვეულებრივად აძლიერებს იმუნურ სისტემას. ასე რომ, გაზაფხულზე თუ სწორად არ შეარჩიეთ საკვები რაციონი, შეიძლება მომავალში თავს ავნოთ.

**ნონა დათეშიძე**

**გიორგი გურგულია პროფესიით მსახიობი და რეჟისორია, თუმცა, რამდენიმე წელია, რაც ლექსებსა და სცენარებს წერს. ხანდახან თავისუფალ დროს საყვარელ ჰობის – ხატვას უთმობს, მაგრამ, ეს იშვიათად ხდება. როგორც თავად აღნიშნავს, ხატვისთვის განსაკუთრებული მობილიზება სჭირდება.**

# როგორ საცოლეს ეძებს გიორგი გურგულია და როგორ ქალთან აპირებს მთელი ცხოვრების გატარებას

**– ბატონო გიორგი, დღეს რით ხართ დაკავებული?**

– ეს წელიწადი ჩემთვის ნაყოფიერად დაიწყო, რადგან, შემოქმედებითად ვარ დატვირთული. მეგობრებთან ერთად რამდენიმე სატელევიზიო პროექტი მოვამზადე. ჩემი ოცნებაა, უპატრონო ბავშვებისა და უპატრონო მოხუცების თავშესაფარი ერთად გავაკეთო, რათა პატარებმა ბებიებისა და ბაბუების სითბო იგრძნონ, მოხუცებმა კი – ბავშვების. 1993 წელს აფხაზეთის თემაზე დავწერე სცენარი – „ფორთოხლის მზე" და ჩემს მეგობარს ლევან აბაშიძეს მიუძღვენი. ამ სცენარმა 2008 წელს კონკურსში გაიმარჯვა, მაგრამ მაშინ ფილმის გადაღების უფლება არ მომცეს, ახლა მე და ერეკლე ბადურაშვილი ამ სცენარის მიხედვით ფილმის გადაღებას ვაპირებთ. ფილმი პაციფისტური იქნება, ანუ, ომის საწინააღმდეგო. ფილმში აღწერილი იქნება ჩეჩენი და აფხაზი ბოევიკების ისტორია, ასევე, ქართველი კაცის ისტორიაც.

**– თქვენ ამ ფილმში მიიღებთ მონაწილეობას?**

– ერეკლე ბადურაშვილს უნდა, ფილმში მონაწილეობა მივიღო, მაგრამ, მე ჯერ არ გადამიწყვეტია. მე და ერეკლე ბადურაშვილი ერთად ვაპირებთ რეჟისორობას და, არ ვიცი როლისთვის დრო დამრჩება თუ არა. თუმცა, ფილმში ერთ-ერთ მთავარ როლს (მუსლიმანი საიდის როლს) ზურაბ ყიფშიძე შეასრულებს.

**– მაშინ რატომ არ მოგცეს ფილმის გადაღების უფლება?**

– იმიტომ, რომ წინა ხელისუფლებასთან კონფლიქტი მქონდა, რის გამოც მტრად ვიყავი გამოცხადებული და, როგორც ხელოვანს, არაფერს არ მაკეთებინებდნენ. ტელევიზიებში პირდაპირ მეუბნებოდნენ, რომ დაბლოკილი ვიყავი. ამის მიზეზი კი ჩემი სტატიები იყო. ორი სტატია დავწერე „ლიტერატურულ საქართველოში" და, მეორე სტატია რომ გამოვიდა, გაზეთი დახურეს. ერთი სტატია დიდმარხვის დროს ციხეში მომხდარ ბუნტს ეხებოდა. რასაც ხელისუფლების მხრიდან მუქარები და ტელეფონის ზარები მოჰყვა. იძულებული გავხდი, ის სახლი დამეტოვებინა, სადაც მაშინ ვცხოვრობდი. ჩემი მეორე სტატია – „ასე იწყებოდა ფაშიზმი", რომელიც ეხებოდა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ პერიოდს, გაზეთ „შანსში" დაბეჭდეს და პირდაპირ ვამბობდი, რომ ეს ვარდების რევოლუცია კი არა, დადგმული სპექტაკლი იყო. ამ სტატიის გამოქვეყნებას ჩემი უფროსი შვილის დაჭერა მოჰყვა – ამით გადამიხადეს სამაგიერო. ყველაფერი გამაყიდვინეს და მძიმე მდგომარეობაში ჩამაგდეს. მაგრამ, ახლა ყველაფერი შეიცვალა და იმედიც გამიჩნდა.



**ტელევიზიებში პირდაპირ მეუბნებოდნენ, რომ დაბლოკილი ვიყავი**

**– რა ბრალდებით დააკავეს ლუკა?**

– პოლიციას ლუკას უბნელი ბიჭის დაჭერა უნდოდა და ლუკას ეუბნებოდნენ, მისთვის ხელი დაედო. პოლიციამ ლუკას მაგიდაზე ორი აბი სუბოტექსი დაუდო და პირდაპირ უთხრა: თუ ხელს დაადებ, ხვალ სახლში იქნები, თუ არა და, „სროკზე" წახვალო. ჩემმა შვილმა ადამიანი არ გაწირა და ხელი არ დაადო, ამიტომ, 12 წელი მიუსაჯეს. საერთოდ, ერთ ან ერთ-ნახევარ აბ სუბოტექსზე 7 წლამდე უსჯიან, მაგრამ, ორ ან 7-ზე მეტ აბზე – 12 წელს. ამიტომ, პოლიციას ბევრი აბის მოტანა აღარ სჭირდება, ადამიანის განადგურება თუ უნდათ, ორ აბ სუბოტექსს დაუდებენ და ციხეში უშვებენ, 12 წლის მერე კი ციხიდან ტუბერკულოზით დაავადებული გამოვა და 5-6 წელიწადში მოკვდება. ასეთი გენოციდი მოუწყო წინა მთავრობამ ჩვენს ახალგაზრდებს. ის ბიჭები, რომლებმაც პოლიცია ლუკაზე გაიყვანეს, ძალიან მალე გაათავისუფლეს – პოლიციასთან თანამშრომლობისთვის მათ 6 თვე და 1 წელი მიუსაჯეს, ჩემმა შვილმა კი კაცი არ გაწირა. აქ ძველბიჭობაზე არ არის საუბარი, აქ ადამიანის მორალზეა საუბარი. ადამიანმა ამ ცოდვით მთელი ცხოვრება დალი უნდა ატაროს. როცა ადამიანი მეორეს აბეზღებს, მასში ყველა ადამიანური მორალი იმსხვრევა და მერე მისგან პიროვნების შექმნა ძალიან ძნელია.

**– ამნისტია თუ შეეხო ლუკას?**

– დიახ და ძალიან ბედნიერი ვარ. ლუკამ წელიწადი და სამი თვე მოიხადა, მერე კი ამნისტიით გამოუშვეს. თუმცა, ჩემი შვილის ციხიდან გამოსვლას, დედაჩემის ავადმყოფობა დაემთხვა. ის დრო, რაც ლუკა ციხეში იჯდა, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს გულში დანა გამიყარეს და გულის არეში მუდმივ ტკივილს ვგრძნობდი. როგორც კი ლუკას ჩავეხუტე (არ ვიცოდი, ლუკას თუ უშვებდნენ. როცა დამირეკა და მითხრა ათ წუთში გარეთ მიშვებენო, მაშინვე წავედი, მაგრამ, რუსთავამდე ჩასვლა ვერ მოვასწარი, ლუკა ვიღაცას დაემგზავრა და შუა გზაზე შევხვდით ერთმანეთს), ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ეს ჩარჭობილი დანა ამომაცალეს და ტკივილიც მომეხსნა.

**– პირად ცხოვრებაში ახალი არაფერია? ოჯახის შექმნას აღარ აპირებთ?**

– ახალი არაფერია, არც შეყვარებული ვარ. რომ გითხრათ, გადაწყვეტილი მაქვს და ვიღაცასთან ერთად ვცხოვრობ-მეთქი, ასე არ არის. ფინანსურად მძიმე პერიოდი მაქვს, დედაც ავად მყავს. რაც გამაჩნდა ყველაფერი გავყიდე და ვალები დამიგროვდა. მინდა, ჩემს პატარა ბიჭს, ანდრიას, ცხოვრება მოვუწყო. ჯერ მდგომარეობიდან გამოვიდე და მერე ვნახოთ.

**– თქვენ გვერდით არავინ არის?**

– რაღაც ფლირტები მაქვს, მაგრამ, სერიოზული არაფერია. პატარა ბიჭი აღარ ვარ, სულ მალე 49 წლის ვხდები და ასეთი ნაბიჯის გადადგმას ვფრთხილობ. ჩემს ასაკში ყველაფრის ნულიდან დაწყება რთულია. მაგრამ, თუ მაინც გადავწყვეტ ოჯახის შექმნას, არჩევანს ისეთ ადამიანზე შევაჩერებ, რომელსაც მთელ ჩემს დარჩენილ ცხოვრებას მიუძღვნი.

**– როგორი უნდა იყო თქვენი რჩეული, რომელთანაც ახალი ცხოვრების შექმნას დააპირებთ?**

– კონკრეტულად ვერ გეტყვით. შეიძლება, შექმნა იდეალური სახე, მაგრამ, იდეალური ადამიანი არ არსებობს. როცა ვინმე შეგიყვარდება, მასში იმ თვისებებს დაინახავ, რაც შენ გინდა, რომ დაინახო; ასე რომ, ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ.

**– რატომ გაშორდით თქვენს მესამე მეუღლეს?**

– ოჯახი რომ იქმნება, პირველი სამი წელი კრიზისულია. ხდება ღირებულებების გადაფასება. ყოველ შვიდ წელიწადში ადამიანის ფასეულობები იცვლება და ის სხვა თვალით უყურებს სამყაროს. თუ ადრე შენი მეორე ნახევრის ყველაფერი მოგწონდა და ნაკლს ვერ ხედავდი, დროთა განმავლობაში მის მინუსებსაც დაინახავ. ხანდახან ქალიც ფიქრობს, რომ შენ ის ადამიანი არ ხარ, ვისაც ეძებდა, ანუ – იდეალი. პირადად მე, მეოჯახე კაცი არა ვარ. ენერგიული ადამიანი ვარ და მოგზაურობა მიყვარს, თანაც, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, სახლში ხშირად არ ვარ. ქალი კი სტაბილური პიროვნებაა და ჩემნაირ ადამიანთან იღლება.

**– და მაინც, რა იყო თქვენი განშორების ნამდვილი მიზეზი?**

– ჩვენი განშორების პირველი მიზეზი არის ხოლმე, როცა ვატყობ, რომ იმ ადამიანს ისე აღარ უხარია ჩემი სახლში მისვლა, როგორც თავიდან უხაროდა. მეუღლე კარს რომ გაგიღებს, უნდა გაგიღიმოს, უნდა გაუხარდეს შენი დანახვა; მეორე მიზეზი ქალის ბუნებაა – ქალებმა პატიება არ იციან. ქალს აქვს ისეთი თვისება, რომ ყველაფერი დაიმახსოვროს. შეიძლება, მილიონი სიკეთე გაუკეთო, მაგრამ ერთხელ თუ აწყენინე, მთელი ცხოვრება ემახსოვრება. როცა კრიზისული პერიოდი დგება, ქალს ისეთი ნიუანსები ახსოვს, რომელსაც მამაკაცი მნიშვნელობას არ ანიჭებს.

**– ოჯახების უმრავლესობა ღალატის საფუძველზე ინგრევა, თქვენ არ გიღალატიათ მეუღლისთვის?**

– ბუნებით არ ვარ მოღალატე ადამიანი, თუმცა, პირველ მეუღლეს ვღალატობდი. 19 წლის ვიყავი როდესაც პირველად შევქმენი ოჯახი. შვილი რომ შეგვეძინა ჩემი მეუღლე ჩემთან ვერ მოგზაურობდა, ბავშვთან რჩებოდა და მე მარტო მივდიოდი, მეგობრებთან ერთად. ამიტომ, პატარ-პატარა რომანები მქონდა. მეორე მეუღლესთან რომ ვიყავი, ცხოვრებაში რაღაცეები შემემთხვა და მეუღლეს გული ვატკინე. მესამე ქორწინების დანგრევის მიზეზი ჩემი ამერიკაში წასვლა იყო – „გრინ-კარტა" მოვიპოვე, ამერიკაში სასწავლებლად წავედი და ექვსი თვე თბილისში არ ვიყავი. 2008 წელს ომი რომ დაიწყო, თბილისში ჩამოვედი და აქ პრობლემები დამხვდა; მერე უკან დავბრუნდი, მაგრამ, იქაც პრობლემები დამიგროვდა. ბოლოს ჩამოსვლა გადავწყვიტე და დავბრუნდი. იმ პერიოდში ხათუნასთან ურთიერთობა გამიფუჭდა. ხათუნასაც დაძაბული პერიოდი ჰქონდა – მამამისი დაიჭირეს, ციხეში არ მიხედეს და გარდაიცვალა, მე კი მაშინ მის გვერდით არ ვიყავი და ეს ვერ მაპატია. როცა ჩვენი ურთიერთობა გაფუჭდა, ერთი წლის თავზე მას სხვა მოეწონა. მე იმ პიროვნებას შევხვდი და ცივილიზებულად დაველაპარაკე. მან ამიხსნა, რომ, სანამ ხათუნას არ გავეყრებოდი, მასთან ურთიერთობა არ ექნებოდა, მერე კი ცოლად მოიყვანდა. ჩემი აზრით, როცა ოჯახში კონფლიქტი იწყება, ჯობია, ყველაფერს გაერიდო. ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა შეიძლება ასე შეფასდეს: გონებრივი სიახლოვე ბადებს პატივისცემას, სულიერი სიახლოვე ბადებს მეგობრობას, ფიზიკური სიახლოვე ბადებს ლტოლვას, ამათი ნაერთი კი – სიყვარულია. თუ რომელიმე დაირღვევა, მაშინ მთავარი იმსხვრევა, რომლის აღდგენა ძნელია.

**– ანდრია ხათუნასგან რატომ წამოიყვანეთ?**

– ანდრიამ თავად არჩია ჩემთან ყოფნა. ბარგს რომ ვალაგებდი და მოვდიოდი, თვითონ მითხრა: მამა, ჩემი ბარგიც ჩაალაგე, არაფერი დაგვრჩესო – და წამომყვა. დღემდე ასეა, 24 საათი ჩემთან უნდა ყოფნა. დედასთან სულ ტირილით და მოტყუებით მიმყავს. დედა მაინც რაღაცაზე უბრაზდება, ჩემთან კი თავისუფლად არის.

**– როგორი მამა ხართ?**

– განსაკუთრებული მამა ვარ, სამივე შვილს დედებზე მეტად მე ვუყვარვარ. ბავშვები ძალიან მიყვარს. როცა ანდრია დაიბადა, მის მიმართ განსაკუთრებული გრძნობა დამეუფლა. მკერდზე ვიწვენდი და ისე ვაძინებდი. ახლა 5 წლისაა და უკვე კაცობს. ჩემს მეგობარ გოგონებზეც არ ეჭვიანობს. თუ მოეწონება, მათთან თავს კარგად გრძნობს. რამდენჯერ უთქვამს – მამა, გოგონას მე აგირჩევო და, ქუჩაში გოგონა თუ მოეწონება, დამანახვებს – ნახე რა ლამაზიაო.

**– როგორი ბაბუა ხართ?**

– ცუდი. თავიდან გიორგისთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა, მაგრამ, ანდრია რომ დაიბადა, მისკენ გადავერთე. გიორგი 9 წლისაა და პატარა ბიძაზე ეჭვიანობს. პირველად რომ მივუყვანე ანდრია, გიორგიმ იეჭვიანა და იტირა.

**ლია ოსაძე**

# როგორ სთხოვა სახლის სახურავზე ცალ მუხლზე დაჩოქილმა როკ-ვარსკვლავმა ტაისონ რიტერმა ელენა სატინეს ცოლობა

*მსოფლიოში ცნობილი და ლამაზი წყვილების სიას კიდევ ერთი მშვენიერი წყვილი შეემატა: ჰოლივუდში მოღვაწე წარმატებული ქართველი მსახიობის, ელენა სატინესა (სხირტლაძე) და ცნობილი როკ-ჯგუფის The All-American reject-ის ვოკალისტისა და ბას-გიტარისტ როკ-ვარსკვლავის ტაისონ რიტერის სახით. შვიდთვიანი ურთიერთობის შემდეგ ტაისონმა საკმაოდ რომანტიკულ გარემოში სთხოვა ელენას ხელი და თანხმობის შემდეგ, ბრილიანტისთვლიანი ულამაზესი ბეჭდით დანიშნა. ამის შესახებ თავად ელენამ დაწერა „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე, თან, ბეჭდიანი ფოტოც ატვირთა, წარწერით: „მომავალი მისის რიტერი“, რასაც ტაისონის გამოხმაურებაც მოჰყვა: „როგორც იქნა, ვიპოვე ჩემი საცოლე“. ეს ფაქტი ძალიან ბევრისთვის მოულოდნელი იყო, მათ შორის – ელენასა და ტაისონის მეგობრებისთვის, განსაკუთრებული კი – ჟურნალისტებისთვის. წყვილმა შეძლო ურთიერთობის საიდუმლოდ შენახვა და მხოლოდ ნიშნობის შემდეგ განაცხადა ამის შესახებ. გარდა ამისა, ნიჭიერი და წარმატებული ელენას კარიერაშიც ბევრი სიახლეა, ზოგიერთი მათგანის შესახებ ცოტა ხნის წინ „თბილისელები“ ექსკლუზიურად უყვებოდა მკითხველს. რამდენიმე დღის წინ კი ელენა დაამტკიცეს NBC-ის ძალიან პოპულარულ და წარმატებულ შოუში – The sixth Gun-ში მთავარ როლზე. როგორც ცნობილია, ამ როლისთვის დიდი ხნის განმავლობაში არჩევდნენ მსახიობს და ბოლოს არჩევანი ელენაზე გააკეთეს. შოუ რამდენიმე სეზონისგან შედგება და ის საკმაოდ წარმატებული, პოპულარული და მაღალბიუჯეტიანია. ელენას გმირი არის ქვრივი – მისის იუმი, რომელსაც ახასიათებენ როგორც ძალიან ძლიერ, ულამაზეს, ჭკვიან და გავლენიან ქალს, მას არაფრის ეშინია... ვიმედოვნებ, რომ, როგორც სხვა შოუები, ეს შოუც ძალიან წარმატებული იქნება ელენასთვის, რომელიც ჰოლივუდში ნიჭიერ, ჭკვიან მსახიობად ითვლება.*

*რაც შეეხება ელენასა და ტაისონის ურთიერთობას, ის დაახლოებით 7 თვის წინ დაიწყო... თავიდან მხოლოდ საუბრობდნენ... მაგრამ, ნელ-ნელა უფრო მეტად დაახლოვდნენ. თუმცა, იმ დროს ორივე ძალიან დაკავებული იყო: ტაისონი საკუთარ ჯგუფთან ერთად მსოფლიო ტურნეში იმყოფებოდა, ელენას კი „მაგიური ქალაქის“ გადაღებები ჰქონდა. როგორც კი ორივე ლოს-ანჯელესში აღმოჩნდა და თავისუფალი დრო გამოუჩნდათ, შეხვდნენ და მიხვდნენ, რომ ერთმანეთის გარეშე ცხოვრება აღარ შეეძლოთ. ექვსი თვის თავზე, 3 აპრილს, ტაისონმა ელენას ხელი სთხოვა, რაზეც მან თანხმობა მიიღო. ეს ამბავი ჰოლივუდის ყოვლისმნახველი საზოგადოებისთვისა და ჟურნალებისთვისაც კი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ნიშნობის მეორე დღეს „ტვიტერზე“, ასევე, სხვა საიტებზე, დღის ნიუსად იქცა და დღემდე ინტერესდებიან. ჟურნალი „თბილისელები“ ულოცავს ელენას და ტაისონს და უდიდეს ბედნიერებას უსურვებს! ამ მნიშვნელოვანი და სასიხარულო ამბის შესახებ კი დაწვრილებით სასაუბროდ ელენას დედას, ქალბატონ მარინა სილაგაძეს დავუკავშირდით. ასე რომ, ელენასა და ტაისონის ნიშნობის დეტალებს „თბილისელები“ მკითხველს ექსკლუზიურად სთავაზობს.*

**– ქალბატონო მარინა, გილოცავთ ელენას დანიშვნას. მას დიდ ბედნიერებას ვუსურვებ! ის და ტაისონი ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი წყვილია ჰოლივუდში.**

**მარინა სილაგაძე**: ელენასა და ტაისონის ნიშნობის ამბავი, ოჯახის წევრების გარდა, ყველასთვის მოულოდნელი იყო. რა თქმა უნდა, მათი ურთიერთობის შესახებ თავიდანვე ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ, ჰოლივუდში უყვართ პირადი ცხოვრების საიდუმლოდ შენახვა და ამის შესახებ ხმამაღლა მხოლოდ მაშინ ლაპარაკობენ, როდესაც თავად გადაწყვეტენ. ასე მოხდა ელენას შემთხვევაშიც, ამიტომაც გახდა ეს ამბავი მეორე დღეს ნიუსების თემა. ჟურნალმა „ფიფლმა“ სთხოვა მათ ექსკლუზივი და ამის შემდეგ მათ შესახებ უკვე სხვა ჟურნალებიც წერდნენ. თუმცა, ტაისონმა ჟურნალებს მხოლოდ ერთი რამ უთხრა: „როდესაც ელენას ხელი ვთხოვე, ის ტიროდა, მე ვკანკალებდი, მაგრამ, არც ერთი არ გადმოვვარდნილვართ სახურავიდან“... სინამდვილეში კი ყველაფერი ძალიან ლამაზად და რომანტიკულ ვითარებაში მოხდა: წინა დღეს ტაისონის სახლში მეგობრები შეიკრიბნენ, ელენა ღამით დარჩა. დილის 6 საათზე, როგორც კი ინათა, ტაისონმა სთხოვა, სახურავზე აჰყოლოდა. იქ კი ელენას საოცარი სიურპრიზი დახვდა: წითელი ვარდის ფურცლებისგან გაკეთებული დიდი გული. ტაისონმა ელენას წინაშე ცალ მუხლზე დაიჩოქა და ასეთი ლამაზი სიტყვებით მიმართა: „აღარ მინდა შენ გარეშე შევხვდე არც ერთ განთიადს,“ რის შემდეგაც ელენამ ტირილი დაიწყო, რადგან, ახალგაღვიძებული იყო და ვერ მიხვდა, რა ხდებოდა მის თავს. ცოტა ხანში დამირეკა: „დედა, მე ვთხოვდები!“ რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა. ტაისონი, გარდა იმისა, რომ ძალიან პოპულარული და წარმატებული მომღერალია, შინაგანადაც ძალიან კარგი პიროვნებაა – ერთი მხრივ, ცნობილი როკ-ვარსკვლავი, ხოლო მეორე მხრივ – რომანტიკული, ჭკვიანი, მგრძნობიარე ადამიანი. ქრისტიანია და ძველი ტრადიციების მოყვარული. ამაზე ერთი ფაქტიც მიანიშნებს: სანამ ელენას დანიშნავდა, მანამდე დამირეკა და ჩემგან თანხმობა და დალოცვა ითხოვა. მე ვუთხარი: „ასე მალე?“ რაზეც მიპასუხა: „თქვენც ფიქრობთ, რომ ყველაფერი მალე მოხდა?“ როცა ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს, ერთმანეთის გარეშე არ სურთ ცხოვრება, რა საჭიროა ურთიერთობის დროში გაწელვა? ძალიან საყვარელი და კარგი ბიჭია. მან თავის მშობლებსაც გააცნო ელენა – სპეციალურად მათ გასაცნობად ჩაიყვანა ოკლაჰომაში და მათგანაც მიიღო დალოცვა – ეს თავად მას სიამოვნებს, რადგან ძველ ტრადიციებს დიდ პატივს სცემს.

**მარინა სილაგაძე: „ტაისონმა ჟურნალებს მხოლოდ ერთი რამ უთხრა: „როდესაც ელენას ხელი ვთხოვე, ის ტიროდა, მე ვკანკალებდი, მაგრამ, არც ერთი არ გადმოვვარდნილვართ სახურავიდან. სინამდვილეში კი ყველაფერი ძალიან ლამაზად და რომანტიკულ ვითარებაში მოხდა“**



**ელენამ „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე ბეჭდიანი ფოტო ატვირთა, წარწერით: „მომავალი მისის რიტერი“. რასაც ტაისონის გამოხმაურებაც მოჰყვა: „როგორც იქნა, ვიპოვე ჩემი საცოლე“**

**– როდის აპირებენ ქორწილის გადახდას?**

– როდესაც ელენას არ ექნება გადაღებები, ხოლო ტაისონს – კონცერტები, მაშინ გადაიხდიან ქორწილს. ჰოლივუდში ქორწილისთვის ყველაზე კარგი დრო საშობაო პერიოდია, დეკემბერი, როდესაც ყველა ისვენებს. სხვა დროს შოუ-ბიზნესის ხალხის შეგროვება ძალიან რთულია, საშობაო პერიოდში კი ჰოლივუდში დიდი არდადეგები იწყება, დეკემბრის დასაწყისში ყველაფერი იკეტება. ამიტომ, ალბათ, დეკემბერში, ფლორიდაში გადაიხდიან ქორწილს. ტაისონს ოკეანის სანაპიროზე აქვს სახლი და იქ გააკეთებენ ლამაზ და რომანტიკულ ქორწილს.

**– როგორი გამოხმაურება მოჰყვა მათ ნიშნობას ტაისონისა და ელენას თაყვანისმცემლების მხრიდან? ორივე ძალიან პოპულარულია და თაყვანისმცემლების დიდი არმია ჰყავთ.**

– ტაისონის თაყვანისმცემლები ხუმრობით წერდნენ: „ბოლო სართულიდან ვხტებით, რა აზრი აქვს ცხოვრებას – ტაისონმა ცოლი მოიყვანა.“ ყველას უხარია და ულოცავენ – თქვენ მაგივრად ბედნიერები ვართო. ზოგი ჟურნალი, პირიქით, წერდა: „ბედნიერია ტაისონი, რადგან ელენა ცოლობაზე დასთანხმდა“.

**– ელენა ძალიან კარგად მღერის. მისი კარიერია თავიდან სწორედ ამ კუთხით დაიწყო. თუ აპირებს საქმროსთან ერთად სიმღერას, ალბომის ჩაწერას?**

– აქვთ რაღაც გეგმები, თუმცა, ამაზე ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი. დღეს *(ინტერვიუ ჩაწერილია 10 აპრილს, – ავტორი)* ელენამ დაასრულა გადაღებები და ტაისონთან ერთად წავიდა ფლორიდაში კონცერტზე, შემდეგ ტაისონის სახლში მივლენ და იქ დაგეგმავენ ყველაფერს. უკვე ველარ ძლებენ ერთმანეთის გარეშე. ელენა ჩემთან რომ მოდის, ტაისონი უკვე რეკავს.

**– ხომ არ აპირებენ საქართველოში ჩამოსვლას?**

– ტაისონს ძალიან უნდა საქართველოში ჩამოსვლა, გეგმავენ კიდეც. ელენა მას უყვებოდა სოჭის შესახებ, მაგრამ, მე იმდენი ვესაუბრე საქართველოზე, რომ საქართველოში უფრო უნდა ჩამოსვლა, ვიდრე რუსეთში, უფრო მეტად აინტერესებს. აუცილებლად ჩამოვლენ, თუმცა, ჯერჯერობით არ ვიცი, როდის. ალბათ, როცა ყველაზე კარგი ამინდები იქნება საქართველოში და, რაც მთავარია, ორივეს თავისუფალი დრო უნდა ჰქონდეს.

**– ქალბატონო მარინა, დიდი მადლობა ინტერვიუსთვის და კიდევ ერთხელ ვულოცავ ელენასა და ტაისონს მათ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას!**

**ნათია უტიაშვილი**

# ბრძნული აზრები

**მონტენი**: ჭეშმარიტი ღირსება მდინარეს ემსგავსება, რაც უფრო ღრმაა, ნაკლებს ხმაურობს.
**შოუ**: თუ გინდა, რომ ბედნიერი იყო მთელი არსებით უნდა მიეცე საყვარელ საქმეს, მაშინ დრო არ დაგრჩება იმის განსასჯელად, ხარ თუ არა ბედნიერი.
**გლეიკი**: ყოველთვის მზად იყავი, თქვა ის, რასაც ფიქრობ და არამზადა სათოფეზედ არ მოგეკარება.
**არისტოტელე**: ვნებებს ის კი არ იმორჩილებს, ვინც მათგან სრულიად იკავებს თავს, არამედ ის, ვინც მათ ისე იყენებს, როგორც მართავენ გემს ან ცხენს, ესე იგი, იქით მიჰყავთ, საითაც საჭირო და სასარგებლოა.
**პლატონი**: სხვათა ბედნიერებას რომ ვეძებთ, საკუთარს ვპოულობთ.
**არისტოფანე**: მოკლე ჭკუას გრძელი ენა აქვს.
**დემოკრიტე**: უგუნური ტკბობა სიმწირის მშობელია.
**ჰიპოკრატე**: არც შიმშილი, არც სიმაძღრე, არც რაიმე სხვა არ ვარგა თუ არაბუნებრივია და ზომიერებას სცილდება.
**შექსპირი**: მშვენიერება მხოლოდ სიმართლეშია.
**ფრანსი**: სესხება უნდა ფუტკარივით, ზიანს რომ არავის აყენებს და არა ჭიანჭველასავით, მთელ მარცვალს რომ იტაცებს.
**ლიხტენბერგი**: როგორებიც არიან ადამიანები, ისეთი არის მათი წიგნებიც.
**რემარკი**: სიყვარული ახსნა-განმარტებებს ვერ ითმენს, მას ესაჭიროება საქმეები.
**შოპენჰაუერი**: სიბრძნის საუკეთესო ნუგეშია შეგნება იმისა, რომ ახალგაზრდობაში მთელი ძალები მოახმარო საქმეს, რაც არ ბერდება.
**ჰეგელი**: ვისაც დიადის მიღწევა სურს, თავი უნდა შეიზღუდოს; ხოლო ვისაც სურს ყველაფერს მიაღწიოს, ვერაფერსაც ვერ მიაღწევს.
**ჰუმბოლდტი**: ადამიანისთვის ადამიანებზე საინტერესო არაფერია.
**კანტი**: როცა სამართლიანობა ქრება, მაშინ აღარაფერი რჩება ისეთი, რომ ადამიანის სიცოცხლეს ღირებულება მიეცეს.
**კატონ უფროსი**: ერიდე დავას მოლაყბეებთან.
**მენანდრე**: ცოლქმრულ სიყვარულს შვილები განამტკიცებენ.
**მაკედონელი**: მე არისტოტელეს მამის გვერდით ვაყენებ: მამამ სიცოცხლე მომანიჭა, არისტოტელემ კი ის, რაც სიცოცხლეს აზრს აძლევს.
**ილია**: გაისარჯე და ირჩინე თავი.
**კონსტანტინე**: ჯერ არც ერთი მეფე ჭკვიან ვეზირებს არ გაუხდიათ ბრძენი.
**ციცერონი**: ჭკვიანი ადამიანის უდიდესი ღირსებაა, არა მარტო თქმა იმისა, რაც საჭიროა, არამედ უთქმელობაც იმისა, რაც საჭირო არაა.
**გოეთე**: ადამიანი თავს შეიცნობს არა ფიქრით, არამედ მოქმედებით. თავის ფასს იგი შეიცნობს მხოლოდ ცდაში, რომ გააკეთოს ის, რაც საჭიროა.
**ბოკლი**: ჭეშმარიტების აღმოჩენა მდგომარეობს არა ფაქტების უხვად დამოწმებაში, რაც ადამიანს პედანტად აქცევს, არამედ საჭირო ფაქტების გამოყენებაში, რაც მას განათლებულად ხდის.
**როულენდი**: მამაკაცის ცდუნება მისთვის ხელშეუხებლადაც შეიძლება.
**ფილდინგი**: თუ მამაკაცები ისეთ ქალებზე დაქორწინდებიან, როგორების ღირსნიც არიან, მაშინ, ვაი მათ!

# თუ გამოიცნობთ

1. **გადათარგმნეთ** ტიბეტური ენიდან „უფრო მაღლა არაფერია".

2. მეცხრამეტე საუკუნეში დანიაში ძალაში იყო კანონი ლოთების წინააღმდეგ: „თუკი ადამიანი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას უგონოდ მთვრალი იქნება, მაშინ, სახლში მისი გადაყვანის ხარჯებს გაიღებს ..." **ვინ?**

3. მეცხრამეტე საუკუნის ფიზიკოსები თავიანთ მოწაფეებს ურჩევდნენ, შეეცვალათ პროფესია. **რატომ?**

4. ბახი – ბრანდენბურგის მეორე კონცერტი, „ჰავოტი რონდოს ფორმით", „კარგად ტემპერირებული კლავირი"; ბეთჰოვენი – მეხუთე სიმფონია, სიმებიანი კვარტეტი, ნომერი ცამეტი; მოცარტი – „ჯადოსნური ფლეიტა"; „სტრავინსკი – „კურთხეული გაზაფხული"; ჩაკ ბერი – „ჯონი ბი გუდ"; უილ ჯონსონი – „დარქ უოზ ზე ნაით"; ლუი არმსტრონგი – „მელანქოლი ბლუზ". აი, იმ მუსიკალური ნაწარმოებების არასრული სია, რომლებიც ცნობილ „ოქროს ფირფიტაზეა" ჩაწერილი. **ეს ფირფიტა შეიქმნა, როგორც საჩუქარი, ვისთვის?**

5. ნიგერიაში ამ ნივთების შეტანა სასამართლოს დარბაზში აკრძალულია, რათა არ მოხდეს ზეწოლა მოსამართლეებზე. **რა ნივთებია ესენი?**

6. ყურანში არაფერია ნათქვამი ვაჭრობის შესახებ, თუმცა ნახსენებია რაღაც, რაშიც მუსლიმანებს ფულის აღება ეკრძალებათ. **რით ვაჭრობას კრძალავს ყურანი?**

7. მოსკოვსა და პეტერბურგს შორის სარკინიგზო ხაზის გახსნის შემდეგ პირველ სამ დღეს მგზავრობა უფასო იყო. **რა იყო ამის მიზეზი?**

8. ცნობილია, რომ სარგასოს ზღვაში არც ერთი მდინარე არ ჩაედინება, მას არ აქვს ნაპირები. მაგრამ ამ ზღვას ნაპირები აქვს და მასში მაინც არ ჩაედინება მდინარეები. **დაასახელეთ ეს ზღვა.**

9. თავიდან ასე ერქვათ ინდუისტ ბერებს, რომლებსაც მათხოვრობის აღთქმა ჰქონდათ დადებული. ამ სიტყვას მეორე მნიშვნელობა მიემატა იმის გამო, რომ ამ ბერებს ჰქონდათ სხვადასხვა საოცარი უნარი. **დაასახელეთ ეს სიტყვა.**

10. 1880 წლიდან მამაკაცები ფრაკის ნაცვლად სმოკინგს იცვამენ. **რა შემთხვევაში** იყო ფრაკი სავალდებულო სამოსი 1918 წლამდე?

***პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* შეიხი არაბულ ენაზე მოხუცს, უხუცესს ნიშნავს.

* ფუნტი არსებობს – „დიდი", „პატარა", „ჩვეულებრივი", „ძველი", „ახალი", „სტერლინგი", „სახაზინო", „სამონეტო", „სავაჭრო", „საქალაქო", „სამთო", „ნიურნბერგის", „საარტილერიო", „სამედიცინო", „სააფთიაქო", „მეტრული", „სახორცე", „რკინის" და ასე შემდეგ.

* საქართველოს დედაქალაქი თბილისი, მექსიკის შტატი – აუგასკელენტესი, ამერიკის ქალაქი ჰოთ-სფინგზი – მათ ერთი ბუნებრივი მოვლენა აერთიანებთ: მიწისქვეშა თბილი წყლები, რაც სახელებშიც აისახება.

* ჰენრიხ მეოთხემ 1399 წელს დააარსა „აბანოს ორდენი" – ორდენის წევრები ყოველდღე ბანაობდნენ.

* მსოფლიოში სიგრძის საზომი ერთეულის, მეტრის ეტალონის 31 ეგზემპლარია გაკეთებული.

* ინგლისში, ლანკაშირში, მდინარე ირველზე მდებარეობს ვაშლის სიდრის ქარხანა. ვაშლის მისაწოდებლად არც ქარხნის პატრონებს, არც ფერმერებს არც ერთი ცენტრი არ ეხარჯებათ – ვაშლს მდინარეში ყრიან და დინებას მიაქვს.

* მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ბანკნოტებზე ცნობილი მოღვაწეების პორტრეტებს გამოსახავენ, რაც არა მხოლოდ მათი პატივისცემით არის გამოწვეული, არამედ იმითაც, რომ სახის აღქმის თავისებურების გამო, ნებისმიერი უმნიშვნელო ცვლილება თვალშისაცემია. ამიტომ, მათი გაყალბება უფრო ძნელია.

* ამერიკელი გორდონ შნეპი სასამართლოში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების საქმეების განხილვას ხელმძღვანელობდა. ყველა მიიჩნევდა, რომ ის თავის კოლეგებზე უფრო მეტად ასახიერებდა მართლმსაჯულებას, რადგან... ბრმა იყო.

* კარტოგრაფებმა დაადგინეს, რომ ევერესტი მას შემდეგ, რაც მასზე პირველად დადგა ფეხი ადამიანმა, 2 მეტრით დადაბლდა.

* მენდელეევის ქიმიურ ელემენტთა ტაბულაზე სიტყვათა ფუძეები ბერძნული, ლათინური, არაბული, ინდური, სპარსული, სლავური წარმოშობისაა. აქ შეგხვდებათ ღმერთები და ქალღმერთები, ვარსკვლავები, პლანეტები, ქალაქები, ქვეყნები, გვარები...

* ძველად რუსეთში მიაჩნდათ, რომ ვარსკვლავები ფანჯრებია, საიდანაც ანგელოზები მიწას უყურებენ.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლh8-h4!**
**შეადგინა სერგილ სუხიტაშვილმა**



იაპონელი მოსკოვში გაგზავნეს – ლენინს უნდა გადაუღოს სურათი... შევიდა მავზოლეუმში. მოამზადა ფოტოაპარატი, მაგრამ, გამოაძევეს – ფოტოგრაფირება აკრძალულიაო; მეორედ ქუდში ჩაიმონტაჟა ფოტოაპარატი – არ გამოუვიდა, მესამედ ღილში ჩაამაგრა – არც ამჯერად გამოუვიდა. ბოლოს წითელ მოედანზე ერთი ბომჟი ნახა და ერთ ყუთ არაყზე შეუთანხმდა. მეორე დღეს ბომჟი დათქმულ დროს მოვიდა ტომარამოკიდებული:




– აბა, სად გადავუღოთ ლენინს სურათი – აქ თუ ბუნებაში?

***

– გაიგე, სამხედრო სამსახურის ვადა ერთ წლამდე შემცირდებაო. გიგი ახლა მაინც წავა ჯარში, ეკა კი ერთ წელიწადს, ალბათ, ნაღდად დაელოდება....

– რას ამბობ, რა ერთ წელიწადს, ეკა ხანდახან გიგის სამსახურიდან მოსვლასაც არ ელოდება ხოლმე.

***

მიფრინავს ავიალაინერი. კაპიტანი, როგორც წესია, აცხადებს:

– პატივცემულო მგზავრებო! ჩვენი თვითმფრინავი მიფრინავს ატლანტის ოკეანის თავზე, 10 000 მეტრ სიმაღლეზე, 900 კილომეტრი სიჩქარით, ტემპერატურა ბორტს გარეთ... ოჰ, ჯანდაბა... შენი დედაც!..

სალონში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ გაისმა კაპიტნის ხმა:

– ბატონებო და ქალბატონებო, ბოდიშს მოგიხდით მცირე გაუგებრობისთვის... ჩვენმა სტიუარდესამ ყავა გადამასხა შარვალზე... ერთი განახათ, რას ჰგავს წინიდან!

– ოჰ, მაგისი! ახლა ჩემი შარვალი ნახეთ უკნიდან! – წამოიძახა ერთ-ერთმა მგზავრმა.

***

წავიდა კაცი ანალიზის ჩასაბარებლად: შარდი – პატარა „კოკა-კოლას“ ბოთლში, განავალი – ასანთის კოლოფში და... დაიკარგა. მოიარა ცოლმა მორგები, მილიციის განყოფილებები, საავადმყოფოები და ერთგან გადააწყდა თაბაშირში ჩასმულს:

– გოგი, შენა ხარ? რა მოხდა?

– ქუჩაში ვილაცამ ასანთი რომ მთხოვა სიგარეტზე მოსაკიდებლად, მხოლოდ ის მახსოვს, დანარჩენი არაფერი...

***

განცხადება:

„ვაქირავებ ოთახს ორ მომხიბვლელ გოგონაზე... მესამეს არ მივილებ – ასაკი არ მიწყობს ხელს...

გადახდა – მაშინვე“.

***

დაკითხვაზე...

– მიპასუხეთ, თქვენმა მეზობელმა ერთხელ მაინც მოგცათ რაიმე ნარკოტიკი?

– არა.




– მისმა მეუღლემ?

– უკაცრავად, ისევ ნარკოტიკზეა საუბარი?

***

როგორ ვასიამოვნოთ ადამიანებს:

1. ყოფილ მეუღლეს

„შემთხვევით“ უნდა შეხვდეთ გაუპარსავი, ძველ, ჭუჭყიან ტანსაცმელში, მოსთხოვოთ სიგარეტი და 20 ლარი.

2. „ოპელის“ მქონე მეზობელს

გადმოხვალთ მაგარი „მერსედესიდან“ და ეუბნებით: რა ძნელია სხვისი მანქანის მართვა, ხელები სულ მიკანკალებს, არადა, საკუთარს ვერაფრით ვყიდულობ.

3. დედას

მისი თანდასწრებით მამას უთხარით: „სამწუხაროა, ისეთი გამგები, ჭკვიანი, განათლებული გოგოები, შენს ახალგაზრდობაში რომ იყვნენ, ახლა აღარ არიან...“

4. მამას

მოწყენილი ხმით: „ლიკას სახლში აღარ მოვიყვან. როცა მიდის, ყოველთვის მეუბნება: რა სიმპათიური მამა გყავს, თან, ასაკი სულ არ ეტყობაო.“

5. ტაქსისტს

„ალბათ, ქალაქის გარეუბნებში კარგად ერკვევით, მე გზა არ ვიცი... თან, იქნებ, 200-ლარიანის ხურდა გქონდეთ...“

***

რადიოში რეკავს ქალი: „ჩემმა შვილმა ვერ ჩააბარა ინსტიტუტში. გთხოვთ, უსურვოთ ყველაფერი კარგი და მის პატივსაცემად გადმოსცეთ სიმღერა მტვირთავებზე“.

***

– ქალბატონო, ეს კაბა გასუქებთ...

– მართლა? მე კი შაურმას ვაბრალებდი...

***

4 წლის ნიკას ყური ასტკივდა. დედა მაღაზიაში შევიდა და არაყი აილო – კომპრესი უნდა




გაუკეთოს. მოლარემ ცოტა ალმაცერად შეხედა ქალს.

– არა, დედაჩემი არ სვამს, ჩემთვის ყიდულობს... – დაიცვა ბიჭმა დედა.

***

ქალი არასოდეს ღალატობს... არსებობს მხოლოდ ქმრისთვის სამაგიეროს გადახდა ან ახალი სიყვარული...

***

– როცა პატარა ვიყავი, ვოცნებობდი, რომ მოვიდოდა თეთრ ცხენზე ამხედრებული პრინცი და წამიყვანდა შორს, შორს... ახლა კი ამაზე ჩემი ქმარი ოცნებობს.

***

– დე, რად გინდა ძუძუები?

– პატარა რომ იყავი, რძეს გაჭმევდი...

– ახლა რაღაში გჭირდება?

– სამახსოვროდ დავიტოვე...

***

გათხოვება – ესაა 8-საათიანი სამუშაო დღიდან 24-საათიან სამუშაო დღეზე გადასვლა.

***

ფორუმიდან:

მის 86: ხალხო! არიან ამქვეყნად მამაკაცები, რომლებთანაც, თუნდაც, ძალიან ცოტა ხანს მაინც შეიძლება ურთიერთობა სექსის გარეშე.

ზურა 80: „მის 86“ – ეს მე ვარ, ზურა. ზუსტად ახლა ვეძებდი გოგონას ინტიმის გარეშე – სახლის დალაგება, რეცხვა, სადილის კეთება... ინტიმს სხვასთან მივხედავ. ხელიდან არ გაუშვა ბედნიერება!

***

– რისთვის ჩაგსვეს?

– წარმოიდგინე, თურმე, სახელმწიფოც ზუსტად ისეთივე კუპიურებს ბეჭდავდა, როგორსაც მე...

***

– ჰო, კარგი, შევხვდეთ... როგორ გიცნო?

– ჯინსები მეცმევა, 170 სანტიმეტრი და 61 კილოგრამი ვარ...

– კარგი. მე ღია ფერის „კურტკას“ ჩავიცვამ და ხელში სანტიმეტრი და სასწორი მეჭირება.

# გაბოროტებული ხარები და შეშინებული მოჭიდავეები

ესპანეთი ჩვენმა ახლანდელებმა მესით, გუარდიოლათი, კასილიასითა და სხვებით იციან, მაგრამ ბევრმა არ იცის, ჩვენ რა ამბავი გადაგვხდა.

იმ წელს გუნდური ჩემპიონები გავხდით (თუ შეიძლება ასე ითქვას), მაგრამ, შეჯიბრების დაწყებამდე, ხელმძღვანელობამ, „საბრძოლო სული" რომ აემაღლებინათ, ტურნეს გეგმაში კორიდაზე ჩვენი დასწრება დაგეგმა.

მთელი ნაკრები და ადგილობრივი მოჭიდავეებიც ერთად წავედით ამ უდიდებულესი სანახაობის სანახავად.

სიურპრიზი თურმე იქ გველოდა: გამორეკეს ეს „საბრძოლო ხარები." შეყარეს სპეციალურ ფარეხში და გრძელი, წვეტიანი კეტებით აღიზიანებენ... აღიზიანებენ და აღიზიანებენ, რომ მერე ეს უცოდველი, გაბოროტებული პირუტყვები არენაზე გამორეკონ და... (ახლა, ცოტა თქვენც გეცოდინებათ).

ეს ჩვეულებრივი ამბავია და სასეირო ჯერ არაფერია.

– ვინაა მსურველი მსოფლიო მოჭიდავეთაგან, რომ არენაზე ჩამოვიდეს? – მაყურებლებს მიმართავს ადგილობრივი ინფორმატორი... ვაი, ჩვენს თავს! როგორია, მიილო გამოწვევა?! თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი ინგლისელი მოჭიდავე გადავიდა არენაზე და დანარჩენებს ხელებით ანიშნებს – მოდით, რისი გეშინიათ, მოჭიდავეები არ ხართო?! არა... რაღა ვქნათ ახლა? ჭიდაობა კი ვიცით, მაგრამ, შავ ხარებთან რა იჭიდავებს, კაცო! ცოტა ხანში ვიღაც რუსი ვიტიუშა მოჭიდავეც გადახტა – „ჩტო ბუდეტ – ბუდეტ, მატ რადნაიაო." გადავხედეთ ერთმანეთს. ამ დროს რამაზ ხარშილაძემ გამოიჩინა შესაშური გამბედაობა. „შენ დაუკარ" არ უთქვამს, მაგრამ, გაბედულად გადახტა და ამოუდგა გვერდში რუსსა და ინგლისელს. მეტი მსურველი არ აღმოჩნდა. დასცხეს დოლზე: „დრრრრუუუ...-დრრრრუუუ"... – და გაუღეს კარი ამ გადარეულ ხარებს.




– რამაზ, თავს უშველე! – ვიყვირეთ ჩვენ, მაგრამ, ჩვენი ხმა საერთო ყიჟინაში ჩაინთქა. ხარმა ავბედითად დაყნოსა ჰაერი და, რატომღაც, უზარმაზარი წონის ღიპიანი ინგლისელი „მოეწონა"! ჰოდა, გაენთო რქებით. ინგლისელს სულ დაავიწყდა, ვინ იყო და მოუსვა თავშესაფარში. გაიქცა და მიილო კიდეც ორი ძლიერი რქა. მეორე ხარი რუსს გამოეკიდა. რუსმაც იბღავლა, ისიც თავშესაფარში შევარდა და ინგლისელ ღიპიანს ამოეფარა უკან. ამ ჩვენსას – ხარშილაძეს, რატომღაც (იღბალი იყო თუ რა, არ ვიცი), წითელი ჯემპრი ეცვა მაინცდამაინც იმ დღეს. ბღუუუ – დაიძახა ხარმა და, სანამ პირუტყვი რამე უბედურებას მოიფიქრებდა, ხარშილაძემ წუთში რვა წრე დაარტყა არენას. ბოლოს, რომ შეხედა, ხარი აღარ ეშვებოდა, მანაც თავშესაფარს მიაშურა, მაგრამ, ნურას უკაცრავად, ღიპიანმა ინგლისელმა არ შეუშვა – სადაა შენი ადგილიო, ჰკრა დაკუნთული ღიპი და ისროლა არენაზე. გადაირია მაყურებელი. როგორც იქნა, მაშველებმა ხარი დაიჭირეს და გადარჩა ჩვენი რამაზი. ოღონდ, მთელი თვე, რომ ეძინა, ასე ხვრინავდა: ხხხარი, ხხხ-არი!!!

**ვეტერან ძიუდოისტ გურამ გოგოლაურის ნაამბობის მიხედვით მოამზადა მურმან მერკვილიშვილმა**

# ტობი ვონგის გაქრისტიანება, ნათესაობა ქართულად და ჩხუბი ეკლესიაში

გამარჯობა, დედა, როგორ ხარ? ძალიან მენატრებით ყველა. დედა, ჩემს ცხოვრებაში დიდი ამბავი მოხდა – კობამ მაინც თავისი გაიტანა და გუშინ ქრისტიანულად მომნათლეს.

სანამ ნათლობის დღე მოვიდოდა, ყველაფერი მოვძებნე ინტერნეტში ამ პროცესზე, მაგრამ, საქართველოში, რა თქმა უნდა, ყველაფერი სხვანაირად ხდება.

დილიდანვე დაიწყო მზადება. ჩვენმა დიასახლისმა ნანამ მითხრა, ორი ნათლია უნდა გყავდეს აუცილებლად და მეორე მე ვიქნებიო. თავისი დიდი ოთახიც მათხოვა ნათლობის აღსანიშნავად და ბაზარში წავედით საჭმელ-სასმლის საყიდლად.

როცა დავბრუნდით, სუფრა გაშალა და თეფშები დაალაგა; დანარჩენს, ეკლესიიდან რომ მოვალთ, მერე ვიზამო თქვა და კობასთან ერთად ეკლესიაში წავედით. გამოგვყვნენ ხაი შანგი, ლუსი, ხუნხუა, სანგი, ოთარა, გრიშკა და ვეფხო. ეს ბოლო სამი ბიჭი ჩვენი უბნელები და კობას ძმაკაცები არიან.

ეკლესიის ეზოში ვიდექით და მღვდელს ველოდებოდით, როცა ერთი ახალგაზრდა გოგო მოვიდა ჩვენთან. იმწამსვე ვიცანით ყველამ – ტელევიზორში საინფორმაციო გადაცემა მიჰყავს ხოლმე. ძალიან გაგვიხარდა და ყურადღებით შევხედეთ.

– უკაცრავად, ხომ არ იცით, ხვიჩა კაპანაძის ნათლობა როდის ტარდება? გვკითხა მორიდებით.

ჩვენ არ ვიცოდით და თავები გავაქნიეთ.

– თქვენც მის ნათლობაში ხომ არ ხართ, ან, ხომ არ იცით, რომელია ხვიჩა? – გვკითხა ისევ.

ჩვენ ისევ არაფერი ვიცოდით და ისევ თავები გავაქნიეთ.

– კარგი, უკაცრავად, – თქვა გოგომ და კუთხეში დადგა. ცოტა ხნის შემდეგ ახალგაზრდა ბიჭი მოვიდა და ისიც ჩვენთან გაჩერდა. ეს ბიჭიც ვიცანით – ცნობილი მომღერალია და ესეც თითქმის ყოველდღე ტელევიზორშია. ამანაც ზუსტად იმ გოგოსავით გვკითხა – ხვიჩა კაპანაძე რომელია, ხომ არ იცით, ან, როდის ნათლავენო. ჩვენ უარი ვუთხარით და ესეც ცალკე დადგა ეზოში. გავიდა კიდევ თხუთმეტი წუთი და ეკლესიის ეზოში ვიღაც შავი ტყავის პალტოში გახვეული მსუქანი ქალი შემოვარდა ქაქანით და




პირდაპირ ჟურნალისტ გოგოს დაეტაკა:

– როგორ ხარ, თათია, გენაცვალე! როგორ მოგვანატრე თავი!

– უკაცრავად, თქვენ ვინ ბრძანდებით? ჰკითხა გოგომ.

– შეგარცხვინა ღმერთმა! დაანამუსა გოგო ქალმა, ახლა ვერ მიცანი? ბაბუაშენი პავლე და საწყალი მამიდაჩემის ქმარი – გოგია ალალი ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ, იმიტომ დაგირეკე და ჩემი ხვიჩუნას მონათვლა გითხარი, თორემ, ხალხის მეტი რა არის!

– უი, მაპატიეთ, შეწუხდა გოგო.

ქალი ახლა მომღერალი ყმაწვილისკენ გაემართა და პირდაპირ უთხრა:

– ბექუნა, რამხელა გაზრდილხარ, ბიჭო, როგორ მომენატრე! მოდი, ჩაეხუტე მამიდას, – გაშალა ხელები და გულში ჩაიკრა ბიჭი. ბიჭმა უხერხულად გაუღიმა და უთხრა:

– მაპატიეთ, ვერ გიცანით, ქალბატონო.

– რა ვერ მიცანი, ბიჭო? გაავფთრდა ქალი, – მამიდას ვეღარ ცნობ? მამაშენის ცოლის დიშვილი რომაა, ცირა, ე, იმის ალალი მამიდაშვილი ვარ მე. იმისთვის დაგირეკე და განათვლიებ ჩემს ხვიჩიკოს, რომ ნათესაობა არ დავკარგოთ, თორემ, მომნათლავის მეტი რა არის, აქეთ მეხვეწებოდა ბევრი, მარა, ვერ ეღირსებიან ჩემთან დანათესავებას!

– აა, ეს თქვენ ბრძანდებით, ქალბატონი გენრიეტა? თქვენ არ დამირეკეთ გუშინწინ, გუშინ და დღეს?

– ასე არ ჯობია, ბიჭო? – გაუნათდა სახე ქალს და კიდევ გადაეხვია.

მე ჩვენს დიასახლისს, ნანას ვკითხე – თუ არ იცნობდნენ, ვის ნათლავდნენ, რატომ მოვიდნენ ან ეს გოგო და ან ეს ბიჭი-მეთქი. ნანამ მიპასუხა: როცა ვინმე ნათლიობას გთხოვს, უარის თქმა არ შეიძლება. ალბათ, ამ ქალმა დაურეკა და ამათ უარი ვერ უთხრესო.

ერთად ჩატარდა, დედა, ჩემი და ხვიჩას ნათლობა და ერთი ჩხუბი კიდევ მოხდა. ამ ხვიჩას ოთხი ნათლია ჰყავდა: ის ტელეწამყვანი, ის მომღერალი, ვიღაც პოლიციის უფროსი და ვიღაც კიდევ ერთი მსუქანი ქალი. ხვიჩას დედამ ერთ-ერთი ცნობილი პოლიტიკოსი დაუსახელა მღვდელს და უთხრა – მოსვლა ვერ მოახერხა და უნდა მოიხსენიო, როგორც ნათლიაო. მღვდელმა უთხრა, არ შეიძლება, ბავშვს ხუთი ნათლია ჰყავდესო და უარზე დადგა. რაოო?! – გაგიჟდა ქალი და შუა ლოცვის დროს ვიღაცას დაარეკვინა მღვდელთან, ამასაც, ეტყობა, სხვა გზა აღარ ჰქონდა და მოიხსენია ის პოლიტიკოსი. მე ჩვეულებრივად მომნათლეს, დედა – თავი წყალში ჩამაყოფინეს, კისერზე ნანას და კობას ნაყიდი ორი ოქროს ჯვარი ჩამომკიდეს და ლოცვები წამიკითხეს. საღამოს კი, როგორც ქართული წესია, ყველა უგონოდ დავთვერით დეიდა ნანას დიდ ოთახში. ასე ჩაიარა ჩემმა ნათლობამ. ჯერჯერობით ეს არის სულ, მერე კიდევ მოგწერ. ძალიან მენატრებით ყველა.

გკოცნით.

**თქვენი ტობი ვონგი**

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * №16 (642) * 15 – 21 აპრილი * ფასი 1,50 ლარი



გვ. 15

რა ეტაპი ამოიწურა გაგა ჩიხლაძის ცხოვრებაში და რატომ აღარ აქვს მას ცანცარობის დრო



გვ. 50

რა ისწავლა ლუკა მგელაძემ საკუთარ შეცდომებზე და მერამდენე რეჟისორია ის მგელაძეების ოჯახში



## საიდან იყო „ევაკუირებული“ და რას ვერ გაუძლო თეონა კონტრიძემ

გვ. 14

ISSN 1987-569X